290
2002

თბილისის უნივერსიტეტის შრომები
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

336

ჟურნალისტიკა
JOURNALISM
ЖУРНАЛИСТИКА

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского Университета
Tbilisi University Press

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

ნ. ბასილაია, შ. გაგოშიძე, ნ. ლეონიძე, ნ. მახარაძე,
მ. თავამაიშვილი, ივ. მჭედლიშვილი, დ. ჩიკვილაძე,
ნ. ტაბიძე (რედაქტორი)

Редакционная коллегия

Н. Басилая, Ш. Гагошидзе, Н. Леонидзе, Н. Махарадзе,
М. Тавамаишвили, Д. Мчедлишвили, Д. Чиквиладзе,
Н. Табидзе (редактор)

Editorial Board

N. Basilaya, Sh. Gagoshidze, N. Leonidze, N. Makcharadze,
M. Tavamaishvili, T. Mchedlishvili, D. Chikviladze,
N. Tabidze (editor)

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

ჟ $\frac{4502020000}{608(06)-02}$

პროფესორი შოთა გაგოშიძე

პროფესორ შოთა გაგოშიძეს 75 წელი შეუსრულდა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მიესალმება სახელოვან მეცნიერს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

საანკეტო მონაცემებზე თვალის გადავლებაც კი საკმარისია. რომ დაასკვნა: ნიჭის, ფართო განათლების, შრომისმოყვარეობისა და საქმის ერთგულების გარეშე შეუძლებელი იყო ასეთი სიმაღლეების დაპყრობა. 24 წლისა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორია, 28 წლისა ქუთაისის საოლქო გაზეთ „სტალინელის" ხელმძღვანელი. მერე... თუმცა უმჯობესია თავიდან დავიწყოთ.

დაიბადა ქ. თბილისში 1924 წლის 6 ნოემბერს. დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლა და უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტის წინა ხაზზეა. დემობილიზებულმა უფროსმა ლეიტენანტმა მშობლიურ უნივერსიტეტს მოაშურა და 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი.

თხზვა მისი სტიქიაა. ამიტომაც იზიდავს ძალუმად პერიოდიკა. 1953-56 წლებში ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" განყოფილების გამგეა. 1956-57 წლებში ჟურნალ „აგიტატორის" რედაქტორი, 1957-66 წლებში საქართველოს კპ. ც.კ. -ის განყოფილების გამგის მოადგილე, შემდეგ ამავე განყოფილების გამგე. 1966-73 წლებში ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორია. 1973 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სახელმწიფო უნივერ-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტეტში. 1978 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1981-98 წლებში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგეა. 1971 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

შ. გაგოშიძე სამასზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორია, რომლებშიც მკაფიოდ აისახა ჩვენი საზოგადოების ავი და კარგი. მათგან არაერთი იპყრობს ყურადღებას ოსტატობით — ფაქტის მიგნებითა და გააზრებით, ლოგიკური მსჯელობითა და დასკვნების უტყუარობით. ამჯერად მათზე არ შევჩერდებით. იმედია, როცა ისინი ერთად კრებულებში დაისტამბება, საგანგებო მსჯელობის საგნად იქცევა.

შ. გაგოშიძის მეცნიერული ინტერესები ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს გამომჟღავნდა. მას აინტერესებს ჟურნალისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის საკითხები.

მკვლევარმა სამი წიგნი მიუძღვნა ქართული არალეგალური ცენზურაგაუვლელი პრესის შესწავლას: „ქართული რევოლუციური პრესის სათავეებთან“ (1972), „თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები“ (1978) და „Русская революционная мысль и грузинская бесцензурная пресса“ (1986). მათში მოკვლეული და გაანალიზებულია ახალი მასალები (ავტორმა საგანგებოდ იმუშავა ლონდონის, მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმ-წიგნსაცავებში), ნაჩვენებია, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები პრესას, როგორ იქმნებოდა მოსწავლეთა, კერძო პირებისა და მუშათა არალეგალური ჟურნალ-გაზეთები, როგორ ვითარდებოდა თავისუფალი, დემოკრატიული აზრი. ამ ნაშრომებით გატეხილია ერთგვარი ყამირი, ნათელი ეფინება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად საგულისხმო სფეროს.

შ. გაგოშიძის, როგორც მკვლევარის, ნიჭი და გაქანება კარგად ჩანს მონოგრაფიაში „შალვა დადიანის ადრინდელი ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა“ (1971). მასში ნაჩვენებია შალვა დადიანის მრავალსახეობა და დასაბუთებულია, თუ როგორ შეუწყო ხელი ადრინდელმა ლიტერატურულმა და ჟურნალისტურმა საქმიანობამ კლასიკოსის ჩამოყალიბებას.

აქვე უნდა დავასახელოთ მონოგრაფია „არტემ ახნაზაროვი“ 1971). შ. გაგოშიძე პირველია, რომელმაც მოგვცა ილიას სკოლის

ამ ნიჭიერი ჟურნალისტის ვრცელი დახასიათება, გახსნა მისი ფსევდონიმები, წარმოაჩინა ჩიორას სატირულ-იუმორისტული ნიჭის სპეციფიკა და გახაზა ის რეზონანსი, რაც „ყბად ასაღები და წყალწასაღები ამბების" რუბრიკით გამოქვეყნებულ მასალებს ჰქონდა. წიგნს დართული აქვს არტემ ახნაზაროვის ნაწარმოებთა სრული ნუსხა.

ფრიად საყურადღებოა ის გამოკვლევები, რომლებიც ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებს ეძღვნება. ასეთია ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის პირველ სახელმძღვანელოებში (წ. I-1975, წ. II – 1976) შესული ნარკვევები პუბლიცისტური გამოსვლების, პრობლემატიკის შესახებ.

სტუდენტთა სამაგიდო წიგნად იქცა 1996 წელს გამოცემული ლექციების კურსი „ჟურნალისტიკის საფუძვლები". მასში, როგორც ეს დამხმარე სახელმძღვანელოსათვის არის ნიშანდობლივი, გამოყენებულია თანამედროვე ჟურნალისტიკამცოდნეობის მიღწევები და მწყობრადაა ჩამოყალიბებული არსებითი დებულებები.

მკითხველი ბევრ საგულისხმო და საინტერესო მოსაზრებას გაეცნობა წიგნებში: „გაზეთის მთავარი თემები" (1971), „ჟურნალისტიკა და საზოგადოება" (1985), „ლიტერატურულ-პუბლიცისტური ეტიუდები" (1989) და სხვ.

შ. გაგოშიძე ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარია, მაგრამ თუ აქ დავსვამთ წერტილს, უთუოდ გავაფერმკრთალებთ მის საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი მოთხრობების ორი კრებულის ავტორია და, რაც არსებითია, დიდ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

პროფ. შ. გაგოშიძე კვლავ აღსავსეა ენერგიით და მისგან არაერთ საინტერესო გამოკვლევას ველით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили

336, 2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიზი კაპანაძე

ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა

ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ. ეს გარემოება არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის ფიქსირებული და, ამდენად, სამართლებრივ მნიშვნელობას მოკლებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ფაქტობრივი მდგომარეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში ისეთია, რომ ჭეშმარიტებისაგან აქ არც ისე შორს ვართ. აშუქებს რა ხელისუფლების საქმიანობას, ჟურნალისტიკა განახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს მასზე, მოსახლეობაში ქმნის გარკვეულ აზრს მისი ფუნქციონირების ავკარგზე, რაზეც საბოლოოდ დამოკიდებულია მისი ბედ-იღბალი.

ჟურნალისტებს საქმე აქვთ ცოცხალ ადამიანებთან. პრესაში გამოქვეყნებული, ტელევიზიითა თუ რადიოთი გადაცემული მასალები მათში გარკვეულ ემოციებსაც იწვევენ და არცთუ იშვიათად საკმაოდ მძაფრსაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მასალები მათ ეხებათ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მძიმე ასატანი იქნება ჟურნალისტის მიერ მათ მიმართ გამოჩენილი უტაქტობა და უსამართლობა.

ზემოაღნიშნული თვალსაჩინოს ხდის არა მარტო იმას, თუ რა ძალა აქვს ჟურნალისტის სიტყვას, არამედ იმასაც, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მას და როგორი სიფრთხილის გამოჩენა მართებს თავის საქმიანობაში. აქ აუცილებელია გარკვეული ჩარჩოების არსებობა, რომელთა ფარგლებს გარეთ გასვლა უნდა იკრძალებოდეს. სხვა შემთხვევაში დიდი იქნებოდა იმის ალბათობა, რომ ჟურნალისტიკა ჩადგებოდა ბოროტების და არა სიკეთის სამსახურში. ასეთი საფრთხის თავიდან აცილების საქმეს ემსახურება სწორედ, ერთი მხრივ, გარკვეული იურიდიული ნორმები, რომელთა დარღვევა სამართლებრივ პასუხისმგე-

ბლობას გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, ჟურნალისტების პროფესიული ეთიკა, რომლის მოთხოვნათა დაუცველობა საზოგადოების წინაშე ზნეობრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

ეთიკა ლათინური სიტყვაა და მომდინარეობს ბერძნული ethos-ისაგან, რაც ქართულად წეს-ჩვეულებებს ნიშნავს. ეთიკა მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ზნეობრივი ქცევის ნორმათა სისტემას. ეს სისტემა არ უარყოფს რა ცალკეული ინდივიდის უფლებებს, ამავე დროს მოითხოვს სხვათა უფლებების პატივისცემასაც და ემსახურება საკუთარი და სხვისი ინტერესების ჰარმონიზაციას, რის გარეშეც ადამიანთა ურთიერთობა ჯუნგლების კანონებს იქნებოდა დაქვემდებარებული.

ქცევა ოთხი სახისაა: სავალდებულო, აკრძალული, სასურველი და არასასურველი. ოთხივე სახის ქცევათა ნორმების დარღვევა საზოგადოების მიერ იკიცხება და, მაშასადამე, ზნეობრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს, მაგრამ პირველი ორი სახის ქცევის ნორმათა უგულებელყოფა ამავე დროს სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იწვევს. ჟურნალისტური ეთიკაც ცნობს ოთხივე სახის ქცევის არსებობას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო შეიმჩნევა ბოლო ორი სახის ქცევათა პირველი ორის კატეგორიაში გადასვლის ტენდენცია. ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ბევრი სახის უტაქტო საქციელი ადრე თუ მხოლოდ ეთიკურ პასუხისმგებლობას იწვევდა, ახლა მათზე სამართლებრივი პასუხისმგებლობაცაა დაწესებული.

სავალდებულო და აკრძალული ქცევების ნორმების დაცვა იურიდიულად განმტკიცებულია სხვადასხვა კანონის, ადმინისტრაციული აქტებისა და სხვა სახით, სასურველი და არასასურველი ქცევების ნორმები კი ფორმალიზებულნი არ არიან. პირველს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სპეციალური ორგანოები აკონტროლებს, უკანასკნელს კი საკუთარი ზნეობრივი თვითშეგნება და საზოგადოებრივი აზრი. ჟურნალისტებისათვის, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა პროფესიის ადამიანებისათვის, ამას გარდა, ხშირ შემთხვევაში ამ ფუნქციას კისრულობენ პროფესიული გაერთიანებებიც. ისინი ზოგჯერ ქმნიან თავიანთი წევრებისათვის სავალდებულო წესების რაღაც კრებულს, რისი საჭიროებაც, ჩვენი აზრით, არ არსებობს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წესების ეს კრებული თუ ღირსების კოდექსი, საზოგადოების ზნეობრივი მრწამსის

განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჟურნალისტისაგან ურთიერთობა ინფორმაციის წყაროსთან. აქ პირველ რიგში აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელმა იცოდეს, თუ რა მიზნით ვაპირებთ მის მიერ მოწოდებული ცნობების გამოყენებას და დავიცვათ ის პირობები, რა პირობებითაც გვანდობენ მათ. ინფორმატორმა შეიძლება გვთხოვოს, რომ არ გავამჟღავნოთ მისი ვინაობა. ასეთ შემთხვევაში პატივი უნდა ვცეთ მის სურვილს, ისიც შეიძლება მოხდეს, რომ იგი თანახმა იყოს დასახელებაზე, მაგრამ თუ ჟურნალისტი გრძნობს, რომ ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს მას, ვალდებულია გააფრთხილოს იგი ამის შესახებ. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ყველაფერი უნდა იღონოს ინფორმანტის დასაცავად, თუ ამ უკანასკნელს ჟურნალისტისათვის ინფორმაციის მოწოდების გამო უსიამოვნება შეემთხვევა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მასალების გამოქვეყნება ვერ მოხერხდეს იმ ორგანოში, რომელშიც თავდაპირველად იყო გათვალისწინებული მისი პუბლიკაცია. თუ ჟურნალისტი გადაწყვეტს მასალის სხვაგან დაბეჭდვას ან გადაცემას, ვალდებულია შეუთანხმდეს ინფორმანტს და თუ იგი თანახმა არ იქნება, თავი შეიკავოს პუბლიკაციისაგან.

ფრიად დელიკატურია ინფორმაციის წყაროსთან ფარული ურთიერთობის საკითხი. მხედველობაში გვაქვს ჟურნალისტურ პრაქტიკაში ფართოდ დამკვიდრებული „ფარული კამერის,“ „ფარული მიკროფონის“ ან პროფესიის შეცვლის მეთოდების გამოყენება. ეს მეთოდები საშუალებას აძლევს ჟურნალისტს უფრო ღრმად შეისწავლოს ესა თუ ის საკითხი, მაგრამ, მეორე მხრივ, დასაფიქრებელია თუ რამდენად მზნობრივია ყოველივე ეს, რამდენად კაცური საქციელია — გაეცნო ადამიანს, დაუახლოვდე, შეიძლება დაუმეგობრდე კიდეც და ასეთ ვითარებაში მოპოვებული ინფორმაცია ფართო მკითხველის სამსჯავროზე გაიტანო. აქ აუცილებელია გაითვალისწინოთ ინფორმაციის ხასიათი. თუ საქმე გვაქვს დანაშაულებრივი ფაქტების გამომჟღავნებასთან, რომელსაც სხვა მეთოდებით ვერ გამოავლენ, მაშინ ჟურნალისტის მოქმედება მშვენივრად მოვალეობას შეიძლება შევადაროთ, რომელიც ქების მეტს არაფერს იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ ამით ის გარკვეულ რისკსაც უქმნის საკუთარ თავს, სხვა შემთხვევაში ჟურნალისტმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს ყოველი გარემოება და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით იმოქმედოს. აქ ალბათ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჯობესია ჟურნალისტი გაიხსნას ინფორმაციის წყაროს წინაშე, თუნდაც ეს გაწეული შრომის წყალში გადაყრად დაუჯდეს.

ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები გააჩნია. თანამდებობის პირი ვალდებულია მიაწოდოს მას საჭირო ცნობები, გააცნოს სათანადო დოკუმენტები, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იმსახურებს, თუ ეს სახელმწიფო საიდუმლოება არაა, მაგრამ ჟურნალისტიც მოვალეა პატივი სცეს მის პირად ღირსებას, გამოიჩინოს საჭირო ტაქტი მასთან ურთიერთობაში და არ აიძულოს იგი უპასუხოს ისეთ კითხვებზე, რომლებიც მხოლოდ მას ეხება. რაც შეეხება კერძო პირებს, მათ უფლება აქვთ საერთოდ უარი უთხრან ჟურნალისტს შეხვედრაზე და ამ უკანასკნელმა უნდა სცნოს ეს უფლება.

ინფორმანტმა შეიძლება ჟურნალისტს მიაწოდოს ინფორმაცია, მაგრამ სთხოვოს, რომ არ გამოაქვეყნოს იგი. ასეთი თხოვნაც გასათვალისწინებელია. შეიძლება გაჩნდეს კითხვა — მაშინ რატომღა გვანდობენ ამ ინფორმაციას? პასუხი მარტივია — გასათვალისწინებლად, სწორ კვალზე დასადგომად. ინფორმანტის თხოვნა შეიძლება მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გარკვეული სახით გამოქვეყნებას გულისხმობდეს: სრულად ან ნაწილობრივ, მოქმედების ადგილის, მოქმედი პირების სახელების გამოცვლით ან უცვლელად, ყოველგვარი გასწორების გარეშე. ყველა ეს პირობა უნდა შესრულდეს.

ჟურნალისტისაგან დიდ ტაქტს მოითხოვს დამოკიდებულება მისი ნაწარმოების პერსონაჟისადმი. ეს შეიძლება იყოს პიროვნება ან ორგანიზაცია, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც ამ ორგანიზაციაში მუშაობენ. ამიტომ სიფრთხილის გამოჩენა აქაც გვმართებს. ჟურნალისტური ნაწარმოები შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური ხასიათის. ორივე შემთხვევაში ზომიერებისა და ობიექტურობის დაცვა აუცილებელია. დადებით მასალაში უნდა ვეცადოთ ადამიანი არ მოვიხსენიოთ იმ კონტექსტში, რომელიც მას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, არ უნდა მივაწეროთ მას ის თვისებები და ის მოქმედება, რომელიც მას არ ახასიათებს ან არ ჩაუდენია. კრიტიკული პუბლიკაციის მომზადებისას კი ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაწარმოების პერსონაჟი, რაც არ უნდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინელი ბოროტება ჰქონდეს მას ჩადენილი, მაინც ადამიანია და მისი ადამიანური ღირსების შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს, მით უმეტეს, თუ იგი დანაშაულისათვის უკვე დასჯილიცაა. უნდა ვიფიქროთ არა მარტო გაკრიტიკებულ პერსონაჟზე, არამედ მის ახლობლებზეც, რომლებიც სრულიად უდანაშაულონიც შეიძლება იყვნენ, იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ჟურნალისტური ნაწარმოები მათ ბედზე, სხვა ადამიანებთან მათ ურთიერთობაზე. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს მაშინ, როცა ქალებზე ვწერთ. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ საზოგადოებაში არსებული ცრურწმენები, რომლებსაც იქნებ უსამართლოდ და დრომოჭმულად ვთვლიდეთ, მაგრამ რეალობა ისეთი იყოს, რომ მათთვის ანგარიშის გაუწევლობამ ვნება მოიტანოს. ერთ-ერთ გაზეთში გამხელილი იყო მოძალადის მიერ გაუპატიურებული ქალის ვინაობა, რითაც პუბლიკაციის ავტორმა ისედაც გაუბედურებულ ადამიანს კიდევ უფრო მეტი ტკივილი მიაყენა. ქალი ძალადობის მსხვერპლი იყო და ჟურნალისტს ვითომ მისდამი თანაგრძნობის გამოხატვა სურდა, მაგრამ თავისი დაუფიქრებლობით უკუშედეგს მიაღწია, ფართო საზოგადოებას ამცნო ის, რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში კი მეძავები ტელემაყურებელს არა მარტო სახელებით, არამედ სახითაც გააცნეს, რითაც გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს. ერთ-ერთი მეძავის შვილმა ვერ აიტანა ეს და თავი მოიკლა, რადგან იფიქრა, რომ მას ამის შემდეგ თავი არსად გამოეყოფოდა.

კიდევ უფრო მიუტევებელია ადამიანის უსაფუძვლოდ გაკრიტიკება. ცივილიზებულ ქვეყნებში ამას მძიმე სასჯელი მოსდევს. ცნობილია ასეთი მაგალითი ამერიკის ჟურნალისტიკის ისტორიიდან: 1973 წელს ამერიკულ გაზეთ „ფილადელფია ინკუაირერში" გააკრიტიკეს ყოფილი გამომძიებელი. 1983 წელს ამ უკანასკნელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. გაზეთმა ვერ დაამტკიცა კრიტიკის საფუძვლიანობა, რის გამოც მას 31,2 მილიონი დოლარი ჯარიმა გადაახდევინეს. პლიუს 2,5 მილიონი დოლარი მორალური კონპენსაციის სახით დაზარალებულის სასარგებლოდ. აქ ყურადღებას იქცევს არა მარტო სასჯელის ზომა, არამედ ისიც, რომ სასამართლომ მაინც მიიღო საქმე წარმოებაში მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული მასალის გამოქვეყნებიდან მთელი ათი წელი

იყო გასული. ეს გარემოებაც მოწმობს, თუ რა სერიოზულად ეკიდებიან ამ ქვეყანაში დიფამაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

სერიოზულ კამათს იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი. იურისტები ამ ტერმინში გულისხმობენ, რომ ადამიანი დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა სასამართლოს მიერ შესაბამისი განაჩენი იქნება გამოტანილი. აქედან გამომდინარე, ბევრი სამართალმცოდნე მოითხოვს, რომ ჟურნალისტებმა თავი შეიკავონ სისხლის სამართლის საქმეებზე წერისაგან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მით უმეტეს, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დამნაშავედ გამოცხადებისაგან, რაც არცთუ იშვიათია ჟურნალისტურ პრაქტიკაში. რასაკვირველია, ასეთი მოთხოვნა ანგარიშგასაწევია, მაგრამ მისი შესრულება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. მრავალი დანაშაული დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს იწვევს, ამას გარდა, მათი უაღრესად საშიში ხასიათი საზოგადოების მხრივ დაუყოვნებლივ რეაქციასა და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი იძულებულია ოპერატიულობაზეც იზრუნოს. იგი ვერ დაიცდის თვეები და ზოგჯერ წლებიც, რაც არაიშვიათად სჭირდება წინასწარ და სასამართლო გამოძიებას. ეს კია, რომ ჟურნალისტმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და თავისი ქმედებით ხელი შეუწყოს საქმეში სწორად გარკვევას და არა პირიქით.

ჟურნალისტს კარგად უნდა ახსოვდეს ისიც, რომ სანამ ბოლომდე არ გაერკვევა სიტუაციაში, თავი შეიკავოს დასკვნებისაგან და ადამიანს არ მოსთხოვოს უდანაშაულობის დამტკიცება, არამედ, პირიქით, თვითონ უნდა დაუმტკიცოს მას მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ნამდვილობა. არ შეიძლება ეჭვები არგუმენტად გამოვიყენოთ, ყოველგვარი ეჭვი უნდა ავხსნათ იმის სასარგებლოდ, ვისაც რაიმეში ბრალს ვდებთ. სჯობს დამნაშავე (ამ სიტყვის ზნეობრივი და სამართლებრივი მნიშვნელობით) დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს ან თუნდაც გაიკიცხოს.

საკითხის შესწავლისას ჟურნალისტი მხოლოდ ერთ დაინტერესებულ მხარეს უსმენს, რაც, რასაკვირველია, დაუშვებელია. მაინცა და მაინც დიდი შეღავათი არ იქნება უსამართლოდ გაკიცხულისათვის, რომ უთხრა, შენც დაგითმობ გაზეთის ფურცლებზე ადგილს ან საეთერო დროს და თავი იმართლეო, თუმცა თუ გაკ-

რიტიკებულს ასეთი სურეილი დაებადება, სავალდებულოა მისი
შესრულება. ნუ დაგვავიწყდება, რომ რაც არ უნდა კარგად
იმართილოს ადამიანმა თავი, მის მიმართ საჯაროდ გამოთქმული
კრიტიკა მაინც სტოვებს უარყოფით კვალს, გარკვეულ ეჭვებს სა-
ზოგადოების შეგნებაში.

არ არის მიზანშეწონილი, რომ ჟურნალისტმა დაწეროს თავის
მეგობრებსა და ახლობლებზე თუნდაც იმ ადამიანებზე, რომელთა-
განაც ოდესმე რაღაც სწყენია. გასაგებია რატომაც. ასეთ შემ-
თხვევაში მას გაუჭირდება დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის ერთი-
ერთი მკაცრი მოთხოვნა – იყოს ობიექტური. აქ გასათვალისწინე-
ბელია ერთი გარემოებაც. ჟურნალისტმა კიდეც რომ მოახერხოს
და ამაღლდეს პირად სიმპათიებსა და ანტიპათიებზე, სულერთია
აუდიტორია მაინც ძნელად ირწმუნებს მის მიუკერძოებლობას.

ჟურნალისტს უნდა შეეძლოს პერსონაჟის გულდასმით მოს-
მენა. და მასთან პატივისცემით საუბარი. დაუშვებელია ფამილა-
რობა, რომ არაფერი ვთქვათ პერსონაჟის დამცირებაზე.

ლედი დაიანას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მთელ მსო-
ფლიოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ე.წ. პაპარაციების
პრობლემამ. პაპარაციები არიან ჟურნალისტები, უმთავრესად ტე-
ლე და ფოტორეპორტიორები, რომლებიც უცერემონიოდ ერევიან
ადამიანის პირად ცხოვრებაში და, როგორც იტყვიან, სიცოცხლეს
უმწარებენ მას. ისინი სარგებლობენ მოსახლეობის ფართო ფენე-
ბის ინტერესით ცნობილი პიროვნებებისადმი და უსინდისოდ ცდი-
ლობენ ამით ხელის მოთბობას. საბედნიეროდ, საქართველოში
ასეთ მოვლენებს ჯერჯერობით მყარად ვერ მოუკიდებია ფეხი.
ვფიქრობთ, მთელმა საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს პა-
პარაციობის საშიშროება და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ
მან ჩვენში ვერ ჰპოვოს შემდგომი განვითარება.

ჟურნალისტის მოვალეობა რედაქციის წინაშე სულაც არ შე-
მოიფარგლება მარტო საკუთარი ნაწარმოებების მომზადებით, მას
მუშაობა უხდება ე.წ. გარეშე ავტორებთანაც. ჟურნალისტი ამ
დროს არის არა მარტო მასალის შემკვეთი, არამედ რედაქტორიც.
სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტური ეთიკის მოთ-
ხოვნები საკმაოდ ხშირად ირღვევა.

საბჭოურ სინამდვილეში არცთუ იშვიათად ჟურნალისტი სხვის
მაგივრად წერდა და ეს სხვა უსირცხვილოდ იღებდა ჰონორარს.

საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ზოგჯერ სჯობს, რომ აუდიტორიას პირველწყაროს პირით მივაწოდოთ ინფორმაცია ან გავაცნოთ მისი პოზიცია. როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა მას საამისო ლიტერატურული უნარი არ გააჩნია? პრობლემის მოსახსნელად არ არის აუცილებელი მის მაგივრად ვწეროთ. აქ დასაშვებია შემდეგი ვარიანტები: პუბლიკაციისათვის გამოვიყენოთ ინტერვიუს ჟანრი, თანაავტორობა, მითითება იმის შესახებ, რომ ლიტერატურული ჩანაწერი ჟურნალისტს ეკუთვნის ან მოვძებნოთ ნებისმიერი სხვა გამოსავალი, რომელიც სიყალბეს თავიდან აგვაცილებს. თუ საჭირო გახდა, ჟურნალისტმა არ უნდა დაიშუროს არც დრო და არც ენერგია იმისათვის, რომ იმუშაოს ავტორთან, რათა ამ უკანასკნელმა თვითონ შეძლოს მასალის მომზადება.

ავტორებთან მუშაობისას შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება მასალის რედაქტირების თაობაზე. აქაც ჟურნალისტს დიდი ტაქტის გამოჩენა მართებს. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა ეცადოს შეუნარჩუნოს მასალას ავტორისეული სტილი, არგუმენტაციის ლოგიკა და მისთ. მაგრამ თუ ავტორი არ ეთანხმება ჟურნალისტს მან უნდა შეძლოს დაარწმუნოს თავის სისწორეში და შესთავაზოს უკეთესი ვარიანტები, თუმცა, ამავდროულად, სათანადო ტაქტიც უნდა დაიცვას. ჟურნალისტურ პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათია ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტის მიერ სრული უცერემონიობის გამოვლენა, როცა იგი რედაქციაში შემოსულ მასალას ისე გადააკეთებს და გადმოაკეთებს, რომ ავტორს სულაც არაფერს ჰკითხავს.

ზოგიერთი ჩვენი გაზეთი თავის დაზღვევის მიზნით გვამცნობს, რომ იგი პასუხს არ აგებს დაბეჭდილ მასალაში მოყვანილი ფაქტების უზუსტობაზე და ამ პასუხისმგებლობას ავტორებს აკისრებს, მაგრამ ასეთი პოზიცია გამართლებული არ არის. რედაქცია მთლიანად და კონკრეტულად, ის ჟურნალისტიც, რომელიც მასალას გამოსაქვეყნებლად მიიღებს და მოამზადებს, ვალდებულია მოსთხოვოს ავტორს მოყვანილი ფაქტების უტყუარობის დამამტკიცებელი საბუთები.

რედაქციაში მრავალი წერილი შემოდის. უმრავლესობაში ავტორები ჩივიან მათი უფლებების დარღვევაზე და ჟურნალისტებს შემწეობას სთხოვენ. ბუნებრივია, რომ ყველაფერი ვერ გამო-

22592

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყნდება (გამოქვეყნებამდე ხომ უნდა შემოწმდეს საჩივრის საფუძვლიანობა, ხოლო რედაქციას ამის საშუალება ყოველთვის არა აქვს). მაგრამ თითოეული მათგანი ყურადღებას, სათანადო რეაგირებას მოითხოვს. მით უფრო, ყოვლად დაუშვებელია ავტორების დასჯა და განქიქება იმის გამო, რომ მათ რაღაცა შეეშალათ. ასეთი შემთხვევებიც იშვიათად, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც გვხვდება სარედაქციო პრაქტიკაში.

როგორი უნდა იყოს ის ზნეობრივი ნორმები, რომელთა ერთგულება მოეთხოვება ჟურნალისტს თანამშრომლებთან ურთიერთობაში? უპირველეს ყოვლისა, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მუშაკი, საკუთარი კოლექტივის ორგანული ნაწილია და ვალდებულია მისი ინტერესები გაითვალისწინოს. ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელია თუ ძირითად და პრინციპულ საკითხებში იგი თანამოაზრე არ არის რედაქციის დანარჩენი თანამშრომლებისა. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჟურნალისტი გაზეთში გამოქვეყნებული ყველა მასალისათვის (მისი იქნება თუ სხვისი) საზოგადოების წინაშე არა მარტო ზნეობრივ პასუხისმგებლობას კისრულობს, არამედ პოლიტიკურსაც. აქ ჟურნალისტს მოეთხოვება სარედაქციო საიდუმლოების დაცვაც, აგრეთვე ისიც, რომ რედაქციის ნებართვის გარეშე არ დაბეჭდოს ან არ გადაბეჭდოს თავისი მასალები ინფორმაციის სხვა ორგანოებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რამდენადმე შეიცვალა ჟურნალისტისა და მისი კოლეგების, რომლებიც სხვა რედაქციებში მუშაობენ, ურთიერთობის ნორმები. აქ უკვე ვეღარ მოსთხოვთ ჟურნალისტს საკონკურენციო ბრძოლისათვის დამახასიათებელი კანონების უგულებელყოფას. ჟურნალისტი ვალდებულია, სადაც ეს მისი რედაქციის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, გამოიჩინოს კოლეგიალობა, თუმცა ამან ზნეობრივი კომპრომისების ხასიათი არ უნდა მიიღოს. კოლეგიალობის ცრუ გაგებად მიგვაჩნია ჩვენ ერთი-ერთი გაზეთის პოზიცია, რომ მან გამოქვეყნებულ კოლექტიურ წერილში თავი არ შეიკავა არც ერთი პიროვნებისა თუ ორგანიზაციის დასახელებისაგან, მაგრამ გამონაკლისი დაუშვა იმ გაზეთების მიმართ, რომელთა შეძენასაც ავალდებულებდნენ ამ წერილის ავტორებს და მათი კოლექტივის სხვა წევრებს. ასევე არ ვეთანხმებით იმ შეხედულებას, რომ კოლეგიალობის ინტერესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან გამომდინარე რედაქციამ თავი უნდა შეიკავოს სხვა გაზეთისა თუ ტელერადიო კომპანიასთან პოლემიკისაგან. მთავარია, პოლემიკა იყოს ჯანსაღი და კორექტული, თორემ ჟურნალისტთა კოლექტივების პაექრობაში თავისთავად ცუდი არაფერია.

ჩვენი აზრით, ჟურნალისტის წინაშე ყველაზე მწვავე ეთიკური პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როცა იგი თავისი ნაწარმოებისათვის თემას არჩევს და განსაზღვრავს პოზიციას ამა თუ იმ საკითხისადმი. თავი და თავი აქ ის კრიტერიუმებია, რომლებითაც იგი არჩევანს ახდენს.

უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჟურნალისტის დაინტერესებას ამა თუ იმ თემით ან საკითხით, ან განსაზღვრავენ მის პოზიციას, ჩვენი აზრით შემდეგია:

ხელისუფლების ზეწოლა: ჟურნალისტი, რასაკვირველია, თავისუფალი უნდა იყოს ხელისუფლების ზეგავლენისაგან. დემოკრატიულ ქვეყნებში უმთავრესად ასეც არის, თუმცა ხელისუფლება, რაგინდ დემოკრატიულიც არ უნდა იყოს სახელმწიფო, მაინც გააჩნია ჟურნალისტზე ზემოქმედების მოხდენის პირდაპირი თუ არაპირდაპირი საშუალებანი. ზნეობრივი ჟურნალისტი შეეცდება ყველა სიტუაციაში საკუთარ სინდისს დაემორჩილოს და არა ხელისუფლების ნებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა დაფიქრდეს იმაზეც, აქვს თუ არა მას არჩევანის საშუალება. კომუნისტური რეჟიმის დროს ჟურნალისტს ხშირად უხდებოდა ისეთ საკითხებზე წერა, რაც მას არ აღელვებდა, და ისეთი პოზიციის ფიქსირება, რაც მის მრწამს არ შეესაბამებოდა... უარის თქმა ხელისუფლების დიქტატზე მისთვის უკეთეს შემთხვევაში პროფესიის შეცვლის აუცილებლობას წარმოშობდა, ამიტომ ჟურნალისტი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ზნეობრივი ჟურნალისტი ასეთ შემთხვევაში იმასაც ახერხებდა, რომ დათმობები ისეთ ხარკად ექცია, რომლის გაღახდის შემდეგ შეზღუდულ, მაგრამ რაღაც თავისუფლებას მაინც იძენდა, რაც მას საშუალებას აძლევდა თუნდაც ზოგჯერ საკუთარი სინდისის მიხედვითაც ემოქმედა.

დიქტატორული რეჟიმის დროს არ შეიძლება ჟურნალისტს ყველა სიტუაციაში ხელისუფლებასთან ღია კონფრონტაცია ან მისი სრული ბოიკოტი მოვთხოვოთ. ასეთმა კონფრონტაციამ შეიძლება ვერც მას მოუტანოს რაიმე სარგებლობა და ვერც იმ იდეალებს, რომელთა სამსახურის სურვილითაც იქნებოდა იგი მოტი-

ვირებული... უფრო მოსალოდნელია, რომ პირიქით მოხდეს. ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ნოდარ დუმბაძე ობლად გაიზარდა კომუნისტური ხელისუფლების წყალობით, რომელმაც მას მამა დაუხვრიტა და დედა გადაუსახლა. როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევაში ზნეობრივი ადამიანის საპასუხო რეაქცია? მას თითქოს ამკარა ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა მამინდელი რეჟიმისადმი. მაგრამ რას მიაღწევდა ამით? იმდროინდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ თავგანწირვის შემთხვევაშიც კი ნოდარ დუმბაძე ასეთი მოქმედებით რამდენადმე მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების დამოკიდებულებაზე რეჟიმისადმი ვერ მოახდენდა. სამაგიეროდ ამ უკანასკნელისადმი გარეგნული ლოიალობის წყალობით მას შესაძლებლობა მიეცა გამხდარიყო პოპულარულ ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორი და შეექმნა ქართულ იუმორისტულ ჟურნალისტიკაში ის ტრადიციები, რომლებითაც სამართლიანად ვამაყობთ.

ჟურნალისტის დამოკიდებულებამ ხელისუფლებისადმი შეიძლება პოლიტიკური პროსტიტუციის სახე მიიღოს და იგი თანაბარი ერთგულებით ემსახუროს სულ სხვადასხვა პოლიტიკის გამტარებელ მთავრობას, რაც, რასაკვირველია, უშნო საქციელია. როგორ გამოიყურება ამ თვალსაზრისით ჩვენი დღევანდელი ჟურნალისტიკა? ჩვენი აზრით, რამდენადმე სერიოზული არგუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა უტყუარად დადასტურებულად ჩაგვეთვალა ხელისუფლებისადმი ჩვენი ჟურნალისტების ასეთი დამოკიდებულება, ჯერჯერობით არ არსებობს. თითქოს ამის შესაძლებლობას იძლევა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," რომელიც, როგორც ცნობილია, გაზეთ „კომუნისტის" ბაზაზე შეიქმნა და კომუნისტური რეჟიმის დროსაც მთავრობის პოლიტიკურ ხაზს ემსახურებოდა, „მრავალი მაგიდის" ხელისუფლების პერიოდშიც და დღესაც ასე იქცევა, მაგრამ მისი შემოქმედებითი კოლექტივის არაზნეობრივ საქციელში დადანაშაულებისათვის აქ მხოლოდ ფორმალური ნიშნები შეიმჩნევა. საქმე ის გახლავთ, რომ არც კომუნისტური და არც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ამ გაზეთში მომუშავე ჟურნალისტებს არ ჰქონიათ არჩევანის გაკეთების საშუალება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გაზეთი ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ოფიციოზს წარმოადგენდა და როგორც ასეთი სამართლებრივად ვალდებული იყო მთავრობის პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკის დამცველი ყოფილიყო და, მეორეც, საბჭოურ ხანაში ოპოზიციური პრესა არ არსებობდა, ხოლო „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების პერიოდში ასეთი გაზეთები ის-ის იყო ჩნდებოდა და მათი რაოდენობა თითებზე ჩამოითვლებოდა. დღევანდელ დღეს კი ხელისუფლებას არ გააჩნია რეალური ბერკეტები საიმისოდ, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ აიძულოს უერთგულოს მას, ხოლო ჟურნალისტებს ამ კოლექტივის იქით გზა გადაუღობოს. საჭიროების შემთხვევაში თითოეულ მათგანს საკმაოდ ფართო არჩევანი გააჩნია ჟურნალ-გაზეთებისა, ტელერადიოკომპანიების, საინფორმაციო სააგენტოებისა და სხვა სახით, რომლებისთვისაც თავისი სამსახურის შეთავაზება შეუძლია. ასე, რომ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტების მხრივ ხელისუფლების კურსის მხარდაჭერა თანამოაზრეობის ფენომენით ავხსნათ.

გამომცემლის ინტერესები: ამ ინტერესების არსებობა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრესა, ტელევიზია და რადიო მარტო ინფორმაციის წყარო კი არა, არამედ სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის ერთ-ერთი დარგიცაა, ბიზნესია. ბიზნესი კი, როგორც ცნობილია, ვერ იარსებებს მოგების გარეშე. ამიტომაც გასაგებია, რომ გამომცემელს თავისი კომერციული ინტერესები აქვს. რომელთა გაუთვალისწინებლობა ჟურნალისტის მხრივ პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ინტერესებმა არ უნდა გვაიძულოს ზნეობრივ კომპრომისზე წასვლა, თუმცა აქაც საჭიროა ვიფიქროთ ჟურნალისტისათვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ, რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. ბულვარულ გაზეთებს თავიანთი თემატიკისა და პოზიციის წყალობით მეტი მკითხველი და, მამასადამე, მეტი მყიდველიც ჰყავს, ვიდრე სერიოზულ პრესას, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველისათვის კომერციული ინტერესების გარდა სხვა არაფერი არსებობს, რაც განაპირობებს მათ გატაცებას სენსაციებით, მდარე გემოვნებას და ორიენტირებას ობივატელზე, მეორენი კი ორიენტირებულნი არიან სერიოზულ მკითხველზე, რომლებიც უფრო სერიოზული პრობლემატიკით და მათი გონიერული გადაწყვეტით არიან დაინტერესებულნი.

გამომცემელს შეიძლება ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოლიტიკური ინტერესებიც და არ არის გამორიცხული, რომ იგი შეეცადოს აიძულოს ჟურნალისტი ამ ინტერესებით იხელმძღვანელოს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამომცემელი ამისგან, როგორც წესი, თავს იკავებს. მისთვის მთავარია, რომ სარედაქციო კოლექტივმა და თითოეულმა მისმა წევრმა ისე იმუშაოს, რომ მას მოგება მოუტანოს, ამიტომ მის ყოველდღიურ შემოქმედებით საქმიანობაში პრაქტიკულად არ ერევა, მაგრამ ზოგჯერ სხვანაირადაც იქცევა და ამა თუ იმ მოსაზრებით ზეწოლას ახდენს ჟურნალისტზე. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავაანალიზოთ თუ რისი საშუალება აქვს მას მოცემულ სიტუაციაში და დასკვნა მის ზნეობრიობაზე მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ.

გამომცემელი შეიძლება იყოს რომელიმე პარტია, ორგანიზაცია ან დაწესებულება. ბეჭდვითს ორგანოებს ისინი იმიტომ აარსებენ, რომ თავიანთი მიზნების რეალიზაციას შეუწყონ ხელი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მოითხოვენ ჟურნალისტისაგან ამ მიზნების ერთგულებას, პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის იმ თემებისა და პრობლემების შერჩევას, რომლებიც მათთვის ყველაზე აქტუალურია, მათი პოლიტიკური ხაზის დაფიქსირებას. ზნეობრივი ჟურნალისტი ამაზე მხოლოდ მაშინ დათანხმდება, თუ იგი მათი თანამოაზრეა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან მოძებნის სამსახურს. ისიც შესაძლებელია, რომ პარტიული ინტერესები აშკარად ეწინააღმდეგებოდეს მთელი ქვეყნის საერთო ინტერესებს. ასეთ სიტუაციაში ზნეობრივ ჟურნალისტს მოეთხოვება უარი თქვას პარტიულობის ერთგულების პრინციპებზე.

საერთო-ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესები: ეს ინტერესები ჟურნალისტისათვის როგორც პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის თემის შერჩევის, ისე პოზიციის დაკავების თვალსაზრისით ყველაზე მთავარი — პრიორიტეტული უნდა იყოს. იგი პირველ რიგში იმ საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, რომელიც ქვეყნისათვის ყველაზე საჭირბოროტო და მტკივნეულია და ისეთ პოზიციას აფიქსირებდეს, რომელიც ქვეყანას ყველაზე უკეთ წაადგება. ვერ ვიტყოდით, რომ დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა ასეთი საკითხებისადმი ინტერესს არ იჩენდეს, მაგრამ არცთუ იშვიათად მაინც თვალსაჩინოა მეორე თუ მესამეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისხოვანი თემატიკით მისი გატაცება. ამავე დროს ისიც ფაქტია, რომ თითქმის ხელუხლებელი რჩება ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა: სოციალური შური, პოლიტიკური კულტურის, განსაკუთრებით არჩევის კულტურის, მოქალაქეების მიერ ქვეყნის ბედ-იღბალზე საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და სხვა.

ადამიანებს, მათ შორის ჟურნალისტებსაც ხშირად განსხვავებული შეხედულება აქვთ იმის თაობაზე, თუ რა პრობლემებია უფრო აქტუალური ან რომელი პოზიცია შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. ვინ უნდა გადაწყვიტოს, თუ სად არის ჭეშმარიტება? კომუნისტური ხელისუფლების დროს ამაზე პრეტენზიას მმართველი პარტია აცხადებდა, მაგრამ, ცხადია, დემოკრატიის პირობებში, როცა სასიცოცხლო აუცილებლობად ითვლება პოლიტიკური პლურალიზმი და აზრთა სხვადასხვაობა, საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ გამოგვადგება. ზნეობრივი ჟურნალისტი ასეთ შემთხვევაში ყურს დაუგდებს საკუთარი სინდისის კარნახს და მის შესაბამისად იმოქმედებს.

როცა საერთო-ეროვნული ანუ სახელმწიფოებრივი, საქვეყნო ინტერესების პრიორიტეტულობაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება შემოგვედავონ, რომ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო პირველ პლანზე ზოგადსაკაცობრიო ინტერესების დაყენებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ჭეშმარიტი ინტერესები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს მათთან. ამიტომაც ჩვენთვის საერთო-ეროვნული ანუ საქვეყნო ინტერესებისა და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების ცნებები არსებითად იდენტური შინაარსის მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას საერთო-ეროვნული და პიროვნული ინტერესების ურთიერთმიმართებაზეც.

აუდიტორიის ინტერესები: სწორედ აუდიტორიისათვის გამოდის გაზეთი თუ ჟურნალი, მზადდება ესა თუ ის ტელე თუ რადიო გადაცემა. ამიტომ გასაგებია, რომ ჟურნალისტს შემოქმედებით პროცესში მუდამ უნდა ახსოვდეს ეს ინტერესები. მან კარგად უნდა იცოდეს, თუ რა პრობლემები აღელვებს მის აუდიტორიას და რა პოზიცია უკავია ამ პრობლემებთან მიმართებაში. ამის შესასწავლად საგანგებო სოციოლოგიური გამოკითხვებიც კი ტარდება, რითაც დაკავებულნი არიან არა მარტო ჟურნალისტთა კოლექ-

ტივები, არამედ აკადემიური დაწესებულებებიც, სპეციალური სოციოლოგიური სამსახურებიც კი. ყოველივე ეს ცოტა ფული როდი ჯდება, მაგრამ ხარჯზე შეგნებულად მიდიან, რადგან მკითხველის, რადიომსმენელის, ტელემაყურებლის ინტერესების გათვალისწინების გარეშე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არსებობა წარმოუდგენელია, მეტიც, ყოველგვარ აზრს მოკლებული.

აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრისას სულაც არ ვგულისხმობთ იმას, რომ ჟურნალისტი თითქოს ვალდებული იყოს ამ ინტერესების ფარგლებს არ გასცდეს ან ისინი მთელი მოცულობით ან ისეთი ინტენსიურობით დააკმაყოფილოს, რომელიც შესაბამისი იქნებოდა ამა თუ იმ პრობლემით მკითხველის, ტელემაყურებლისა თუ რადიომსმენელის დაინტერესების დონისა. თუ ამ გზით ვივლით, ამან შეიძლება აუდიტორია გაგვიზარდოს და პოპულარობა მოგვიხვეჭოს, მაგრამ ეს იაფფასიანი პოპულარობა და ზნეობრივი ჟურნალისტისათვის შეუფერებელი საქციელი იქნებოდა. იგი თვითონ კი არ ეშვება უგემოვნო აუდიტორიის დონემდე, არამედ შეეცდება, რომ ეს უკანასკნელი აიყვანოს უფრო მაღალ საფეხურზე. ზნეობრივმა ჟურნალისტმა ასევე გუნდრუკი არ უნდა უკმიოს აუდიტორიის პოზიციას თუ იგი უმართებულოდ მიაჩნია. თუ საჭირო გახდა მას უნდა ეყოს გამბედაობა და დაუპირისპირდეს კიდეც ამ პოზიციას. გვესმის, რომ ყოველივე ეს ადვილი არ არის. ფართოდ ფეხმოკიდებულ საზოგადოებრივ აზრთან შეჯახება ზოგჯერ შესაძლოა ბევრად უფრო ძნელი იყოს, ვიდრე ყველაზე დიქტატორულ რეჟიმთან ბრძოლა. ამიტომაცაა ალბათ, რომ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული და სერიოზული მასობრივი ინფორმაციის ორგანოებიც კი ერიდებიან ამას, მაგრამ ზნეობრივ ჟურნალისტად რომ გრძნობდე თავს. არც ეს არის იოლად მისაღწევი რამ.

როგორ გამოიყურება ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ქართული ჟურნალისტიკა? კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ოფიციალური ვერსიით ყველაფერი ხალხის ინტერესებით კეთდებოდა, თუმცა რა იყო ეს ინტერესები, ამის დადგენის პრეროგატივას ხელისუფლება თავისთვის იტოვებდა, რასაც რეალურად იქამდე მივყავდით, რომ სწორედ იგი განსაზღვრავდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრობლემატიკასაც და მათ პოზიციასაც ამა თუ იმ მიმართებით დამოკიდებულებაში. ულტრარადიკალთა ზეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხანაში ამ მხრივ ხელისუფლების დიქტატი მასის მორალურმა ტერორმა შეცვალა, რისი რეციდივებიც გარკვეულ წილად დღესაც იჩენს თავს.

რეკლამის მიმცემთა ინტერესები: ჩვენში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და განვითარების კვალობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საერთო შემოსავალში სულ უფრო და უფრო იზრდება რეკლამის პუბლიკაციით მიღებული თანხების ხვედრითი წილი. მართალია, საქართველოში ამას ჯერ არ მიუღია ისეთი მასშტაბები როგორც განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მისი ზრდის ტენდენცია აქაც შეიმჩნევა.

დასავლეთის ქვეყნებში რეკლამის მიმცემნი სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პრობლემატიკაზეც და პოზიციაზეც ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებში. მართალია, ისინი ამას ღიად არ სჩადიან, მაგრამ მათ ხელთ აქვთ ჟურნალისტებზე ზემოქმედების არაპირდაპირი, შენიღბული საშუალებანი, რომლებიც საკმაოდ ეფექტურია. ფრიად გავრცელებულია, მაგალითად, ასეთი ხერხი. შეხვდება სადმე რესტორანში მეგობრულ სადილზე რეკლამის მიმცემი ჟურნალისტს და ვითომ შემთხვევით საუბარს ჩამოუგდებს მისთვის საინტერესო რაიმე საკითხზე. ვინ დაუშლის ამ დროს მას თავისი პოზიციის ჩამოყალიბებას? ცხადია, ვერავინ, იგი, რასაკვირველია, არა სთხოვს, მით უმეტეს, არ მოსთხოვს ჟურნალისტს, რომ მისი პოზიცია გაიზიაროს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისედაც კარგად მიუხვდება საწადელს და იმასაც ნათლად გაიაზრებს, რომ ძალზე გაუჭირდება რეკლამის მიმცემის შენიღბულად გამოხატულ ნებას არ დაუჯეროს. თუ ასე არ მოიქცევა, ეს მას ძვირად დაუჯდება. რეკლამის მიმცემს შეუძლია რეკლამა მის გაზეთში, ტელე ან რადიოკომპანიაში კი არ განათავსოს, არამედ კონკურენტს გადასცეს, რასაც მისი პატრონი მას არ აპატიებს. რა კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ ასეთ სიტუაციაში ჟურნალისტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება? ჩვენის აზრით, აქაც აუცილებელია გავითვალისწინოთ, არჩევანის რა შესაძლებლობები აქვს მას.

რეკლამის მიმცემი ფულს იხდის იმისათვის, რომ ილაპარაკონ ის, რაც მას სურს. ჟურნალისტი თუ ამაზე დათანხმდება, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ იგი იბოჭავს თავს, უარს ამბობს თა-

ვისაუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, ამიტომ ბევრს მიაჩნია, რომ იგი რეკლამის ტექსტის შედგენაშიც კი არ უნდა მონაწილეობდეს, მითუმეტეს, არ უნდა იყენებდეს თავის ავტორიტეტს რეკლამირების ფარული ფორმების დროს.

ანგარებითი მოსაზრებანი: არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ადამიანისათვის, მითუმეტეს ჟურნალისტისათვის ანგარებითი მოსაზრებებით სარგებლობა უზნეობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის რეციდივები ჟურნალისტურ საქმიანობაშიც იჩენენ თავს. საზოგადოებაშიც არცთუ უსაფუძვლოდ ჩნდება კითხვა: თუ რატომ უთმობენ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ასე დიდ ყურადღებას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა და თვითონ მხარეებულთა დაცვას, რატომ ვამოსჭვივის შესაბამის მასალებში აშკარა სურვილი იმისა, რომ აქ კანასკნელისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზით ზეგავლენა მოახდინონ სასამართლო ორგანოებზე. ვიდრე ვიმეორებთ, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჟურნალისტმა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე აუცილებლად შეიკავოს თავი ამა თუ იმ დანაშაულის შესახებ პუბლიკაციის მომზადებისაგან, მაგრამ როცა ჟურნალისტები ასე ხშირად, ენერგიულად და ტენდენციურად იცავენ სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს და ასე ადვილად და ხელაღებით უგულებელყოფენ ბრალდების არგუმენტებს ან საერთოდ არ ამჩნევენ და არ მოიხსენიებენ მათ, უნებურად იბადება ეჭვი იმის თაობაზე, რომ აქ ანგარებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ზნეობრივი ჟურნალისტებისათვის ასევე დაუშვებელია პირადი სიმპათია-ანტიპათიით ან ვიღაცის პროტექციის შესაბამისად მოქმედება. მან ვერ უნდა თქვას თავისი ნაშრომისათვის ჰონორარის ხაზით ისეთი თანხის მიღებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ჭარბობს კეთილსინდისიერად გაწეული შრომის ნორმალური ანაზღაურების ოდენობას.

ზოგჯერ რაღაც გამართლებას უძებნიან მცირეხელფასიანი ჟურნალისტების მიერ ანგარებითი მოსაზრებებით სარგებლობას, მიუთითებენ, რომ გამომცემელი, რომელიც მცირე გასამრჯელოს უხდის კალმის ოსტატს, აიძულებს მას დამატებითი, თუნდაც უკანონო შემოსავლები ეძიოს. მართლაც, ცხადია, რომ ცდუნებისათვის გაძლება ასეთ შემთხვევაში არ არის იოლი, მაგრამ ჟურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალისტს, რომელიც სხვებს მოძღვრავს, სხვანაირად მოქცევის უფლება არა აქვს. ესეც არ იყოს, როცა ადამიანი პროფესიას ირჩევს. მან კარგად იცის, თუ რისი მომტანია იგი. მაშასადამე, თუ არჩევანს მაინც ამ და არა სხვა რომელიმე პროფესიის სასარგებლოდ აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ეტყება მომავალი შემოსავლის ოდენობას ან არა და ხელის მოთმობის შესაძლებლობის იმედით ჩადის ამას.

ჟურნალისტის განკარგულებაში ძალიან მაღალი ტრიბუნაა. ის ქვეყნის გასაგონად მსჯელობს ამა თუ იმ საკითხზე, შეფასებას აძლევს ადამიანებსა და მოვლენებს. გასაგებია რომ ეს ძალზე დიდი პატივია და ამ პატივს ღირსეულად უნდა გარეება. რაც, უპირველეს ყოვლისა, პირად ცხოვრებაში უმაღლეს ზნეობრიობას გულისხმობს. ჟურნალისტმა რომ სხვები შეაფასოს, მით უმეტეს, გაკიცხოს, ამის მორალური უფლება უნდა ჰქონდეს, ე. ი. თვითონ უნდა იყოს ზნეობრივად უმწიკვლო და არა მარტო მეგობრებთან ურთიერთობაში ან შემოქმედებითი პროცესში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. ჟურნალისტმა არ უნდა მოითხოვოს თავისთვის ისეთი პრივილეგიები, რომლებიც აუცილებელი არაა მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. მას უნდა ახსოვდეს, რომ ჟურნალისტური პროფესიის ავტორიტეტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ადამიანის კუთვნილება, იგი ყველა ჟურნალისტის კოლექტიური საკუთრებაა და არავის აქვს უფლება პირადი მიზნებისათვის გამოიყენოს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

მარიამ თავამაიშვილი

ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი

„რეკლამა ნებისმიერი მედიის საარსებო წყარო და ასევე ნებისმიერი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტია“ – შენიშნავს მკვლევარი ს. როუნალდი წიგნში: „უოლტერ ლიპმანი და ამერიკული საუკუნე“. ეს თითქოსდა საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული თეზისი XXI საუკუნის კარიბჭესთან, ანუ 1999 წლის ბოლოს, ძირფესვიანად შეარყია უბრალო ხელსაწყომ, რომელსაც პირობითად „ტელეჯადოქარი“ უწოდეს. მისი მუშაობის პრინციპი მხოლოდ რეკლამის ბლოკირებას ითვალისწინებს, კერძოდ: ერთდება ყველანაირი დიზაინის ტელევიზორს და როგორც კი რეკლამა დაიწყება, მეყსეულად გადართავს სხვა არხზე, სადაც იმ მომენტში არ გადასცემენ რეკლამას.

„ტელეჯადოქარი“ ჩვენი ოცნების განხორციელებაა, – ასე ფიქრობს თურმე რიგითი ფრანკფურტელი მაყურებელი, – იშვიათია პიროვნება, რომელსაც არ უნატრია საინტერესო ფილმის ჩვენებისას რეკლამის გაუჩინარება. სამაგიეროდ აღშფოთებას არ მალავენ უნებლიეთ დაზარალებული ტელეკომპანიები და საჩივრებით აავსეს სასამართლოები, რათა დროებით მაინც აიკრძალოს ე.წ. „ტელეჯადოქრის“ გაყიდვა. მოტივი: ამგვარი ხელსაწყოებით ვაჭრობა ნიშნავს „კეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევას, რადგან ფინანსურ დასაყრდენს აცლის ტელეკომპანიებს.

ერთ-ერთი ასეთი სარჩელის გამო ფრანკფურტის საოლქო სასამართლომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „ტელეჯადოქრის“ გაყიდვა არ ნიშნავს „კეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევას, რადგან კონკურენციის იდეა გულისხმობს ისეთი ტექნიკური მოწყობილებების დანერგვას, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ არსებული საბაზრო ურთიერთობების სტრუქ-

ტურა. ამიტომ, ხსენებული ხელსაწყოს ბაზარზე გამოჩენა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში არც მაუწყებლობის თავისუფლება დარღვეულა, რადგან მაყურებელს სრული უფლება აქვს, არ ნახოს რეკლამა, თუ მას ეს არ სურს.

გამოგონება გამოგონებად და თავისუფლება თავისუფლებად. მაგრამ რა ეშველება ტელეკომპანიების ფინანსური უზრუნველყოფის საქმეს, რომ არაფერი ვთქვათ კომერციისა და საერთოდ ეკონომიკის თაობაზე, რადგან „ტელეჯადოქრის" გამოჩენამ ამ სფეროებსაც შეუქმნა გარკვეული პრობლემები და მომავალშიც შეუქმნის სირთულეებს.

თუ ეს აღმოჩენა გუშინ სასამართლო პროცესის წამოწყების მიზეზი შეიქნა, დღეს მან სარეკლამო ხელოვნების ახალი მიმართულებების, მეთოდებისა და ხერხების ძიებას მისცა დასაბამი. თუმცა კვლავ გადაუწყვეტელია დილემა: რეკლამა ბიზნესის ჩრდილოვანი პრაქტიკაა, თუ ცხოვრების დონისა და მომსახურების გაუმჯობესების მცდელობა. იქნებ ორივე ერთად? შენზე როგორ ზემოქმედებს მკითხველო?

ზოგიერთი ბრიტანელი მკვლევრის (ჯ. თანსთალი, რ. ვილიამსი) აზრით, რეკლამა პროპაგანდის ნაირსახეობაა. ამ მიმართებით ამერიკელი მეცნიერი ნ. მოიესი ასე მსჯელობს: „უკეთეს შემთხვევაში პროპაგანდა იმ ფაქტებისა და იდეების წარმოჩენაა. რომლებიც იცავენ კონკრეტულ თვალსაზრისსა და მოქმედების კურსს, ხოლო უარეს შემთხვევაში პროპაგანდა არის ძალისხმევა მოცემული თვალსაზრისისა და მოქმედების კურსის, როგორც ერთადერთი დასაშვების, აღიარების მისაღწევად. ასევე, უკეთეს შემთხვევაში იგი მიისწრაფვის, გააფართოოს საზოგადოების თვალსაწიერი, ხოლო უარეს შემთხვევაში – მოიპოვოს საზოგადოებრივი აზრის კონტროლის შესაძლებლობა. ამდენად, გვარწმუნებს მოიესი, რეკლამა არის პროპაგანდის ნაირსახეობა, მაგრამ ყოველნაირი პროპაგანდა არ არის რეკლამა.

„პროპაგანდას პოლიტიკური საფუძველი აქვს და ანგაჟირებულია საიდუმლოდ, – წერს ჯ. სიტონი წიგნში: „მედიის პოლიტიკა დიდ ბრიტანეთში," – რეკლამა კი მაშინაც, თუ ის დაფინანსებულია პოლიტიკური პარტიის მიერ. ამ იდუმალებას მოკლებუ-

ლია. მომხმარებლისათვის ცნობილია ვინ უშვებს ამ ინფორმაციას და რა სურს მას.

მაგრამ, ჩვენი აზრით, რეკლამისტები უფრო შორს წავიდნენ. ხშირად არა მარტო მათი დამფინანსებელია უცნობი, არამედ, რაც უფრო საგანგაშოა, მათი მიზნებიც. ამ მხრივ რეკლამა პროპაგანდის ყველაზე მძლავრ და ქმედით საშუალებად გვესახება. ამიტომ აუცილებელია, ხალხმა იცოდეს, როდისაა რეკლამა ფაქტების მიმწოდებელი და როდის გამოხატავს ვინმეს თვალსაზრისს, რა წყაროს ეყრდნობა, როგორია მისი კონტექსტი და რამდენად სასარგებლოა ეს მისთვის. ნათელსაყოფად საჭიროა, არსებულ კვლევით ცენტრებში ვინმემ ინტერპრეტატორის როლი იტვირთოს, რათა, როგორც ილია ჭავჭავაძე შეგვაგონებდა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეულმა თან არ გაგვიტანოს, სახსენებელი ქართველისა არ ამოკვეთოს და სხვანი არ დაეპატრონონ ჩვენს მშვენიერ ქვეყანას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაიშიფროს რეკლამის კონტექსტი, რაც თავისთავად საზოგადოების მართვის პრობლემას უკავშირდება.

ბოლოს და ბოლოს საზოგადოების მართვა, ვით გარკვეულ მიზანთა და ქმედებათა ერთობლიობა, არის, თუ არ არის ზნეობრივად გამართლებული? რამდენად მოიპოვა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა მეორის მართვის უფლება? ორივე კითხვა წესრიგისა და ქაოსის კანონიზაციას უკავშირდება. რას ვირჩევთ წესრიგს თუ ქაოსს? უფრო ზუსტად, რომელს შეგვიძლია თამამად გავუსწოროთ თვალი და გავუძლოთ მის სიმძიმეს? მიუხედავად იმისა, რომ ქაოსიდან ვერვინ იშვა, კაცობრიობამ დასაბამიდანვე წესრიგი აირჩია, ხოლო მის უმაღლეს გამოვლინებად რელიგია წარმოგვიდგება.

თუმცა, ადამიანს ჯერ კიდევ შემორჩა თავისი გამოქვაბულელი წინაპრის ზოგიერთი თვისება, მაინც გასათვალისწინებელია ფრანსუა დე ლაროშფუკოს ეს აზრი: „ადამიანთა ურიცხვი ქცევა ხშირად მხოლოდ იმიტომ ჩანს სასაცილო, რომ მათი ჭეშმარიტად გონივრული და საფუძვლიანი მიზეზები დაფარულია ჩვენთვის". მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმ დრომდე, როცა თხა და მგელი ერთად მოძოვს ხასხასა მწვანე ბალახს, მაგრამ, ასეა თუ ისე, XXI საუკუნეში გადავდივართ კვლავ ადამიანთა მართვის სურვილით შეპყრობილნი და შედარებით რაფინირე-

ბული მეთოდოლოგიის შემუშავების იმედით. რეალობა კი ისეთივეა როგორიც მაშინ, როცა ლუდვიგ ვიტგენშტაინს შეეძლო ეთქვა: „მე შემიძლია ვიცოდე, თუ რას ფიქრობს სხვა და არა, რას ვფიქრობ მე. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით მე ვიცი რას ფიქრობ შენ და შეცდომა იქნება: მე ვიცი, რას ვფიქრობ მე"...

სწორედ იმის ცოდნას, თუ რას ფიქრობს სხვა, ეყრდნობა სარეკლამო პროცედურა: 1) კვლევა-ძიება პროდუქტის თაობაზე, 2) კვლევა-ძიება მომხმარებლის თაობაზე, 3) კვლევა-ძიება კონკურენციის თაობაზე, 4) მედიის შერჩევა. ამასთანავე, როგორც ცნობილია, რეკლამისტები კომერციული მიზნებისათვის ადამიანის ფსიქიკის ელემენტებსაც იყენებენ – დადებითი და უარყოფითი ემოციების მთელ სპექტრს, კერძოდ: შიშს, ცნობისმოყვარეობას, სიყვარულს, ამპარტავნობას, სიკეთეს, გულუხვობას, ოჯახისადმი მიდრეკილებას, კომფორტისადმი მისწრაფებას, მოგების, გამარჯვების სურვილს და სხვა. მიუხედავად ამისა, ხალხს ურჩევნია გაითიშოს რეკლამა. ეს მისი ყველაზე ძლიერი მოთხოვნილება აღმოჩნდა, რამაც ბუნებრივად „ტელეჯადოქრის" – შექმნის სურვილი გამოიწვია. ქმედება უკუქმედების ტოლია... და კვლავ ახალმა გამოგონებამ ახლებური ზემოქმედების მეთოდიკას დაუდო სათავე, რომლის პროგნოზი არც ისე ძნელია, თუ გავითვალისწინებთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა არნახულ განვითარებას, განსაკუთრებით იაპონია-ამერიკის სკოლის შესაძლებლობებს.

ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი, მათ შორის ნ. მოიესი, რეკლამას ჟურნალისტიკის ერთ-ერთ ჟანრად მოიაზრებს. ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციებია: ინფორმირება, დარწმუნება, გართობა, მყიდველისა და გამყიდველის დაკავშირება – აღნიშნავს ნ. მოიესი – ეს ფუნქციები შესაბამისი ჟანრების მეშვეობით ხორციელდება: ინფორმირება ინფორმაციული ჟანრების, დარწმუნება ანალიტიკური ჟანრების, გართობა მხატვრულ-პუბლიცისტური, ხოლო მყიდველისა და გამყიდველის დაკავშირება რეკლამის საშუალებით. რამდენად გაიზიარებენ ამ თვალსაზრისს ქართველი ჟურნალისტიკამცოდნეები მომავალი გვიჩვენებს, მით უმეტეს, პროფესორ ნ. ტაბიძის ხელმძღვანელობით ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის კათედრის ასპირანტი უკვე ამთავრებს დისერტაციას, რომელიც სწორედ ჟანრების ტრანსფორმაციის პრობლემას ეხება. რეკლამისა და მედიის სხვა ჟანრების „საერთო

„მნიშვნელი" მეთოდოლოგიის მერიდიანზეც გადის. კერძოდ, ჯერ კიდევ საბჭოური რეჟიმის დროს ე.წ. „ბურჟუაზიული" ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის სახელმძღვანელოებში (ი. ზასურსკი, ს. ბეგლოვი, სხვა) გაანალიზებული იყო მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჟურნალისტური მეთოდოლოგია. მათ შორის საინტერესოა ერთი მეთოდი, რომელსაც პირობითად „სტიმულთა ველები" უწოდეს და რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა ნებისმიერ მშვიდ რეგიონშიც კი დესტაბილიზაციის გამოწვევა. მეთოდის შინაარსი ასეთია: წინასწარ გათვითცნობიერებული და სათანადო დავალებით აღჭურვილი კორესპონდენტი მიემგზავრება, მაგალითად, რომელიმე უწყინარ დაბაში. რადგან პრობლემები ყველგანაა, ამიტომ ძნელი არ არის მათი აღმოჩენა და საჭირო მიმართულებით გამწვავება. თუნდაც, დავუშვათ, რომ დაბის ერთ ნაწილში, მილების დაზიანების გამო, რამდენიმე მოსახლეს წყალი არ მიეწოდება. ამის საფუძველზე იწერება მწვავე რეპორტაჟი, სადაც მხილებული და გალანძღულია ფსევდოდამნაშავენი. მეტ-ნაკლებად დამნაშავე აღშფოთებული მხარე თავდაცვას იწყებს. „სიმართლის მოყვარული" ჟურნალისტი კი სხვა სტატიას აცხობს, სადაც მხილებულია უკვე ახალი ფსევდოდამნაშავენი. პატარა დაბაში სიტუაცია იძაბება. იწყება საქმის ხმამაღლა გარჩევა და გაუთავებელი კამათი. აზრის გამოთქმა პრესაში. ასე თანდათანობით იზრდება და სტიმულირდება უკმაყოფილების არეალი. დიახ, „მტვერი მთად შეიკვლება. არ ჰგაო მოსაგველია". ყოველივე ამას უცხოელი სპეციალისტები რეკლამის საშუალებით აკეთებენ. განსხვავება ის არის, რომ მათ უპირატესად საზოგადოებრივი აზრის ფლობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე დესტაბილიზაცია, რადგან ასე უფრო ადვილია ადამიანის მართვა.

„ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, საგნის თუ თვალსაზრისისადმი ხალხის ფართო მასებში კეთილგანწყობის ან უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად – წერს ს. როუნალდი – მარტივი ტექნიკური ხერხების გამოყენებაც საკმარისია" ესენია: 1) ზომა (სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ რეკლამა დიდი ფორმატის ჟურნალებში, უფრო უკეთეს ეფექტს იწვევს, ვიდრე მცირე ფორმატისაში). 2. განმეორება (გამოირკვა, რომ განმეორებული პატარა ზომის რეკლამები უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე ერთჯერადად მოწოდებული დიდი ფორმატის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ინტენსივობა და კონტრასტი (ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ზემოქმედებს). 4. ე.წ. „იზოლაციის კანონი“ (საგანი, რომელიც სრულიად განმარტოებით დგას ადამიანის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს). 5. გამღიზიანებლის რაოდენობა (ექსპერიმენტმა უჩვენა, რომ ადამიანს, საშუალოდ, შეუძლია ექვსი განცალკევებული შთაბეჭდილების წვდომა ერთდროულად). 6. ასოციაცია (ყველაზე ქმედით ხერხად ითვლება). 7. გეშტალტი და მითითება (ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ზემოქმედებს). 8. დედუქცია და ინდუქცია (ადამიანის მოთხოვნილების გაძლიერება კერძოდან ზოგადისაკენ უფრო ეფექტიანია, ვიდრე პირიქით, ზოგადიდან კერძოსაკენ). 9. რიტმი (ექსპერიმენტის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ დაქტილური და ანაპესტური რითმებით შექმნილ ტექსტს ადამიანები უკეთესად იმახსოვრებენ) და სხვა მრავალი.

რაც უფრო მაღალი კვალიფიკაციისაა ჟურნალისტი, მით უფრო ძლიერია მისი კალმით ნაღვაწისაგან მიღებული შთაბეჭდილება, რადგან ის კარგად ფლობს ენობრივი ნიშნებისა და ნიშანთა სისტემის თეორიის საფუძვლებს. მაგრამ არიან დილეტანტებიც, რომლებიც მხოლოდ ინტუიციის დონეზე აგებენ მასალას, თუმცა მათი პუბლიკაციების სემიოლოგიურმა ანალიზმა შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ გავიზიაროთ მიშელ ფუკოს აზრი: „წერა იშლება, როგორც თამაში, რომელიც ყოველთვის საკუთარი წესების მიღმა გადის და არღვევს საკუთარ წესებს“.

ე.წ. „ბურჟუაზიული“ ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოში ისიცაა ხაზგასმული რომ „სტიმულთა ველების“ შექმნაში უნებლიეთ რიგითი ჟურნალისტებიც მონაწილეობენ, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჟურნალისტიკა არც ისე მარტივი სფეროა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და მოითხოვს სპეციალურ თეორიულ მომზადებას, რათა არაპროფესიონალი ბრმა იარაღად არავინ გამოიყენოს და ჯიქურა არ დაათესინოს იქ, სადაც შაქრის ლერწმის მოსვლას ელოდება.

თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა სფერო იმ კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, როდესაც მიღწევების ფართოდ დასანერგად აუცილებელია მაღალზნეობრივი საზოგადოების არსებობა. ამდენად, ჟურნალისტიკამცოდნეობის განვითარების ამ ეტაპზე სრულიად ბუნებრივად ორი ტენდენცია გამოიკვეთა: ერთი სიკე-

თის. ურთიერთსიყვარულისა და მიტევების პრინციპებზე აგებული მეთოდოლოგიის შემუშავება, მეორე — მატერიალურად უზრუნველყოფილი მართვადი მასის პრინციპებზე დაფუძნებულისა.

ამ უკანასკნელი მიმართულების მესვეურებს უფრო რეალური, ხელშესახები წანამძღვრები აქვთ, სამაგიეროდ პერსპექტივაა შემაშფოთებელი.

პირველი მიმართულება თავისი არსით რელიგიურობას, რწმენაზე დაფუძნებული ეთიკის პრინციპებს თანხვდება. ჟურნალისტიკის მიზნებში ლაიტმოტივად ჩაწნული მოციქულთა ქადაგების მიზანი — ღვთის სიტყვის გახსნა და გაღვივება, ჩვენი აზრით, გადარჩენის ერთადერთი საწინდარია. მით უფრო, რომ ნებისმიერი ინფორმაციის (პოზიტიურის, ნეგატიურის, შერეულისა თუ ნეიტრალურის) ამოღების, შერჩევის, რაფინირებისა თუ გადაცემის დროს ვლინდება ჟურნალისტისა და ზოგადად მომწოდებლის წარმოდგენები ეთიკურ პრობლემათა გააზრებაზე, სამყაროსა და ადამიანის არსზე, ღვთის უზენაესობის, შესაქმისა და ესქატოლოგიური რწმენის, ცოდვის, სინანულის საკითხებზე. „ზოგ ცდომილებათა და ვაჟკაცობათა შორის — შენიშნავდა გუსტავ ფლობერი — ჭეშმარიტება უფრო გარკვევით ჩანს, ვიდრე სწორხაზოვანი უშეცდომო მსჯელობის დროს“.

პრესის ფურცლებზე, რადიო-ტელევიზიის საშუალებით მიმდინარე სარეკლამო რალი პროფესიონალიზმის ამაღლების წამახალისებელ ფაქტორად გადაიქცა. თანდათანობით მათი არსენალი ალეგორიისა და იგავის ელემენტებითაც შეივსო. იგავი ხომ დარწმუნების ყველაზე ქმედითი იარაღია. საგულისხმოა, რომ თავისი მოძღვრების საილუსტრაციოდ ქრისტე იგავებს იყენებს. თუ რატომ ესაუბრება ხალხს იგავებით, ასე განუმარტავს მოწაფეებს: „ამისთვის იგავით ვეტყვი მათ, რამეთუ ჰხედვენ და არ ჰხედვენ, ესმის და არ ესმის, არცა გულისხმაყვიან“.

ცხადია, რომ მსგავსი ფორმების გამოყენება ზნეობრივად დახვეწილი სპეციალისტების პრეროგატივა უნდა გახდეს. თუმც შეიძლება ოდნავ დაგვამშვიდოს ანგაჟირებული მწერლის რ. კიპლინგის თვალსაზრისმა: „მწერალს შესწევს ძალა, საფუძველი ჩაუყაროს და ააგოს ფაბულა, მაგრამ იმის ძალა კი არ შესწევს, იცოდეს, რა მორალი ძევს მასში“. იგივე შეიძლება ითქვას ჟურნალისტის და, მით უმეტეს, რეკლამისტების შესახებ, რომელნიც თანამე-

დროვე მედიის თითქმის მთელ დრო-სივრცეს (ფარული რეკლამის ჩათვლით) ფლობენ.

ვფიქრობთ, საზოგადოების რეკლამისაგან თავდასაცავად სანატრელი აპარატი, სახელად „ტელეჯადოქარი,“ მალე გახდება მასობრივი მაყურებლისათვის ხელმისაწვდომი. დარწმუნებული ვართ მედიის მესვეურები გამონახავენ გზას, თუ როგორ მიიტანონ შეუფერხებლად სარეკლამო გზავნილები ადრესატამდე. რადგან, როგორც გამოჩენილი მეცნიერი ჯეიმს ჰელბრაიტი წერს: რეკლამის გაქრობა ჯაჭვური რეაქციის წესით გამოიწვევდა სურიოზულ ბზარებს ვაჭრობაში, შემდეგ წარმოებაში და საბოლოოდ მთელ საბაზრო ეკონომიკაში“.

რა იქნება შემდეგ? საზოგადოების მასობრივი ჰიპნოტიზირება, რათა ადამიანმა მოინდომოს ჰიპნოტიზიორთა ნება-სურვილის მიხედვით იმოქმედოს. საყოველთაო ჰიპნოზის ყველაზე საიმედო „ვიზა“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. თუმცა „მცოდნარესა კაცსა ხერხითა ვერას დააკლებ“.

მსოფლმხედველობრივი საფუძვლის ძიების საკითხი რუსეთისათვისაც პრობლემურია. ალბათ გასაზიარებელია იგორ ბელიაევის ეს შეხედულება: „ჩემი გაგებით, სამამულო ტელევიზია სამ ვეშაპს უნდა დაეყრდნოს: ის უნდა იყოს მოქალაქეობრივი, ქრისტიანული, პუშკინისეული. ესაა მთელი რუსული კულტურის ძირითადი მიმართულება. ტელევიზია პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების გამო, ტელევიზია პასუხისმგებელია პიროვნების მორალური მდგომარეობის გამო, ტელევიზია პასუხისმგებელია საზოგადოების არა მხოლოდ ეთიკური, არამედ მისი ესთეტიკური ნორმების გამო.“ ამ პრინციპებზე დაყრდნობა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვისაც არ იქნებოდა ურიგო. მით უმეტეს, რომ წინასწარი კვლევის შედეგები შთაგვაგონებენ. ვივარაუდოთ, რომ აუცილებელია, ჟურნალისტიკის საყრდენ დებულებათა ნუსხაში გამოიკვეთოს სამი პრინციპი: 1) ქრისტიანულობა, 2) მოქალაქეობრიობა, 3) რუსთველურობა.

1. ქრისტიანულობა – რათა ყოველმა ჟურნალისტმა გაითავისოს, რომ „თავის შეცნობა, როგორც უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენში დაბუდებული სიცრუის და ტყუილის აღმოჩენით უნდა დავიწყოთ. უნდა დავინახოთ ყოველი-

ვე არაჭეშმარიტი, ფარისევლური, რომელიც ბორკილად ადევს ჩვენს სულს, უნდა დავინახოთ ჩვენი ამპარტავნება და ეგოიზმი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე თან გვდევს და გვიბიძგებს მრავალ ცოდვათა ქმნისაკენ. ამ ცოდვით სავსენი ადვილად გავცემთ მეგობარს, ვღალატობთ სწორ იდეას, რომელსაც წლობით მივყვებოდით, ვღალატობთ ჭეშმარიტებას და თუ გამოსწორების სურვილი გვამოძრავებს, თავმდაბლობით უნდა შევიმოსოთ. მხოლოდ იგი სძლევს ამპარტავნებას."

2. მოქალაქეობრიობა – რათა განვითარდეს და გაძლიერდეს იმის შეგრძნება, რომ მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების დაცვა-შესრულება ნებისმიერი პიროვნების მოთხოვნილება-ინტერესების სფეროს განეკუთვნება.

3. რუსთველურობა – რადგან „ვეფხისტყაოსნის" მსოფლმხედველობა არის ერთი და მთლიანი, სილამაზისა და ჰარმონიის განსახიერება. „მსოფლიო კულტურას ქართული გზადაგზა მიჰყვებოდა – წერდა ვიქტორ ნოზაძე – და მას ქართული გემოვნების მიხედვით ამუშავებდა, იგი ქართულ კალაპოტში გამოჰყავდა და წმინდა ქართულ ნაყოფსა ქმნიდა. სწორედ აქ მჟღავნდება ერის ნიჭი და შემოქმედების უნარიანობა, რომლის სამაგალითო და ღირშესანიშნავი, უტოლო შემოქმედება თვით „ვეფხისტყაოსანია" – მსოფლიო კულტურასთან ქართული კულტურის დაქორწინების გენიოსური ქმნილება".

დაბოლოს, ჟურნალისტმა ადამიანი, ფაქტი, მოვლენა ოდნავ მაინც უნდა აამაღლოს თავისი ჩვეულებრივი გარემოდან, რათა მკითხველსა თუ მაყურებელს გაუადვილდეს წარუვალის გამიჯვნა წარმავალისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. Steel Ronald. Walter Lippmann and the American Century. New York. 1981

2. Marcel Machill. The Effect of the Commercialization of Swedish Television on /Journalistic Culture. Press/ Politics. volume 4. №2. 1999

3. James Curran and Jean Seaton. Power Without Pesponsibility (The Press and Broadcasting in Britain). London. 1991

4. Ralph Collins. The Impact of advertising on the British Media. London. 1988

5. Беляев Игорь. Гражданское. Христианское. Пушкинское. ТЭФИ обозрение. №3. 1998

6. მარიამ თავამაიშვილი, რეკლამა ხელოვნების ამერიკული ფორმა. თსუ. თეზისები, 1998

7. Ralph Negrine. Politics and the Mass Media in Britain, London. 1991

8. Голядкин Ник.. Творческая телереклама (Из американского опыта). М.. 1998

9. Norman Moyes. Journalizm. New York. 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

დიანა ტყებუჩავა

პუბლიცისტური შემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები

„მე მჭირდება ფრენის წონასწორობა და არა ის წონასწორობა, რომელიც მდგრადია და ინერტული“ – უბრძანებია პიკასოს. ამდაგვარი ვანცდა ხშირად ეუფლება პუბლიცისტური შემოქმედების, ოსტატობის მკვლევარსაც: იგი თითქოს აანალიზებს იმ „წონასწორობის“ პირობებს, რომელიც „ფრენისას“ მოქმედებს, და არა მდგრადს, ინერტულს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთმა საინტერესო, კოლორიტულმა ქართველმა პუბლიცისტმა თამაზ ბიბილურმა თავის ერთადერთ პუბლიცისტურ კრებულს ის სიტყვა შეურჩია სახელწოდებად, რომელიც „ყველაზე ხშირად გაისმის ნებისმიერი გაზეთის რედაქციაში – „ჩქარა!“[1]

ხომ ცნობილია, რომ „როგორც თვით ცხოვრება, პრესაც მუდმივ ცვალებადობაშია და არასოდეს არაფერი მასში დასრულებული არაა.“ კვლევის ობიექტის ასეთი განვითარებადობა, დინამიურობა, უთუოდ გასათვალისწინებელია ჟურნალისტიკის თეორეტიკოსის მიერ. სადავო დებულება პუბლიცისტური შემოქმედების ეფემერულობის შესახებ: „ჟურნალისტიკა არის ის, რაც ხვალ ნაკლებად საინტერესო იქნება, ვიდრე დღეს“ იქნებ არასრულყოფილიცაა (უთუოდ!), მაგრამ მასში მაინც არის „რეზონი“ - ჩვენს პროფესიაში ნაწარმოების აქტუალობაა უმთავრესი, მარადიული ფასეულობანი კი, სასურველია, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მარადიული ფასეულობა დღესაა განსაკუთრებით აქტუალური. ამგვარი დილემის წინაშეა ჩვენი არაორდინარული პროფესიის ნებისმიერი მსახური არათუ ყოველდღიურად, არამედ – ყოველწამიერად. სხვა საქმეა, ვინ როგორ ასერხებს (და, ახერხებს თუ არა, საერთოდ) ამ დილემის გადაჭრას. აქ უკეთელად

უნდა გაგვახსენდეს, რომ არსებობს ღირებულებითი რანგების იერარქია,[2] რომელიც ახასიათებს შემოქმედებითი შრომისადმი ადამიანის მიდრეკილების ხარისხს: უნარიანობა – ნიჭიერება – ტალანტი – გენიალობა. ლოგიკურად, არსებობს: 1. უბრალოდ უნარიანი ჟურნალისტი, რომელიც საზ. ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევს თავს პროფესიულ მოვალეობას. 2. პუბლიცისტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები ქმნიან ნაწარმოებებს, რომელთაც აქვთ წარუვალი მნიშვნელობა მოცემული საზოგადოებისათვის მისი განვითარების ხანგრძლივი დროის მონაკვეთში. 3. ჭეშმარიტი ტალანტი ქმნის ისეთი ღირებულების პუბლიცისტიკას, რომელსაც მარადიული, ეროვნული, ზოგჯერ – ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც კი აქვს, ხოლო 4. გენიალურად მოაზროვნე გვთავაზობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომელთაც ყოველ დროში აქვთ მნიშვნელობა. ეს გარემოება ჟურნალისტიკის თეორეტიკოსისთვისაც ყურადსაღებია. ამდენად, უეჭველად დასადგენია „ფრენის წონასწორობის" ის პირობები, რაც ჟურნალისტიკის თეორიის კვლევის ობიექტის მთლიანობას, მოწესრიგებულობას, პრაქტიკულ სრულფასოვნებას განაპირობებს.

პლატონის მიხედვით: „ღმერთს, ძველი გადმოცემის თანახმად, ხელთ უპყრია ყოველი არსებულის დასაწყისი, შუაგული და დასასრული". შეაჯამებს რა დასაწყისზე, შუაგულსა და დასასრულზე პლატონის მსჯელობას, თანამედროვეობის უდიდესი ესთეტიკოსი ა. ლოსევი ბრძანებს: „რის დასაწყისზე, შუაგულსა და დასასრულზეც უნდა იყოს ლაპარაკი, სულერთია, ისინი ერთობლივ, განუყოფელ და განუწილველ მთელს წარმოადგენენ". ამასთან: „მთელი ყოველთვის რეგულაციურ-დინამიკური მთელია, რომელშიც დასაწყისი არა მარტო დასაწყისია, არამედ, ნაშიერიც იმისა, რაც იწყება და დასასრულიც არა მარტო დასასრულია, არამედ, მიზანი იმისა, რისთვისაც ის დასასრულს წარმოადგენს. და შუაგულიც, უბრალოდ შუაგული კი არ არის, ამ სიტყვის მექანიკური გაგებით, არამედ მთელის ყველა ნაწილის აქტიურ-აზრობრივი შედეგები და წონასწორობა"[3]

ანალოგიურად – არისტოტელესათვის: „ყველაფერს არსებულს, მატერიალურს თუ იდეალურს, აუცილებლად აბადია დასაწყისი, შუაგული და დასასრული".

ეროვნული

არისტოტელესთან ეს კატეგორიები ერთმანეთისაგან გათი-შულ და ურთიერთიზოლირებულ წერტილებად არ არის მოაზრე-ბული. შუაგული მასთან ყოველთვის გულისხმობს დასაწყისსა და დასასრულს შორის წონასწორობას, ხოლო დასასრული განიმარ-ტება, როგორც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პროცესის შედე-გი, ე. ი. როგორც მისი მიზანი... დასაწყისი, შუაგული და დასას-რული მის თვალში მხოლოდ ერთი და იმავე ცნების, სახელდობრ, მთელობისა და სტრუქტურის სხვადასხვა აქცენტებია. ყველაფერი მშვენიერი და ყველაფერი ხელოვნებისმიერი ყველა თავის წერ-ტილში შეიცავს თავისსავე პრინციპს, ანუ დასაწყისს და თავის დასასრულს, ანუ მიზანს. დაბოლოს, ერთისა და მეორის აუცილე-ბელ წონასწორობასა და აუცილებელ იგივეობას"[4]

ქართული პუბლიცისტიკის კლასიკოსი ილია ჭავჭავაძე თა-ვისი გენიოსური ინტუიციით გრძნობდა ამ „მთელობას" პუბლი-ცისტიკის საგნისა: „აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არა-მედ მასში მომავლისთვისაც თესლია..."[5] იმავე „მთელობის" შეგრ-ძნებითაა ნაკარნახევი: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"...

ჟურნალისტური მოღვაწეობა, კერძოდ – პუბლიცისტური შე-მოქმედება უთუოდ ურთულესი ხელოვნებაა, ამდენად, მისი მკვლევარი ეჭველად უნდა ითვალისწინებდეს ზოგადად, ხელოვ-ნების, შემოქმედებითი მუშაობის დამახასიათებელ ასპექტებს, კო-მპონენტებს, მაგრამ ჩვენს თავისებურ, განსხვავებულ, არაორდი-ნარულ პროფესიაში ხდება გარკვეული მოდიფიცირება ამ მექა-ნიზმებისა, რისი უცილობელი გათვალისწინებაც ჟურნალისტიკის თეორეტიკოსის უპირველესი ამოცანაა.

საუბარი პუბლიცისტური შემოქმედების ფსიქოლოგიურ ასპე-ქტებზეც, ბუნებრივია, სწორედ ამგვარი პოზიციიდან გვმართებს.

„შემოქმედებითი პროცესი განსაკუთრებით ნაყოფიერია, რო-ცა ხელოვანს შთაგონება ეწვევა."[6] ი. ბორევის მიხედვით, შთა-გონება ესაა შემოქმედებითი პროცესის უმნიშვნელოვანესი ფსი-ქოლოგიური მექანიზმი. იგი იქვე აზუსტებს: „შთაგონება შემო-ქმედებითი პროცესის ინტუიციურ და ცნობიერ საწყისთა ოპტიმა-ლური თანხმიერებაა."[7]

როგორ რეალიზდება ამგვარი „ოპტიმალური თანხმიერება“ ჩვენს „მკაცრ“ და დოკუმენტურ პროფესიაში – პუბლიცისტიკაში? თავს ნებას მივცემთ, ცოტა არ იყოს, შორეული, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მეტყველი ანალოგია მოვიშველიოთ: კ. სტანისლავსკი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ავითარებს დებულებას: „...Сознательное и верное рождает правду, а правда вызывает веру, а если природа поверит тому, что происходит в человеке, она сама примется за дело. Вслед за ней вступит подсознание и может явиться само вдохновение... На нашем языке это называется: Переживать роль.“[8]

პუბლიცისტური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჟურნალისტურ შემოქმედებაშიც ხდება ანალოგიური რამ, მაგრამ „ჩვენს ენაზე“ ეს ნიშნავს „переживать тему“: ობიექტური სინამდვილის სოციალ-პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების შეგნებული, ლოგიკური, ფსიქოლოგიური ანალიზი გზას ჭეშმარიტებისაკენ გვიკვლევს, ჭეშმარიტების დადგენა ავტორის რწმენას ბადებს და თუ იგი გაითავისებს ამ სიმართლეს, შემოქმედებით პროცესში ერთვება ქვეცნობიერიც და ამ გზით ჟურნალისტთანაც მოდის შთაგონება.

ესთეტიკაში შთაგონების არსი ასე განიმარტება: „შთაგონება... ეს აზრის სინათლის, აზროვნების ინტენსივობის, ასოციაციათა სიმდიდრისა და სისწრაფის, ცხოვრებისეულ პრობლემათა არსში ღრმად შეღწევის, ქვეცნობიერებაში დაგროვილი ცხოვრებისეული და მხატვრული გამოცდილების მძლავრი „გამოტყორცნის“ და შემოქმედებაში მისი უშუალო ჩართვის სპეციფიური შემოქმედებითად ფსიქოლოგიური მდგომარეობაა.“[9]

პუბლიცისტურ შემოქმედებაში ხდება ამგვარი „შემოქმედებითი აფეთქებებიც,“ რასაც უთუოდ წააგავს ზემოთ აღწერილი (კ. სტანისლავსკის ანალოგიით) პროცესი, ოღონდ, თავისებური, პუბლიცისტური ელფერით. დავიმოწმებ თეორიას: „Искусство публицистической характеристики явления, где понятие дополняется образом, а образ перетекает в строгую мысль...

Но разве не "разошлись" понятие и образ ещё на заре человеческой культуры, когда из первоначальной синкретической картины мира выделились научные и художественные формы познания. Неужели синкретизм не умер тогда, исчерпав свои потенции, а продолжает жить, сохраняя своё особое место в

осознании мира человеком? И, может быть, именно публицистика в силу особенностей своих отношений с миром, подхватила эту синкретичность?.“[10]

რაღა თქმა უნდა, ყველა პუბლიცისტური ნაწარმოები გეშთაგონების შედეგი როდია. ამის მიზეზი თვით ჟურნალისტური მოღვაწეობის სპეციფიკაა (ოპერატიულობა, „სწრაფად წერის“ აუცილებლობა) და, უფრო მეტად კი – ჟურნალისტიკის სუბიექტის – ავტორის ინდივიდუალური, პიროვნული თვისებები, მისი სუბიექტური თავისებურებანი. აქ უდიდეს როლს თამაშობს შემოქმედების კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მექანიზმი – წარმოსახვა: ნაცნობ ფაქტებთან ანალოგია, ცხოვრებისეულ განცდათა მოგონებანი, ისტორიულ, ლიტერატურულ და კულტურულ მოვლენათა ასოციაციები. ეს ყოველივე მკაცრ ლოგიკას – ჭეშმარიტების დადგენის უცილობელ მიზანსაა პუბლიცისტურ შემოქმედებაში დაქვემდებარებული. ლოგიკურ აზროვნებას, რომელიც „უწყვეტია, ყოვლადია, და შემოქმედებითად მოძრაობს.“[11]

ავტორის გონებისა და ინტუიციის (რაციონალურისა და ემოციურის) ამ „შემოქმედებითად მოძრაობისას“ „წონასწორობის“ ერთი უცილობელი პირობაა აღსაწერი მოვლენისა თუ ფაქტის მთლიანობის შეგრძნების შენარჩუნება. ამასთან, რაც მთავარია „ამ მთელის ყოველ თავის ნაწილში თანამონაწილეობის ძალიან მტკიცე ინტუიცია ისე, რომ ამ ნაწილის მოკვეთა არღვევს თვითონ მთელს[12] ანუ ის, რაც ხალხურმა სიბრძნემ, მისმა უტყუარმა ალღომ მარტივად და გენიალურად შენიშნა: „ადამიანს, როგორც ძველს, გარშემო უნდა შემოუაროო,“ იგულისხმა რა ფაქტის, მოვლენის (კონკრეტულ შემთხვევაში – ადამიანის) მთლიანობაში, „ყოველი მხრიდან“ აღქმის აუცილებლობა მისი ჭეშმარიტი სახის შესაცნობად. ნიმუშად უთუოდ გამოდგება ჟურნალისტ ი. ტოლიაშვილის „მგლებისა და კრავების“ სპექტაკლი პიკანტური ანეგდოტის თანხლებით“[13] საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდის რთულ სიტუაციას ავტორი მოვლენის არსში წვდომის შესაშური უნარით აანალიზებს. ამასთან, დახვეწილი, კეთილი იუმორი, მეტყველი, ტიპური, ფაქტისა და მოვლენის რელიეფურად გამომხატველი დეტალები ამ მძიმე და, ერთი შეხედვით, მოსაწყენ თემას ადვილად აღსაქმელს, საინტერესოდ წასაკითხს ხდის. რაც მთავარია, საკითხი შესწავლილია ყოველმხრივ, თითოეული ასპექტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებით, ყოველი მნიშვნელოვანი ნიუანსის განსაზღვრებით. აქ: „ცნებებს გამომსახველობას მატებენ სახეები, სახე კი გადაიზრდება მკაცრ მსჯელობასა და აზროვნებაში“[14]. ყურადღებას იქცევს ე.წ. „ფელეტონური სვლა“[15] სათაურში დაფიქსირებული ქვეტექსტის „საფუძველი-სიტუაცია“ – „მგლებისა და კრავების“ „სპექტაკლი“ ტექსტში კონკრეტდება და იშიფრება: „არ ვიცი, როგორ გამოდგება ეს შედარება, მაგრამ ელექტორატს, ალბათ, მოქავშირი ისევე შეეცოდება, როგორც „ნუ პაგადიში“ მგელი, რომელსაც ეშმაკი კურდღელი პირდაპირ ჯვარს აცვამს და არაფრით ნებდება შესაჭმელად“.

აქ ასპარეზზე გამოდის კიდევ ერთი და, ალბათ, უმნიშვნელოვანესი –პუბლიცისტური ხედვის, აღქმის ნიჭი.

ი. ბორევის აზრით: „შემოქმედებითი პროცესის ის ნაწილი, რომელიც გონებისეულია, შესაძლოა რაოდენობრივად არ ჭარბობდეს, მაგრამ თვისებრივად მაინც ის განსაზღვრავს შემოქმედების მრავალ არსებით მხარეს. ცნობიერი საწყისი აკონტროლებს შემოქმედების მთავარ მიზანს, ნაწარმოების მხატვრული კონცეფციის ზეამოცანას და ძირითად კონტურებს, გამოკვეთს „ნათელ წერტილს“ ხელოვანის აზროვნებაში და მთელი მისი ცხოვრებისეული და მხატვრული გამოცდილება ამ ნათელი წერტილის გარშემო ორგანიზდება“[17]

პუბლიცისტურ შემოქმედებაში განსაკუთრებულია ცნობიერი საწყისის როლი და მნიშვნელობა: პუბლიცისტური შემოქმედების უმთავრესი კოორდინატები – სიმართლე, სიკეთე, სილამაზე, როგორც ეთიკური ღირებულებები, ესთეტიკურიცაა. ეთიკურისა და ესთეტიკურის დიალექტიკა განაპირობებს სწორედ პუბლიცისტური შემოქმედების მთავარ მიზანს – „სიმართლის დამკვიდრებას სიკეთის სახელით“ (არისტოტელე). იგივეა ჟურნალისტური აზროვნების „ნათელი წერტილიც,“ რომლის გარშემოც, თუ ი. ბორევს დავესესხებით: „ორგანიზდება ჟურნალისტის მთელი ცხოვრებისეული და მხატვრული გამოცდილება“. თეორეტიკოსები ხომ ასე განმარტავენ პუბლიცისტიკის ცნებას: ლათინური publicus, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების სახე, ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემებისა და მოვლენებისადმი მიძღვნილ ტექსტებს. ამასთან, თუ მწერალი გაშუალებულად – გამოგონილი სიუჟეტებითა და წარმოსახვით შექმნილი გმირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახავს სინამდვილეს. პუბლიცისტიკაში, როგორც ცნობილია, უშუალოდ, „ცოცხალი ცხოვრებიდან,“ სინამდვილის ფაქტებსა და მოვლენებთან კავშირში იქმნება ამ სინამდვილის მართალი სურათი. მეტიც, პუბლიცისტი ხშირ შემთხვევაში მონაწილეცაა ამ მოვლენებისა, გავლენას ახდენს მათზე თავისი ნაწერებით. აქ უმნიშვნელოვანესია ის მიზანი, რისთვისაც ირჯება ჟურნალისტი: ჰემინგუეი — პუბლიცისტის უდიდესი პოპულარობა, ბუნებრივია, მისმა მწერლურმა ტალანტმა განაპირობა, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ იგი თავისი პუბლიცისტიკით სიმართლისათვის იბრძოდა — მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიისათვის, ფაშიზმის სისასტიკის წინააღმდეგ, იბრძოდა ადამიანის უზენაესი უფლებისათვის — იყოს ბედნიერი. ამ „ნათელი წერტილის“ ირგვლივ ტრიალებს მთელი მისი პუბლიცისტური მიზანდასახულობა და, ამიტომაცაა, რომ მისი სტატიები, ნარკვევები, წერილები, რეპორტაჟები განუსაზღვრელი დროით ინარჩუნებენ აქტუალობას. აქედან, ამ კეთილშობილური მიზნებიდან გამომდინარეობს ჰემინგუეი-პუბლიცისტის წარუვალი მნიშვნელობა არა მხოლოდ მის თანამედროვეთათვის, არამედ — მომდევნო თაობებისთვისაც.

აქ წარმოჩნდება ჟურნალისტური შემოქმედების კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მექანიზმი — შინაგანი განთავისუფლების მომენტი, „აღსარების მოთხოვნილება,“ ურომლისოდაც წარმოუდგენელია ის კონტაქტი მკითხველ აუდიტორიასთან, რომლის შედეგადაც ეს უკანასკნელი გაითავისებს ავტორის განცდას, მის პოზიციას, ფაქტისა თუ მოვლენის შეფასების, აღქმის მისეულ ვარიანტს, რაც, როგორც ცნობილია, ჟურნალისტური მოღვაწეობის ზეამოცანაა — უმთავრესი მიზანი, სოციალ-პოლიტიკური ასპექტი.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ჰემინგუეის პუბლიცისტიკა ლამის ავტობიოგრაფიულია. არც ის გვგონია მხოლოდ ფორმის საკითხი, რომ ნებისმიერ თავის ნარკვევსა თუ კორესპონდენციაში ავტორი მკითხველს პირველ პირში ესაუბრება. იგი უხვად იყენებს ავტობიოგრაფიულ ფაქტებს ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე საუბრისა თუ მათი ანალიზისას. მის მიერ აღქმული „საუკუნის სურათი“ თითქოს გაჟღენთილია ზემოთ ნახსენები „შინაგანი განთავისუფლების მომენტით“ განპირობებული „აღსარების მოთხოვნილებით“: მის პუბლიცისტიკაში ძალუმად იკვეთება ავტორის სახე — მისეული ფიქრებით, სიმპათია-ანტიპათიით, უშ-

ალობით, შეცდომებითა თუ ჭეშმარიტების. სიმართლის ძიების უწყვეტი დინამიზმით: „როგორ ვიქცეთ ომის ვეტერანად ისე, რომ დენთის სუნიც არ ვიყნოსოთ," („Как прослыть ветераном войны, не понюхав пороха")[18] სწორედ ამგვარი განწყობით და, შესაბამისი პათოსითაა დაწერილი. ეს ბუნებრივი და ლოგიკურიცაა, ვინაიდან აღნიშნული სტატია მან „დენთისსუნნაყნოსმა," მილანის ჰოსპიტალში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შინდაბრუნებულმა დაწერა კანადურ გაზეთ „ტორონტო სთარ უიკლისათვის." აღშფოთებულმა იმით, რომ ტორონტოში იხილა ათასობით ყოფილი ჯარისკაცი – საფრანგეთში ჯოჯოხეთურ ბრძოლის ველზე ნაომარი, გამწარებული, უფუნქციოდ დარჩენილი მშვიდობიან ცხოვრებაში, განაწყენებული იმის გამო, რომ ქვეყანამ მათი დამსახურებები დაივიწყა და არაფრით დაეხმარა მაშინ, როცა იქვე ყვაოდნენ ისინი, ვინც თავი დაიძვრინა სამხედრო გაწვევისაგან, მოახერხა აშშ-ს სამხედრო ქარხნებში მოხვედრა და იქ დიდი ფულის შოვნა. სწორედ მათზეა აღნიშნული სტატია, სარკაზმითა და გულწრფელი აღშფოთებით აღსავსე. სხვაგან ე. ჰემინგუეი თავად უშუალოდ გამოხატავს თავის მწერლურ და ჟურნალისტურ პრინციპს: „Пусть не говорят о революции те, кто пишет это слово, но сам никогда не стрелял и не был под пулями"[19].

ასევე: „Нужно иметь совесть, такую же абсолютно неизменную, как метр-эталон в Париже".

აქ უნებლიედ გვახსენდება ბ-ნი აკაკი ბაქრაძის შეგონება: „შემოქმედის ემოცია პუბლიცისტს მაშინ გადაედება, როცა... ნაწარმოები თავდავიწყებულობის ნაყოფია. აქ ნეიტრალური გრძნობა ყველაფერს აცივებს და კლავს. ამიტომ, თუ მწერლობა (ცხადია, კრიტიკაც) დაიჩემებს – ობიექტური ვარო, უთუოდ იცრუებს. ხელოვნება-მწერლობაში ობიექტურობა შეცვლილია პირუთვნელობითა და გულწრფელობით".[20] ვფიქრობ, კომენტარი აღარ სჭირდება ზოგიერთი თანამედროვე ე.წ. „უპოზიციო" პერიოდული გამოცემისა თუ ჟურნალისტის მტკიცებას საკუთარ გამოსვლათა „ობიექტურობის," „ნეიტრალურობის" და, რაც განსაკუთრებით იდიოტურია: „უპოზიციობის" თაობაზე...

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ პუბლიცისტური შემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევისას არა მარტო შემოქმედების სუბიექტის – ავტორის როლია მნიშვნელოვანი. არა-

მედ, ამ შემოქმედების პროდუქტის – პუბლიცისტური ტექსტის აღმქმელიც–რეციპიენტი, როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ.

პუბლიცისტური ნაწარმოების აღქმა, საკმაოდ გავრცელებული მცდარი შეხედულების საპირისპიროდ, არ დაიყვანება ამა თუ იმ რეალური პრობლემის გააზრებაზე და არც პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის არჩევანზე (რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს ყოველივე).

ჭეშმარიტ პუბლიცისტიკაში ყოველთვის საგრძნობია რაღაც გაცილებით მეტი, ვიდრე კონკრეტული რეკომენდაცია და, რაღაც უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ამწუთიერი უტილიტარული სარგებლობა. ეს უდავოა. ამას გონიერი მკითხველი უეჭველად გრძნობს. ამ მოვლენაში აისახება სწორედ „ლოგიკური განზოგადების აბსტრაგირებადი ძალა“[21].

ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს არამარტო საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური პრობლემის გადაჭრას, იგი მოვალეა ამაღლდეს „კერძო შემთხვევაზე“. ავტორი გადაამუშავებს იმ რაოდენობის ინფორმაციას, რაც სრულიად საკმარისია მოვლენის, ფაქტის განზოგადებისა და ანალოგიურ, ტიპურ სიტუაციათა მთელი კლასის გაანალიზებისათვის.

საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევრებში ერთი შემთხვევის ფონზე და მისგან გამომდინარე, ჟურნალისტი საუბრობს ზოგადად, სოციალური ვითარების, ცხოვრების კანონზომიერებებზეც. „ამ მოვლენაში შეიძლება დავინახოთ ერთგვარი „მაგიური კრისტალი,“ მხატვრული სახის მსგავსი“ – წერს ჟურნალისტიკის თეორეტიკოსი ე. პრონინი – რომლის ძალაც წარმოდგენების, შეხედულებათა ტიპიზაციაშია: „Фантазия и вдохновение не нужны работе журналиста. Он не только описывает реальную проблемную ситуацию. Он, так сказать, воспаряет над обыденностью. Там, где хватило бы фотографии, удостоверяющей личность, он живописует портрет. Самотипизирующаяся сила стоящей за текстом действительности, захватывает не только сферу познания, но и сферу самопознания читателя. За текстом возникает образ, в емкости не уступающий "магическим кристаллам" многих и многих писателей.“[22]

საინტერესო და უთუოდ გასათვალისწინებელია თეორეტიკოს ე. პრონინის შემდგომი დაკვირვებაც: „Абстрагирующая сила

логического обобщения и конкретизирующая сила художественной типизации, взаимозаменимые по функции, по мнению многих учёных, альтернативны по структуре мыслительного действия.“[23]

ყოველივეს მიუხედავად, პუბლიცისტური ტექსტის სისტემაში ბუნებრივად თავსდება რაციონალური და ემოციური, ანალიტური და სინთეზური, ლოგიკური და ესთეტიურიც და ეს თანაარსებობა ორგანულია.

აღქმის პროცესში უმნიშვნელოვანესია პუბლიცისტური მასალის „დალაგების ლოგიკა“ – კომპოზიცია, ანუ მოწესრიგებულობა. მათემატიკოსებმა რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც კი გააანალიზეს ეს ფაქტორი და შემოგვთავაზეს ნაწარმოების ესთეტიკური ზომის (M) ფორმულა,[24] სადაც M (ესთეტიკური ზომა) = მოწესრიგებულობა (O) შეფარდებული სირთულესთან (C). ამგვარია ამერიკელი მათემატიკოსის ჯონ ბირგკოფის ფორმულა, რომელიც გულისხმობს, რომ ნაწარმოების ესთეტიკური ზომა (M) ტექსტის მოწესრიგებულობის პირდაპირპროპორციული და მისი სირთულის უკუპროპორციულია.

გ. აიზენკის თვალსაზრისით კი ესთეტიკური ზომა მოწესრიგებულობისა და სირთულის შეფარდება კი არ არის, არამედ, მათი ნამრავლი: $M=O \times C$, ანუ აქ ლაპარაკია მხატვრული აღქმისა და ტკბობის ინტენსივობის პირდაპირპროპორციულობაზე მხატვრული ფენომენის სირთულესა და მოწესრიგებულობასთან[25].

როცა პუბლიცისტური ტექსტის „მომხმარებელზე,“ მის აღმქმელზე (რეციპიენტზე) ვფიქრობდით, უნებლიეთ ამ ფორმულებმა შეგვახსენეს თავი. გავკადნიერდით და, მცირეოდენი კორექტივით, შევეცადეთ მოგვერგო იგი ჩვენი განსახილველი საგნისათვის. თავს უფლება მივეცით ესთეტიკური ზომის (M) ნაცვლად, გაგვეფართოვებინა (პუბლიცისტური ტექსტის კერძო შემთხვევისათვის, დ.გ.) ამ ცნების არეალი და მის ნაცვლად შემოვიტანეთ აღქმის პოტენციალის ცნება (P) ანუ: გარკვეული დონის აზრობრივი და ღირებულებითი ინფორმაციის აღქმის პოტენციალი, რომელიც, ჩვენი ფიქრით, პუბლიცისტურ ტექსტში უცილობლად პირდაპირპროპორციულია ტექსტის მოწესრიგებულობის, (O) და სირთულის (P):

$$P = O \times C$$

ამრიგად, ჯონ ბორგკოფისა და გ. აიზენკის ფორმულათაგან ჩვენ ამ უკანასკნელს მივანიჭეთ უპირატესობა (იმ მცირეოდენი

დაზუსტებით, რომ პუბლიცისტური ტექსტის კერძო შემთხვევაში ესთეტიკური ზომა (M) შევცვალეთ აღქმის პოტენციალით ანუ რეცეპციულობის (აღქმადობის) პოტენციალით (P) ვინაიდან სავსებით ვიზიარებთ ი. ბორევის ჭეშმარიტ მოსაზრებას, რომ: „სხვა თანაბარი პირობებისას ნაკლებ რთული ნაწარმოები უფრო მისაწვდომია, უფრო მასობრივია, მაგრამ ნაკლებად შემოქმედი."[26] აიზეკის ფორმულით კი გათვალისწინებულია აღქმის არსებითი მომენტი – რეციპიენტმა სისრულისა და კმაყოფილების გრძნობა რომ განიცადოს. აღქმა უნდა იყოს აქტიური, შემოქმედებითი, რაც დიდადაა განპირობებული ნაწარმოების ტექსტის მოწესრიგებულობითა და სირთულით, მრავალფეროვანისა და განმეორებადის წონასწორობით."[27]

ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი ფორმულა და, მით უფრო, P=OxC არის უზოგადესი მიახლოება იმ ურთულეს და უმშვენიერეს მოვლენასთან, რასაც საუკეთესო პუბლიცისტური ნამუშევრის აღქმის ფსიქოლოგიური პროცესი ჰქვია. აქ სავსებით ვიზიარებთ დიდი ქართველი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის კ. კაპანელის მოსაზრებას: „ის, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების დაუსრულებლობის გამოსახვა შეიძლება განსაზღვრულ ფორმულაში, სულით ღარიბია და ვერასოდეს ეტყვის ვერც თავის ერს და ვერც კაცობრიობას ახალსა და უჩვეულო სიტყვას".[28] პრესა კი, როგორც ცნობილია, ცხოვრებასავით მუდმივ ცვალებადობაშია და არასოდეს არაფერი მასში დასრულებული არაა.

ცხადია, ამ დაუსრულებლობას სრულყოფილად ვერ დაიტევს ვერანაირი ფორმულა და, თუ თეორეტიკოსები მაინც მივმართავთ ზოგჯერ მათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი გარკვეულობა, სიცხადე, სიზუსტე შევძინოთ მკითხველის მიერ არაერთგზის განცდილს: რაც მეტი შრომა გვჭირდება (ეს ჩვენს უნარზეცაა დამოკიდებული) პუბლიცისტურ ნაწარმოებებში კოდირებული აზრის, იდეის წვდომისათვის, მით მეტია სიამოვნების, ე.წ. შემეცნებითი სიამოვნების განცდა, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ჭეშმარიტების ძიებით მონიჭებული ესთეტიკური განცდა. კარგი პუბლიცისტიკა უთუოდ იძლევა ამგვარ ძიებათა საშუალებას და, ჟურნალისტური შემოქმედების ისეთ უმთავრეს ფსიქოლოგიურ მექანიზმებთან ერთად, როგორიცაა: შთაგონება, წარმოსახვა, ცნობიერი, ქვეცნობიერი (გონება, ინტუიცია), შინაგანი განთავისუფლების მომენტი (აღ-

სარების მოთხოვნილება), არანაკლებ მნიშვნელობას იძენს პუბლიცისტური ტექსტის რეცეპციულობის (აღქმადობის) პოტენციალი და მკითხველის (რეციპიენტის) მიერ შემეცნებითი სიამოვნების, ჭეშმარიტების ძიებით მონიჭებული ესთეტიკური განცდის უნარი, რაც „პიროვნული, ინტიმური პროცესია, რომელიც ადამიანის ცნობიერების ღრმა შრეებში მიმდინარეობს და ძნელად დასაფიქსირებელია დაკვირვებისას. ეს პროცესი ინდივიდის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და კულტურის დონეზე (მყარი ფაქტორები), და მის განწყობილებაზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (დროებით მოქმედი ფაქტორები) არის დამოკიდებული."[29]

აქ უნდა გაირჩეს აღქმის ორი ფორმა: 1. ნაწარმოების საზრისის გაცნობიერება და 2. აღქმაზე რეციპიენტის რეაქცია. „პუბლიცისტიკის ენაზე" იგივე დაახლოებით ასე ითქმის: 1. ნაწარმოების პუბლიცისტური მიზანდასახულობის, ავტორის ტენდენციის გაცნობიერება, 2. პუბლიცისტური ტექსტის რეცეპციულობის (აღქმადობის) პოტენციალი ანუ ნაწარმოების საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ხარისხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. თ. ბიბილური, ჩქარა!, თბ., 1974
2. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 268. 1986,
3. ა. ლოსევი, დემილი, თბ., გვ. 61, 1992
4. იქვე
5. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბე, თბ., გვ., 145-160, 1991
6. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 273, 1986
7. იქვე
8. Станиславский К. С., Работа актёра над собой. М., стр. 24, 1985
9. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 273, 1986
10. Прохоров Е. Искусство публицистики. М., стр. 3, 1984
11. ა. ლოსევი, დემილი, თბ., გვ. 94, 1993
12. იქვე
13. გაზ. „თბილისი," 9, IX, 1999
14. Прохоров Е., Искусство публицистики, М., стр. 3, 1984
15. Кайда А. Г., Стиль фельетона, М., стр. 15, 1983
16. გაზ. „თბილისი" 9, IX, 1999
17. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 273, 1986
18. Хемингуэй Э., Старый газетчик пишет. М., стр. 1983
19. იქვე, გვ. 13
20. აკაკი ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., გვ. 178, 1989
21. Пронин Е. И., Текстовые факторы эффективности журналистского воздействия. М., стр. 102, 1981
22. იქვე, გვ. 102
23. იქვე, გვ. 103
24. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 287, 1986
25. იქვე, 102
26. იქვე, 288
27. იქვე
28. კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები, თბ., გვ. 195, 1989
29. ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., გვ. 279, 1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

ნოდარ ტაბიძე

პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები

ნომინაციათა არსებობა მოტივირებულია მასალათა უკეთ აღქმა-გააზრების აუცილებლობით. ამდენად, ბუნებრივია, როცა მსაზღვრელში საზღვრულის სპეციფიკა ირეკლება. მაგრამ ეს განსხვავებულად ხდება ტექსტის სათაურსა და გამოცემის სახელწოდებაში.

პუბლიცისტური ნაწარმოების სათაურის რაობას უპირატესად მასალის იდეურ-შინაარსობრივი მხარე, პრობლემა-საკითხებისადმი მიდგომის პრინციპები განსაზღვრავს. სათაური კომპოზიციურ ელემენტად წარმოჩინდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი აღქმა-გააზრება ძირითადად „ეპიზოდურია." სხვა დროსა და სიტუაციაში მკითხველი შეიძლება მას არ მიუბრუნდეს.

რაც შეეხება პერიოდული გამოცემის სახელწოდებას, აქ განსხვავებული ვითარება შეინიშნება. იგი ტექსტის ნაწილი კი არ არის, არამედ ტექსტთა გამაერთიანებელი, მაორგანიზებელი ერთეულია, თანაც განმეორებადი. აქედან გამომდინარე, მისთვის ნიშანდობლივია ფართო ტევადობა-სისრულე, ზოგადობა. ამიტომაც ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები თავისებური ფორმულების სახით გვეძლევა. ცხადია, ეს არ გამორიცხავს გამომსახველობითობას.

ამრიგად, პირველ შემთხვევაში წინ იწევს დახასიათება. მეორე შემთხვევაში კი აღნიშვნა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სინტაგმას — „წინ იწევს" ე. ი. დომინირებს, თორემ მეორე ელემენტის სრული იგნორირება არცერთ შემთხვევაში არ ხდება.

პერიოდული გამოცემის სახელწოდება რომ ბევრის მთქმელია, ამის დასტურად ის დისკუსიაც გამოდგება, რომელიც 1989 წლის ივნის-ივლისში გაიმართა.

პროფ. ვ. გოგუაძემ გამოაქვეყნა პრობლემური სტატია — „მოვლენებს თავისი სახელები ვუწოდოთ“. იგი წერდა. გაზეთი „კომუნისტი“ „... უკვე ხალხის ცხოვრებას ემსახურება, კითხულობს რესპუბლიკა, ყველა, ვინც კი ქართული იცის. მოვიდა ჟამი ამ სახალხო გაზეთის იმ რესპუბლიკის სახელი დაერქვას, რომელსაც ის წარმოადგენს. დაე, იქცეს საველე პაველედ. ეს კიდევ უფრო გაუხსნის ხელს გაზეთს, რომ თავი დააღწიოს თავის ერთგვარ საოქმო სტილს...“[1]

პოლემიკაში ბევრმა ცნობილმა მოღვაწემ, პარტიულმა მუშაკმა თუ რიგითმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

ერთნი მოითხოვდნენ „კომუნისტს“ „საქართველო“ დარქმეოდა. ეს დააჩქარებს „მის ყოველმხრივ გადახალისებას, მეტადრე შინაარსის შეცვლა-გამდიდრებას, იმას, რომ ეროვნული პრესის საუკეთესო წარმომადგენელთა დარად, მხოლოდ სიმართლეს ემსახუროს, ხელი შეუწყოს ახლადშექმნილი სახალხო ფრონტის მიზანდასახულობათა განხორციელებას, ბევრ კეთილშობილურ, ეროვნულ საქმეს“[2].

მეორენი საპირისპირო მოსაზრებას ავითარებენ. „პირადად ჩემთვის „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლა საწყენია. იმოდენად შეეჩვია მკითხველი ამ სახელს, რომ მართლაც მისი ისტორიისათვის ჩაბარება, მსუბუქად რომ ვთქვათ, დასანანად მეჩვენება“[3].

იყო დეკლარაციული განცხადებანი, განსჯანი და მაინც... .

განა სახელის ტრანსფორმაციით არსი იცვლება? გაზეთი თუ კვლავ დარჩებოდა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანოდ, გარდატეხა გამორიცხული იყო.

მაშასადამე, თავიდათავია ფორმა-შინაარსის ერთიანობა, გაზეთის სახელწოდებისა და პროგრამა-მიმართულების შესატყვისობა, ჰარმონია. ვ. გოგუაძის წერილში ეს გარემოება აქცენტირებული არ არის, მაგრამ იგულისხმება. ჩანს, ავტორი მოერიდა საკითხის გამწვავებას.

---

[1] გაზ. „კომუნისტი,“ 1989. № 146.
[2] იქვე. № 152.
[3] იქვე. № 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული მოთხოვნისადმი გვერდის ავლა არცთუ იშვიათია. მაგრამ ეს არ უნდა ჩაითვალოს ახირებად.

ამ შემთხვევაში სხვა მომენტები იწევს წინ, ვთქვათ, ძველი სახელით ისტორიული ასპექტის გათვალისწინება, მკითხველთა შენარჩუნება და ა.შ. ამიტომაცაა, რომ არაერთი რუსული გაზეთი პირვანდელი სახელწოდებით გამოდის, მაგალითად, „პრავდა," „კომსომოლსკაია პრავდა" და სხვ. ცხადია, მათი პროგრამა და მიმართულება რადიკალურად შეცვლილია.

სახელწოდების შერჩევა დამოკიდებულია ეროვნულ, სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებზე. ერთ ხანს ევროპულ ჟურნალისტიკაში მძლავრობდა ისეთი გამოცემები, რომელთაც ერქვათ მეთვალყურე. შემდეგ გაბატონდა მიმოხილვა. როგორც მიუთითებენ, ასეთი ტრანსფორმაცია მოტივირებულია დროის მოთხოვნით. პირველ შემთხვევაში მჭვრეტელობითი ტენდენციები მძლავრობდა. ცხოვრებას უყურებდნენ როგორც სანახაო-სახალისო სპექტაკლს. შემდეგ განსჯა იწევს წინ. საზოგადოება არ კმაყოფილდება იმით, რასაც თვალს აწვდენს. მიისწრაფვის გონებითაც შეხედოს მოვლენებს და სიღრმისეული კვალიფიკაცია მისცეს მათ.

არსებითია ის, თუ ვისი და რისი მესიტყვეა გამოცემა, რა მიმართულებისაა ხელმძღვანელი ბირთვი. ქართველმა ფუტურისტებმა თავიანთ ჟურნალს „H_2SO_4" დაარქვეს. უჩვეულოა, მაგრამ არა მოულოდნელი, თუ მათ პროგრამას გავითვალისწინებთ. როგორც ლუიჯი მაგომეტო შენიშნავს, მსგავსი სახელწოდება უცხო არ არის ევროპული მკითხველისათვის. ფრანგი დადაისტები გამოსცემდნენ „$D_4O_4H^2$".

ამრიგად, პერიოდული გამოცემის სახელდებასნაირგვარი ვითარება, პირობები განსაზღვრავენ. თავიდათავი კი მაინც რედაქციის კონცეფციაა.

ყველაზე მეტად რომელი სახელწოდებებია მომარჯვებული?

შეიძლება გამოიყოს ხუთი ჯგუფი.

1) საერთო-პოლიტიკური ანუ იდეურ-შემფასებლური, 2) დარგობრივი, 3) გეოგრაფიულ-რეგიონალური, 4) ხანური, 5) სარეკლამო-მერკანტილური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ჯგუფია ცალკეული მხარეების შერწყმა ხდება და სახელწოდება განტოტებულად წარმოჩინდება. არ არის გამორიცხული, რომ კონკრეტული ციკლის ნიმუშმა სხვების ნიშნებიც გაითავისოს.

პირველი ჯგუფის სათაურებში თავიდათავია დამფუძნებელთა მრწამსის გამჟღავნება, სინამდვილისადმი მიდგომის მაგისტრალური ხაზის გამოკვეთა.

გიორგი ერისთავმა თავის გამოცემას „ცისკარი“ უწოდა. ამით მიგვანიშნა, რომ ჟურნალი გონების გამნათებელი, გრძნობის გამაცხოველებელი და, საერთოდ, სამამულო მწერლობის გამომბრწყინებელი იქნებოდა.

თერგდალეულთათვის არსებითია საქართველოს ბედი, მაგრამ ისინი ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ-პოლიტიკურ ვითარებაზე. აკი ბრძანებს ილია: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“[1].

ამიტომაც დიდმა სამოციანელმა თავის ჟურნალს „საქართველოს მოამბე“ უწოდა. ე.ი. წინ არის წამოწეული ეროვნული მოტივი.

გავიხსენოთ ილიას მეორე გამოცემაც – „ივერია“. ეს სახელი საგულისხმო ქვეტექსტების შემცველია.

პირველი: იგი მიგვანიშნებს, რომ გაზეთი არა ერთი კლასის, ჯგუფის თუ კორპორაციის მესიტყვე და ინტერესების დამცველი იქნება, არამედ მთელი ქვეყნის, ხალხის.

მეორე: პერიოდული გამოცემა ჩაფიქრებული არა კონკრეტული სფეროს, ვთქვათ, ლიტერატურის, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის ამსახველად, არამედ ქვეყნის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებული ყველა არსებითი საკითხის გასაშუქებლად.

მესამე: სახელი იმ დროს, ვითარებას გვახსენებს, როცა საქართველო არა დანაწევრებულ-დაჩიავებული, არამედ ერთიანი, მძლავრი და სვიანი იყო. მაშასადამე, საჭიროა გამოფხიზლება და იმ დიდების დაბრუნებისათვის ბრძოლა, ქვეყნის წინსვლისათვის მუხლჩაუხრელი შრომა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, ტ. 3, გვ. 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულთა სხვა გამოცემების სახელწოდებებშიაც სინამდვილისადმი არა რომანტიკული, არამედ რეალისტური მიდგომა ირეკლება.

პირველი ჯგუფის სათაურთა სპეციფიკა გამახვილებულად გამოვლინდა პარტიულ გამოცემებში. ქართველმა ბოლშევიკებმა თავიანთ გაზეთს „კომუნისტი“ უწოდეს და ამით ხმამაღლა განაცხადეს, რომ რედაქცია მოვლენებს, პროცესებს, ფაქტებს პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდა.

საბჭოთა წყობილების ჟამს ტიპური იყო ასეთი სახელწოდებები: „ლენინის გზით,“ „ახალგაზრდა სტალინელი,“ „სტალინის დროშით,“ „კომუნიზმისაკენ,“ „წინ ფინიშისაკენ“ და სხვ.

ხსენებული ტენდეცია განპირობებული იყო ახალი იდეოლოგიის იძულებით გავრცელების, საზოგადოებრივი აზრის ერთ კალაპოტში მოქცევის სურვილით. ეს კი ბუნებრივად იწვევდა ფორმაშინაარსის გათიშვას.

ჩვენ ეკიდურესი გადახრის წინააღმდეგი ვართ, თორემ სათაურში იდეის გაცხადება სულაც არ არის საძრახისი. გავიხსენოთ „უნიტა“ („ერთობა“), „ფრანს დ'აბირე“ („საფრანგეთი უწინარეს ყოვლისა“) და სხვ.

მეორე ჯგუფის სათაურებში მთავარი ის კი არ არის, თუ რომელი პოზიციებიდან განიხილება მოვლენები, არამედ თვით ეს მოვლენები რა სახისაა, რომელი თემები იწევს წინ. ასეთი სახელწოდებებია: „განათლება,“ „ეკონომისტი,“ „ლიტერატურნაია გაზეტა,“ „მონდ დიპლომატიკი,“ „დერ ჟურნალისტ“ და სხვ.

მეორე ჯგუფის სათაურებით წარმოდგენილ გამოცემებში იგრძნობა პრობლემატიკის ლოკალიზაცია, თემატური შევიწროება. აქედან გამომდინარე აუდიტორიაც შედარებით მცირეა. სამაგიეროდ წინ იწევს სიღრმისეული ანალიზი, დებულებათა მაღალპროფესიული განფენა.

მეორე ჯგუფის სახელწოდებები ნეიტრალურია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამგვარი ნომინაციით არსებული ჟურნალგაზეთების აპოლიტიკურობას.

XX საუკუნის ქართული პრესის შესწავლა უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ პარტიულმა თვალთახედვამ ამ ჯგუფშიაც მძლავრად იჩინა თავი.

როცა დარგის გამაცნობიერებელ სახელწოდებებს ირჩევდნენ, სინტაგმის პირველ ნაწილად იდეურად მკვეთრ ეპითეტს აფიქსირებენ. მაგალითად, „საბჭოთა ხელოვნება,“ „საბჭოთა აგრონომი,“ „საბჭოთა ტროპიკული მედიცინა“ და სხვ.

გეოგრაფიულ-რეგიონალური ნიშნით შერჩეული სახელწოდება („თბილისი“; „მადრიდი“; „საარბრიუკენ ცაიტუნგი“; „ლოსანჯელოს ტაიმსი“ და სხვ.) უწინარესად გამოცემის ადგილსა და აუდიტორიის სადაურობაზე მიგვანიშნებს. აქედან გამომდინარე იკვეთება პრობლემათა რიგი და ინტერესთა სფეროც. ცხადია, იდენტური არ შეიძლება იყოს პარიზელისა და თბილისელის მოთხოვნები თუ მისწრაფებები.

ამგვარი ჟურნალ-გაზეთები უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემებისაკენ იხრებიან, ვიდრე დარგობრივისაკენ.

კომუნისტური მმართველობის ჟამს რეგიონალურ გამოცემებსაც პარტიულობის პრინციპიდან გამომდინარე ურჩევდნენ სახელებს. მაგალითად, სამტრედიის გაზეთს ერქვა „სოციალისტური შეტევისათვის“. ეს სახელწოდება ასეთივე „წარმატებით“ შეიძლებოდა მორგებოდა ზესტაფონის, გურჯაანის თუ წალკის გაზეთებს. იგი ზოგადზე ზოგადია. დაკარგულია ზუსტი მისამართი, ადრესატთა ვინაობა და, აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ თემატიკის სპეციფიკაც.

სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს ყაზბეგის „დარიალი“. სახელწოდება ტევადი და მიმზიდველია. ჯერ ერთი, წარმოაჩენს მხარეს, რომელსაც ემსახურება. მეორეც, მიგვანიშნებს მკვიდრთა ბუნებაზე. დარიალი და მისი შემოგარენი ხომ გამორჩეულია მკაცრი სიმშვენიერე – სილამაზით. ეს ირეკლება კიდეც მოსახლეობის ხასიათში. მესამეც, დარიალი ხშირად იხსენიება ფოლკლორში, ა. ყაზბეგთან და რომანტიკული ბლონდით არის მოცული. ყოველივე ეს სასიამოვნო ასოციაციებისა და ესთეტიკური ტკბობის საბაბ-სათავე ხდება.

ტერმინი ხანური მიგვანიშნებს დროსთან დაკავშირებულ მომენტებზე, გამოცემის პერიოდულობაზე, მაგალითად, „შვიდი დღე,“ „ნედელია,“ „ფრანს სუარი“ და სხვ. ამ მხარის აქცენტირებით გამოცემის თავისთავადობაც იკვეთება.

ცხადია, განსხვავებული უნდა იყოს ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოცემების სახე, პალიტრა. მხედველობაში გვაქვს

არა მხოლოდ ინფორმაციულ-ანალიტიკური მასალების შეფარდებითობა, არამედ თემატიკა, ტექნიკური გაფორმება და ა.შ.

ილანდება სხვა ასპექტებიც, რაც რედაქციის კონკრეტული მიზანდასახულობითა და ეპოქის სპეციფიკითაც აიხსნება. გ. წერეთელმა და მისმა მეგობრებმა ქართულ „პირველ ევროპულ გაზეთს" „დროება" უწოდეს. ამით მიგვანიშნეს, რომ მათი ორგანო დროის მესიტყვე, ცხოვრების რეალისტურად ამსახველი იქნებოდა. ეს კი გულისხმობდა მტკივნეული საკითხებით დაინტერესებას და არსებული ვითარების გადახალისებისათვის ბრძოლას.

როგორც ვხედავთ, ოთხივე ჯგუფის ნომინანტები სხვადასხვაგვარად, მაგრამ არსებითად მაინც გამოცემის პროფილს, შინაარსს უკავშირდება. რამდენადმე განსხვავებულია მეხუთე ციკლის ჟურნალ-გაზეთთა (სარეკლამო — მერკანტილური) სახელწოდებები. მათი მიზანია სათაურითაც ბევრი მკითხველის მიზიდვა და დიდი მატერიალური მოგების მიღება. ამიტომ აქცენტი გადატანილია არა იმდენად სახელწოდება-ტექსტთა ურთიერთობა-ლოგიკაზე, რამდენადაც ნომინაციის უჩვეულობაზე, რაც სენსაციის საფუძველი უნდა გახდეს და, ამდენად, ფართო საზოგადოების შემოკრების საშუალებაც. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს აბსურდულობას. სახელწოდება გარკვეული ასპექტით მაინც გვაცნობს თემა-იდეას. მაგრამ ამოსავალი წერტილი მეხუთე ჯგუფის ჟურნალ-გაზეთების სათაურების შერჩევისას მაინც კომერციული ინტერესებია. ასეთ გამოცემებს მიეკუთვნება: „განწირული გრძნობა," „ქალის საიდუმლო," „კრიმინალური კოშმარი" და სხვ.

ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა იპოლიტ-კარტე ვილმესანმა 1854 წელს დააარსა გაზეთი, რომელსაც „ფიგარო" უწოდა. ეს იყო ძალზე კარგი რეკლამა. ბომარშეს პიესით, ხოლო როსინის და მოცარტის ოპერებით უდიდესი პოპულარობა მოუპოვეს ამ ნიჭიერ მსახურს. მისი სახელის თავფურცელზე გამოჩენა უთუოდ აღვივებს მკითხველის ინტერესს და, საბოლოო ჯამში, გაზეთის გავრცელებას უწყობს ხელს[1].

თანამედროვე ქართულ პრესაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სახელწოდებების შერჩევისას მძლავრობს სარეკლამო ფუნქცია. ეს ტენდენცია ძველის ანტითეზადაც აღიქმება.

[1] Заславский Д., Истоки и пути фельетона, 1931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდების შერჩევაზე დიდ გავლენას ახდენს გამოცემის სახეობა. ტიპი. ცხადია, ერთნაირი ვერ იქნება ლიტერატურული თუ სამეცნიერო ჟურნალების ნომინაციები. პირველი, სიტყვაკაზმული მწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახოვან აზროვნებას ანიჭებს უპირატესობას. ისიც გასათვალისწინებელია, თუ რომელი მიმდინარეობისა და სკოლის წარმომადგენლები არიან დამაარსებლები, როგორია მათი შემოქმედებითი მეთოდი.

რატომ პქვია ქართველ სიმბოლისტთა პირველ ჟურნალს „ცისფერი ყანწები"? ნომინაცია ეფუძნება შეუპირისპირებელი ცნებების შეპირისპირებას. ეს კი ძაბავს ყურადღებას და ზრდის ინტერესს. აქ გამოკრთის სიმბოლისტური აზროვნება.

რაც მთავარია, ამ სახელწოდებაში ჟურნალის დანიშნულებაზე, ხასიათზე არის მინიშნება. ცისფერი რომანტიკოსთა საყვარელი ფერია. იგი ამაღლებულის და უჩვეულოს, საოცნებოს მძაფრად გამოხატვას უწყობს ხელს. ნუ დავივიწყებთ, რომ რომანტიზმსა და სიმბოლიზმს საერთო ფილოსოფიური საყრდენი აქვს.

შემთხვევითი არ არის, რომ პ. იაშვილის „პირველთქმაში" ცისფერი სწორედ ამ დატვირთვით არაერთხელ გაიელვებს „...ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ". „აპა დაკოცნა ჩვენი სახე **„ცისფრად** მორთულმა ბედნიერებამ". „...ვინ გაბედავს და ბინძური ხელით შეეხება ჩვენ **ცისფერ** ქადაგებას". „ჩვენი სახეები გადაკოცნა **ცისფრად** შემოსილმა ბედნიერებამ".

ცისფერის ამგვარად ფიქსირებით ევროპეიზმის აქცენტირებაც ხდება, დასავლეთის მსოფლგანცდის მნიშვნელობა გაიხაზება.

ყანწი ქართული სუფრის ატრიბუტია და მისი წინ წამოწევა ეროვნული ლიტერატურის გადახალისებისათვის ბრძოლას, მისი გაჯანსაღებისაკენ სწრაფვას გულისხმობს. ყანწი თრობის ასოციაციასაც იწვევს. სიმბოლისტური მწერლობა კი ასეთიც უნდა ყოფილიყო.

სხვათა შორის, იგივე აზრი ჩაქსოვილია ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილ ტ. ტაბიძის ლექსშიც:

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვა-ზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავ-ილებს".[1]

---

[1] „ცისფერი ყანწები." 1916, №1, გვ.20.

ტ. ტაბიძემ ღრმად და ორიგინალურად გაიაზრა ხსენებული ნომინაცია. იგი ქართველთა ბუნებას, მსოფლმხედველობას დაუკავშირა, ეროვნული ხელოვნების აყვავებას შეუწყვილა. „ცისფერი ყანწები“ შეეძლო გერბად აელო მთელ ქართულ ხელოვნებას. ეს სიტყვები სიმბოლიურად აღნიშნავენ ჭეშმარიტ, ქართულ მსოფლმხედველობას. „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა. ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის, ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნაძველ ქვეყანაზე. ფილოსოფიურმა იდეალიზმმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს არ გაყრილან... შეიძლება იმიტომ, რომ ქრისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდე... ჩვენში უკვე შერიგდენ სული და ხორცი და ეს არის მესამე აღქმა, ახალი სულის აღქმა“[1].

როგორც ვხედავთ, „ცისფერი ყანწები“ არცთუ იოლად ამოსაცნობი ნომინაციაა. იგი გაცილებით შებურვილი, ქვეტექსტების შემცველი სახელწოდებაა, ვიდრე ქართველ სიმბოლისტთა მეორე ჟურნალის სათაური - „შვილდოსანი.“

ამ სათაურის გააზრებაში გვეხმარება ჟურნალის საპროგრამო წერილი „დაისრული სებასტიანე,“ რომელიც ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის. „შვილდოსნის“ ისრები არ იქნება მიმართული მარტო ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებზე. დღეს თვითონ პოეზია, როგორც წმინდა სებასტიანე, უნდა დაიცხრილოს ისრებით“[2].

ეს არის მოვლენებისადმი კრიტიკული მიდგომის მოთხოვნა, ბრძოლისა და განახლებისაკენ მოწოდება.

სახელწოდების – „ცისფერი ყანწების“ - გაშიფრვისას ჩვენ ხაზი გავუსვით ათიანი წლების ქართულ მწერლობაში წამოჭრილ ერთ საკითხს – აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული ჯაჭვის აუცილებლობას.

ამ ტენდენციას მხარს უჭერს გრ. რობაქიძეც. ეს მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოყვანილი მსჯელობიდანაც.

1917 წელს ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ალმანახი „ლეილა“. როგორც გრ. რობაქიძე შენიშნავს, „მგონი, პირ-

---

[1] „ცისფერი ყანწები,“ 1916. № 2, გვ. 62-63.

[2] „შვილდოსანი.“ 1920, № 1, გვ. 14.

ველად დაერქვა ჟურნალს ქალის სახელი. „ლეილა — აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს, ეს ჟურნალი, რომ ამ სახელით მოუნათლავს"[1].

გრ. რობაქიძე მოხიბლულია სახელწოდებით, რადგან იგი საფუძვლიანი ქვეტექსტების შემცველია და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევას ესაფუძვლება.

როგორ უნდა განვითარდეს ქართული მწერლობა - დასავლეთის თუ აღმოსავლეთის რადიუსით? ეს საკითხი დიახაც აღელვებდა ჩვენი მწერლობის თავკაცებს.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუცქერით აზიას და ამიტომ ჩაქრა შემოქმედებითი ცეცხლი; მიმბაძველობამ დაგვასნეულა. აუცილებელია აღმოსავლეთს აზიის მთებიდან გადავხედოთ. ახალი თაობა აზიის შარავზას უნდა დაადგეს.

აქედან გამომდინარე გაბედულად ისერის ლოზუნგს: წინსვლისთვის უკან აზიისაკენ!

ახლა მოვუსმინოთ აკაკი პაპავას: ქართული პოეზია შორდება აღმოსავლეთის კოლორიტს, მაგრამ ვერ ეთვისება დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებას.

გრ. რობაქიძის აზრით, სამამულო მწერლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზს უნდა ესწრაფვოდეს და ამ სინთეზით უნდა გამოიკვეთოს ორიგინალური ხაზი. ქართული ხელოვნება უნდა იყოს თავისთავადი, მაგრამ არა ჩაკეტილი, პროვინციალური, არამედ მსოფლიო მიღწევების გამთავისებელი და მასშტაბური.

დიდი მოაზროვნე შენიშნავს, რომ ეს ტენდენცია თავს იჩენს „ვეფხისტყაოსანში". „აბა დააკვირდით რუსთაველს, განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსის გაქანებისა"[2].

ერთი რამ აშკარაა — აზიისაკენ ლტოლვა მძაფრად გამოვლინდა და „ლეილასაც" ამ საქმის სამსახური დაეკისრა.

გრ. რობაქიძემ კარგად გაშიფრა ჟურნალის სახელწოდება. „დიდია აღმოსავლეთი: მწვავე და ნელია მისი ცხელი შუადღე,

---

[1] „ლეილა," 1917, № 1, გვ. 3.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მზის ნადიმზე ოქროს ნაკადულში ლურჯთვალა ქალწული იბადება; ღრმა და მყუდროა მისი შუაღამე, როცა ცის ლურჯ ფსკერზე უძირო საიდუმლონი ბრილიანტობენ.

საოცარია აღმოსავლეთი: მარტო ინდოეთი და სპარსეთი რაღ ღირს! უშრეტი გონი ინდოეთის, ნათელს ნირვანაში გაალებული; თვალის მჭრელი სალიჩა სპარსეთის სიზმრების, საიდუმლო პაიშით ზმანებული!

საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ.

„ლეილამ" სწორეთ აღმოსავლეთის ფიქრმორეული გულ-ნება უნდა გადაგვიშალოს. მან თავისი ლამაზი ტანით აღმოსავლეთის ტემპერამენტი უნდა ავნებოს მთელი მისი ხალისით...

გარნა: არც თუ ევროპას დაივიწყებს ქალწული „ლეილა": მრავალი სატეხნიკო შეძენა ხელოვნებაში მოგვცა ევროპამ. ჩვენც მათ გამოვიყენებთ, როგორც ინსტრუმენტებს, - ხოლო მათ აღმოსავლური პანგებით ავამეტყველებთ... აღმოსავლეთის მზის ცხელ ნადიმზე ლურჯთვალა ქალწული იბადება თმაოქროვანი: „ლეილა" – დატკბით მისი სილამაზით"[1].

აქ გამოთქმული მოსაზრება არ შეიძლება გავიგოთ ფორმა-შინაარსის განცალკევებად, სესხების მოთხოვნად; რომ თითქოს ევროპული მწერლობიდან მხოლოდ ტექნიკური საშუალებები, მხატვრული ხერხები უნდა გადმოვიღოთ, ხოლო აღმოსავლეთიდან ნაწარმოების არსის განმსაზღვრელი გზნება და გული.

დიდი ესთეტი და ლიტერატურათმცოდნე ფორმა-შინაარსის ერთიანობას, ურთიერთგანპირობებულობას ცნობს და კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ მხარეებზე ყურადღების გამახვილება პრობლემის გამძაფრების მიზნით ხდება.

გრ. რობაქიძის „ლეილა," რომლითაც იხსნება ჟურნალის პირველი ნომერი, ორიგინალურ საპროგრამო წერილად გვესახება.

ამჯერად ჩვენი ამოცანა არაა იმის გარკვევა, თუ რამდენად გამართლებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის მოთხოვნა და რატომ განიცადა ამ თეორიამ კრახი. ჩვენთვის გრ. რო-

---

[1] „ლეილა," 1917. № 1, გვ. 3.

ბაქიძის მსჯელობა საყურადღებოა, როგორც მართებული მოთხოვნა: სახელწოდების შერჩევისას გათვალისწინებული იქნეს ჟურნალის მიმართულება და ხასიათი. სათაური მხოლოდ მაორგანიზებელ-საორიენტაციო ფუნქციით კი არ უნდა გამოირჩეოდეს, არამედ პატრუქის როლსაც ასრულებდეს, მასალათა კონტურების დანახვაში უნდა გვშველოდეს.

ცხადია, პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები.

მეცნიერება ჭეშმარიტების დადგენას ისახავს მიზნად. იგი ცნებებით აზროვნებას ეყრდნობა და ეს გარემოება პერიოდულ გამოცემათა სათაურებშიაც ირეკლება, მაგ. „მეცნიერება და ტექნიკა,“ „ვოპროსი ფილოსოფიი,“ „მაცნე“. ამ შემთხვევაში გამოირიცხება იდეის შეფარვით მოწოდება და ქვეტექსტების გაბატონება.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ სახელწოდების შერჩევისას ანგარიშგასაწევია გაზეთთან გვაქვს საქმე თუ ჟურნალთან. სამწუხაროდ, ეს გარემოება ხშირად უგულებელყოფილია.

კარგი სათაური რამდენიმე განშტოებით მოქმედებს. იგი არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ ქღერადობითაც მიმზიდველი უნდა იყოს. ამიტომაც ჭირს მათი შერჩევა. საბოლოო ვარიანტის დადგენა არცთუ იშვიათად ცხარე კამათისა და აზრთა შეხლა-შემოხლას იწვევს.

ხდება ისიც, რომ ხანგრძლივი და დაძაბული ძიება უშედეგოდ მთავრდება, ხოლო შემთხვევით წამოსროლილი სიტყვა ან უბნობისას აქცენტირებული გამოთქმა გასაღების როლს ასრულებს, ზოგჯერ კი სახელწოდებად იქცევა.

ცხადია, ამას ვერ მივიჩნევთ ხელის ჩაქნევიდან მომდინარე აქტად – „სულ ერთია.“ პირუკუ, ამ შემთხვევაში თავს იჩენს ჩანაფიქრისათვის ლოგიკური ფორმის უეცრად აღმოჩენის „ტრანსცენდენტური კანონი.“

„შანსის“ რედაქტორი ბონდო ქურდაძე იგონებს: „...კონკურსი გამოვაცხადეთ: პრემია 1000 მანეთი ერგებოდა მას, ვინც ყველაზე კარგ დასახელებას შემოგვთავაზებდა. შემდეგ ბუღალტერმა აზრი შემაცვლევინა. ჯერ არ გამოვსულვართ, ამხელა თანხა როგორ უნდა გადავიხადოთო. მოკლედ ას მანეთზე ჩამოვედით. განვიხილეთ 150 ვარიანტი. არც ერთი არ მოგვეწონა. ბუღალტერმა თქვა:

დღეს შანსი აღარ არის, ამ საქმეს არ მოევლება, სახლში წავიდეთ. უცებ დავიჭირე ეს წინადადება – „შანსი“ და ძალიან მოგეწონა. ის ასი მანეთი ბუღალტერს მივეცი და იქვე დავხარჯეთ“[1].

ახლა გავიხსენოთ „კროკოდილის“ ისტორია.

სამი დღე გვიანობამდე ისხდნენ სატირიკოსები პაპიროსის კვამლით გაბურულ ოთახში. ეძებდნენ, ჩხრეკდნენ, მაგრამ სასურველ სახელწოდებას მაინც ვერ პოულობდნენ. მეოთხე დღეს დაღლილ-გაწამებულებმა გვიან ღამით დატოვეს „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქცია. უდროოდ გაღვიძებულმა დარაჯმა ბუზღუნი დაიწყო და ქუჩაში გასულით საყვედურით მიაძახა „Эх вы, крокодилы.“

აი, საუკეთესო სახელწოდება, თქვეს სატირიკოსებმა და ჟურნალს „კროკოდილი“ დაარქვეს[2].

ამრიგად, პერიოდულ გამოცემათა სათაურების შერჩევა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. მთავარია დაიძებნოს ოქროს კვეთი, რომელიც ზოგადსა და კონკრეტულს შორის გადის, რომელიც აუდიტორიას და რედაქციას აერთიანებს.

სახელწოდება არაერთი ასპექტით იმსახურებს ყურადღებას. ჩვენ შევეცადეთ დისკრიპციული თვალსაზრისით წარმოგვეჩინა პრობლემა და გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა მასზე.

[1] გაზ. „დრონი“ 1999, № 48.
[2] Риклин Г., Какие носы сейчас в моде? 1964. стр. 6.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

ირინა ბიჭიკაშვილი

ცოტაოდენი რამ რეკლამაზე

რეკლამას ეძღვნება სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელთა მრავალი გამოკვლევა. თითოეული მისთვის საინტერესო კუთხით სწავლობს ამ ფენომენს, მაგრამ რაც მთავარია, ყველა ერთხმად აღიარებს მის მთავარ თვისებას – მჭიდრო კავშირს ეკონომიკასთან, საბაზრო სტრუქტურების სისტემასთან. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმის მიჩქმალვას, რომ რეკლამას უდიდესი როლი ეკისრება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში, რომ თვალსაჩინო გავლენას ახდენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე.

რეკლამის მკვლევარები ესწრაფვოდნენ უნივერსალური ფორმულის მოძებნას, რომელიც განსაზღვრავდა მის არსს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, რადგან რეკლამა სწრაფად იცვლის აქცენტებს, ესადაგება ცხოვრების მოთხოვნებს.

რეკლამაზე მსჯელობს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი. ნებისმიერი განათლების მქონე, ჩვეულებრივ განსწავლულიც კი. ეს გამოწვეულია საგნის მოჩვენებითი სიმარტივით, მისი ხელმისაწვდომობით, თვალსაჩინოებით.

რეკლამის შესახებ მრავალი მონაცემი არსებობს და სტუდენტის ამოცანაა, ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება საგნის შესახებ. გააცნობიეროს მთავარი, გაიგოს მოვლენის არსი.

პატარა სტატიას არ ძალუძს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, იგი მხოლოდ გააძლიერებს რეკლამისადმი ინტერესს და ბიძგს მისცემს საკუთარი დასკვნების გამოსატანად.

რეკლამისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა ნაშრომის ავტორი თავს ვალდებულად თვლის გაიხსენოს ეგვიპტე, მემფისის ქვის განცხადებები, ძველი საბერძნეთი მისი მაცნეებით. ზოგიერთი უფ-

რო შორს მიდის და ყურადღებას ამახვილებს პირველყოფილი ადამიანის კედლის ნახატებზე.

შესაძლებელია ეს ექსკურსები ზედმეტი არ იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, „სარეკლამო დროის“ ათვლა უნდა დავიწყოთ იმ მომენტიდან, როცა წარმოიშვა **იდეის** გავრცელების საჭიროება საბეჭდი დაზგის მეოხებით. ე.ი. რეკლამის ისტორია უნდა დავუკავშიროთ საკომუნიკაციო კავშირების განვითარებას. მისი აუცილებლობა განპირობებული იყო როგორც ეკონომიკური პროგრესით, ასევე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცებით.

საკომუნიკაციო კავშირები (ინფორმაციის შერჩევა, შეგროვება, გავრცელება) იქმნებოდა იმ ძალისხმევის წყალობით, რომელიც შეიძლება შევადაროთ სარეკლამო აგენტთა ძალისხმევას, რომელთაც ზუსტად იციან, ვინ რა ინფორმაციას საჭიროებს, რატომ საჭიროებს და რა მოჰყვება მის გავრცელებას.

საბეჭდი დაზგის გამოგონებამდე არსებობდა სარეკლამო საშუალებათა რამდენიმე სახე: სავაჭრო მარკები და ნიშნები, მაცნეთა მოწოდებები, თეატრალური წარმოდგენები და ა.შ. ისინი ატარებდნენ შეტყობინებით-ინფორმაციულ ხასიათს, ხელს უწყობდნენ სავაჭრო ოპერაციათა შესრულებას, კისრულობდნენ კულტურულესთეტიკური ამოცანების გადაწყვეტას. მაგრამ ყოველივე ამას მაინც არ ჰქონდა რეკლამის მთავარი მამოძრავებელი ფუნქცია – გადმობირების. ამ ნიშან-თვისებას იგი იძენს მხოლოდ მყარი საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ.

ამიტომ რეკლამის ისტორიაზე საუბრისას უნდა გავმიჯნოთ ორი პერიოდი: სარეკლამო მოქმედებათა და სარეკლამო იდეათა.

სარეკლამო იდეა ყოველთვის კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ეს მიზანი ან ეკონომიკური, ან პოლიტიკურია. თანამედროვე მსოფლიოში ეს ორი სიბრტყე ძალიან ხშირად განუყრელია (ლაპარაკია კაპიტალისა და ძალაუფლების ბანალურ შეზრდაზე).

სწორედ „იდეური“ დატვირთვა სარეკლამო საქმიანობისა, მისი მიზანმიმართული პოლიტიკა წარმოაჩენს სერიოზულ სარეკლამო სააგენტოს მასმედიის ნაწილად, აყენებს მას გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის და გამომცემლობების გვერდით, რომელთა მთავარი ამოცანა არა იმდენად ინფორმირება-გართობაა, რამდენადაც მართვა, საზოგადოების გადაბირება, გამოცემის მთავარ იდეათა მომხრედ აღზრდაა.

რეკლამის მრავალრიცხოვანი განმარტებებიდან საინტერესოა იტალიელი მეცნიერის დ. ბუზის განსაზღვრება: „რეკლამა წარმოადგენს შთაგონებაზე დაფუძნებულ ისეთ მიმართვას, რომლის დახმარებით ნებისმიერი ორგანიზაცია – საზოგადოებრივი და კერძო – ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ადამიანებზე საქონლის ყიდვისას ან მომსახურებისას. ამგვარად, ეს მიმართვა იძენს ფართო მასშტაბს: იგი ისწრაფვის აზრისა და ქცევის შეცვლისაკენ, რითაც იცავს იდეოლოგიურ ინტერესებს"[1].

იტალიელი მკვლევარის, ა. მენეგეტის სიტყვებით: „რეკლამა მომაბეზრებელ-პოზიტიური ფაქტია. იგი ხელს უწყობს ადამიანების, კულტურების დაკავშირებას, ანგრევს ცრურწმენას, აახლოებს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას. სადაც არ უნდა შეხვდეს ერთმანეთს ორი ახალგაზრდა ისინი ერთმანეთს ეცნობიან ფეხსაცმლის, წინდების, ყელსახვევის საერთო სტილის გააზრების გზით. ამ ნეო-კოდმა, რომლითაც დანიშნულია ახალგაზრდობა და რომელსაც ხელს უწყობს რეკლამა, გამოიწვია დედამიწის მასშტაბების გადაფასება"[2].

არ შეიძლება არ გავიზიაროთ რეკლამის დადებითი მხარეების ასეთი დახვეწილი განსაზღვრება. მეტიც, არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი წარმოების ეფექტურობას გაზრდის, საქონლის მიმოქცევისა და მისი მოხმარების უდიდესი სტიმულია. ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ რეკლამას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, იგი ზეგავლენას ახდენს კულტურის დონეზე, ხელს უწყობს მოზარდს გემოვნების დახვეწაში – ესთეტიკურ ამაღლებაში.

მაგრამ ყოველივე ამას არასასურველი ფაქტორებიც ახლავს. ადამიანის გემოვნებაზე, მიდრეკილებებზე, ტრადიციულ აღქმებზე ზეგავლენის პროცესი მიმდინარეობს მის ფსიქიკაზე ზეწოლის თანხლებით. ფსიქიკა არის პიროვნების ადაპტაციის ინსტრუმენტი ცხოვრების ცვალებადი პირობებისადმი. ადამიანის ქცევას კარნახობს არა კონკრეტული სიტუაცია, არამედ ის, თუ როგორ აღიქმება იგი ცნობიერების მიერ. ამიტომ, სწორედ ცნობიერებაა პიროვნების მთავარი ფასეულობა, მისი ხელშეუხებელი საკუთრება.

---

[1] წიგნიდან „Психология бизнеса." Минск, 1998. стр. 22
[2] წიგნიდან „Система и личность," М., 1996. стр. 55

მასზე მეტევის უფლება არავის აქვს. ამასთანავე სარეკლამო პრო-დუქციის მაღალი ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია მომხმარებლის ცნობიერებაზე ზეწოლის გარეშე.

ყველაზე წარმატებით სწორედ სარეკლამო ბიზნესმა (თუ არ ჩავთვლით სამხედრო უწყებებს) შეიმუშავა ახალი ტექნოლოგიები ადამიანის ცნობიერებაზე ეფექტური ზემოქმედებისათვის.

მეცნიერთა დაკვირვებით, რეკლამის ბიზნესმენებმა ჩამოაყალიბეს ფსიქოლოგიური ინსტრუმენტარიუმის საკუთარი ინდუსტრია, რომლის გამოყენებითაც შეიძლება ამა თუ იმ საქონლის გამოშვების გაზრდა, ფასეულობათა განსაზღვრული სკალის ფორმირება, რომელშიც ადგილი არ რჩება მრავალი მარადიული ჭეშმარიტებისათვის.

დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ფსიქოლოგიური ზემოქმედების თანმიმდევრობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფორმულა AIDA:

A – ყურადღება (attention)

I – ინტერესი (interest)

D – სურვილი (desire)

A – აქტივობა (activity)[1]

ამ ფორმულაში ზოგი კიდევ ერთ ელემენტს რთავს – M - მოტივი. მოცემული ფორმულის ბაზისია ბიჰევიორისტული თეორიის მოდელი, რომლის თანახმად, ადამიანი არის რეფლექტორული, პასიური არსება. მისი შეხება ინფორმაციასთან სამგვარია: განმანათლებლური (კოგნიტიური), ემოციურ-ასოციაციური (აფექტური) და შემოქმედებითი (კონატიური). ამათგან ერთ-ერთის გაძლიერებით ან შესუსტებით ბევრის მიღწევაა შესაძლებელი. ამავე დროს არსებითია არა ის, თუ რას ფიქრობს პიროვნება, არამედ რას აკეთებს, როგორ იქცევა, რატომ იქცევა ასე, რა მოტივები ამოძრავებს. ყოველივე ამის განსაზღვრის შემდეგ

[1] ფსიქოლოგიური ზემოქმედების დონეთა მოცემული კლასიფიკაცია დაფიქსირებულია ვ. შაზიკინის წიგნში „Психология в рекламе" (М., 1992). ზოგიერთი ავტორი ეტაპებს D და A[2] განმარტავს როგორც dream (ოცნება) და action (მოქმედება). მოსკოვში გამოცემული წიგნის „Загадка чарующего образа" (1994) ავტორი კ. სტრელნიკოვი მიუთითებს ფორმულის AIDA განსხვავებულ მოდიფიკაციებზე. ეს ბიჰევიორისტული მოდელი ემყარება არაცნობიერების (იდ), ცნობიერის (ეგო) და მართვადის (სუპერ-ეგო) ერთობას (ტრიადას).

შეიძლება ღირებული შტამპების შექმნა, რომელთა დახმარებით ადვილია რაციონალური შეფასებისათვის გვერდის ახვევა (გამოუყენებლობა).

ამ და მსგავს თეორიათა თანახმად ადამიანი რაღაცას სწავლობს მხოლოდ სტერეოტიპული ფრაზების ხშირი განმეორებისა და ერთი და იგივე სახეებისადმი თვალის მიპყრობით, იგი საჭიროებს პროგრამირებას, მეგზურს.

მსგავსი თეორიების რეკომენდაციების აქტიური გამოყენებით სარეკლამო ინდუსტრია იქცევა სოციალურ ნარკოტიკად, რომელიც უქმნის ადამიანს ილუზიებს, ლეკავს თვით პიროვნებას, მის ადაპტაციურ სოციოიმუნიტეტს.

დასავლეთში მრავალი სპეციალისტი დიდი ხანია ლაპარაკობს სარეკლამო-ტოტალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ჯერ კიდევ ინილბება დემოკრატიული ინსტიტუტებით (კანონი ბეჭვდითი სიტყვის შესახებ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება და ა.შ.).

დღეს საქართველომაც ფართოდ გაუღო კარი ამ ჯადოსნურ მოვლენას – რეკლამას. გავრცელებული ფრაზა – „რეკლამა ვაჭრობის ძრავაა" – აღიქმება როგორც ეკონომიკური რეფორმების აუცილებელი ატრიბუტი. რეკლამის არსსა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ყველა პუბლიკაცია არ გადის ამ მოვლენის პოზიტიური თვისებების ფარგლებს გარეთ. 1998 წელს გამოსული ბროშურა „რეკლამა საქართველოში" შეიცავს მონაცემებს სარეკლამო ბიზნესის განვითარებაზე, სარეკლამო სააგენტოების სპეციფიკაზე. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული ბროშურა ატარებს ცნობარის სახეს, მაგრამ მისი ერთ-ერთი ავტორი მ. ბასილაძე ცდილობს განსაზღვროს რეკლამის განვითარების თავისებურებები საქართველოში. მისი დაკვირვებები ჭეშმარიტად საინტერესოა. მაგალითად, მ. ბასილაძე ამტკიცებს, რომ სარეკლამო სპეციალისტები ფეხზე დადგნენ რეკლამის ყველაზე აქტიური თავისებურების – სავაჭრო საქმიანობის სტიმულირების გამოყენებით. თუ ყველგან სიუხვე, კონკურენცია აღვიძებს სარეკლამო ბიზნესს, ჩვენთან პირიქით – რეკლამამ შეუწყო ხელი ბიზნესის გამოცოცხლებას. ავტორის სიტყვებით, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მწარმოებელთა კლასი მიზერული

იყო. რეკლამისტებმა გაალღვიძეს მათში აზარტი, შესთავაზეს რა თავიანთი საქმიანობა შეეკაზმათ შესაბამისი რეკლამით.

ბიზნესმენებისათვის რეკლამა ეგზოტიკური ხილი იყო, ამიტომ სააგენტოების მუშაკები მათთან გარიგებისას რისკავდნენ თავისი რეპუტაციითა და მოგების მიღების შესაძლებლობებით. ამჟამინდელი მწარმოებლები ეთანხმებიან რეკლამის აუცილებლობას. მისი დიდი მნიშვნელობა გააზრებულია, ამიტომ მრავალრიცხოვან სააგენტოებს შორის მიმდინარეობს მკაცრი კონკურენცია კლიენტების ხელში ჩასაგდებად. ე.წ. სახელოვანი ფირმები არ დაითმობენ არც ერთ კლიენტს, ამიტომ, მ. ბასილაძის აზრით, შესაძლებელია ვარიანტი, როცა სააგენტოსათვის უფრო უსაფრთხოა დამოუკიდებლობის დაკარგვა და ამა თუ იმ ფირმასთან შერწყმა, ვიდრე კონკურენტული ბრძოლის წარმოება.

ავტორი მიუთითებს საქართველოს სარეკლამო ბაზრის სუსტ მხარეებს, მათ შორისაა:

ა) წარმოების დაბალი დონე (განვითარდება ბიზნესი - განვითარდება რეკლამა);

ბ) ქართველ ბიზნესმენებს არ გააჩნიათ სახსრები ფართო სარეკლამო კამპანიების გასამართავად, ამიტომ მხოლოდ ეპიზოდურ აქციებზე ამახვილებენ ყურადღებას;

გ) დაბალია თვით სარეკლამო სააგენტოთა მუშაკების პროფესიული დონე; თავის სამუშაოს სააგენტოებში ისინი განიხილავენ არა როგორც პროფესიულ დასაქმებულობას, არამედ როგორც შუალედურ ეტაპს „ნამდვილი“ სამსახურის პოვნამდე.

ამის მიზეზებს ავტორი ხედავს საქართველოს ეკონომიკურ დაცემაში, უმუშევრობა აიძულებს პიროვნებას ხელი მოჰკიდოს ნებისმიერ საქმეს. გარკვეულ როლს ასრულებს ინფორმაციული ვაკუუმიც. არ არის სპეციალური სასწავლო სარეკლამო კურსები. არ ტარდება სემინარები, რომლებზედაც მოხდებოდა პრაქტიკოსების მიერ დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. სააგენტოთა უმრავლესობას არ აქვს სარეკლამო კამპანიების ჩატარების სტრატეგიული გეგმებიც კი, რაც უთუოდ ნონსენსია. ყველა მინუსის მიუხედავად, სარეკლამო წარმოება უსწრებს საქონლის წარმოებას. რატომ? იმიტომ, რომ შემკვეთები უცხოური კომპანიები არიან, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ჩვენთან ასაღებენ.

მათ კი ნამდვილად იციან რეკლამის ფასი და მის ფინანსირებაშიც შედარებით უხვნი არიან.

ზოგჯერ უცილობასაც კი შეუძლია კარგი სამსახურის გაწევა. ქართველი კლიპმეიკერები, რომლებსაც აქვთ თეორიული ცოდნა, ეყრდნობიან რა ნაციონალურ, თვითმყობად გემოვნებასა და ინტუიციას, ჰქმნიან მაყურებლისათვის სასიამოვნო პროდუქციას, რომელიც სცილდება საევჭრო პროპაგანდის ფარგლებს.

რეკლამა ვერ იარსებებს ბიზნესთან მჭიდრო კავშირის გარეშე, მაგრამ ბიზნესმენებიც საჭიროებენ მას. მ. ბასილაძის აზრით, სარეკლამო სააგენტოებისადმი სრული ნდობისაგან ქართველ მწარმოებლებს გარკვეული ბარიერი აკავებს. ეს ბარიერია არაორგანიზებულობა. ქართულ სააგენტოთა უმრავლესობა ასრულებს ერთჯერად შეკვეთებს. მათ არ აქვთ გრძელვადიანი სტრატეგია. სერიოზულ დასავლურ სააგენტოებში კლიენტს აკავშირებენ მენეჯერთან, რომელიც პასუხს აგებს რეკლამის ხარისხსა და ქმედითობაზე. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს კლიენტთან, შეისწავლის მას როგორც პიროვნებას, ეცნობა წარმოებას მთლიანობაში, ასეთი ყოველმხრივი ცოდნის მიღება უწყობს ხელს საქონლის გაყიდვის სტრატეგიის შემუშავებას, ტექნიკურ სვლათა განსაზღვრას.

ბრიტურის ავტორთა აზრით (ისინი მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობოდნენ) საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია სატელევიზიო რეკლამა, სწორედ მას ანიჭებენ უპირატესობას ბიზნესმენები. 1998 წლისათვის საქართველოში მოქმედი ორმოცი სარეკლამო ბიუროდან უმრავლესობა ან თვითონ წარმოადგენს ტელესააგენტოს, ან თანამშრომლობს ტელევიზიასთან.

მთელ მსოფლიოში კი პრიორიტეტები რეკლამის განთავსების დარგში ეკუთვნის ბეჭდვით მასობრივ კომუნიკაციათა სისტემას.

რეკლამის მოსკოველი მკვლევარის მ. ვალოვაიას წიგნში „Азы древнейшего ремесла или 13 бесед о рекламе и маркетинге" მოცემულია სარეკლამო ხარჯების პროცენტებში დანაწილების ტაბულა დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს შორის.

ქვეყნები	TV	პრესა	რადიო	სხვა
საფრანგეთი	25	51	11	13
გერმანია	13	78	5	4
იტალია	47	44,2	3,6	5,2
ესპანეთი	32,8	57,4	8,4	3,4
დიდი ბრიტანეთი	31	62,8	2	5,4
ჰოლანდია	13,6	73,6	1,8	11
დანია	7,7	87,1	1,7	3,3
ნორვეგია	1,5	94,38	0,8	3,4
ფინეთი	11	85	2	2
შვედეთი	–	95,7	–	4,3

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველა ქვეყანა, გარდა ესპანეთისა, უპირატესობას ანიჭებს საგაზეთო რეკლამას, შვედეთში კი იგი სრულიად პრიორიტეტულია.

გაზეთი რეკლამის მძლავრი საშუალებაა. ტექსტს გააჩნია მაგიური ზემოქმედების ძალა, იგი ატარებს უტყუარობის იერს.

„რეკლამის ძირითადი შემადგენელი ელემენტები პრესაში დაყვანილია სათაურამდე, ილუსტრაციასა და ტექსტამდე. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს კომპონირებას, სარეკლამო განცხადების ზომასა და მაკეტს, შრიფტის სიდიდე-მოხაზულობას“[1] – ასე თვლის, ამერიკელი რეკლამისტი დევიდ ოგილვი და გვირჩევს არ უგულებელვყოთ გაზეთები, რადგან ისინი გამოირჩევიან ხელმისაწვდომობით, ოპერატიულობით, მასობრიობით და, რაც მთავარია, ტექსტის ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობებით.

რეკლამის მეტრის დ. ოგილვის სიტყვებით, ახლოვდება ახალი რენესანსის დრო სარეკლამო ბიზნესში. ისტორიას ჩაბარდება სარეკლამო ფარები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აუშნოვებენ კიდეც ქალაქს, გაიაფდება და უფრო ხელმისაწვდომი გახდება სატელევიზიო რეკლამა, კიდევ უფრო დაიხვეწება სარეკლამო ხელოვნება გაზეთში.

ოგილვის დონის ოსტატებს, რომლებიც ქმნიან ტექსტებს, სლოგანებს, დევიზებს, და რომელთა ნამუშევრები მხატვრული

[1] Тайны рекламного двора. Дэвид Огилви и другие о рекламе, М., 1999

ნაწარმოების სიმაღლეს აღწევენ, უფლება აქვთ რეკლამას მრავალჟამიერი უსურვონ. სახელგანთქმულ რეკლამისტთა საპატიო სიაში, რომელიც ინახება სარეკლამო ბიზნესის მუშაკთა ღირსების დარბაზში (დაფუძნებულია 1950 წ. აშშ-ში), ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩაიწერა მხოლოდ 82 გვარი...

ოსტატურად შექმნილი, კეთილსინდისიერი რეკლამა მართლაც არის ვაჭრობის ძრავა, კომუნიკაციის საშუალება, მიწიერი ცივილიზაციის ელემენტი. მის გარეშე, ვ. მაიაკოვსკის თქმით, „წინ ვერ იწევს ვერც ერთი თუნდაც ყველაზე მართალი საქმე". „რეკლამა ნივთის სახელია. იფიქრეთ რეკლამაზე," – გვირჩევს პოეტი.

ყური დავუგდოთ კლასიკოსის რჩევას: ვიფიქროთ რეკლამაზე, იგი ამას იმსახურებს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

მაია ნადარეიშვილი

სათაურის სამი სახე თანამედროვე ამერიკულ პრესაში

პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიციურ ქსოვილში უმნიშვნელოვანესია სათაურის როლი. იგი ნაწარმოების მთლიანობას, მის დასრულებულ სახეს განაპირობებს. სათაურის შექმნისას ჟურნალისტის ამოცანაა მცირე რაოდენობის სიტყვებით ნაწარმოების მთავარი იდეისა და მიზანდასახულობის გადმოცემა.

ჟურნალებსა და გაზეთებში სხვადასხვა სახის სათაურს ვხვდებით. სპეციალისტები, ძირითადად გამოჰყოფენ: რუბრიკას, ქუდს, საკუთრივ სათაურსა და ქვესათაურს (1.471, 2.307, 3.106, 6.115.). პირველ ორ სახეზე საუბარი ამჯერად არ გვექნება, მათივე დანიშნულებიდან გამომდინარე. ქუდი და რუბრიკა ტექსტთან უშუალო, მჭიდრო კავშირში არაა. ისინი პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიციურ ელემენტებად ნაკლებად ჩაითვლება იმის გამოც, რომ მათ გარეშე ჟურნალისტური მასალის მთლიანობა არ ირღვევა და ნაწარმოები არც არსებითს კარგავს. ამ მოსაზრების გამო წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ მხოლოდ საკუთრივ სათაურის რამდენიმე ასპექტს.

პრესაში გამოქვეყნებულ თითქმის ყველა პუბლიკაციას საკუთარი სათაური აქვს. გამონაკლისია ქრონიკა, რომელიც მცირე ზომისაა. ჩვეულებრივ, ამ ქვესახის რამდენიმე მასალას ქუდის ან რუბრიკის ქვეშ აერთიანებენ და ისე ბეჭდავენ. სათაურს უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მან უნდა აღძრას მკითხველს ტექსტის წაკითხვის სურვილი. ზოგჯერ უნარიანად შერჩეული სათაური საკმაოდ ულიმღამო ანდა ნაკლებად საინტერესო შინაარსის პუბლიკაციასაც წააკითხებს აუდიტორიას მაშინ, როცა

იქვე შეთავაზებული მნიშვნელოვანი ამბავი ტრაფარეტული სათაურის გამო შეუმჩნეველი დარჩება.

ამერიკელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ: „სათაურების დანიშნულებაა მკითხველის ყურადღება მიიპყროს და ინტერესი აღძრას გაზეთის ჩათვალიერებისას. სათაური სიმბოლურად აჯამებს სტატიის არსს ორიოდე სიტყვით. იგი მკითხველს ეხმარება გამოიცნოს პუბლიკაციის საგანი და მისი მთავარი იდეა ან თვალსაზრისი. სათაური ეხმარება მკითხველს გაზეთის მაქსიმალურად ათვისებაში" (7.4)

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტიკის დასავლეთელი თეორეტიკოსების მიერ სათაურისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები სავსებით ემთხვევა ქართველ და რუს მეცნიერთა მოსაზრებებს. შესაბამისად, ტერმინის – „headline" (საგაზეთო-საჟურნალო სათაური) განმარტებად გამოდგება ნ. გ. ბოგდანოვისა და ბ. ა. ვიაზემსკის დებულება: „სათაური მასალის არსის, მთავარი იდეის უკიდურესად შეკუმშული და მოხდენილი გამოხატულებაა" (1.471).

ამერიკელ მეცნიერთა უმრავლესობა ჟურნალისტიკის თეორიაში სათაურის სამ ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს: 1. პირდაპირი, 2. სიტყვათა თამაშზე აგებული, 3. მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული (7.4). ისინი არაფერს ამბობენ დაყოფის კრიტერიუმზე. ვფიქრობთ, რომ დასავლეთელ მეცნიერებს მოცემული სახეების გამოყოფისას პრინციპად შემოთავაზებული აქვთ სათაურში ტენდენციის გამჟღავნების ფორმების განსხვავებულობა. სწორედ ამის გათვალისწინებით წარვმართეთ კვლევა, რათა დაგვედგინა სათაურის როლი, თვისებები და სახეები თანამედროვე ამერიკულ პრესაში.

აშშ-ის ჩვენ მიერ შესწავლილ თანამედროვე პერიოდულ გამოცემებში ნიმუშთა უდიდესი ნაწილი პირდაპირი სათაურია (Straightforward headline). იგი, მასალის ძირითადი თემატიკიდან გამომდინარე ნათელი, პირდაპირი განცხადებაა და მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის შინაარსზე.

ამერიკელი მეცნიერები პირდაპირი სათაურის ორ ტიპს გამოჰყოფენ: თხრობითი წინადადებით გადმოცემულს და – კითხვითი წინადადებით გადმოცემულს (7.4). უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაყოფა არა მხოლოდ სინტაქსურია. თხრობითი და კითხვითი წინადადებებით გადმოცემული სათაურები ფუნქციური დატვირთვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალსაზრისითა და ტენდენციის გამჟღავნების ფორმებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ თხრობითი წინადადებებით გადმოცემული პირდაპირი სათაური ძირითადად სახელდებითი ან ინფორმაციული ფუნქციის (5.11) მატარებელია, სათაურ-კითხვას, ამ ორის გარდა, ემოციური და აპელირების ფუნქციაც (5. 11) აქვს და ხშირად სწორედ ისინია ძირითადი და წარმმართველი. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

კორი ბრაუნმა მითოლოგიური სიუჟეტის საფუძველზე შექმნა სათაური-კითხვა „ტიტანთა შეჯახება?“ (10.83). ჟურნალისტის მიზანია ნაცნობით ახსნას ახალი, უცნობი და ამ ტრადიციული ხერხის საშუალებით უკეთ წარმოაჩინოს მის მიერ აღწერილი ფაქტი. კითხვის ნიშნის გამოყენებით ავტორი სააზროვნოდ იწვევს მკითხველს – აქვს თუ არა ადგილი ტიტანომახიას ჰოლივუდში? ამ დაეჭვებაზეა აგებული სათაურის სარეკლამო ფუნქცია. ტენდენცია ქვეტექსტით, მაგრამ ნათლად არის გამოხატული. აშკარაა, რომ გრანდიოზულ ბრძოლასთან არა გვაქვს საქმე. ცრუ „ტიტანების“ მიმართ ირონიის გაზრდას ემსახურება ქვესათაური – „დისნეის ორი მიკი მთელი ქალაქის სალაპარაკოდაა ქცეული“ (10.83). ამერიკელი მკითხველისათვის გასაგებია, რომ საუბარი იქნება კომპანიაში „უოლტ დისნეის სამყარო“ არსებული დაპირისპირების თაობაზე მაიკლ აიზნერსა და მაიკლ ოვიტცს შორის. ჟურნალისტმა მოქიშპეთა სახელები მათ „სეხნია“ ცნობილ თაგუნას დაუკავშირა, როცა ქვესათაურში შემოკლებული ფორმით ახსენა. რა თქმა უნდა, ეს დამამცირებელია ორი სოლიდური პიროვნებისათვის. ემოციური ფუნქცია საგრძნობლად ძლიერია, მაგრამ პუბლიკაციის შინაარსის გაცნობის შემდეგ ირკვევა, რომ ჟურნალისტს მცირე სკანდალის ეფექტის მოხდენა სურდა სათაურითა და ქვესათაურით. ტექსტში ფარდა ეხდება „ჯადოსნურ სამეფოში სნაიპერობას“ – კომპანიის თავჯდომარე აიზნერი პრობლემის გადაჭრას კი ავალებს თავის ძველ მეგობარს, მაგრამ შესაბამის თანამდებობაზე მის დანიშვნას მთელი არსებით ეწინააღმდეგება. ამის გამო ყველა ჩივის, ოვიტცის გარდა. აურზაური ჟურნალისტების მიერ არის ატეხილი. თუმცა ეს ყველაფერი კარგად აქვს გააზრებული კორი ბრაუნს, იგი მაინც ამტკიცებს, ოვიტცის „ტიტანიაო“. ამით ავტორი შეუსაბამოა საკუთარ თავთან – ჯერ ეჭქვეშ აყენებს, მერე კი გააფთირებით ცდილობს აიზნერისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვიტცის „ტიტანებად" მონათვლას. ჩემი აზრით, ავტორი შეცდომას გამიზნულად უშვებს, რაც გაუმართლებელია. სათაური თავისთავად ურიგო არ არის, მაგრამ არ შეესაბამება პუბლიკაციის შინაარსს. იგი შესანიშნავი იქნებოდა ტექსტში რომ ორი ძლიერი, შეუპოვარი, უკომპრომისო მეტოქის შესახებ იყოს საუბარი. ამჯერად კი საქმე ეხება უფროსის მიერ კარგი და მორჩილი თანამშრომლის უმართებულოდ შევიწროებას. სწორედ ამ ფაქტისთვის უნდა გაესვა ხაზი სათაურს. რადგანაც აიზნერი არა აშკარად, მალულად ჩაგრავს „ოფიციალურ" მეგობარს, უმჯობესი იქნებოდა თუნდაც ფოტოს მინაწერის სათაურად გამოყენება: „სნაიპერობა ჯადოსნურ სამეფოში" (23.83). ამგვარი კომბინაცია ჟურნალისტს იმის საშუალებასაც მისცემდა, რომ ტექსტიდან ამოეღო რამდენიმე ზედმეტი წინადადება პერსონაჟების ტიტანობასთან დაკავშირებით, რაც ავტორს სათაურის გასამართლებლად დასჭირდა. ამ ცვლილებით ტექსტი და სათაური ერთმანეთს ჰარმონიულად მოერგება, თანაც ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს იქნება.

მცირე ინფორმაციული შენიშვნის სათაური „გრინგოს ჩარევა?" (15.3) შინაარსის შესაბამისია. თავად სათაურის ტიპებიდან სათაური-კითხვის შერჩევაც მართებულია, რადგან საუბარია ჯერ დაუსრულებელი პროცესის შესახებ. პუბლიკაციის ძირითადი საკითხია, ჩაერევა თუ არა აშშ-ის ადმინისტრაცია კოლუმბიის საპრეზიდენტო არჩევნებში. კითხვის ნიშნით ხაზი გაესმის უცნობს, მოსალოდნელს. დასაწყისიდანვე ვიგებთ, რომ მთავრობას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ესპანურენოვანი ქვეყნის შესახებ საუბარზე მიანიშნებს მეტსახელი „გრინგო," რომელიც ამერიკელების მისამართით გამოიყენება ლათინურ ამერიკაში. ტექსტში ავტორმა იგი შეცვალა „იანკით". ამით თავიდან აიცილა ტავტოლოგია და პუბლიკაციაში სათაურის სრულად გამეორებაც გამორიცხა. ტენდენცია გამოკვეთილი არ არის. მხოლოდ ინფორმაციის ბოლო წინადადებაში (სადაც ჟურნალისტი თავის სურვილს გვამცნობს!), აისახება ავტორის დამოკიდებულება ყოყმანის ტყვეობაში მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი. თუ სათაურის მოცემულ ნიმუშს რაიმე ფუნქცია აქვს, ერთადერთია სახელდებითი ფუნქცია, რადგან იგი არც რაიმეს იუწყება, არც მკითხველთან კონტაქტის დამყარებას ისახავს მიზნად და, მითუმეტეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მისი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას ემსახურება. ამ შემთხვევაში, მოსალოდნელი ფაქტია დასათაურებული უბრალოდ და სადად.

ამერიკულ პრესაში სათაურად ფართოდ გამოიყენება კითხვითი წინადადება. ამგვარი სათაური გამიზნულია მკითხველის ყურადღების მომენტალურ დაძაბვაზე. ოსტატურად ჩამოყალიბებული სათაური-კითხვით ჟურნალისტი ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი თავისი მკითხველის ინტერესებს იცავს, მის ვერლით დგას, როცა მის ნაცვლად სვამს ამა თუ იმ შეკითხვას. ასეთ სათაურებში ხშირია სარკაზმი, ირონია, დაეჭვება. ზოგჯერ ეს კითხვა რიტორიკულია. სათაურში შესაძლებელია ზმნის გამოტოვება, მაგრამ იგი იგულისხმება და აზრის გაგებას არ ართულებს. ძირითადად ეს არის ზმნა to be (ყოფნა). სათაურის ამ სახეს მრავალგვარი ფუნქცია ეკისრება, ხანდახან – რამდენიმეც ერთდროულად.

სათაური-კითხვა ერთ-ერთი შესანიშნავი ფორმაა ჟურნალისტის ტენდენციის გამჟღავნებისა და მკითხველზე აგიტაციურპროპაგანდისტული ზემოქმედების გაძლიერებისათვის.

თხრობითი წინადადებით გადმოცემული პირდაპირი სათაური, ამერიკელი თეორეტიკოსების განმარტებით, მტკიცებითი ან უარყოფითი ფორმის განცხადებაა, რომელიც პუბლიკაციის საუბრის საგანს შეეხება.

პირდაპირი სათაური შეიძლება უბრალოდ იუწყებოდეს რამეს. ამ შემთხვევაში მას ინფორმაციული ფუნქცია აკისრია. ასეთი პირდაპირი სათაურები ძირითადად თხრობითი წინადადებებია, რომელსაც ზმნა ყოველთვის სრული ფორმით ახლავს. ამგვარი სათაურის ტიპური ნიმუშია „სამოციანი წლები ოთხმოცდაათიანებში გრძელდება“ (19.92). ეს მშრალი ინფორმაცია იმდენად მოკლე ცნობის შემცველია, რომ ტექსტის გაცნობამდე ბევრს ვერაფერს მიახვედრებს მკითხველს. არც ავტორის პოზიციაა გამოკვეთილი. პუბლიკაციაში საუბარია მოდის შემობრუნებაზე. მოცემულ შემთხვევაში, სათაური მხოლოდ ინფორმაციული ფუნქციის მქონეა, შინაარსს შეესატყვისება და მასალის არსს ძირითადი დებულების სახით ამცნობს აუდიტორიას. ამიტომ, ამგვარი სათაური მსგავს სიტუაციაში სრულიად გამართლებულია. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ერთ ნომერში ყველა სათაური ქვეტ-

ქსტიანი, ღრმა შინაარსის შემცველი, ემოციური ფუნქციით სავსე, გარითმული, კალამბურის სახით მიეწოდოს მკითხველს. ასეთი პერიოდული გამოცემა მძიმე წასაკითხი და დამღლელი იქნება.

განვიხილოთ ერთ-ერთი ინტერვიუს სათაური: „იაპონიის პირველი ლედი“ (14.60). მკითხველისთვის ნათელია რესპონდენტის ვინაობა, მაგრამ ამ საინტერესო ქალბატონზე – მის ცხოვრებაზე, ხასიათზე, მისწრაფებებზე ოდნავი მინიშნებაც კი არსადაა. არც ავტორის პოზიციაა დაფიქსირებული. სათაური მხოლოდ სახელს არქმევს მასალას. თუმცა წინა პლანზე სახელდებითი ფუნქციაა წამოწეული, ამჯერად ამგვარი პირდაპირი სათაურის გამოყენება გამართლებულია. ამერიკელი მკითხველისთვის იაპონია საუკუნეთა სიღრმეში ფესვგადგმული საიდუმლოებებისა და მისტიკური, უცხო ტრადიციების ქვეყანაა. ამიტომ მისი უპირველესი ქალბატონის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია უკვე თავისთავად ინტერესის აღმძვრელია. საუბარი ჰილარი ქლინთონზე რომ ყოფილიყო, მხოლოდ სახელდებითი ფუნქციის მქონე სათაური – „ამერიკის პირველი ლედი“ მის თანამემამულეთა აუდიტორიას ნაკლებად დააინტერესებდა. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ჰილარიზე მასალათა სიუხვე ამერიკულ პრესაში.

ჩვენ მიერ განხილული ნიმუშები მარტივი, მხოლოდ სახელდებითი ფუნქციის მქონე პირდაპირი სათაურებია. მათ ზმნა არა აქვთ. ინფორმაციულობის თვალსაზრისით ისინი მეტად მწირი და მშრალია. ზოგჯერ ასეთ სათაურებს დამაინტრიგებლობის ოდნავი ელფერიც დაჰკრავს, როგორც სათაურში: „მკვლელთა ახალი მოდგმა“ (16.12). ამით გამოიხატება სათაურის სარეკლამო ფუნქცია. რა თქმა უნდა, იგი უფრო მიიზიდავს მკითხველს, ვიდრე „ცლუვი ზეცა“ (15.80), ანდა – „წყლის სამყარო“ (20.36). ჩამოთვლილი ნიმუშები მეზღუდული არ გახლავთ ჟანრობრივი თვალსაზრისით. ისინი ინფორმაციული შენიშვნის, სტატიის, ინტერვიუსა და კორესპონდენციის სათაურებია.

მხოლოდ სახელდებითი ფუნქციის პირდაპირი სათაურები ზოგადია, არაფერს გვეუბნება ავტორის პოზიციაზე ან პუბლიკაციის შინაარსზე. თუმცა ეს იმას არ გულისხმობს, რომ უზმნო პირდაპირ სათაურში არ შეიძლება წარმოჩნდეს ჟურნალისტის ტენდენცია, მისი დამოკიდებულება ასახული ინფორმაციისადმი. ამერიკული პრესის ფურცლებზე არანაკლებ უხვადაა ემოციური ფუნქციის მქო-

ნე პირდაპირი სათაურები. მოცემული ჯგუფის ნიმუშებში ავტორის პოზიციის გადმოცემა იმგვარი ფორმით ხდება, რომ მკითხველს თავიდანვე ექმნება გარკვეული განწყობა და მისი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება-გამოკვეთა სათაურიდანვე იწყება.

ემოციურობის თვალსაზრისით ოსტატური სათაურია „რასიზმის არომატი“ (11.43). იგი მკითხველს საუბრის თემას ამცნობს. ავტორის ტენდენციის გამჟღავნება კი სათაურის ემოციური ფუნქციის გამოყენებით ხორციელდება. ობიექტური ანალიზის შედეგად მიღებული პოზიციიდან მკითხველი აუცილებლად გაიზიარებს სათაურში მოცემულ ჟურნალისტის ირონიულ დამოკიდებულებას.

ვ. მ. გოროხოვის აზრით: „პუბლიცისტიკა პრესაში თავის ზემოქმედებას ახორციელებს არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ თანმიმდევრულად და რეგულარულად. და ამით ზრდის სოციალური კავშირურთიერთობის ეფექტურობას“ (4.86). მოცემული დებულების შესაბამისია ჟურნალ „თაიმის“ ქმედება, როცა გამუდმებით წერს და მსჯელობს მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს, საშინელ პრობლემაზე. სათაურში „გიჟური ოცნება გლობალურ ტერორზე“ (18.31). ჟურნალისტი პირველ სიტყვაზე ემოციური მახვილის გაკეთებით ფრაზის გამომსახველობას ზრდის. ტენდენცია თვალშისაცემი და ოდნავ მყვირალაა, მაგრამ ინვერსიის საშუალებით მკითხველამდე აშკარად და ნათლად არის მიტანილი არამარტო ავტორისეული დამოკიდებულება, არამედ პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, თუ რა პოზიციის დაკავება იქნება მართებული ნებისმიერი საღად მოაზროვნე მოქალაქის მიერ. ემოციური ფუნქცია აქაც ოსტატურად არის განხორციელებული.

თანამედროვე ამერიკულ პრესაში ნიმუშების განხილვის შედეგად ნათელი გახდა, რომ ემოციური ფუნქციის მქონე პირდაპირი სათაურების უმეტესობა ორგვარ დამოკიდებულებას გამოხატავს: დადებითს ან უარყოფითს.

სახელდებითი და ემოციური ფუნქციის მქონე სათაურებს შორის განსხვავება ძირითადად ტენდენციის გამჟღავნებასა და არგამჟღავნებაში მდგომარეობს. აგებულების მიხედვით კი ისინი მსგავსია:

1. ხშირია განსაზღვრული the არტიკლის გამოტოვება;

2. ზმნა ორივე ტიპის სათაურებში, როგორც წესი, არ გამოიყენება;

3. ისინი ემეტესად ლაკონიური, ორ-სამსიტყვიანი სათაურებია;

4. გამოხატავენ პუბლიკაციის არსს, ასახელებენ მთავარ მოვლენას ან პერსონაჟს;

5. იშვიათი შემთხვევებში, რეკლამურობის ელფერი დაჰკრავთ.

ჩამოთვლილი თვისებებიდან გამომდინარე სახელდებითი და ემოციური ფუნქციის სათაურები შეიძლება გაერთიანდეს სათაური-ფრაზის ჯგუფში. ქართულ ენაში ეშმნო, გარკვეული აზრის შემცველ სიტყვათა წყობას სახელდებითი წინადადება ეწოდება. ჩვენ მის ტერმინად გამოყენებას მოვერიდეთ იმ მოსაზრებით, რომ სახელდებითი სათაური ფუნქციური თვალსაზრისით შეზღუდულია - სახელწოდებიდან გამომდინარე, იგი მხოლოდ სახელდებითი ფუნქციის მქონეა. სათაური-ფრაზა კი გრამატიკულად სახელდებითი წინადადებისგან აგებული სათაურის იდენტურია და არ შეიცავს ფუნქციურ დატვირთვაზე რაიმე მინიშნებას.

ამერიკელი თეორეტიკოსების მიერ შემოთავაზებული თხრობითი წინადადებით გადმოცემული პირდაპირი სათაური ჩვენ ორ ქვესახედ დავყავით: პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აერთიანებს ზმნის არმქონე, ძირითადად, სახელდებითი და ემოციური ფუნქციის სათაურებს. მეორეში შედის ზმნის სრული ფორმის შემცველი, მტკიცებითი ან უარყოფითი თხრობითი წინადადებით გამოხატული მრავალგვარი ფუნქციით აღჭურვილი სათაურები. ასე რომ პირდაპირი სათაურის ჯგუფში სამი ქვესახე გამოიკვეთა: 1. სათაური-კითხვა, 2. სათაური-განცხადება და 3. სათაური-ფრაზა.

პირდაპირი სათაური საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი ოსტატურად შერჩევისას მკითხველზე ზემოქმედება და დაინტერესება გარანტირებულია. იგი შეიძლება იყოს სენსაციური და სარეკლამო ფუნქციის (5.11) მქონეც. მისი არაერთი ღირსების მიუხედავად, ჟურნალისტიკის ამერიკელი მკვლევრები უფრო აფასებენ და მნიშვნელობას ანიჭებენ სათაურის დანარჩენ ორ სახეს:

1. სიტყვათა თამაშზე აგებულსა (Word Play headline) და

2. მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებულს (Background Knowledge headline).

ეროვნული ბიბლიოთეკა

X X X

ამერიკელი თეორეტიკოსების განმარტებით, სიტყვათა თამაშზე არის აგებული ისეთი სათაური, რომელშიც თუნდაც ერთ სიტყვას სულ ცოტა, ორი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო სათაურის სრულად აღქმა მხოლოდ ტექსტის წაკითხვის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ინგლისურ ენაში უხვადაა ომონიმური და პოლისემიური სიტყვები. ისინი თავიანთი სტრუქტურით, ფორმით, კალამბურს ჰგავს. გვხვდება იმგვარი ნიმუშებიც, რომლებშიც ომონიმური წყობით არის გათამაშებული ორი სიტყვა. ეს ხერხი ქართულ პოეზიაში ცნობილია „მაჯამის" სახელით. ტერმინის შემოღებისას „მაჯამას" „კალამბური" შემდეგი მოსაზრებით ვამჯობინეთ: მაჯამა, ჟღერადი ჟღერადობით — ფართო გაგებით სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა. კალამბური კი ორაზროვნებას გამორიცხავს, რადგან ცალსახად აღნიშნავს ცნობილ სტილისტიკურ ფიგურას. ამასთანავე, მაჯამა უფრო მჭიდრო კავშირშია პოეზიასთან, ვიდრე კალამბური, რომელიც პროზის სახითაც გვხვდება.

ზოგჯერ სიტყვათა თამაშის საფუძველზე სათაურში გარკვეული სიმბოლოა ჩადებული. რუსი თეორეტიკოსი ლ. გ. კაიდა ამგვარ ნიმუშებს სათაურ-სიმბოლოს (5.12) უწოდებს და ტენდენციის გამჟღავნების ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად მიიჩნევს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით სიტყვათა თამაშზე აგებული სათაური ჩვენ ორ ქვეჯგუფად დავყავით: 1. სათაური-კალამბური (ტერმინი ჩვენია) და 2. სათაური-სიმბოლო. აქვე დავძენთ, რომ ამერიკელი ჟურნალისტების მიერ შემოთავაზებულ ზოგ სათაურში ერთდროულად კალამბურიც და სიმბოლოც გვხვდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში.

სიტყვათა თამაშზეა აგებული ინფორმაციული შენიშვნის სათაური „მოლის ყველა ვირთხის თავშეყრა" (8.123). სიტყვა moll-ს ამერიკულში ორი მნიშვნელობით ხმარობენ –„მინდორი" და „დიდი უნივერმაღი". ტექსტის წაუკითხავად ძნელია იმის გამოცნობა, თუ რომელს გულისხმობს ავტორი. სათაურში ვირთხის ხსენებაც აბუნდოვანებს აზრს. (rat – ვირთხა, მოღალატე, გამცემი, ჯაშუში). შინაარსის გაცნობის შემდეგ გასაგები ხდება, რომ ჟურნალისტი საცალო ვაჭრობის პატარა ფირმაზე საუბრობს, რომლის საქმიანობაც მოლის ტიპის უნივერმაღის მასშტაბთან მართლაც მინდვრის თაგვის ოდენაა. თანაც ამ ფირმას ღალატით გადაყლაპვას

ეპირებს ბიითუმად ვაჭრობის ქსელის მეპატრონე. ჟურნალისტი სიმბოლურ აზრს დებს ვირთხაში. ამის მიუხედავად, ეს არის სათაური-კალამბური, სიმბოლიზირების ელემენტით. რადგან ძირითადი დატვირთვა სწორედ სიტყვათა თამაშზეა, იგი არის წარმმართველი და არსებითი.

სიტყვათა თამაშზე აგებული სათაურის კლასიკური ამერიკული ნიმუშია „რობინის ბუდის გაკეთების ინსტიქტი" (17.55). სიტყვა Robin მამაკაცის სახელიც არის და, ამასთან ერთად, ინგლისურად ასე ჰქვია გულწითელას. არტიკლი არსებით სახელთან გამოტოვებულია. ის რომ ჩიტზე არაა საუბარი, ფოტოებიდანაც ნათელია. პუბლიკაცია ჯვრისწერის შესახებაა, ხოლო ვის ეკუთვნის პატარძლის ფართო ღიმილი, ამას ქვესათაური განმარტავს: „კრის ო'დონელი „ბეთმენიდან" საზეიმოდ ეფიცება საყვარელს თავის საგრფოს". როგორც ჩანს, ავტორს შემთხვევით არ უხსენებია მაინცდამაინც გულწითელა და არა სხვა რომელიმე ფრთოსანი, თუნდაც შაშვი. ბეთმენს ასოციაციურად ყველაზე მეტად რობინი (პერსონაჟი ფილმიდან „ბეთმენი და რობინი") შეეფერება. კალამბურის გარდა სიმბოლიზირების საშუალებით ჟურნალისტს სათაურში მოცემული აქვს სიტუაციის მახვილგონივრული გააზრება: მსახიობის დაქორწინებას იგი ჩიტის მიერ საკუთარი ბუდის შექმნის ინსტიქტს ადარებს. ემოციური ფუნქცია ნათლად წარმოაჩენს ჟურნალისტის დამოკიდებულებას მოვლენისადმი.

სათაური-კალამბური ხშირად ჟურნალისტური მიგნების შესანიშნავი ნიმუშია. სიტყვათა თამაში სხვადასხვა ხერხით ხორციელდება: სინონიმების, ომონიმების, ალიტერაციის და ა.შ. გამოყენებით. ავტორის ტენდეცია სხვადასხვა სიძლიერისაა, მაგრამ მუდამ გამოხატულია. იგი არასოდეს არის მხოლოდ სახელდებითი ან ინფორმაციული ფუნქციის მქონე, უმეტესად ემოციური და ზოგჯერ სარეკლამო ფუნქციათა მატარებელია. სათაური-კალამბური ჟანრებთან მიმართებაშიც ნაკლებადაა შეზღუდული. ავტორის სურვილისა და ოსტატობის შესაბამისად იგი მოკლე ინფორმაციულ შენიშვნასაც ამშვენებს და მოზრდილ სტატიასა თუ კორესპონდენციასაც. ინგლისური ენისთვის განსაკუთრებით მოსახერხებელია სათაური-კალამბური, რადგან აქ უხვადაა ერთდროულად რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები. ამის მიუხედავად, სათაური-კალამბურის ოსტატურად აგება და ტექსტთან

მისი ორგანულად შერწყმა არცთუ იოლია. ამიტომაც ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას ჟურნალისტიკის ამერიკელი თეორეტიკოსები სათაურის ამ სახეობას.

ამერიკული პრესის ფურცლებზე გვხვდება ამგვარი ნიმუშები: სათაურში არის სიმბოლო, რომლის აზრიც თანდათანობით ხდება ნათელი ტექსტიდან. როგორც აღვნიშნეთ, ლ. გ. კაიდა მას სათაურ-სიმბოლოს უწოდებს (5.12).

ამერიკელი ჟურნალისტები ერთნაირი ყურადღებით არჩევენ სათაურებს როგორც ვრცელი პუბლიკაციების, ასევე მოკლე ინფორმაციული შენიშვნისთვის. ამის დასტურია შემდეგი ნიმუში – „მერცხლები ვიწრო შარვლებში“ (12.6). ძირითადი სათქმელი ერთ წინადადებაშიც ჩაეტევა: ბულონისა და ვენსანის ტყეებში ველოსიპედებიანი პოლიციელების ბრიგადამ განაახლა მუშაობა. ამერიკელი მკითხველისათვის დიდად საინტერესო ფაქტი სულაც არ გახლავთ, მაგრამ ოსტატურად შერჩეული სათაურით დაინტერესებული, ბევრი მათგანი წაიკითხავს ექვსწინადადებიან შენიშვნას. წარმატებას ჟურნალისტმა საკმაოდ მარტივად მიაღწია, პარიზელი პოლიციელების მეტსახელი „მერცხლები“ მან სათაური-სიმბოლოს შესაქმნელად გამოიყენა. მართალია, ამით სენსაციურობის მცირე ეფექტი გამოიწვია, მაგრამ ტექსტში მოკრძალებული განმარტებით ავტორმა კომპოზიციურად გაამთლიანა, შეკრა პუბლიკაცია. თანაც დამაინტრიგებელი სათაურის გამოყენების ბუნებრიობა დაასაბუთა. გარდა ამისა, სათაური-სიმბოლოს ემოციურ ფუნქციას საინტერესო დასკვნამდე მივყავართ: პოლიციელებს უმეტესად მათთვის არასასარბიელო, დამამცირებელი მეტსახელებით მოიხსენიებენ. მერცხალი კი არცერთ მკითხველში არ გამოიწვევს ამგვარ დამოკიდებულებას სამართალდამცავებისადმი. ვფიქრობთ, ჟურნალისტის პოზიცია და მიზანი აშკარაა. სახელდებითი ფუნქციის მქონე სათაური ავტორმა არაერთი ღირსებით აღსავსე ნიმუშად აქცია, რაც მის ჟურნალისტურ ოსტატობასა და სამუშაოსადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

სათაური-სიმბოლოს ოსტატურად შექმნისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოცემული ფაქტისა თუ მოვლენის ღრმად გააზრების, წვდომის უნარი. ამასთან, ჟურნალისტს ანალიტიკური აზროვნება, ერუდიცია, ინფორმაციის მასშტაბურად აღქმა მოეთხოვება. მან თავისი სუბიექტური დამოკიდებულება საზოგადოე-

ბრივი თვალთახედვის ფორმით უნდა შესთავაზოს მკითხველს. ამას ემატება საკუთარი და სხვათა პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სრულფასოვანი ნიმუშების შექმნა. სათაური-სიმბოლო მომხიბლავი სახეა, რადგან ემოციური ფუნქციით აღჭურვილსა და ქვეტექსტებით გაჯერებულს, მკითხველზე ზემოქმედების უდიდესი ძალა გააჩნია. სარეკლამო ფუნქციისა და სენსაციურობის ელფერი კი სათაურის დამაინტრიგებლობას და აუდიტორიის ინტერესს ზრდის. სათაური-სიმბოლოს კიდევ ერთი ღირსებაა მისი შეუზღუდავობა ჟანრებთან მიმართებაში. მოკლე ინფორმაციული შენიშვნიდან დაწყებული, მან ნებისმიერი ვრცელი ფორმის პუბლიკაცია შეიძლება დაამშვენოს და არაერთი ღირსება შემატოს პუბლიცისტურ ტექსტს.

X X X

არანაკლებ განათლებასა და გამჭრიახობას საჭიროებს ამერიკელ თეორეტიკოსთა უსაყვარლესი მესამე სახე – მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაური (Background Knowledge Headline 7.4). თუმცა ამ შემთხვევაში ცოდნის გარკვეული დონე მკითხველ აუდიტორიასაც მოეთხოვება.

რუსი თეორეტიკოსის ს. მ. გურევიჩის აზრით: „საგაზეთო სათაური გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი მკითხველისთვის. ეს მოითხოვს ფორმის სიმარტივესა და მასში ჩადებული აზრის გადმოცემის მაქსიმალურ სიზუსტეს“ (6.117). ამ მოსაზრებას ამერიკელი მკვლევარებიც იზიარებენ, თუმცა, ანალიტიკური (და, იშვიათად, ინფორმაციული) ჟანრის პუბლიკაციას რიგ შემთხვევაში ისეთი სათაური აქვს, რომელიც ნამდვილად არ არის იოლად აღსაქმელი ერთბაშად, ანდა სრულიად გაუგებარია ზოგიერთი მკითხველისთვის. ამჯერად ჟურნალისტს ბრალი არ მიუძღვის. მიზეზია არა სუსტი ავტორი, არამედ „სუსტი“ მკითხველი. ამერიკულ პრესაში დამკვიდრდა სათაურის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ავტორის ოსტატობასა და მკითხველის ერუდიციას მოითხოვს. თეორეტიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ მას და მაღალ შეფასებას აძლევენ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ოსტატურად ქმნიან მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებულ სათაურებს. ითვლება, რომ ამგვარი სათაურები საზოგადოების განათლების დონეს ამაღ-

ლებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ნიმუშები ფორმის სიმარტივითა და მასალის არსის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემით ხასიათდებიან, იმის მიუხედავად, რომ ზოგისთვის მათი შინაარსი ბუნდოვანია. დაბოლოს, მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაურები შესანიშნავი საშუალებაა ჟურნალისტის პუბლიცისტური ოსტატობისა და შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლენისათვის.

მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაურის გამოყენებისას აუცილებელია ერთი მოსაზრების გაზიარება: ავტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მკითხველი აუდიტორიის იმ ნაწილის ინტერესები, ვისთვისაც ამზადებს თავის პუბლიკაციას. ამის შესანიშნავი ნიმუშია სათაური: „ცხოვრების ერთი დღე“ (13.48). მასალა ჯგუფ „ოაზისის“ კონცერტზე გვიამბობს. მათ, ვისაც აქ აღწერილი მოვლენა დააინტერესებს, აუცილებლად გაახსენდებათ, რომ ეს არის „ბითლზის“ ერთ-ერთი სიმღერის სათაური. როკ-მუსიკის მოყვარულებს ამგვარი სახელწოდება ნამდვილად მიიზიდავს, რადგან მათ იციან (ან-უნდა იცოდნენ!) ეს სიმღერა ტექსტიანად. აქედან გამომდინარე, მკითხველი აუცილებლად მიხვდება ჟურნალისტის ჩანაფიქრს და სათაურის ქვეტექსტსაც დაინახავს. ავტორის ტენდენცია ნათელია: „ოაზისი“ ერთ-ერთი ჩვეულებრივი ჯგუფი აღარ არის, რადგან როკ-მუსიკის ისტორიის ერთი დღე მას ეკუთვნის. ამის გარდა, ავტორს შემთხვევით არ მოჰყავს მაინცდამაინც „ბითლზის“ სიმღერის სათაური. ამით დამატებით გახაზავს ერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას „ოაზისის“ ლეგენდარულ ოთხეულთან მსგავსების თაობაზე. ჟურნალისტის დამოკიდებულება ფაქტისადმი გამჟღავნებულია ქვეტექსტებით, შეფარვით, მაგრამ საოცრად ნათლად. შეფასება მოცემულია მველი, თუმცა ოსტატური ხერხით – უცნობის წარმოჩენა ნაცნობის საშუალებით.

როგორც ვნახეთ, თითქოს უგერგილო, არაფრისმთქმელი და უინტერესო სათაური მოცემულ საკითხში გათვითცნობიერებული და დაინტერესებული აუდიტორიის ნაწილისათვის საკმაოდ მრავლისმთქმელი აღმოჩნდა. სწორედ „იგავ-არაკული სტილით“ გამოირჩევა ყველა დანარჩენი სახისაგან მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაური. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ოსტატურად შერჩეული ამ ტიპის სათაური საოცარ მოწონებასა და აღფრთო-

ეროვნული

ვანებას მოიპოვებს ხოლმე მკითხველთა იმ ჯგუფში, ვისთვისაც არის გამიზნული.

მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაურიც ნებისმიერი ჟანრის პუბლიკაციას შეიძლება მიესადაგოს. თუკი ჟურნალისტს საკუთარი ოსტატობა საშუალებას მისცემს, მოკლე ინფორმაციასაც მოეძებნება რთული, მრავლისმეტყველი, ქვეტექსტიანი სათაური.

ერთ-ერთი ინფორმაციული შენიშვნა დასათაურებულია ცნობილი ანდაზის ნაწყვეტით — „ვინც ბოლოს იცინის...“ (9.11). ნილ ვინბერგის პუბლიკაციის საუბრის თემაა — უოლ-სტრიტის ერთ-ერთი კორპორაციის წარმატებისა და წარუმატებლობის ამინდივით ხშირი ცვალებადობა. ჟურნალისტი საუბრობს მეპატრონის პრობლემებზე, მოჰყავს ინვესტორებთან თავისი საუბრის მოკლე შინაარსი, აღნიშნავს ფაქტებს და დასკვნის გამოტანისაგან თავს იკავებს. სათაურის გაშიფვრა არსადაა, მაგრამ ამისი საჭიროება არც არის. მკითხველისთვის ნათელია, რომ იგი ავტორის ტენდენციის გამჟღავნებას ემსახურება. ფირმის მეპატრონეს — ენდრიუ სიგლერს მომავლისადმი რწმენით აღსავსე მზერა მიუპყრია ფოტოკამერისკენ. სათაურში კი აშკარა მინიშნებაა იმაზე, თუ ვინ გაიცინებს ბოლოს. მოცემულ ნიმუშში კომპოზიციურადაა შეკრული სათაური, ფოტო და ტექსტი. ეს მთლიანობა ხელს უწყობს ემოციური ფუნქციის ამოქმედებით ავტორის დამოკიდებულების წარმოჩენას.

მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაურის შესაქმნელად ზოგჯერ ცნობილი გამონათქვამი ან მისი პერიფრაზი გამოიყენება, ხანდახან — გახმაურებული ნაწარმოების სათაური. ხშირად გვხვდება ანდაზები — მთლიანად ან ნაწყვეტის სახით. სათაურის მოცემულ სახეს ერთი თავისებურება ახასიათებს: ჟურნალისტი იმგვარ ნიმუშს სთავაზობს მკითხველს, თითქოს დარწმუნებულია, რომ ამ უკანასკნელმა იცის რაზეცაა საუბარი. ამით პუბლიცისტი ორ კურდღელს ერთდროულად იჭერს. ჯერ ერთი, იქმნება ინტიმური, მეგობრული, ძველსაცნობური ურთიერთობის ასოციაცია. ორივესთვის ახლობელი თემაა, ადრეც ხომ გვისაუბრია ამაზე, — იგულისხმება ქვეტექსტში. მეორეც, ჟურნალისტი განათლების გარკვეულ დონეს მოითხოვს აუდიტორიისაგან, რითაც მისი ცოდნის გაზრდას ემსახურება გარკვეულწილად. თუ

რამე ვერ გაიგე, ელემენტარული რაღაცის უცოდინრობის ბრალია, — ამჯერად ესაა ნათქვამი შეფარვით. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნა მკაცრად შეზღუდულია: თუ სტატია სპორტულ თემაზეა, მკითხველს ფეხბურთის ან სხვა რომელიმე კონკრეტული სფეროს გარეთ განათლება არ დასჭირდება. ან, თუ პუბლიკაცია როკ-ვარსკვლავს შეეხება, ნაკლებსავარაუდოა, რომ მკითხველს კლასიკური მუსიკის ცოდნა დასჭირდეს.

XXX

როგორც ვნახეთ, ამერიკელი თეორეტიკოსები გამოჰყოფენ სათაურის სამ ძირითად ჯგუფს: პირდაპირს, სიტყვათა თამაშზე აგებულსა და მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებულს. ისინი განმარტავენ თითოეულს, მოჰყავთ ნიმუშები, მაგრამ არაფერს ამბობენ დაყოფის კრიტერიუმზე. ჩვენ მიერ განხილული ნიმუშების თვისებათა შესწავლა-შეჯერების საფუძველზე დავადგინეთ, რომ სახეების გამოყოფის პრინციპად ტენდენციის გამჟღავნების სხვადასხვა ფორმაა ნაგულისხმევი. სწორედ ამ მოსაზრების გათვალისწინებით წარვმართეთ კვლევა. სათაურის ნიმუშების შესწავლამ ცხადყო, რომ მათ შორის არსებული ზოგიერთი ნიუანსობრივი განსხვავების გათვალისწინებით, ლოგიკური იქნებოდა კიდევ რამდენიმე, დამატებითი ქვეჯგუფის გამოყოფა.

პირდაპირი სათაურის ორი ქვესახეობიდან — სათაური-კითხვა და სათაური-წინადადება — ბოლოს ორად დაყოფას თავად ნიმუშები გვკარნახობენ. შესაბამისად, გამოვყავით პირდაპირი სათაურის სამი ქვეჯგუფი: სათაური-კითხვა, სათაური-განცხადება და სათაური-ფრაზა (ბოლო ორი ტერმინი ჩვენია).

სიტყვათა თამაშზე აგებულ სათაურებში ამერიკელი თეორეტიკოსები საერთოდ არ გამოჰყოფენ ქვეჯგუფებს. თანამედროვე ამერიკულ პრესაში არსებულ სათაურებს შორის კი არაერთგზის შევხვდა ე.წ. სათაური-სიმბოლო, რომელიც რუსულ პრესაში გამოკვლეული აქვს ლ. გ. კაიდას. საჭიროდ მივიჩნიეთ მის მიერ შემოთავაზებული ტერმინის შემოღება სიტყვათა თამაშზე აგებული სათაურის ერთ-ერთ სახედ. ამის შედეგად თავისთავად გამოიკვეთა მეორე ქვეჯგუფი, რომელიც სიტყვათა თამაშს ეყრდნობოდა, მაგრამ სიმბოლოს არ გულისხმობდა. რადგანაც ამგვარი ნიმუშები ძირითადად ომონიმური და პოლისემიური სიტყვების

ბაზაზეა შექმნილი, მის სახელწოდებად შემოვიღეთ ტერმინი — სათაური-კალამბური. ამის შედეგად მივიღეთ სიტყვათა თამაშზე აგებული სათაურის ორი ქვეჯგუფი: სათაური — კალამბური (ტერმინი ჩვენია) და სათაური — სიმბოლო (ლ. გ. კაიდას ტერმინი).

პუბლიცისტური ტექსტის შექმნა რთული შემოქმედებითი პროცესია და ნებისმიერ ჟურნალისტს საკუთარი, ორიგინალური ხერხები უნდა გააჩნდეს. შეუძლებელია ზუსტი რეცეპტის დადგენა და შემოთავაზება. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ ვიმსჯელეთ სათაურის აგების, დაწერის შესახებ ამერიკულ, ბრიტანულ, რუსულ და ქართულ ჟურნალისტიკამცოდნეობაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე. გავაცანით ჩვენეული დაკვირვებების შედეგები, შემოგთავაზეთ პუბლიცისტური ტექსტის სათაურის ამერიკული სახეები თავისი ქვეჯგუფებით, მცირეოდენი შევსებით... წერის საკუთარ მანერას კი ყოველი ჟურნალისტი თავად პოულობს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. ბოგდანოვი ნ. გ., ვიაზემსკი ბ. ა., ჟურნალისტის ცნობარი, თბ., 1975
2. ივ. მჭედლიშვილი, ჟურნალ-გაზეთების წარმოება და გაფორმება, თბ., 1984
3. ნ. ტაბიძე, სათაური გაზეთში (ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები), ტ. II, თბ., 1971
4. Горохов В. М., Закономерности публицистического творчества. М., 1975
5. Кайда Л. Г., Стиль фельетона, Выражение авторской позиций. Изд-во., МГУ. 1983
6. Теория и практика советской периодической печати, под редакцией В. Д. Пельта. М., 1980
7. In The News. International Herald Tribune, by Ethel Tiersky and Maxine Chernoff, 1994
8. Forbes. 1994. April 25
9. Forbes. 1994. Dec. 19
10. Newsweek. 1996. Oct. 7
11. Newsweek. 1997. April 21
12. Newsweek. 1997. August 11
13. Newsweek. 1997. Sept. 1
14. Newsweek. 1997. Oct. 13
15. Newsweek. 1997. Nov. 3
16. Newsweek. 1997. Dec. 1
17. People. 1997. May 5
18. Time. 1995. April 10
19. Time. 1996. Oct. 7
20. Time. 1997. Jan. 13
21. The Washington Post. 1997. Jan. 21

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

დალი ოსეფაშვილი

ინტერვიუს ტრანსფორმაცია (თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით)

პუბლიცისტიკის ჟანრები დროის კვალობაზე ევოლუციის რთულ გზას გადიან. ისინი გარკვეულ სახეცვლილებებს განიცდიან როგორც შინაარსის, ასევე ფორმის თვალსაზრისით. ჟანრის როგორც ისტორიული კატეგორიის, ფორმისეული მოდიფიკაციები სხვადასხვაგვარად ვლინდება (ჟანრულ სისტემაში ან ერთი ჟანრის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები) (1) ხოლო, შინაარსობრივ ცვალებადობაზე გავლენას ახდენს ეპოქის იდეოლოგია (რამდენადაც თვით საზოგადოების ცნობიერებაც დროის ხასიათის მიხედვით ტრანსფორმირდება). ამ თვალსაზრისით უკანასკნელი ათწლეულის ეპოქალურმა მოვლენებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართულ პრესაზე. მეტნაკლები სიმძაფრით თითქმის ყველა ჟანრი განიცდის ტრანსფორმაციას.

ამ სპეციფიკური და რთული პრობლემის ჩვენებას ამჯერად ერთ-ერთი წამყვანი ჟანრის – ინტერვიუს მაგალითზე შევეცდებით. უპრიანი იქნება, თუ უპირველესად სტატისტიკას მოვიმარჯვებთ. საანალიზოდ თხუთმეტწლიანი მონაკვეთი შევარჩიეთ, რათა საკითხი უფრო რელიეფურად წარმოჩნდეს. პირობითად ეს ხანა სამ ეტაპად დავყავით: 1983-1986; 1987-1990 და 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. ყურადღებას ვამახვილებთ ყოველი წლის ერთი თვის მასალებზე.

„კომუნისტი" 1983 წ. მარტში ბეჭდავს 6 ინტერვიუს, 1984 წ. შესაბამის პერიოდში - 7; 1985 – 8; 1986 – 6; 1987 – 7; 1988 – 22; 1989 – 21; 1990 „საქართველოს რესპუბლიკა"; 1991 – 24; 1992 – 26; 1993 – 25; 1994 – 26; 1995 – 25; 1996 – 27; 1997 – 26; 1998 – 27;

„თბილისი" 1983 წ. მარტი – 7; 1984 წ. შესაბამის პერიოდში – 3: 1985 – 3: 1986 – 18; 1987 – 19; 1988 – 18; 1989 – 26; 1990 – 17;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 – 21; 1992 – 15; 1993 – 35; 1994 – 20; 1995 – 18; 1996 – 25; 1997 – 19. 1998 – 20.

როგორც სტატისტიკა მოწმობს, ინტერვიუთა რიცხვი ყოველდღიურ გამოცემებში I ეტაპზე თუ არითმეტიკული პროგრესიით იზრდება ან მცირდება (1-2 ერთეულით), II ეტაპზე უკვე თითქმის გეომეტრიული პროგრესიითაა გაზრდილი, რაც, ჩვენი აზრით, გარკვეული კანონზომიერებით აიხსნება. ინტერვიუს აღმავლობის ეს ეტაპი გარდაქმნის პროცესს უკავშირდება, როცა თავად საზოგადოების ცნობიერებაც ახლებურად ტრანსფორმირდება. საჯაროობის კურსის, პლურალიზმის დამკვიდრება ხელს უწყობს აზრთა მრავალფეროვანი სპექტრის უკეთ წარმოჩენას. ამ მიზნის განსახორციელებლად საუბრის ფორმა, მართლაც, ჩინებული საშუალებაა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ ინტერვიუთა უმრავლესობა კონიუნქტურულია. თითქმის ყოველ მათგანს დროის კვალი მძაფრად ატყვია. ნებისმიერ ინტერვიუში, ნებისმიერ თემაზე – მწერალთან, მსახიობთან, მეცნიერთან, სპორტსმენთან თუ ინჟინერთან, სულერთია რა მიზნით მიმდინარეობს საუბარი, პირველი კითხვა (და ბუნებრივია, მისგან გამომდინარე პასუხიც) უცილობლად გარდაქმნას ეხება. ინტერვიუ-დიალოგთა რიცხვის მკვეთრი ზრდის გარდა, ამ ეტაპისათვის ნიშანდობლივია „მრგვალი მაგიდების" სიუხვეც. ამ სახეობას, როგორც წესი, კვირაში ერთხელ მიმართავს „კომუნისტი" (შედარებით ნაკლებად „თბილისი" და „ახალგაზრდა კომუნისტი").

ცოტა მოგვიანებით, III ეტაპზე (90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე) პოლიტიკური ვითარებისა და საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლასთან ერთად, რასაც ღირებულებათა გადაფასების ლოგიკური პროცესი მოჰყვება, კარდინალურად იცვლება ჟანრის შინაარსი. კვლავ ახლებურად ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციაც.

ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუს შინაარსობრივი გამდიდრების უწყვეტი პროცესი სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. თუმცა, ვიდრე ფორმისეულ სახეცვლილებებზე ვისაუბრებდეთ, გვსურს ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი. ჟანრის სივრცეში განფენილობის თვალსაზრისით. ალბათ, საინტერესოა პარალელის გავლება თანამედროვე უცხოურ პრესასთან. მაგალითად, თუ ქართულსა და გერმანულ გა-

ზეთებში ინტერვიუს გამოყენების სტატისტიკას ერთმანეთს შევუდარებთ, სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. რადგან ამ უკანასკნელში ინტერვიუს ძირითადად იმარჯვებენ როგორც აუცილებელ მეთოდს ნებისმიერი ჟურნალისტური მასალის ასაღებად ძიება-გადამოწმების (recherche) მეთოდთან ერთად. გერმანელი მკვლევარები სინანულს ვერ ჰფარავენ, რომ პრაქტიკოსები უადგილობის მომიზეზებით ხსნიან მის იშვიათად გამოყენებას: „მთელ რიგ გერმანულ რედაქციებში დაუმსახურებლად დაუფასებელია ინტერვიუს მნიშვნელობა. ინტერვიუ, როგორც სტილის ფორმა მხოლოდ ხანდახან თუ გვხვდება გაზეთებში...“ (2) ან კიდევ, „ეს სამწუხაროა, რადგან მკითხველი უტყუარობას კარგავს“ (3).

რამდენიმე სოლიდური გაზეთის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მათ ფურცლებზე ინტერვიუები მართლაც სანთლით საძებარია. მაგალითად, ყოველკვირეულ „დი ცაითში“ თითქმის არ გვხვდება; ყოველდღიური „ველთი“ (დიდი ფორმატის, 48 გვ.) მთელი თვის მანძილზე მხოლოდ 3-4 ინტერვიუ-დიალოგს ბეჭდავს; ჟურნალი „დოიჩლანდი“ (50გვ.) მას ერთხელ ან ორჯერ მიმართავს. ყოველდღიური „ზუდდოიჩე ცაითუნგი“ კი უპირატესობას „ფორუმს“ ანიჭებს (რაც, ვფიქრობთ, სხვა არაფერია, თუ არა „საუბარი მრგვალ მაგიდასთან“) და საკმაოდ იყენებს. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში „მრგვალი მაგიდისადმი“ ინტერესი დაკარგულია.

გერმანულ პრესაში ინტერვიუთა ასე იშვიათად გამოყენება, ვფიქრობთ, ისეთივე უკიდურესობაა, როგორც მათი გადაჭარბებული სიუხვე ქართულ გაზეთებში. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ პრესაში თითქმის აღარ გვხვდება ისეთი არატრადიციული ფორმა, როგორიცაა გერმანელი სპეციალისტების მიერ გამოყოფილი „Die Interview - Story“ (ინტერვიუს თავისუფალი ფორმა, რომელიც გადმოგვცემს საუბარს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მონაცვლეობით, ხშირად ინტერვიუერის დაკვირვებების ჩართვით) (4), ან რუს მკვლევართა მიერ შემოთავაზებული „Интервью сообшение“ (5). ეს ერთგვარი „შეკუმშული“ ინტერვიუები მკვეთრად განსხვავდებიან ინტერვიუ-დიალოგის ტრადიციულ, კითხვა-პასუხზე აგებული კლასიკური ფორმისაგან. საუბარი მკითხველს ძალზედ მოკლედ, რამდენიმე აბზაცით მიეწოდება ან თავად ჟურნალისტი გადმოსცემს მხოლოდ ყველაზე არსებითს რესპონდენტის პასუხიდან. ამგვარ ინტერვიუთა ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეულ შემთხვევებს ძირითადად 90-იან წლებამდე მივაკვლიეთ, მაგალითად: გამსახკომის თავჯდომარის რევაზ ღლონტის საუბარი „სტიმული ეძლევა შემოქმედებას“ (6), რომელიც ჟურნალისტთა ხელფასების გაზრდას შეეხება, ან კიდევ, „საქინფორმის“ კორესპონდენტთა მიერ მოკლედ გადმოცემული საუბარი – „მუზეუმები მხრებს შლიან“ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორთან ლ. ჭილაშვილთან და თ. სანიკიძესთან. (7).

ამგვარმა „შეკუმშულმა,“ საკმაოდ პრაქტიკულმა „ინტერვიუ-შეტყობინებებმა“ (ინფორმაციული შენიშვნისაგან იმით განსხვავდება, რომ ინფორმაციას მკითხველი იღებს არა ჟურნალისტისაგან, არამედ უშუალოდ „პირველწყაროსგან,“ რითაც მასალის კომპეტენცია იზრდება) სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ჯერჯერობით ვერ შეძლო დამკვიდრება. თუმცა, გერმანულ ჟურნალისტიკაში, განსხვავებით ქართულისაგან ინტერვიუს 3 სახეს განიხილავენ: „Sach-Interview“ – ინფორმაციული ინტერვიუ; „Meinungs-Interview“– ინტერვიუ აზრი და „Personen-Interview“ – ინტერვიუ. რომელიც პიროვნებას წარმოგვიდგენს. (8) ქართულსა და უცხოურ პრესაში ინტერვიუს სახეობათა მსგავსება-განსხვავებაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ეს ცალკე საუბრის საკმაოდ ფართო თემაა და სცილდება ამ სტატიის ფარგლებს. ამდენად, გერმანულ პრესასთან ზემოთ მოხმობილი პარალელიც, ვფიქრობთ სავსებით საკმარისია იმის ხაზგასასმელად, რომ ჟანრები შესაბამისი პრაქტიკის საფუძველზე ტრანსფორმაციას განიცდიან სხვადასხვა სივრცეში.

ტრანსფორმაციის პროცესის დროში განფენილობის თვალსაზრისით კი, ვფიქრობთ, არ დაგვჭირდება პარალელების კვლავ უცხოურ პრესასთან გავლება, საკმარისი იქნება, თუ საქართველოში ამ ჟანრის განვითარების ადრეულ ეტაპს მივმართავთ.

პუბლიცისტიკის სხვა ჟანრებთან შედარებით ინტერვიუ საკმაოდ გვიან ჩნდება. როგორც პროფ. ნ. ტაბიძე მიუთითებს, იგი ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ბოლოს ძლივს იკიდებს ფეხს: „ეს ჩანს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1910 წელს გამოქვეყნებული გ. თუმანიშვილის წერილიდანაც: „... კარგი იქნება ახალმა ჟურნალმა შემოიღოს ის ჩვეულება, რომელიც არსებობს საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთობაში. ეს არის ესრეთ წოდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ინტერვიუ," ე. ი. საუბარი სხვადასხვა ცნობილ მოღვაწესთან ამა თუ იმ საინტერესო საგანზე. ზოგჯერ ჟურნალის თანამშრომელი ესაუბრება არა მარტო ცნობილ მოღვაწეს, ესაუბრება აგრეთვე საზოგადოდ მკითხველებს, ან მაყურებლებს...

ეს გზა მეტად სასარგებლო იქნება ჩვენში, სადაც საზოგადოება ჯერ არ არის შეჩვეული, თავისი აზრი თვითონვე დაბეჭდოს" (9).

თუმცა, როგორც ჩანს, ქართულ სინამდვილეში მაინც კარგა ხანს უჭირს ამ ჟანრს დამკვიდრება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ გაცნობილი ყოველდღიური გაზეთი „საქართველო" (1915-17წ.წ.). მისი სამი წლის ნომრებში მხოლოდ ერთი ინტერვიუს წავაწყდით – ალ. ახმეტელის „საუბარი საქართველოს ექსარხოსთან" (10). ხსენებული ინტერვიუ მრავალმხრივაა საყურადღებო: უპირველესად იმიტომ, რომ მისი ავტორი დიდი საზოგადო მოღვაწე სანდრო ახმეტელი გახლავთ; მეორეც, ეს მასალა მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართული ეკლესიის ისტორიისათვის და, ჩვენთვის რაც ყველაზე უმთავრესია, ამ ჟანრის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ და მის ფონზე ნათლადაა შესაძლებელი ტრანსფორმაციის პროცესის დანახვა.

კითხვა-პასუხზე აგებული ეს ინტერვიუ მრავალ ისეთ „ზეპირ" ელემენტსაც შეიცავს, რომელიც, როგორც წესი, არ ფიქსირდება ხოლმე. თავისთავად სათაურიც საბაბს გვაძლევს, რომ ეს ინტერვიუ განვითარების ადრეულ ეტაპს მივაკუთვნოთ. დღეს ხომ ჟანრის სახელწოდებას სათაურში თითქმის არავინ აღნიშნავს. ერთი შეხედვით, თითქოს ძნელიცაა ამ ინტერვიუს სახეობის განსაზღვრა. შესაძლოა, ინტერვიუ-ჩანახატისკენ იხრებოდეს, რადგან კითხვების შემდეგ ნაჩვენებია მოსაუბრის რეაქცია; შეიცავს რეპორტაჟის ელმენტებსაც – ინტერვიუერი ცდილობს დასწრების ეფექტის შექმნას. მაგალითად: „ჩემს თავს ძალას ვატან, ვჩქარობ და ვცდილობ, ჩემი აზრი ნათლად გამოვთქვა..." იმის თქმაც შეიძლება, რომ მძლავრობს ანგარიშის ელემენტებიც: „საქართველოს" რედაქციის დავალებით შაბათს, 16 იანვარს საქართველოს ექსარხოსს პლატონს სადარბაზოდ ვესტუმრე.." ს. ახმეტელი ზუსტად, დეტალურად გადმოსცემს საუბარს, არც თავისი კითხვების „წარუმატებლობას" ერიდება: „თქვენო მეუფებავ, თქვენს ახალ სამწყსოს ჰფიქრობთ უწოდოთ საქართველოს ეკლესია თუ ამ-

იერკავკასიის ან კიდევ ნარევ ეროვნებათა ეკლესია?“ მისი მეუფების სახეზე ეროსხანს განცვიფრება აღიბეჭდა: „თქვენ თვითონ, ასეთი კითხვა ცოტა უცნაურად არ მიგაჩნიათ? – თავის მხრივ შემეკითხა მისი მეუფება“. ასევე ზუსტად აფიქსირებს რესპონდენტის ყოველ ფრაზას, მაგალითად: „–ეს კითხვა მეტად საჭირო და დიდმნიშვნელოვანია – მოწონებით შენიშნა მისმა მეუფებამ...“ ან „– თქვენ, ბატონო ნამდვილ საპროგრამო, არსებითის კითხვებს მაძლევთ. დიდათ მოხარული ვარ, ეს ძალიან კარგია. მიპასუხებს მისი მეუფება...“ ატმოსფერო ზედმიწევნით სიზუსტით არის ნაჩვენები: „პირველი ჩემი შეკითხვა იყო... შემდეგ კითხვაზე გადავედივარ... მცირე სიჩუმის შემდეგ, მესამე კითხვაზე გადავედივარ... შემდეგ მის მეუფებას ვეკითხები... ჩემი უკანასკნელი კითხვა იყო...“

დღეს ამგვარ ფრაზებს ხომ თითქმის ვერსად შევხვდებით (ვერც ინტერვიუ-დიალოგში და ვერც ინტერვიუ-ჩანახატში). ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში ვხვდებით პირდაპირი დაკვირვების მეთოდის გამოყენებით რეპორტაჟის ელემენტების შემოჭრას, რაც ჟანრის თავისთავადობას, რა თქმა უნდა არ უკარგავს. ჩვენი დაკვირვებით, დღეს უკვე ეს ინტერვიუს ტრანსფორმაციის ერთი ნათლად გამოკვეთილი ტენდენციაა – მის ქვესახეებში სხვა ჟანრთა ელემენტების შემოჭრა, რითაც ჟანრული დიაპაზონი ფართოვდება. ამ თვალსაზრისით, გარდა ინტერვიუ-რეპორტაჟის ურთიერთქმედებისა, არანაკლებ საინტერესოა მიმართებანი ინტერვიუ (პრესკონფერენცია) – ანგარიში; ინტერვიუ (მინი-მონოლოგი) – ინფორმაციული შენიშვნა; ინტერვიუ (დიალოგი) – ნარკვევი და სხვა (ინტერვიუს, როგორც შესაძლოა ითქვას, უნივერსალურ მეთოდს, აქტიურად იყენებენ თითქმის ყველა ჟანრში).

რა დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ინტერვიუსა და ანგარიშს შორის? ძირითადად ეს ურთიერთზემოქმედება თავს იჩენს პრესკონფერენციის მაგალითზე. მართალია, ხსენებული სახეობა კოლექტიური ინტერვიუს ფორმაა, მაგრამ ჩვენს პრესაში წესად იქცა მისი ანგარიშის ფორმით გაშუქება (შედარებით იშვიათად გვხვდება ინფორმაციული შენიშვნის სახით). ამდენად, ვფიქრობთ, ესეც თავისებური ტრანსფორმაციაა (ამ ფორმის დამკვიდრებას წინ უსწრებდა პრესკონფერენციის შესატყვისი სახე, გამოყოფილი კითხვა-პასუხებით. მას მიმართავდა 1990-1991 წ.წ. „საქართველოს რესპუბლიკა“. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ

ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ტრადიციული პრესკონფერენციები, სწორედ, ინტერვიუს, უფრო კონკრეტულად, კოლექტიური ინტერვიუს სახითაა წარმოჩენილი. 1992 წლიდან უკვე ვხვდებით ნაწარმოებებს, რომლებშიც ურთიერთშეჭრილია ანგარიშისა და ინტერვიუს საწყისები. დიალოგის ელემენტები ვხვდება როგორც ნაწარმოების შუა, უფრო მეტად კი, ბოლო ნაწილებში. ამავე პერიოდში ჩნდება დღეისათვის ტრადიციული ფორმა პრესკონფერენციის ანგარიშად ტრანსფორმირებისა, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ვნახოთ, რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს ინტერვიუსა და ნარკვევს შორის. სამწუხაროდ, პორტრეტული ნარკვევები და ინტერვიუ-ჩანახატები დიდი ხანია თითქმის გამქრალია ჩვენი პრესიდან. ისინი „ტრანსფორმირებულია" „ინდივიდუალურ" ანუ „პორტრეტულ" ინტერვიუ-დიალოგებად. მათი მაგალითები უხვად მოიძებნება. ვფიქრობთ, საყურადღებოა ისეთი ჟანრული ვარიაცია, როგორიცაა „ნარკვევისებური დიალოგი" (ტერმინს ვესესხებით ცნობილ თეორეტიკოსს ვ. უჩენოვას) (11), რომელიც შედარებით იშვიათად გვხვდება. ამ ფორმის ნიმუშად მიგვაჩნია ვ. მარდალეიშვილის „თენგიზ არჩვაძის სადღეგრძელოები" (12), რომელშიც მეტყველი დეტალებით იძერწება რესპონდენტის პორტრეტის შტრიხები.

საინტერესოა ინტერვიუსა და ინფორმაციული შენიშვნის ურთიერთმიმართებაც, რაც, ფაქტობრივად, გამოიხატება ფორმით – „ფაქტი+კომენტარი". ჟურნალისტის თხოვნით ამა თუ იმ სიახლეს (რასაც თავად აღწერს ინტერვიუს შესავალ ნაწილში), კომენტარს ურთავს კომპეტენტური პირი, ფაქტისა თუ მოვლენის მონაწილე ან დამოუკიდებელი ექსპერტი. ამგვარ შემთხვევაში ძირითადად თავს იჩენს ფაქტის კომენტირება არა მხოლოდ მონოლოგის, არამედ დიალოგის გამოყენებით. ცნაურდება მკაფიო გადასვლა ინფორმაციული შენიშვნისა – ინტერვიუში. ამ ორი ჟანრის სტრუქტურების შეხამებას ჯერ კიდევ 3 ათეული წლის წინათ მიაპყრო ყურადღება პუბლიცისტიკის თეორეტიკოსმა მ. ჩერეპახოვმა და ეს პროცესი ახსნა „ჟანრთა დიფუზიით". (13)

ფაქტობრივად ამ ორი ჟანრის ურთიერთმიმართებაში იკვეთება ინტერვიუს ტრანსფორმაციის მეორე არსებითი ტენდენცია – ანალიტიკურობისაკენ სწრაფვა. ჟურნალისტი მხოლოდ ექსპერტ-

თა კომენტარებით როდი კმაყოფილდება, მისივე შემფასებლური დამოკიდებულებაც ჩნდება. მაგალითად, „დილის გაზეთი“ საქართველოში აქციზური მარკების შემოღებასთან დაკავშირებით სრულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს – რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ეს პროცესი? – რა ბედი ელის არამარკირებულ საქონელს? როგორ იმოქმდებს ბაზარზე? ამ კითხვებით მიმართავს კომპენტენტურ პირს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელს. მხოლოდ ამ ინტერვიუთი არ ამოწურავს თემას, რადგან ეს სიახლე ხელისუფლებასა და მეწარმეებს შორის მორიგი გაუგებრობის მიზეზი გახდა, დამოუკიდებელ ექსპერტს სთხოვს კომენტარს. მასთან საუბრის შემდეგ ლოგიკურად წერტილი უნდა დაისვას, თუმცა, ჟურნალისტი ცდილობს საკუთარი შემფასებლური დამოკიდებულების გამოხატვასაც: „იმედია სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც შესძლებს თავისი ინტერესების დაცვას და შექმნის ყველა ტექნიკურ და სამართლებრივ ბერკეტებს საიმისოდ, რომ სახელმწიფო შემოსავალი მართლაც ვიღაცის კერძო ჯიბეში არ დაილექოს და პოლიტიკური სპეკულაციის საგანი არ გახდეს. მითუმეტეს, რომ ჩვენთან ყველაზე გაღამღები ამგვარი მაგალითებია“ (14).

ინტერვიუს ანალიტიკურობის სწრაფვაზე საუბრისას ხაზგასმით აღსანიშნავია ერთი გარემოება, – არამც და არამც არ შეიძლება ტოლობის დასმა ინტერვიუს მეთოდით შესრულებულ ანალიტიკურ ჟანრთან, „საუბართან,“ რომელიც მიზნად ისახავს არა სიახლის შეტყობინებას, არამედ ჭეშმარიტების დადგენას. ამასთან დაკავშირებით, მართებულად მიგვაჩნია პროფ. ნ. ტაბიძის თვალსაზრისი: „ნებისმიერი ჟანრი ან ინფორმაციული უნდა იყოს, ან ანალიტიკური, შუალედი არ არსებობს. უხერხულია ანალიტიკური მომენტების მოჭარბებიდან გამოვიდეთ. თავი და თავი არა რაოდენობრივი მომენტია, არამედ არსის განსაზღვრული ფაქტორების დომინირება. ამიტომაც მხარს ვერ დავუჭერ იმ თვალსაზრისს, რომ ინტერვიუ შეიძლება იყოს ინფორმაციული და ანალიტიკური. ან ერთი ან მეორე. კორესპონდენტ-რესპონდენტთა ურთიერთობა შეიძლება ითვალისწინებდეს სიახლის გაცნობას და ჭეშმარიტების დადგენას. პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება ინფორმაციულ ჟანრთან – ინტერვიუსთან, მეორე შემთხვევაში კი – ანალიტიკურ ჟანრთან, რომელსაც პირობითად, შეიძლება „საუბარი“ ვუწოდოთ,

ინტერვიუ წმინდა წყლის ინფორმაციული ჟანრია და ანალიტიკური მომენტების მეტნაკლებად შემოჭრა მის თავისთავადობას არ ცვლის.“ ეს ანალიტიკურობისკენ სწრაფვა კი სხვადასხვაგვარად ვლინდება, არა მხოლოდ პირდაპირ კომენტარებით, ან კითხვებით, რომლებიც ხშირად ე. წ. „ამობურცული წერტილის“ ფუნქციას ასრულებენ (ტერმინს ვესესხებით პროფ. ნ. ტაბიძეს), არამედ პუბლიცისტური ტენდენციის გამჟღავნების მრავალი ირიბი და პირდაპირი ხერხით.(15)

ანალიტიკური საწყისების დამკვიდრებაში სულ უფრო მეტად დომინირებს კომენტარი, მიუხედავად იმისა, თუ რა დოზით იყენებს ჟურნალისტი მას. შემფასებლური ტენდენცია ხშირად ვლინდება, თუნდაც, კარგად შერჩეული სათაურებითა თუ ქვესათაურებით.

უფრო და უფრო მკვიდრდება მონოლოგების ტექსტშიდა ქვესათაურებით გამოყოფა. ზოგიერთი გაზეთი კი ე. წ. „სამვარსკვლავიან“ სათაურებს მიმართავს. ვფიქრობთ, მონოლოგში ქვესათაურების გამოყოფა მარჯვე და ეფექტური ფორმაა. მკითხველს უმძაფრებენ ბოლომდე წაკითხვის ინტერესს (და ხშირ შემთხვევაში მოსაწყენ, მონოლითურ ტექსტად აღარ აღიქმება). თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დანაწევრებულ ტექსტში ისინი შესაძლოა, კითხვის როლსაც ასრულებდნენ, ჩადებული იყოს ერთგვარი კოლი კითხვისა. ე.ი. ფაქტობრივად კითხვის შემცველებია. ამდენად, ქვესათაურების გამოყოფა მონოლოგის ტრანსფორმაციის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ფორმის ახალ, საინტერესო ელემენტებს იძენს ანკეტაც. სულ უფრო ხშირად გამოიყენება ინტერვიუირებულთა ფოტოპორტრეტებით წარმოდგენა; „ქუდთან“ ერთად, რომელშიც კითხვაა (ან კითხვები) ჩამოყალიბებული, სჭარბობს სათაურისა და ქვესათაურების გამოყოფაც. ეს ქვესათაურები, ძირითადად გამოტანილია რესპონდენტთა პასუხებიდან. მკითხველთა ყურადღების მიპყრობის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია მათი მომარჯვებაც.

მკითხველთა ყურადღების გასამახვილებლად ცალკეული გამოცემები (მაგალითად: „7 დღე,“ „ახალი თაობა,“ „საქართველოს რესპუბლიკა,“ „ახალი 7 დღე“ და სხვა) მიმართავენ ინტერვიუდიალოგთა ტექსტში რესპოდენტთა პასუხებიდან ამოკრეფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტატების განსხვავებული, მოზრდილი შრიფტით აწყობას და მათ ჩარჩოში მოქცევას.

რაც ყველაზე ხაზგასასმელია, თვით სათაურები განიცდიან საფუძვლიან (როგორც შინაარსობრივ, ასევე ფორმისეულ) ცვალებადობას. უფრო და უფრო იზრდება მკითხველთა დაინტრიგებისათვის სენსაციათა შემცველი სათაურების მომარჯვება, თუ დავესესხებით გერმანელ სპეციალისტთა აზრს, სენსაციებისადმი მისწრაფება მხოლოდ ბულვარულ გაზეთებში როდი შეინიშნება. ეს სავსებით ადამიანურია (16), რადგან, ჩვენი აზრით, ხსენებულ ტენდენციას საგაზეთო ბაზრის არენაზე არსებული კონკურენციის ხასიათი განაპირობებს.

სათაურის ფორმისეულ ცვლილებებს რაც შეეხება, დომინირებს რესპოდენტთა ფრაზების გამოტანა, რადგან ჟანრული სპეციფიკიდანვე გამომდინარე ხომ, ინტერვიუში არსებითია მისი მოსაზრებისა თუ ხასიათის ჩვენება (17).

ასევე სჭარბობს სათაურში კითხვითწინადადებიანი დამაინტრიგებელი სათაურები, რომლებიც მკითხველს ინტერესს უმძაფრებენ, მაგალითად: „საქართველოს მინისტრების კადრების განყოფილება მოსკოვშია?“ (ინტერვიუ უშიშროების ყოფილ შეფთან ირაკლი ბათიაშვილთან) (18); „ვინ ვის გაებუტა?“ (19) და სხვა.

არცთუ იშვიათად კითხვითსიტყვიანი სათაურები რიტორიკული ხასიათისაა, მაგალითად: „რა ბედი ელის ქართულ წიგნს?“(20) „როდის გაიხსნება „დაკონსერვებული“ ქართულ-ოსური კონფლიქტი?“(21) და სხვა.

ასევე, ცალკე გამოიყოფა ხატოვანი ციტატა-სათაურები მხატვრული ნაწარმოებებიდან; უფრო ხშირად კი, გვხვდება ტრანსფორმირებული ციტატები პერიფრაზის სახით, მაგალითად: „მზე შეადლისა“ (22); „პირჯვარს იწერდა იმ ღამეს მერი...“ (23), თუმცა პოეზიის მოყვარულ მკითხველებს ეს მოხდენილი სათაური მოლოდინს გაუწბილებს, რადგანაც ქალაქის მერის მეუღლესთან ინტერვიუ „შერჩება“ ხელთ მხოლოდ და სხვა არაფერი...

ასევე, ცალკე უნდა გამოიყოს ტენდენციის შემცველი, ძირითადად კითხვით-ძახილიანი თუ ძახილის ნიშნიანი წინადადებები. რომელნიც ხშირად ექსპრესიულობის მუხტს აძლიერებენ. ამ მხრივ ექსპრესიულობით გამოირჩევა, მაგალითად, მხცოვან მეცნიერთან ვ. ჩანტლაძესთან გამართული ინტერვიუ-დიალოგი „არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეარღვევ სიჭაბუკის განაწესს! (24) სათაურის გარდა, ყურადღებას იპყრობს პირველი კითხვა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი მენტალიტეტის ტრანსფორმაციაზეც მეტყველებს: „ბავშვი იშვიათად ოცნებობს ეკონომისტობაზე. საინტერესოა, თქვენ ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?!...

სათაურებში სჭარბობს არამხოლოდ მოკლე განსაზღვრებანი, არამედ პირდაპირი შეფასებანიც (მაგალითად, „მინისტრი პასუხისმგებლობას თავს არიდებს“ (25) კულტურის მინისტრთან ინტერვიუ, რომელიც ეროვნული საგანძურის უცხოეთში საექსპოზიციოდ გატანას ეხება).

ბუნებრივია, ძირითადად შინაარსობრივი სახეცვლილებანი მეტყველებენ ინტერვიუს სათაურთა ტრანსფორმაციაზე, სულ უფრო მაპროვოცირებელნი ხდებიან ისინი.

ინტერვიუ-დიალოგის ფორმისეულ ცვლილებებს შეიძლება მიეკუთვნოს ერთი გარემოებაც. ტრადიციულად, ინტერვიუს „თამაშის წესი“ გულისხმობს, რომ საუბრის „ძაფი,“ ისევე როგორც პირველი სვლა, ჟურნალისტის „უპირატესობაა“. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, სულ უფრო მეტად მკვიდრდება პრაქტიკაში ფორმა, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ „ინტერვიუ პირველი კითხვის გარეშე,“ როცა სიახლეზე „ქუდი“ გვამცნობს. მართალია, ამგვარ ფორმათა ცალკეული შემთხვევები 80-იან წლებშიც გვხვდებოდა, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ითქვა, რომ ისინი დღევანდელ პრესაში უფრო დომინირებენ. მათ ამკვიდრებენ ისეთი სოლიდური გამოცემები, როგორებიცაა: „საქართველოს რესპუბლიკა,“ „თბილისი“...

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ინტერვიუს ფორმისეული ევოლუცია თვალსაჩინოა. იკვეთება შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

ინტერვიუში სხვა ჟანრთა ელემენტების შემოჭრა და ამ ურთიერთმიმართებათა შედეგად წარმოქმნილი ჟანრული ვარიაციები;

სწრაფვა ანალიტიკური საწყისების დამკვიდრებისაკენ, რაშიც სულ უფრო მეტ როლს ასრულებს კომენტარი, მიუხედავად იმისა, თუ რა დოზით იყენებს ჟურნალისტი მას – პირდაპირი, ირიბი, გზადაგზა კითხვების სახით დართული და სხვა.

შემფასებლური ტენდენცია ხშირად ვლინდება, თუნდაც, კარგად შერჩეული სათაურებითა თუ ქვესათაურებით, „რადგან სათაური ხომ კონვერტზე დაწერილ მისამართს ჰგავს, უმისოდ ძნელია მასალა ადრესატამდე მივიდეს“ (26). ტექსტშიდა ქვესათაურების გამოყოფა, რომელიც სულ უფრო მკვიდრდება ინტერვიუ-მონოლოგში და დიალოგშიაც კი უნდა მივიჩნიოთ ინტერვიუს ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ნიშნად.

ანალიტიკური საწყისების დამკვიდრების სწრაფვა ჟანრს თავისთავადობას არამც და არამც არ უკარგავს, რადგან სიახლის შეტყობინება ინტერვიუს ინვარიანტული სიდიდეა.

ლიტერატურა

1. Кашина Н. В., Жанр как эстетическая категория. М., 1984

2. Gasprächsituationen und wie man damit fertig wird. ABC des Journalismus. München. გვ. 38. 1992

3. Das Interview als Stilform. იმავე კრებულში

4. იქვე, გვ. 51; Walter von La Roche. Einführung in den praktisch en Journalismus. Mit genauer Beschreibung aller Ausbildungswege Deutschland Qsterreich Schweiz. List Verlag Mühchen. გვ. 144. 2000

5. Пельт В. П., Интервью. Теория и практика советской печати. М.. 1980. стр. 228

6. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ № 10, 1988

7. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ № 10, 1988

8. Walter von La Roche. დასახ. ნაშრომი, გვ. 144

9. ნ. ტაბიძე, ინტერვიუ, საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა. II ნაწ., თბ., გვ. 51-52, 1978

10 „საქართველო,“ № 13, 1916

11. Ученова В.В., Современные тенденции развития журналистских жанров. Вест. МГУ. №4. 1976

12. Ученова В. В., Метод и жанр. диалектика взаимодействия // Методы журналистского творчества (под ред. В. М. Горохова). М., გვ. 87. 1982

13. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 52, 1997

14. Черепахов М. С., Тенденции и возможности развития содержания жанров и их структур. Проблемы теории публицистики. М., стр. 260. 1973

15. „დილის გაზეთი“ № 43, 1989

16. ნ. ტაბიძე. ტენდენციის გამჟღავნების ხერხები პუბლიცისტიკაში /საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, I, თბ., გვ. 177-199, 1997

17. W. Schneider, P. L. Raue Wie Journalisten Leser und Hörer informieren, Handbuch des Journalismus. Hamburg. გვ. 91, 1998

18. ნ. ტაბიძე, ინტერვიუ, დასხ. კრებ., გვ. 77

19. „დრონი", № 28, 1996

20. „დრონი", № 28, 1996

21. „საქართველოს რესპუბლიკა", № 76, 1992

22. „დრონი", № 9, 1996

23. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 9, 1985

24. „საქართველოს რესპუბლიკა", № 328, 1998

25. „კომუნისტი". № 56, 1985

26. „რეზონანსი". № 127, 1999

27. „დილის გაზეთი", № 25, 1996

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

მაკა დარსაველიძე

პრესის თავისუფლების ეკონომიკური ასპექტები (აშშ-ს და რუსეთის პრესის მაგალითზე)

პრესასთან დაკავშირებულ არცერთ საკითხს არ გამოუწვევია ისეთი დიდი ინტერესი, პოლემიკა და აჟიოტაჟი, როგორც პრესის თავისუფლების პრობლემას. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ეკონომიკის ზეგავლენას მასმედიის ფუნქციონირებაზე. ბოლო დროს გავრცელებული შეხედულებების თანახმად, ჟურნალისტიკა მომგებიანი ბიზნესი უნდა იყოს და თითქოს პრესის თავისუფლების ერთ-ერთი მაჩვენებელი სწორედ ის არის, თუ რამდენად შემოსავლიანია გაზეთი. მაგრამ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლება, როდესაც გაზეთს დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია. საპირისპირო ობიექტური მოსაზრების თანახმად კი, მთავარია ჟურნალისტის იდეური თავისუფლება, რადგან პრესის თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ გაზეთის დამოუკიდებლად წარმოების თავისუფალ საქმიანობას.

საბჭოთა პერიოდში საყოველთაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ კაპიტალიზმის პირობებში არ არის და არც შეიძლება იყოს ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი თავისუფლება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში წიგნების, გაზეთების, ჟურნალების გამოცემის ყველა საშუალება (სტამბა, ქაღალდის მარაგი, ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების აპარატი და სხვა) კაპიტალისტების საკუთრებაა. „ექსპლუატატორები ბეჭდვით სიტყვას იყენებენ დეზინფორმაციის, მშრომელთა მასების იდეოლოგიური დამონების, ბურჟუაზიული წყობის დაცვის საშუალებად"[1] ე. ი. გაკრიტიკებულია კაპიტალისტური ქვეყნების პრესა, სადაც მრავალპარტიული სისტემაა და დანერგილია შეხედულებათა პლურალიზმი. ერთპარ-

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 349

ტიული სისტემის პრესაში კი, რაც საბჭოთა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, ეს შეუძლებელი იყო. პრესა ყოველთვის ვიღაცის ინტერესებს გამოხატავს და ვიღაცის საკუთრებაა, მაგრამ პერიოდული ორგანო არ უნდა ღალატობდეს ობიექტურობის პრინციპს. თუ ობიექტურობა არ არის დაცული, მასალა და მთელი გამოცემა ტენდენციურია, მაშინ პრესის თავისუფლება შეზღუდულია... კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით კაპიტალიზმის პირობებში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება თითქოს ფიქციაა, რადგან პრესის მიმართ რჩება კაპიტალის ძალაუფლება. კაპიტალისტები პრესის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრების მიერ ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ სიმდიდრე გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრის საფაბრიკაციოდ და გასაყალბებლად. საბჭოთა სპეციალისტები თვლიდნენ, რომ სოციალისტურ ქვეყნებში სიტყვის თავისუფლებას უზრუნველყოფს ბეჭდვითი გამოცემებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების მშრომელებისა და მათი ორგანიზაციების განკარგულებაში ყოფნა. „იმისათვის, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს შეესაბამებოდეს, მას საერთო მიმართულებას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია."[1] ეს ფორმულირებაც ნათლად გამოხატავს იმას, რომ საბჭოთა პერიოდში სიტყვის თავისუფლება შეუძლებელი იყო, რადგან კომუნისტური პარტია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მონოპოლიურად ფლობდა და აკონტროლებდა. ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში პრესა კერძო მფლობელის ხელში იყო, მაგრამ იქ მოქალაქეს სრული უფლება ჰქონდა, რომ თავისი აზრი, თუნდაც სხვებისაგან განსხვავებული, თავისუფლად გამოეთქვა პრესის ფურცლებზე. რაც სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა...

„პრესის ბურჟუაზიული თავისუფლების" განუწყვეტელი კრიტიკის მიუხედავად, დასავლეთში სიტყვის თავისუფლების კიდევ ერთ გამოვლენად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოში ლეგალურად არსებობდა და დღესაც არსებობს კომუნისტური პარტია და გამოდის ამ პარტიის პერიოდული ორგანოები, როგორიცაა „იუმანიტე," „უნიტა". ამას კომუ-

---

[1] ქსე. თბ., გვ. 350, 1977

ნისტები საკუთარ მიღწევად თვლიდნენ და ამტკიცებდნენ, რომ პარტიის და პერიოდული ორგანოს ლეგალიზაცია მათ მძიმე კლასობრივი ბრძოლით მოიპოვეს. „კომუნისტური გამოცემების უკან რომ არ იყოს კომუნისტური პარტია და მშრომელთა ფართო მასები, რომ არ არსებობდეს კლასობრივი სოლიდარობა, ბურჟუაზიული სახელმწიფო დიდი ხნის წინ აკრძალავდა კომუნისტურ პარტიას და მის პრესას. ეს არ არის პრესის სრული, ნამდვილი თავისუფლება. ეს არის სიტყვის ე. წ. „პოლიციური" თავისუფლება, რომელიც უნდა მოიპოვო და დაიცვა ყოველ დღე"[1] ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რა უსუსური არგუმენტებით ასაბუთებენ კომუნისტები დასავლეთში განსხვავებულად მოაზროვნე პრესის არსებობას. უდავოა, რომ ამ გაზეთების გამოცემისათვის გარკვეული პირობები იყო შექმნილი და ისინი არ იკრძალებოდა, რასაც ვერ ვიტყვით სოციალისტურ სახელმწიფოებზე.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მონოპოლიურად არ ფლობს სახელმწიფო. რაც შეეხება იმას, რომ დასავლეთში პრესა მსხვილი მონოპოლიების და კომპანიების ხელშია, ეს იმით აიხსნება, რომ საგაზეთო საქმე მომგებიანი ბიზნესია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პერიოდული გამოცემის ობიექტურობა მისი მფლობელის ინტერესებს არ უნდა ეწირებოდეს.

„ტრაფალგარ პაუზ-ინვესტმენტის" ერთ-ერთმა მფლობელმა ვ. მეტიუსმა, რომელმაც 1977 წელს „ბივერბრუკ ნიუსპეიპერსის" საგაზეთო იმპერია შეისყიდა, განაცხადა: „ჩვენი ორგანიზაცია კომერციულია. ეს არის საინფორმაციო ბიზნესი და ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მოგება გვქონდეს"[2] თუმცა მხოლოდ მოგებაზე და სენსაციაზე მუშაობა დაუშვებელია და ეს გარკვეულ სიმახინჯეებსაც წარმოშობს. კერძო ინიციატივის არსებობა კი ხელს უწყობდა და დღესაც ხელს უწყობს ადამიანთა ჯგუფის, თუ ორგანიზაციის მიერ პერიოდული ორგანოს დაარსებას და თუნდაც რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების ქადაგებას.

ცნობილმა საგაზეთო მაგნატმა რუპერტ მერდოკმა განაცხადა, რომ იგი პირველ რიგში ბიზნესმენია. მერდოკმა მსოფლიოში

---

[1] Пронин П. И., Свобода печати и пути ее осуществления, М., გვ. 25. 1980

[2] იქვე, გვ. 10

უმსხვილესი საგაზეთო იმპერია შექმნა, რომლის ნაბეჭდი პროდუქცია ევროპაში, აშშ-ში და ავსტრალიაში გავრცელდა. მის დაქვემდებარებაში თავიდან შედიოდა 87 გაზეთი, 11 ჟურნალი, 7 რადიოსადგური და კომპანია, რომელიც ავიახაზებს ემსახურებოდა. ეს არის ტიპიური ზეეროვნული (ზენაციონალური) მონოპოლია, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ასახავს. 1976 წელს მერდოკმა იყიდა აშშ-ში ერთ-ერთი უძველესი გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი," რომელიც 1801 წლიდან გამოდის. 1977 წლის იანვარში მერდოკმა შეისყიდა კიდევ ერთი ჟურნალ—გაზეთების საწარმო „ნიუ-იორკ მეგეზინ კომპანი," რომელიც ყოველკვირეულ გაზეთს „ნიუ-იორკს" გამოსცემდა. ეს კომპანია აშშ-ს დასავლეთ სანაპიროზე უშვებს ჟურნალს „ნიუ-უესტი" და რადიკალური მიმართულების ყოველკვირეულ გაზეთს „ვილიჯ-ვოის". ამ სფეროში მერდოკის სამეწარმეო საქმიანობა ამით არ დასრულდა და წლების განმავლობაში მან თავისი იმპერია კიდევ უფრო გააფართოვა.

სხვადასხვა კომპანიის შესყიდვა და მსხვილი საგაზეთო მონოპოლიების შექმნა დასავლეთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არის მასმედიის განვითარების თანამედროვე ტენდეცია, რაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთში პრესა თავისუფალი არ არის. ვერავინ ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მერდოკის იმპერიაში შემავალი გაზეთები თავისუფალი პრესის პრინციპებს ღალატობენ. ერთი რამ კი უდავოა: პრესის აბსოლუტური თავისუფლება მიუღწეველია, ისევე როგორც, ჰეგელისა არ იყოს, საერთოდ არ არსებობს აბსოლუტური თავისუფლება, მას ეთიკური და ზნეობრივი კატეგორიები ზღუდავს. ხშირ შემთხვევაში დასავლეთში პრესის თავისუფლება დამოკიდებული არაა მისი მფლობელის ინტერესებზე. მაგალითად, იგივე რუპერტ მერდოკის მიერ დოროტი შივისგან შესყიდული გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" დემოკრატიულ პარტიას უჭერდა მხარს და მისი არაოფიციალური რუპორი იყო. მერდოკი გაზეთის ძველ მფლობელს შეპირდა, რომ შეინარჩუნებდა ლიბერალურ მიმართულებას და თვით დოროტი შიფს რედაქციაში კონსულტანტის ადგილი შესთავაზა.

არსებობს პრესის კიდევ ერთი სამეფო „განეტ კომპანი," რომელიც ახლო წარსულში აშშ-ს 18 შტატში და კუნძულ გუამზე

60 ადგილობრივ გაზეთს ფლობდა. „განეტ კომპანიმ“ კიდევ ერთი საგაზეთო ქსელი „სპეიდელ-ნიუსპეიპერსი“ შეიერთა, რომელშიც 13 ყოველდღიური გაზეთი შედიოდა. მსგავსი ფაქტები ხდება არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც. მაგალითად, საფრანგეთში ცნობილმა ბიზნესმენა ერსანმა ყველა ახალი ადგილობრი გაზეთი შეისყიდა, მასვე ეკუთვნის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც პერიოდულ გამოცემებს ინფორმაციებს აწვდის. ასევე, გერმანიის პერიოდული ორგანოების დიდი ნაწილი საგაზეთო მაგნატის შპრინგერის ხელშია. მისი აქციონერული საზოგადოება 15 ყოველდღიურ გაზეთს უშვებს. ყოველივე ზემოთ თქმული არ უნდა იყოს ისე გაგებული, თითქოს დასავლეთში ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა და მსხვილი მონოპოლიების შექმნა სპონტანურად მიმდინარეობს. ბევრ ქვეყანაში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ პროცესებს არეგულირებს. მაგალითად, საფრანგეთისა და გერმანიაში მიღებულია მკაცრი კანონები იმ საქმიანი გარიგებების შესახებ, რომლებიც ერთი პირის ხელში პრესის კონცენტრაციას იწვევენ; ავსტრალიაში, კანადაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში არსებობს შეზღუდვები მასმედიის სხვადასხვა სახეობის მფლობელობის შესახებ. საფრანგეთში აკრძალულია უცხოელების მიერ მასმედიის კომპანიათა აქციების 20 პროცენტზე მეტის შესყიდვა.

პერიოდული გამოცემების რაოდენობის მიხედვით, აშშ-ს კაპიტალისტურ სამყაროში პირველი ადგილი უჭირავს 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში 20624 გამოცემა იყო, მათ შორის 9031 გაზეთი და 11593 ჟურნალი. პერიოდული გამოცემების ნახევარზე მეტი მსხვილი კონცერნების ხელშია. აშშ-ში 149 კომპანიაა, რომელიც ორ ან უფრო მეტ გაზეთს ფლობს, თუმცა არსებობს ისეთი გამოცემები, რომლებიც არ ექვემდებარებიან მონოპოლიებს.

ყოველდღიური გაზეთების საერთო ტირაჟის მიხედვით, ლიდერობს „განეტ კომპანი“ (90 გაზეთი 5,7 მლნ ტირაჟით), მეორე ადგილზეა „ნაიტ-რიდერ ნიუსპეიპერსი“ (32 გაზეთი 3,6 მლნ ტირაჟით). მესამეზე კი „ნიუპაუზ ნიუსპეიპერსია“ (26 გაზეთი 3 მლნ ტირაჟით). მსხვილი მონოპოლიების ათეულში ასევე შედიან „ტრიბუნ კომპანი,“ „ტაიმს მირორი,“ „დოუ ჯონს ენდ კომპანი,“ „ნიუ-იორკ ტაიმს კომპანი,“ „ტომსონ ნიუსპეიპერსი,“ „პერსტ კორპორეი-

შენი,“ „ლოს-ანჯელეს ჰერალდ-იგზემინერი,“ „გუდ ჰაუზეიპინგი,“ „რედბუკი,“ „კოსმოპოლიტენი“.

აშშ-ში აგრეთვე არსებობს ზოგადნაციონალური პრესა. მაგ. „უოლსტრიტ ჯორნალი“ და „იუ-ეს-ეი ტუდეი“ ევროპასა და აზიაში ვრცელდება. 1984 წ. გამოვიდა ზოგადნაციონალური გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი,“ პარიზში კი იბეჭდება ამერიკული „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“. ეს არის ტრანსნაციონალური პრესა, რომლის წარმოშობა თანამგზავრული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია.

პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, ამერიკული გაზეთების გარკვეული ნაწილი კონსერვატიულია, ნაწილს კი ლიბერალური შეიძლება ეწოდოს. უმეტესობას კავშირი აქვს პოლიტიკურ პარტიებთან, ისინი დამოუკიდებელი ორგანოები არიან. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზოგიერთი გაზეთი რესპუბლიკელ კანდიდატს უჭერს მხარს (მაგალითად „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი,“ „ჩიკაგო ტრიბუნი.“ „ნიუ-იორკ პოსტი,“ „სან-ფრანცისკო იგზემინერი“), ზოგი კი დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ემხრობა („ნიუ-იორკ ტაიმსი,“ „ვაშინგტონ პოსტი“ და „ბოსტონ გლობი“). არის ისეთი გამოცემებიც, რომლებიც არჩევნების დროს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ, მაგალითად, 1984 წელს გაზეთმა „უოლ სტრიტ ჯორნალმა,“ „ლოს-ანჯელეს ტაიმსმა“ და „იუ-ეს-ეი ტუდეიმ“ არცერთ კანდიდატს არ დაუჭირა მხარი.

აშშ-ს პრესა არაერთფეროვანია და გათვლილია სხვადასხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მქონე მყიდველზე. ბულვარული გაზეთების გარდა, სადაც სენსაციები, სკანდალური ქრონიკები და გასართობი სახის ინფორმაციები იბეჭდება, არის ისეთი გამოცემებიც, რომლებიც საერთაშორისო და შიდა პოლიტიკის პრობლემებზე, ეკონომიკის საკითხებზე ფართო ინფორმაციას იძლევიან. წამყვანი ბულვარული გაზეთებია „იუ-ეს-ეი ტუდეი,“ „ნიუ-იორკ დეილი-ნიუსი,“ „ნიუ-იორკ პოსტი,“ „სან-ფრანცისკო ქრონიკალი“. მაღალი დონის გამოცემებს კი განეკუთვნება „ნიუ-იორკ ტაიმსი,“„ვაშინგტონ პოსტი,“ „უოლ სტრიტ ჯორნალი,“ „ქრისჩენ საიენს მონიტორი“. მასობრივ და მაღალი დონის გამოცემებად პრესის დაყოფის ტენდენცია მთელ დასავლეთში შეინიშნება. კომუნისტების აზრით კი, ეს თითქოს განპირობებული იყო ბურჟუაზიული პრესის კლასობრივი მიზნებით, იმ აუცილებლობით, რათა

გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის ფორმირება მოხდეს. რეალობამ კი გვიჩვენა, რომ პრესის თავისუფლება დასავლეთში საბჭოთა კავშირთან შედარებით უფრო სრულად ხორციელდებოდა. ის პრეტენზიები, რასაც დასავლეთის პრესას უყენებდნენ, პირველ რიგში, საბჭოთა პერიოდულ გამოცემებს ეხებოდა. მაგალითად, კომუნისტები თვლიდნენ, რომ ბურჟუაზიული პრესა არასასურველ ფაქტებს გვერდს უვლიდა და ჩქმალავდა. მაშინ, როდესაც ეს უცხო არ იყო საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებისათვის. „დასავლეთში სწორედ პრესის მიერ მრავალჯერ მხილებული და გამოაშკარავებული იყო თვით მთავრობის მაღალი ეშელონების უწესო ქმედებანი. საკმარისია გავიხსენოთ ე. წ. „უოტერგეიტის საქმე," რომელიც ამერიკის პრესამ წამოიწყო, რამაც პრეზიდენტის სავარძელი დაატოვებინა ნიქსონს"[1]. თავის დროზე ამერიკული გაზეთების გარკვეული ნაწილი ვიეტნამში აშშ-ს პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა, იბეჭდებოდა მასალები შავკანიანთა და უმუშევართა პრობლემებზე და სხვა.

სახელმწიფოში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკა საბჭოთა პერიოდში წარმოუდგენელი იყო. ამჟამად კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ჟურნალისტიკამ სახე იცვალა. დამკვიდრდა აზრთა სხვადასხვაობა, პლურალიზმი, ბოლო მოეღო ერთი პარტიის დიქტატს. მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პირობებში ჟურნალისტიკაში ახალი პრობლემები გაჩნდა. პოლიტიკური თავისუფლების მიღების შემდეგ მასმედია ბაზრის მოთხოვნების წინაშე აღმოჩნდა. წარმოიშვა და გამწვავდა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის პრობლემა. წარსული გამოცდილებისაგან განსხვავებით (როდესაც პრესას მხოლოდ იდეოლოგიური პრობლემები ჰქონდა და ყველა გამოცემა სახელმწიფო დაფინანსებაზე იყო), ამჟამად გაზეთის რედაქცია დამოუკიდებელ კომერციულ საწარმოდ განიხილება. მას იურიდიული პირის უფლება აქვს, მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით და ცდილობს საქონლის რეალიზაციით შემოსავალი მიიღოს, თუმცა ეს არის ინტელექტუალური საქონელი... გამოცემის სიცოცხლისუნარიანობისათვის საგაზეთო საქმის მომგებიან ბიზნესად გადაქცევა, ის, რასაც კომუ-

---

[1] შ. გაგოშიძე, ჟურნალისტიკის საფუძვლები, გვ. 42. 1996

ნისტები კაპიტალისტურ პრესას ბრალდებად უყენებდნენ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა გამოცემას პოლიტიკურ თავისუფლებას არ უნდა აკარგვინებდეს, რადგან პრესის თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ გაზეთის დამოუკიდებლად წარმოების თავისუფალ საქმიანობას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გავლენა მოახდინა თავისუფალი პრესის ეკონომიკაზეც. გაზეთის თვითღირებულება გაიზარდა, რამაც ფასების აწევა და ტირაჟის შემცირება გამოიწვია. რეფორმების დაწყებამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არა მარტო იდეოლოგიურ მრწამსს, არამედ რედაქციების ფინანსურ საქმიანობას, სატირაჟო პოლიტიკას პარტიული კომიტეტები მკაცრად აკონტროლებდა, მთელი მოგება კი მათ ბიუჯეტში შედიოდა. ამჟამად მასმედიას სრული პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება აქვს მინიჭებული, მოგება რედაქციაში რჩება, მაგრამ კატასტროფულად დიდია საგამომცემლო ხარჯები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, რამაც შეიძლება პერიოდულ გამოცემებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვიოს. ამან კი არა მარტო შემოსავლის ნაწილის დაკარგვა, არამედ გამოცემის წამგებიანობა და შესაძლოა გაკოტრებაც განაპირობოს. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ჟურნალისტური კოლექტივები გამოსავლის ძიებაში არიან, როგორც მკვლევარი ვ. ვოროშილოვი აღნიშნავს, „პოსტსაბჭოთა სივრცეში ფინანსური თვალსაზრისით, მასმედიის ფუნქციონირების შემდეგი მოდელები შეინიშნება:

1) ჩადებული საწყისი კაპიტალის მიხედვით: სახელმწიფო, კერძო კაპიტალზე დამოკიდებული, დამოუკიდებელი, ერთობლივი (რედაქცია და ხელმძღვანელი სტრუქტურა).

2) ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება, ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, ჰოლდინგი, საგამომცემლო სახლი, კონცერნი."[1]

მასმედიის ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო და კომერციული საწარმოების საქმიანობის რეკლამირება გახდა, რამაც მა-

[1] Ворошилов В. В., Журналистика, Санкт-Петербург, стр. 9, 1999

სობრივი ინფორმაციის საშუალებების მათზე არაპირდაპირი დამოკიდებულება გამოიწვია. ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციები დღეს ყველაზე ნათლად რუსეთის ფედერაციაში შეინიშნება.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ეკონომიკური კრიზისის პირობებში იზღუდება. როდესაც პრესა მსხვილი ფინანსური დაჯგუფებების გავლენას განიცდის და მათი ინტერესების გამომხატველი ხდება. მასმედია პოსტსაბჭოთა სივრცეში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პოლიტიკური თავისუფლების მიღების შემდეგ, მან ფინანსური დამოუკიდებლობა დაკარგა. თუ კომუნისტურ პერიოდში სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მონოპოლიურად ფლობდა და პრესის თავისუფლება ხელისუფლების კონტროლის გაუქმებასთან იყო გაიგივებული, დღეს ერთი ცენზორი მეორემ შეცვალა. „მოსკოუ ტაიმსის“ რედაქტორის დერკ საუერის აზრით, „რუსეთის ჟურნალისტიკას, რომელიც ათწლეულების მანძილზე კომუნისტური პარტიის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, 90-იანი წლების დასაწყისში ოქროს ხანა დაუდგა. უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მცდელობების მხილება, ტაბუდადებული თემების მოსპობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუმცა ფინანსური სიძნელეები ისევე ზღუდავს მასმედიას, როგორც ძველი პარტიული კონტროლი.“[1] რედაქციებს, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სახსრები და საკმარისი სუბსიდიები სახელმწიფოსგან, დახმარებისათვის კომერციულ სტრუქტურებს მიმართავენ, რაც ასეთ პირობებში სავსებით ბუნებრივია. შედეგი კი ის არის, რომ ხშირად მათი დაქვემდებარების ქვეშ ექცევიან. ისინი შესყიდულ გამოცემას პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და გარკვეულ პირებზე ზეწოლის საშუალებად იყენებენ.

დღეს რუსეთში ბევრი შემფოთებით საუბრობს ფინანსური დაჯგუფებების ძალაუფლების ჩამოყალიბების შესახებ. მათ ცენტრში მსხვილი კომერციული ბანკები დგანან. ბოლო დროს ბანკებმა და ფინანსურმა სტრუქტურებმა გაზეთის რედაქციებისა და ტელერადიოკომიტეტების მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოების აქციების შესყიდვა დაიწყეს. „სამრეწველო საწარმოების პრივატიზაციასთან ერთად კერძო კაპიტალის მიერ მასობრივი ინფო-

[1] Средства массовой информации и мафия. Санкт-Петербургские ведомости. 1999, стр. 5. 8 июля

რმაციის საშუალებების შესყიდვაც მიმდინარეობს. მაგალითად, ნ. ბერეზოვსკის გავლენა აქვს ჟურნალ „ოგონიოკზე," „ნეზავისიმაია გაზეტაზე," „კომერსანტზე," „ნოვიე იზვესტიაზე", ტვ-6-ზე და ორტ-ზე. ბანკი „მენატეპი" კი ფლობს მედია-ჰოლდინგს, რომელშიც შედის გაზეთი „კულტურა," „ნეზავისიმაია გაზეტა," „კაპიტალი," „მოსკოუ-ტაიმსი," ჟურნალები „ლიუდი," „კოსმოპოლიტენი." „მოსტბანკის" დაქვემდებარებაშია „ნოვაია გაზეტა," „სეგოდნია," ჟურნალები „იტოგი," „7 დნეი," აგრეთვე რადიოსადგური „ეხო მოსკვი" და დამოუკიდებელი ტელე-კომპანია ნტვ. „ონექსიმბანკის" შვილობილ კომპანიას 1998 წლის მაისში მედია-ჰოლდინგის სტატუსი მიენიჭა. რუსეთში ეს არის მეთორმეტე კერძო ჰოლდინგი, რომელიც მასმედიას მართავს. მასში შემავალი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი 100 მლნ აღწევს. მათ შორისაა რესპექტაბელური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „იზვესტია," ყოველდღიური საქმიანი გაზეთი „რუსკი ტელეგრაფი," „ანტენა," „ექსპრეს-გაზეტა," საქმიანი ჟურნალი „ექსპერტი" და უზარმაზარი საგამომცემლო სახლი „კომსომოლსკაია პრავდა."[1]

ბანკირებსა და ბიზნესმენებზე დამოკიდებულებამ მასმედია აიძულა, რომ პირველ რიგში მათი ინტერესები გამოხატოს. ჟურნალისტებისგან მოითხოვენ, რომ გარკვეული ფინანსურ-პოლიტიკური ჯგუფისათვის არასასურველი მასალები არ გამოაქვეყნონ. ასეთ პირობებში საეჭვოა ჟურნალისტის თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობა. შეზღუდვები, რომელთაც პრესის თავისუფლება ითვალისწინებს, მხოლოდ შემოქმედის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ინტერესებს ეხება და არა კერძო პირთა სამსახურს. „ობშჩაია გაზეტას" დამფუძნებელმა იგორ იაკოვლევმა ბოლო წლებში პრესის განვითარების სამი ეტაპი გამოყო: „პირველია საჯაროობის პერიოდი (1985-1992 წწ.), როდესაც მასმედიამ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სტრატეგიული როლი შეასრულა. მეორეა სიტყვის თავისუფლების ეტაპი (1992-1996 წწ.), როდესაც ყველაფერზე წერის შესაძლებლობასთან ერთად ეკონომიკური კრიზისი დადგა. ბანკირებს, რომლებსაც ადრე დარბაზში არ უშვებდნენ, ახლა ფინანსურ დახმარებას თხოვდნენ. მათ არ დააყოვნეს, ისარგებლეს მდგომა-

---

[1] Ворошилов В.В., Журналистика. Санкт-Петербург, стр. 220. 1999

რეობით და ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა დაიწყეს. მესამეა მსხვილი ფინანსური დაჯგუფების მიერ მასმედიის განაწილების ეტაპი, რომელიც თამაშის წესების და ჟურნალისტის ზნეობრივი კოდექსის იგნორირებით გამოირჩევა".[1]

საქმიანმა ელიტამ გააცნობიერა მასმედიის ძლევამოსილება, რის შედეგადაც კლანებს შორის საინფორმაციო საშუალებების განაწილება დაიწყო. ამჟამად გაზეთი ან ტელეარხი მარტო მოგების წყარო კი არა, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალებაა. ეს არაობიექტური, ტენდენციური ინფორმაციის გავრცელებას და უარეს შემთხვევაში ხალხის ცნობიერებით მანიპულირებას გამოიწვევს. რაც უფრო დიდია ტირაჟი, მით უფრო იზრდება ზემოქმედების არეალი. ტირაჟის გაზრდას, აუდიტორიის მოზიდვას მფლობელი საინტერესო, თემატურად მრავალფეროვანი მასალებით კი არა, კომპრომატებით, სენსაციებით ცდილობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აუდიტორიის გემოვნების დაქვეითებას უწყობს ხელს.

რუსეთში შექმნილი მდგომარეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკურმა კრიზისმა პრესის თავისუფლება დემოკრატიის პირობებში ეჭვქვეშ დააყენოს. რუსეთში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მეოთხე ხელისუფლების როლს აღარ ასრულებენ. სამწუხაროდ, ამ დასკვნამდე მივიდნენ პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური ასამბლეის 17-ე კონგრესის მონაწილენი. დღესდღეობით რუსეთში რამდენიმე რეალურად დამოუკიდებელი გამოცემაა. მასმედიის მფლობელები ცენზურას აწესებენ და დაუფარავად ერევიან სარედაქციო პოლიტიკაში.

რუსული ჟურნალისტიკის თეორეტიკოსების აზრით, რომლებიც ბოლო წლებში მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან, ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე მტკივნეულად ცენტრალურ და საკმაოდ პოპულარულ გამოცემებს შეეხო. რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობის სამინისტროს საარქივო მონაცემებით მათი ტირაჟი („იზვესტია," „სოვეტსკაია როსია," „კომსომოლსკაია პრავდა," „ლიტერატურნაია გაზეტა") 15-ჯერ შემცირდა. „პრავდამ" კი, ამ მხრივ რეკორდი დაამყარა – მისი ტირაჟი 51-ჯერ შეიკვეცა. სახელმწიფო

---

[1] „Общая газета," 28 мая-3 июня, 1998

შეძლებისდაგვარად ცდილობს დაეხმაროს მასმედიას, მაგრამ სუბსიდიები მაინც ვერ ფარავენ დანახარჯებს. დოტაციები ხელისუფლებას საშუალებას აძლევს გააკონტროლოს გამოცემის არა მარტო ეკონომიკური საქმიანობა, არამედ გავლენა მოახდინოს რედაქციის პოლიტიკაზეც. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას შესაძლოა განზრახ მიმართავს, რადგან იმ გაზეთებს, რომლებიც დოტაციას იღებენ, ხელისუფლების კრიტიკა უძნელდებათ. ეს კი, პრესის თავისუფლების შეზღუდვას იწვევს.

თუ შექმნილ მდგომარეობას თვალს გადავავლებთ, მივხვდებით, რომ შედარებით უფრო სრული პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებით ის გამოცემები სარგებლობენ, რომლებიც არ უკავშირდებიან კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კავშირი იძულებითია, აქედან გამომდინარე, რუსეთში რეალურად დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც არსებობენ. ისინი თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედებენ და შესაბამისად, გარკვეული ძალების ზეწოლას არ განიცდიან. თუ გამოცემის დამფუძნებლები რედაქციის კოლექტივთან ერთად სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურები არიან, მაშინ პერიოდული ორგანოს თავისუფლება ძალიან, ნაკლებად ან საერთოდ არ იზღუდება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ერევიან ისინი რედაქციის მუშაობაში. სასურველია, რომ დამფუძნებელი მხოლოდ ჟურნალისტი ან სარედაქციო კოლექტივი იყოს, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, ასეთი მაგალითები ძალიან ცოტაა.

ბაზრის კანონებით, მოგება-წაგება ყოველთვის ერთმანეთს თან ახლავს. იმისათვის, რომ მძიმე ეკონომიკურ პირობებში რედაქციების საქმიანობა წამგებიანი არ იყოს, აუცილებელია სახელმწიფოს გააზრებული პოლიტიკა. დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საზრუნავი შემოსავლის გაზრდა კი არა, გაკოტრების თავიდან აცილებაა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მასმედიას ნორმატიული აქტებით უნდა დაეხმაროს. „სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი გავლენიანი ინსტიტუტი მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებებია. შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მასმედიის თავისუფალ საქმიანობას უზრუნველყოფს. რუსეთში 10 ათასზე მეტი დამოუკიდებელი ჟურნალი და გაზეთი გამოდის, მთელ ქვეყანაში ვითარდება არასახ-

ელმწიფოებრივი ტელერადიომაუწყებლობა, თუმცა თავისუფალი მასმედია არამარტო სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, ის ბაზრის სუბიექტიცაა. ამ შემთხვევაში მათ მძიმე ფინანსური პრობლემები ექმნებათ. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს დახვეწილი მექანიზმები, რომ ჟურნალისტური მოღვაწეობის სფეროში არ შეიჭრას. მისი მიზანია დაეხმაროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომ ისინი საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი გამომხატველები იყვნენ".[1] მასმედიის განვითარებაზე ზრუნვა ქვეყნის გონივრული პოლიტიკის მაჩვენებელია.

მასმედიის დამოკიდებულება კერძო კაპიტალზე რეკლამის საშუალებითაც შეიძლება. ეს ამ შემთხვევაში ხდება, თუ შემოსავლის ძირითადი წყარო რეკლამაა, შემოსული თანხები კი მცირეა. ბუნებრივია, რომ რედაქციებმა უნდა გაითვალისწინონ დამკვეთის გემოვნება, შეხედულებები, პრეტენზიები. რუსეთის თანამედროვე პრესაში ეს ტენდენციაც შეინიშნება.

რუსეთის ბაზრის მკვლევრების მონაცემებით, 1997 წელს ქვეყანაში სარეკლამო შემოსავლებმა 1, 82 მლნ დოლარი შეადგინა. იმავე წელს კი რეკლამაზე 86 მლნ დოლარი დაიხარჯა. რეკლამა მარკეტინგული კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა. ბოლო წლებში ატეხილი სარეკლამო ბუმი კი, მარკეტინგის განვითარების, კომერციული სტრუქტურების ზრდისა და საწარმოთა პრივატიზაციის შედეგია. საინფორმაციო ბაზრის მკაცრი კონკურენციის პირობებში გაზეთის რედაქცია იძულებულია არა მარტო ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხზე, არამედ მაქსიმალური მოგების მიზნით ამ პროდუქციის რეალიზაციაზეც იზრუნოს. ის გამოცემები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მარკეტინგს, შედარებით იოლად უმკლავდებიან ფინანსურ პრობლემებს. სირთულეების თავიდან ასაცილებლად მარკეტინგი საუკეთესო საშუალებაა გაცვლის საშუალებებით მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მარკეტინგული საშუალებებიდან ყველაზე ხშირად ორი გამოიყენება: რეალური აუდიტორიის გამოკვლევა და პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა. მარკეტინგთან მჭიდროდ არის დაკავშირე-

[1] Послание Президента Российской Федерации Федеральному собранию. М., стр. 68. 1998

ბული გარკვეული გამოთვლების ჩატარება, რომლის მიზანია შემოსავალ-გასავალის პროგნოზირება. რედაქციისათვის ეს შეიძლება იყოს აუდიტორიის მოცულობისა და გამოცემის ტირაჟის დადგენა.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე განსხვავებული ასპექტით წარიმართება პრესის თავისუფლება ამერიკასა და რუსეთში.

ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977
2. Пронин П. И., Свобода печати и пути ее осуществления, М., 1988
3. Современные США. Энциклопедический справочник, М., 1988
4. შ. გაგოშიძე. ჟურნალისტიკის საფუძვლები, თბ., 1996
5. Ворошилов В. В., Журналистика, Санкт-Петербург, 1999

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

336, 2002

ივანე მჭედლიშვილი

გაზეთის რეჟისურის შესავალი

ჟურნალისტიკა თავისი შინაარსობრივ-ფორმობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით უმთავრესად და უპირველეს ყოვლისა ვიზუალური ნიშნების გაათავისების, გამოყენების მეცნიერება-ხელოვნებაა. არსებული უამრავი ნიშნების კონფიგურაციით იგი ადასტურებს იდეური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ზნეობრივ-მორალური ამოცანებისა თუ ფუნქციების რეალიზაციას, ფიქსირებას, მტკიცებულებას, არსებითობას.

ცივილიზებულ სამყაროში არ არსებობს პროფესია, რომელიც გაუტოლდებოდეს ჟურნალისტობას, ვიზუალურ თუ აკუსტიკურ ნიშანთა რაოდენობრივი გამოყენების თვალსაზრისით.

ნიშნები სამყაროს ხილული შეცნობის საფუძველია. ნიშნებით არის გამოხატული (მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებაში) იდეა, ფიქრი, ჩაგონება, ზრახვა, ოცნება, შემოქმედებითი ჟინი, მუზა, ფანტაზია, მათი ზემოქმედებითი პოტენციალი და, ასე განსაჯეთ, ბიოლოგიური მოვლენებიც კი.

თავად ენა — ეროვნული ფენომენი თავის გადარჩენის, ე. ი. არგაქრობის, გადაშენების სტიმულსა და პოტენციალს ამ ნიშნებით საიმედოდ ინარჩუნებს.

თუ შევადარებთ ერთმანეთს აკუსტიკურ და ვიზუალურ ნიშნებს (მათი თანაარსებობა დიალექტიკურია), შეინიშნება, რომ ვიზუალური ნიშნები რაოდენობით სჭარბობს აკუსტიკურს — ისევ და ისევ სამყაროს შესაცნობად, მის კანონზომიერებებთან საზოგადოების შესაწყობად.

გაზეთი და ჟურნალი ვიზუალური ნიშნების ერთობლიობაა. ნიშნები მათი არსებობის ფორმაა.

ჟურნალისა და მით უმეტეს გაზეთის ყოველი ნომრის გრაფიკული არქიტექტონიკა რთული კატეგორიაა. გაფორმების სისტემას, ე. ი. მოდელირებისა და დიზაინის შერწყმას განაპირობებს მკვეთრად განსხვავებულ მასალათა მიზანდასახულობა (სენსაციური, ექსტრასენსაციური, ექსტრემალური და ა. შ.), თემატური მრავალფეროვნება, აქტუალობა, შინაარსობრივი კომპოზიცია, არგუმენტებისა და დეტალების ხასიათი, ჟანრობრივი ფორმა, საზოგადოებისადმი მიმართება და ა.შ.

მართალია, გამფორმებელი ხშირად მიისწრაფვის გრაფიკულკომპოზიციური მოდელის გამარტივებისა ან საგანგებოდ გართულებისაკენ, მაგრამ პრაქტიკაში წინასწარ არჩეული ფორმობრივი მდგრადობა მყარია, გარეგანი დეტალების გამოყენება კი – ცვალებადი.

გაზეთის გვერდებზე ერთმანეთთან შერწყმულია ფიგურული გამოსახულებები, გრაფიკა, შრიფტების მოხაზულობა და ზომები, სტატიკური ელემენტები და სხვ. ყველა ელემენტი მთლიანობაში განვითარებადი და დინამიკურია.

გაზეთის ყოველი გვერდი განსხვავებულადაა აგებული. თითოეულის კომპოზიცია და მისი ელემენტები თვალსაჩინო და დამაჯერებელია,

ხოლო მასალათა აღქმა იმანენტური და პერმანენტულია. მკითხველი თითოეულ მასალას აღიქვამს არა როგორც განმეორებადს, არამედ როგორც ახალს, უცნობს და თავისთავად საინტერესოს.

მასალათა აღქმის პროცესში მოსალოდნელი სიახლის შეცნობის ემოცია კი არ ნელდება, არამედ ძლიერდება და ხანგრძლივდება.

თავად მყარი მოდელიც კი და სხარტი, მოქნილი, გააზრებული დიზაინიც საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით, აუდიტორიის ინტელექტის ამაღლებითაა პირობადადებული და ორივეს შესაძლებლობანი მათი თანაშეწყობის, ურთიერთგანპირობებულობისა და გამდიდრების სახიერებითაა წარმოდგენილი.

საგაზეთო-საჟურნალო წარმოებაში კომპიუტერული ტექნიკის დამკვიდრებამ მოდელირება და დიზაინი მაღალ საფეხურზე აიყვანა, პერიოდული ორგანოს სახიერი სტრუქტურა უფრო ამაღლებულობით, გრანდიოზულობით წარმოადგინა.

ტრადიციულმა მოდელირებამ დიზაინი სასიკეთოდ შეითვისა და ისინი მეტ-ნაკლები თანაფარდობით გაზეთის თითოეული დეტალისა თუ მთელი ნომრის შინაარსისა და ფორმის აღმატებულად გამოხატვის, ესთეტიკურად წარმოდგენის საფუძვლად იქცნენ.

პერიოდული ორგანოს გარეგანი ფორმის შექმნის საყრდენია გრაფიკული კომპოზიცია (შინაარსობრივი კომპოზიციის დასრულებულობის გაგრძელება). მისი მიზანია შეაკავშიროს და შეათანაბროს ყველა ელემენტი და წარმოადგინოს ისინი მთლიანობაში. ეს მიიღწევა უპირველესად ისეთი მხატვრული საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა გვერდის მასალათა ხაზობრივად და ტონურად აგება, პროპორციები, კონტრასტი (მკვეთრიც და გარდამავალიც), რიტმი, თანაფარდობა-თანასწორობა, სიმეტრია, მონაცვლეობა სათაურების გრაფიკისა, მასალების მოცულობისა და ადგილისა (ნომერში).

ძალზე დიდი და სპეციფიკური როლი ეკისრება კაბადონის შექმნის სახეებს (მასალათა ვერტიკალური ან ჰორიზონტალური განლაგება, ან ორივესი ერთად). გრაფიკული კომპოზიციის „საშენი მასალა“ შრიფტებია, ასევე სვეტების რაოდენობა, ხაზები, ხარვეზები („ჰაერი“), ასევე მართკუთხედი ილუსტრაციები (იშვიათად – ოვალური), თავსამკ-ბოლოსამკები, გვერდზე შემოვლებული გამომსახველი არშია, გეომეტრიული ფიგურები, სიმბოლოები და სხვ.

ამნაირად, შინაარსისა და გარეგანი ფორმის სტრუქტურა და მათი ურთიერთმოქმედება ცხადყოფს, რომ გაზეთის მოდელში და დიზაინში გამოკვეთილია გაზეთის ფორმის ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე – კომპოზიცია და გრაფიკა. ისინი დიალექტიკურად არიან შეკავშირებული.

მოდელისა და დიზაინის ურთიერთმიმართების შესახებ ვრცლად მსჯელობამდე და თითოეული გაზეთის სპეციფიკის განსაზღვრამდე მიზანშეწონილია ითქვას, რომ-ერთისადმი უპირატესობის მინიჭება და მეორის „მიჩქმალვა“ არასწორი იქნებოდა. საგაზეთო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოდელირების „გააბსოლუტურებით“ იქმნება რაღაც მყარი, გადაულახველი სქემა გრაფიკული ელემენტების გამოყენების მუდმივობისადმი დამორჩილებულობისა და ამიტომ „გამყარებული“ მოდელი თავის თავში წინააღმდეგობებს შეიცავს.

კომპოზიციისა და გრაფიკის დიალექტიკური შეთავსებისას ამ-კარაა სტაბილურობაც (მოდელი) და დინამიურობაც (დიზაინი). ე. ი. ადრე შექმნილი მოდელებიც ცვალებადია და ტრანსფორმირე-ბადი. ამ დროს დიდ როლს ასრულებს გაზეთის შინაარსის სტაბი-ლურობაც და მოძრაობაც, რასაც შესაძლოა მკითხველის გემოვ-ნებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებაც მიემატოს.

ეს თეორიული მსჯელობა-განზოგადება და ზოგიერთი მოსაზ-რება ნათელი გახდება რამდენიმე სხვადასხვანაირი ან მსგავსი გაზეთის ტექნიკური ანალიზისას, რომლის დროსაც დადგინდება გაზეთის (გაზეთების) შინაარსის, ტიპის, სტრუქტურის გავლენა მო-დელირებასა და დიზაინზე, გაზეთის საერთო კომპოზიციურ-გრა-ფიკულ (ტექნიკურ) სახეზე.

გამყარებული მოდელის გამო თუ გვერდი „მოწყენილად,“ „სევდიანად“ გამოიყურება, მისი „გამხიარულება,“ ე. ი. მიმზიდვე-ლობა, ესთეტიკურობა, დინამიკა დიზაინმა უნდა ითავოს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
336, 2002

შოთა გაგოშიძე

ჟურნალისტიკის საკითხები გაზეთ «კვალში»

გაზეთ „კვალს,“ რომელიც 1893-1904 წლებში გამოდიოდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მისი რედაქტორ-გამომცემელი 1903 წლამდე იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (ფაქტობრივი რედაქტორი 1900 წლამდე – გიორგი წერეთელი, ხოლო შემდეგ გაზეთის დახურვამდე ნ. ი. ალექსეევ-მესხიევი). თავდაპირველად „კვალი“ ეროვნულ-ლიბერალური გამოცემა იყო, ხოლო მე-19 საუკუნის დასასრულს იგი მესამე დასელთა-ქართველი მარქსისტების ხელში გადავიდა. გაზეთის მიმართულების შესახებ საინტერესო შეხედულებები აქვს გამოთქმული მკვლევარ აბელ კიკვიძეს.[1] ბევრი მისი მოსაზრება „კვალის“ საქმიანობაზე გასაზიარებელია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგჯერ მისი შეფასებები არაობიექტური და მიკერძოებელია, რაც ცხადია, გაპირობებული იყო ოფიციალური მარქსისტული იდეოლოგიის გავლენით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მაშინაც კი, როდესაც მარქსისტების ორგანო გახდა, „კვალის“ ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ხელმძღვანელობა არ წარმოადგენდა ერთსულოვან ჯგუფს, რომლის წევრებს მხოლოდ ერთი მიმართულება გააჩნდათ სოციალურ-პოლიტიკური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით. გაზეთის საპროგრამო წერილებში ხაზგასმულია, რომ რედაქციას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართულების გარკვევა, იმის გაგება, თუ საით მიდის ქართული საზოგადოება და რა მოელის მას. მარქსისტული მოძღვრების პროპაგანდასთან ერთად „კვალში“ შეინიშნება ერთგვარი ეკლექტიზმი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამის მაგალითები უამრავია გაზეთის

---

[1] აბელ კიკვიძე, გაზეთი „კვალი,“ თბ., 1969

საქმიანობაში. ავიღოთ თუნდაც ქრისტიანული რელიგიისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, რაც უცხოა მარქსიზმისათვის. ასევე, გაზეთის მიმართულებისათვის შეუფერებელია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაზე მსჯელობა. მხედველობაში გვაქვს ა. ჩხენკელის სტატიების ციკლი „ფრიდრიხ ნიცშე," რომლებიც გაზეთის 1901-1902 წლების ნომრებში დაიბეჭდა. მართალია, ავტორი არასწორად მიიჩნევს ნიცშეს ზოგიერთ დებულებას, მაგრამ მაინც იგრძნობა მისი სიმპათიები ამ გერმანელი ფილოსოფოსისადმი, რომელიც ისე შორს იყო მარქსიზმისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ასევე უცნაურია, თუ რატომ გამოაქვეყნა გაზეთმა დეკადენტი მწერლის დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექსის „საკია-მუნის (ბუდას)" თარგმანი („კვალი," 1902, №1). საქმე ის არის, რომ დ. მერეჟკოვსკი რელიგიურ-მისტიკური ძიებებით იყო გატაცებული და ამიტომ „კვალისათვის" მისი ფილოსოფიური კრედო მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ გაზეთს არ ჰქონდა ერთიანი, მყარი მიმართულება.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, თუ რა შეხედულებებისა იყვნენ გაზეთზე რიგითი მკითხველები, როგორი იყო საზოგადოებრივი აზრი მის საქმიანობაზე. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ქ. ოდესაში მცხოვრები ქართველების წერილი („კვალი," 1903, №6), რომელიც გაზეთის ათი წლისთავს ეხება. მასში ხაზგასმულია, რომ „კვალს" დიდი წვლილი მიუძღვის ხალხის გონების განვითარებასა და წინსვლაში, და რომ იგი მის ინტერესებს გამოხატავს. შემდეგ ავტორები აკრიტიკებენ იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც „გაბატონებულ, ცხოვრებისაგან მომაკვდავად აღიარებულ წოდებას" ანუ თავადაზნაურობას უმღერდნენ, მისი ბატონობის განმტკიცებისათვის ზრუნავდნენ, ხოლო მშრომელი ხალხი, რომლის შრომითაც იკვებება საზოგადოება და, რომელიც ერის ბედ-იღბლის ჭეშმარიტი შემქმნელია, მათ მიერ მივიწყებული იყო. ავტორთა აზრით, „კვალის" გამოჩენით საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა. გაზეთის დღესასწაულს აღფრთოვანებით ეგებება ყველა ადამიანი, რადგანაც იგი მაღალი იდეების განხორციელებისათვის იღწვის და მტკიცედ ებრძვის ცხოვრების უსამართლობას.

ყვირილელის (ირაკლი წერეთელი) წერილში „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური" („კვალი," 1903, №14, 15,

22), საგულისხმოა, რომ ახლა, როდესაც მშრომელი ხალხი უერთდება მთელ საზოგადოებრივ მოძრაობას, ეროვნული მოთხოვნები და მისი ხორცშესხმული გამოხატულება — მამულიშვილობის დაცვა თითქოს უკვე მოძველდა და დაბრკოლებას უქმნის საზოგადოებრივ წარმოებას და წინსვლას. ძნელი არ არის ამაში ნათლად დავინახოთ „კვალის" პუბლიცისტთა ეროვნული ნიჰილიზმი და საერთოდ, ეროვნულობის უარყოფა, რაც ასე დამახასიათებელი იყო მარქსისტებისათვის.

მიუხედავად პოზიციების ასეთი ზიგზაგებისა, „კვალის" პუბლიცისტიკა მრავალწახნაგოვანია, ეხება იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. გაზეთის ყურადღების ცენტრში იყო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურისა და ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების, საერთაშორისო ცხოვრების საკითხები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი ტენდენციურად, დაბალ მეცნიერულ დონეზე შუქდებოდა.

ამჯერად, ჩვენ გვაინტერესებს გავარკვიოთ „კვალის" დამოკიდებულება ჟურნალისტიკისადმი, მისი ურთიერთობა პრესის სხვა ორგანოებთან. პირველ ყოვლისა, უნდა შევეხოთ ნ. ჟორდანიას წერილს ქართულ პრესაზე („კვალი," 1900, №5, 7, 9. 11, 13, 16, 23, 25, 26). ბევრ საყურადღებო მოსაზრებებთან ერთად ავტორი, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს მკვლევარი ა. კიკვიძე თავის ზემოხსენებულ წიგნში, ზოგჯერ მცდარ კონცეფციებს გვთავაზობს. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ ქართული პრესა იწყება მხოლოდ გაზეთ „დროების" გამოსვლიდან 1866 წელს, ხოლო მანამდე არსებული პრესის ორგანოები მოწყვეტილი იყო თანამედროვეობას, არ აშუქებდა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. სხვებთან ერთად, ნ. ჟორდანია ასეთად თვლიდა ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბესაც". ეს ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს, აღნიშნული ჟურნალი ვერ ჩაითვლება თანადროულობისაგან მოწყვეტილად, მასში ხომ თანამედროვე ცხოვრების მრავალი აქტუალური პრობლემა იყო განხილული. გარკვეულწილად არც „ცისკრის" მიმართ არის სწორი ეს ბრალდება (მხედველობაში გვაქვს ჟურნალის „სალაყბო ფურცელები"), ასევე არც ადრეულ ქართულ პერიოდიკაზე შეიძლება ზემოაღნიშნული საყვედურები გავავრცელოთ.

ამრიგად, ნ. ყორდანიას აზრი, რომ ქართული პრესა ნამდვილად მხოლოდ „დროებიდან“ იწყება, მცდარია და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მართალია, „დროება“ მანამდე არსებული პრესისაგან განსხვავდებოდა როგორც ინფორმაციულობის დონით, ისე ცხოვრების მიერ დაყენებულ პრობლემებზე ოპერატიული გამოხმაურებით, კრიტიკული სულისკვეთებით, ჟურნალისტური ოსტატობით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მაგალითად, „საქართველოს მოამბის“ კრედო დიდად არ განსხვავდებოდა „დროებისაგან“. ეს ჟურნალიც იღვწოდა კულტურისა და განათლების ხალხში მესატანად, მეცნიერული ცოდნის გასავრცელებლად, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების გასაშუქებლად. ნ. ყორდანიას მოსწონს „დროების“ პროგრამა, მიაჩნია იგი ძველი, უვარგისი ცხოვრების უარმყოფელად და ახალი ევროპული ცხოვრების შემთვისებლად, და მას რომ ობიექტურად შეეფასებინა „საქართველოს მოამბის“ პროგრამული თეზისი: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, დღეს ის აღარ არის, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა,“ მაშინ დაინახავდა ორივე ორგანოს მიზნების გარკვეულ იდენტურობას. დაბოლოს, განა შემთხვევითი იყო „დროებისა“ და „საქართველოს მოამბის“ გაერთიანება. ამის თაობაზე ს. მესხი „დროებაში“ (1873, №237) წერდა, რომ ჩვენს შორის არ არის მიმართულების ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ერთად სიარული არ შეგვეძლოსო.

ასევე არასწორი და სინამდვილეს მრუდებულია ილია ჭავჭავაძის ნ. ყორდანიასეული კრიტიკა. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ მწერალმა თავის ნაწარმოებში მკვეთრად წარმოაჩინა ბატონსა და ყმას შორის დაპირისპირება და როგორ მოხდა, რომ ამის შემდეგ მებატონეების დამცველად გამოვიდაო. უცნაურია, საიდან გამოიტანა ავტორმა ასეთი დასკვნა. მას ჰგონია, რომ რადგანაც ი. ჭავჭავაძე ბანკირი გახდა და იგი თავადაზნაურობამ აირჩია, უნდა ასიამოვნოს ადამიანებს, რომლებზედაც დამოკიდებულიაო და წინათ თავადაზნაურობის მგმობელი, ახლა თურმე მისი დამცველი გამხდარა. ჯერ ერთი, „ივერია“ განა ცოტას წერდა თავადაზნაურობის წინააღმდეგ? ანდა ავიღოთ ბანკის მათდამი დამოკიდებულება. განა ბანკი საჯარო ვაჭრობით არ ჰყიდდა ვალში ჩავარდნილი თავადაზნაურების მამულებს? რა მხარდაჭერაზეა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი? პირიქით, ბევრი მოღვაწე ამისათვის ი. ჭავჭავაძეს აკრიტიკებდა კიდეც. ნ. ქორდანიას ასევე ავიწყდება, რომ ბანკის მეშვეობით არსებობდა ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულებები, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება,“ ქართული თეატრი და თვით ქართული პრესაც... აი, რა დიდ საქმეებს აკეთებდა „კვალისაგან“ განქიქებული ბანკი ი. ჭავჭავაძის მეთაურობით.

ამრიგად, ნ. ქორდანიას წერილების სერია „პრესა“ აშკარად ტენდენციურია და მეცნიერულობას მოკლებული. ნ. ქორდანია კვლავ აგრძელებს შემდგომ ნომრებში თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაზე საუბარს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი წერილი „ჩვენი დღევანდელი პრესა“ („კვალი,“ 1901, №22-28), რომელშიც ავტორი პირველ რიგში ეხება განახლებული გაზეთის, „ცნობის ფურცელის“ გამოცემას. მისი აზრით, ამ გაზეთში ახალი ამბების მეტს ვერაფერს იპოვით. მართალია, გაზეთი მეტად ოპერატიული და სწრაფია ცნობების გადმოცემაში, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ მდარეა აზროვნების, ანუ პუბლიცისტურობის თვალსაზრისით. თვით „ივერიაც“ კი, აღნიშნავს ნ. ქორდანია, თავისი არსებობის პირველი ხანებიდან მოყოლებული, გარკვეულ შეხედულებებს გამოთქამდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და საიანადო მიმართულება გააჩნდა. ამ მხრივ, სრულიად სხვა მდგომარეობაა „ცნობის ფურცელში,“ რომელიც თითქოს უფრთხის თავისი გამოკვეთილი აზრის გამოთქმას, საკუთარი პრინციპების გამჟღავნებას. კაცი ვერ გაიგებს რანაირ პლატფორმასთან გვაქვს საქმე. მაშინ, როდესაც ამის საწინააღმდეგოდ „ივერიაში“ ნათლად იყო გამოხატული პოზიცია, რომელსაც ან დაეთანხმებოდით ან არაო. ნ. ქორდანიას არ მოსწონს ა. ჯორჯაძისა და კ. აბაშიძის შეხედულებები, ბრალს სდებს მათ ეკლექტიზმსა და ნიჰილიზმში. განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნია მათი პოზიცია „საერთო ნიადაგის“ თეორიის დაცვის გამო და აქასთანავე უპრინციპობაში დებს ბრალს. გაზეთი ორ სკამზე ზისო. ერთი მხრივ „ივერიას“ უახლოვდება, ხოლო მეორე მხრივ „კვალსაც“ თანაუგრძნობსო. საბოლოოდ, ნ. ქორდანიას მიაჩნია, რომ ა. ჯორჯაძე, მიუხედავად მერყეობისა, სინამდვილეში მაინც ბურჟუაზიის ბანაკში იმყოფება, მის წისქვილზე ასხამს წყალს. ნებსით თუ უნებლიედ კაპიტალისტური ექსპლუატაციის მომხრეა, მხოლოდ იმ

განსხვავებით, რომ „ფულიანი ხალხი“ – ბურჟუაზიის წარმომადგენლები ოლონდაც კი ქართველები იყვნენო.

გაზეთ „კვალის“ ურთიერთობას ქართული პრესის სხვა ორგანოებთან არაერთხელ გამოეხმაურა გ. წერეთელიც. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი წერილი „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“ („კვალი,“ 1899, №5). ავტორი სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს „ივერიას,“ ერთ ადგილას მასში ნათქვამია: „თუ გინდათ შეიტყოთ ქვეყნის ავან-ჩავანი, თვით მის ფესვებში უნდა ჩაუკვირდეთ“ – თქვა რუსეთის მოლა ნასრედინმა კოზმა პრუტკოვმა. მართლაც, თუ გინდათ შეიტყოთ რა აჭირბოროტებს გაზეთ „ივერიას,“ როდესაც ის გამოილაშქრებს ხოლმე „კვალზე“ ერთობ უმართებულო პოლემიკის კილოთი, უნდა მივაქციოთ ყურადღება თვით მისი პატრონის და მომელინებლის ზნე-ხასიათს“. როგორც ცნობილია კოზმა პრუტკოვი – მწერალთა ჯგუფის ა. ტოლსტოისა და ძმების ა. და ვ. ჟემჩუჟნიკოვების კოლექტიური ფსევდონიმი იყო. მისი სახელით იბეჭდებოდა ლექსები, აფორიზმები, კომედიები, ლიტერატურული პაროდიები. კოზმა პრუტკოვმა, თვით ავტორების სიტყვით, მალე „ლიტერატურული ფიზიონომია“ შეიძინა. მისი სახით შეიქმნა პოეტი-ჩინოვნიკის კომიკური ტიპი, რომელიც ყველაფერზე კაზიონური და ობივატელური თვალთახედვით მსჯელობდა. კოზმა პრუტკოვის სახელით გამოქვეყნებული ნაწარმოებები და თვით მისი სახე იყო დაცინვა აზრის კონსერვატიზმზე, რეაქციულ კეთილსაიმედოობაზე, ცხოვრების რეგლამენტაციაზე პოლიციურ სახელმწიფოში. კოზმა პრუტკოვის აფორიზმები დღესაც ინარჩუნებენ პოპულარობას და ამიტომაც არის, რომ მრავალი ავტორი, განსაკუთრებით კი ფელეტონისტები როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც ხშირად მიმართავდა მათ. როგორც ჩანს, ქართული საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა კოზმა პროტკოვს და „კვალის“ პუბლიცისტებიც ამიტომ იყენებდნენ ხოლმე მის მოსწრებულ გამონათქვამებს, განსაკუთრებით პოლემიკურ წერილებში. გ. წერეთელსავე ეკუთვნის ქართული პრესის შესახებ სხვა პუბლიკაციებიც. მათ შორის აღსანიშნავია წერილი „ბ-ნი ლალი და „ივერია,“ რომელშიც გაანალიზებულია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობა („კვალი,“ 1895, №6) და აგრეთვე, მისივე „გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“ („კვალი,“ 1899, №29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე უნდა გამოვყოთ ი. ევდოშვილის პუბლიკაციები. ეს მწერალი გარდა ლექსებისა და მოთხრობების გამოქვეყნებისა, საკმაოდ ფართო პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი რიგოლეტოს ფსევდონიმით ბეჭდავდა მცირე ფორმის სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს რუბრიკით „პანწკები“ და „სამშობლოს ცაზე.“ ჩვენი აზრით, მათში გამოქვეყნებული წერილები შეიძლება ფელეტონებად ჩაითვალოს, რადგანაც ისინი აგებულია არა გამოგონილ, არამედ რეალურ ფაქტებზე. მაგალითად, ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ „პანწკებში“ დაგმობილია „ივერიის“ თანამშრომლის ა. ახნაზაროვის საქმიანობა, რომელიც დურგალთა ამხანაგობა „შრომას“ მიეტმასნა და იქ ფარფაში დაიწყო თავისი ადვოკატური ხრიკებითო („კვალი,“ 1901, №6). სხვათა შორის, ეს საკითხი შემდგომ გაზეთის სპეციალური მსჯელობის საგანიც გახდა („კვალი,“ 1901, №12). ა. ახნაზაროვთან ერთად გაკრიტიკებულია „ცნობის ფურცელის“ მეფელეტონე კვირაია, რომელიც, ავტორის აზრით, ჩიორას (ა. ახნაზაროვს) ბაძავს ყველაფერში, მისი ეპიგონიაო. აქვე ირკვევა, რომ ფსევდონიმი რიგოლეტო ი. ევდოშვილს ეკუთვნის, რადგან არაორაზროვნად არის მითითებული, რომ „რიგოლეტო დიდი მეგობარია ევდოშვილისო“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ „პანწკებში“ (კვალი,“ 1901, №10), მოცემულია ქართული პრესის მოღვაწეების სატირულ-იუმორისტული დახასიათება. ი. ევდოშვილი აკრიტიკებს აგრეთვე „ცნობის ფურცლის“ გაფართოებულ პროგრამას და ა. ახნაზაროვის გამოხდომებს რიგოლეტოს წინაალმდეგ („კვალი,“ 1901, №12).

განსაკუთირებით საინტერესო მასალებია მოთავსებული რუბრიკით „სამშობლოს ცაზე“. მასში სატირულ-იუმორისტული ფერებით გადმოცემულია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი, მათ შორის პრესის საქმიანობაც. მაგალითად, „კვალის“ 1901 წლის №31-ში გაკრიტიკებულია „ივერია,“ რომელიც, გაზეთის თქმით, ახირებულ რამეს სთავაზობს პრესას კლდიას (პ. მირიანაშვილის) წერილში: რადგანაც ძველი ხელნაწერები ჯერ არ არის დაბეჭდილი, ამიტომ გაზეთებმა უნდა გაინაწილონ ისინი და დაბეჭდონ თავის ფურცლებზეო. ამის გამო „კვალი“ ირონიულად შენიშნავს, რომ „ივერიის“ აზრით, „ქართული ჟურნალ-გაზეთები უნდა გადაიქცნენ არქეოლოგიურ ნაშთთა გამოცემებად იმის მაგიერ, რომ მათ პირდაპირი თავისი მოვა-

ლეობა შეასრულონ და ჩვენს დღიურ ჭირ-ვარამზე გველაპარაკონ. აქვე გაკრიტიკებულია რუსული გაზეთი „არგონავტი“ და ქართული ჟურნალი „მოგზაური“. პირველი იმის გამო, რომ იგი უკიჟინებს ქართულ გაზეთებს ფილოსოფიის, ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ ბჭობასა და კამათს. ეს საკითხები მკითხველისათვის რთული და ძნელად გასაგებია, რა პრესის საქმეა ესო. რიგოლეტო ამის თაობაზე მოსწრებულად შენიშნავს, რომ „არგონავტი“ ქართველ მკითხველს სათანადოდ ვერ აფასებს და თავისი არშინით ზომავს. ხოლო რაც შეეხება ჟურნალ „მოგზაურს,“ მას უკანასკნელ ორ ნომერში დაუბეჭდავს ვინმე მ. ლასურაძის პოემა „დავით აღმაშენებელი,“ რომელიც მეტად ოდიოზური და სასაცილო ყოფილა. ავტორს მოჰყავს ზოგიერთი „მარგალიტი“ ამ პოემიდან:

„ქრონიკონი იყო ტლე,
როს მძვინვარ მტერს თავს დაესხა ტლე,
მუცელს შეეყარა სატლე.
და რუსთავის ალერთით სათლე
კასეთს მეფობდა კვირიკე,
ხელს არ სკიპტრა ეპყრა რიკე,
წელამენ ვით ქარქარიკე,
მეფევ შენ მას გაურიყე.“

სულ ასეთი სისულელეებით ყოფილა აჭრელებული ეს ყბადაღებული პოემა. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ მისი გამოქვეყნება ჟურნალის რედაქტორს ივ. როსტომაშვილს არ ეკადრებაო.

გაზეთის 1901 წლის №26-ში მოთავსებული პრესის მიმოხილვა კვლავ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელს“ ეხება. რედაქციას არასწორად მიაჩნია, რომ ორივენი ეროვნული საკითხის გაშუქებაში ცალმხრივი არიან, ხოლო ა. ჯორჯაძის შეხედულებებს ანალოგიურ პრობლემებზე ბურჟუაზიულ-შოვინისტურს უწოდებს. ხოლო წერილში „განახლებული „ივერია“ („კვალი,“ 1901, №52) გაზეთი გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ იგი თურმე ბევრს ცდილობს, რაღაც სიახლე დაემჩნიოს, მაგრამ სინამდვილეში კვლავ ძველ ჰანგზე მღერის და მისი დევიზი კვლავინდებურად „ერი, მიწა-წყალი და სარწმუნოება!“ არისო. „კვალის“ მტკიცებით, „ივერიის“ ახალი გზა იგივე დაობებული ძველი აზრებისა და ზოგადი მცნებების კორიანტელიაო. განსაკუთრებით მკაცრად არის გაკრიტიკებული ურბნელის (ნ. ხიზანიშვილის) და კ. თუმანიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიცისტიკა, რომელთაც ავტორის აზრით, რეტროგრადობის ელფერი დაჰკრავს. უფრო მეტად კი დაგმობილია მათ მიერ აღიარებული თეორია წოდებრივი ჰარმონიის დამყარების შესახებ ეროვნულ ნიადაგზე.

ი. ევდოშვილი ასევე „საახალწლო ვიზიტებში“ დასცინის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემას, რომლებთანაც „კვალს“ ცხარე პოლემიკა ჰქონდა გამართული. თანაც წერილში ამ ორგანოების გამქიქებელი ლექსებიც არის ჩართული. მაგალითად, „ცნობის ფურცელზე“ ნათქვამია:

„გამოცანას მოგახსენებთ
დიდი არაფერიაო,
ზოგან არჩილ, ზოგან გიგო,
ზოგან „ლალის“ ფერიაო.
დომხალიც გვაქვს, შილა-ფლავიც,
ორივ გემრიელიაო.
სხვა კი არა გეგონოთ რა
ეს „ცნობის ფურცელიაო.“

ასევე გროტესკული და დამცინავია ი. ევდოშვილის „პატარა ყარამანიანი“ („კვალი,“ 1902, №6), რომელიც „ივერიისადმი“ არის მიძღვნილი. მასში გაშარჟებულია „ივერიის“ მტრობა მარქსიზმისადმი, ხაზგასმულია, რომ ამ გაზეთს აღნიშული მოძღვრება პრიმიტიულად ესმის. წერილში გამოსახულია ჯადოქრებისაგან შევიწროებული ამირანი, რომელიც ნაკადულის პირას პირქვედამხობილი ცრემლებს აფრქვევდა. ამ დროს მასთან მიდის ბარამჯილი და წყაროს წყალს აპკურებს თვალებზე.

„-რაია ჯადო ესე? – იკითხა ამირანმა

– ამას ქაჯნი მარქსსა ეტყვიანო – მიუგო ბარამჯილმა.“

ამის შემდეგ მღევმა რაღაც ჩამოაცვა თავზე ამირანს:

„-ესეცა ენგელსის ჩაფხუტიაო... ამის შემდგომად გადი მოედანზე და ნახავ, თუ რა დაემართება ჯადოქართაო.“

ასეთ სტილშია დაწერილი მთელი წერილი. „ივერიის“ წინააღმდეგ არის მიმართული აგრეთვე ი. ევდოშვილის მიერ რუბრიკით „სამშობლოს ცაზე“ გამოქვეყნებული ერთი წერილიც („კვალი,“ 1902, №28), რომელიც სასტიკად აკრიტიკებს გაზეთის ნაციონალისტურ პლატფორმას. „ივერიის“ამავე წლის №134-ში გამოქვეყნებულ მასალაში საუბარი ყოფილა იმაზე, რომ თურმე საჭიროა ქართველებმა ბოიკოტი გამოუცხადონ სომეხ ვაჭრებს –

არც არაფერი იყიდონ მათგან და არც არაფერი მიყიდონ. ამის შემდეგ ისინი გაკოტრდებიან და საქართველოს გაეცლებიანო. ი. ევდოშვილი დასცინის „ივერიის“ ასეთ აბსურდულ აზრებს და დაასკვნის, რომ მშრომელი ადამიანისათვის სულერთია, თუ ვინ ეწევს მას ექსპლოატაციას – სომეხი, ქართველი თუ უცხოელიო.

ასეთივე დამცინავი ტონით არის დაწერილი წერილი „ნაპერწკლები“ („კვალი,“ 1902, №39), რომელშიც კვლავ „ივერია“ არის გაკრიტიკებული. ავტორი სარკასტულად ამბობს, რომ დიდებულ შექსპირს თუ ეცოდინებოდა, რომ კაცობრიობას ოდესმე მოევლინებოდა გაზეთი „ივერია,“ რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ ჰამლეტისათვის წარმოეთქმევინებინა სიტყვები: „ო, ჰორაციო, ბევრი რამ ხდება, რაც ჩვენს ბრძენებს სიზმარშიც არ მოლანდებიათო.“ რა უნდა ხდებოდეს დედამიწაზე, რომ „ივერიამ“ თავის მეცნიერულ ჭახრაკში არ გაატაროს, არ გაარკვიოს, არ ახსნას. რა და რა აღმოჩენა გინდათ, რომ „ივერიას“ არ აღმოეჩინოს! აღმოგვიჩინა, – წერს ავტორი, – თუ როგორ უნდა გავმდიდრდეთ, როგორ უნდა გავრეკოთ სომხები, რატომ ღარიბდება მაღალი წოდება და სხვა მრავალი. ამ ბოლო დროს კი შემოგვთავაზა შესანიშნავი აღმოჩენა იმის თაობაზე, „თუ ვინ უნდა მოსპოს დანაშაულობანი“. ამდენ ხანს, – დამცინავად ამბობს ავტორი, – ქურდობა, ავაზაკობა და სხვა მისთანანი მეცნიერებს უმთავრესად სოციალური პირობებისაგან გამოწვეული ეგონათ, მაგრამ „ივერიის“ აზრით საქმე სულ სხვა რამეში ყოფილა. ეს ძირითადად გამოწვეულიაო სოფლელთა წინამძღვრებისა და მოთავეების უვარგისობითო. „კვალი“ ასეთ მსჯელობას გულუბრყვილოსა და არარეალურს უწოდებს.

მომდევნო წლების „სადღეისო ვიზიტებიც“ („კვალი,“ 1903, №1) კვლავ გამოირჩევა „კვალისათვის“ არასასურველი პრესის ორგანოების კრიტიკით. კერძოდ, „ივერიისა“ და „ცნობის ფურცელის“ წინაალმდეგ ასეთი ირონიული სტრიქონებია მიძღვნილი:

„პესნია „ივერიისა“
ფეხები გამოეცვალე
თავი ისევე მაბია,
ჩემი საკუნტრუშო დავლური
ცირკში გაბმული ძაფია.“

შემდეგ გაშარჟებულია „ივერიის“ ზოგიერთი ავტორი და ბოლოს სატირიკოსი დასძენს:

„შვამს სისულელე უებრო
ჩემი პირველი მცნებანი!
მოდით, იხილეთ, იეერნო,
ბეპრისა განასლებანი.“

„კვალი“ არც „ცნობის ფურცელს“ ინდობს, მასაც დასცინის:

„სამივეს ერთად ემსრობი
კრუსს, წიწილებს და ძერასა...
რა უნდა ველაპარაკო
შენებრივ გაიძვერასა.“

„ივერიისა“ და „ცნობის ფურცელის“ წინააღმდეგ „კვალი“ მოწინავე წერილებსაც ბეჭდავს, მათ შორის გამოირჩევა საკმაოდ ღვარძლიანი ტონით დაწერილი „აკანკალებული მამულიშვილები“ („კვალი,“ 1903, №17). მასში საუბარია იმაზე, თუ როგორ ესმოდათ მამულიშვილობა სამოციანელებს და საერთოდ როგორი იყო მათი პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში. ავტორის ყვირილელის (ირაკლი წერეთლის) აზრით, წინანდელ თავის დროშას ზურგი შეაქციეს, უარყვეს დემოკრატიული გატაცებანი და შეუდგნენ პრივილეგირებული წოდების გულის მოგებას. ეს და სხვა დაუსაბუთებელი ბრალდებანია წაყენებული სამოციანელთა მიმართ და რადგანაც „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ მათ თვალსაზრისს იზიარებენ, „კვალის“ სუბიექტური კრიტიკის ცეცხლქვეშ მოექცნენ.

მომდევნო ნომრებშიც „კვალი“ ისევ აგრძელებს მის მიერ ათვალისწუნებული გაზეთის კრიტიკას. კერძოდ, წერილში კვლავ „ცნობის ფურცელს“ იგივე ყვირილელი ბრალს სდებს გაზეთს, რომ იგი შეუფერებლად მიიჩნევს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი ცხოვრების შესწავლას საითანადო მასალების უქონლობის გამო. ავტორი გამოეკიდა ამ ერთ ფრაზას და მთელი წერილი მის გარჩევას მოანდომა. უფრო მეტიც, ზოგჯერ „კვალის“ ბრძოლა „ივერიის“ წინააღმდეგ ისეა დაწერილმანებული, რომ ჭორაობის დონემდე დადის. მაგალითად, ყოველგვარი არგუმენტაციისა და დასაბუთების გარეშე ი. მარჯანიძის წერილში „აქეთურ-იქეთურები“ (კვალი,“ 1903, №4) ნათქვამია: „დიდი გამბედავი ყოფილა ბატონი ბზიკიც –„ივერიის“ მეექვსე ნომრის ფელეტონის ავტორი. ისე დინჯად წყლის ნაყვას და ნაციონალური ლობიოს შეშავებას ბევრი ვერ მოახერხებდა“. ეს არის და ეს მთელი საყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედურის შინაარსი და რა კრიტიკად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ტირადა?

აღსანიშნავია კიდევ ერთი წერილი, რომელიც „ცნობის ფურცელის“ წინააღმდეგ არის მიმართული, იგი მოწინავის ადგილას არის მოთავსებული — „სინამდვილის გამომჟღავნება თუ ინსინუაცია?“ („კვალი,“ 1903, №5). მასში ნათქვამია, რომ „ცნობის ფურცელი“ ხან სავსებით მოგაგონებთ „ივერიას,“ ხან კი გაეხვევა „მაღალი ფრაზების მანტიაში და მოყვება ბაასს კაცობრიობაზე და ჩაგრულთა ინტერესებზე“; მაგრამო, დასძენს ავტორი დ. თოფურიძე, ეს მხოლოდ რეკლამაა და სრულიად არ გამოხატავს ამ გაზეთის სულისკვეთებასო.

„კვალს“ მოწინავე წერილების მთელი სერიისათვის შემოღებული ჰქონდა სპეციალური რუბრიკა „სხვადასხვა საგნებზე საუბარი“. ერთ-ერთ მათგანში დაბეჭდილია მოსაუბრის (ფილიპე მახარაძის) სტატია „ახალმოვლენილი პუბლიცისტი“ („კვალი“ 1902, №17), რომელიც ძირითადად „ივერიის“ საქმიანობას ეხება. ავტორი დასაწყისში აღნიშნავს, რომ ოცდახუთი წელი შესრულდა „ივერიის“ გამოცემიდან და სამწუხაროდ ეს თარიღი არავის აღუნიშნავს თვით „ივერიის“ გარდა, მაშინ როდესაც საჭირო იყო ფართო საზოგადოებას გაეცნო, თუ რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში გაზეთმა; მითუმეტეს, რომ ასეთი ხანგრძლივი არსებობა საქართველოში არც ერთ გაზეთს არ ახასიათებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურ რუსულ გაზეთს „კავკაზს“. შემდეგ ავტორი აკრიტიკებს პ. უმიკაშვილის საიუბილეო წერილს „ივერიაში,“ რომელშიც იგი ამართლებს „ივერიას“ იმ საყვედურებთან დაკავშირებით, რომ მას წარსულისკენ აქვს პირი, ძველს ეტრფის და მისი დაბრუნება უნდაო. განა როდესმე „ივერიას“ უქადაგნია ბატონ-ყმობის, ფეოდალობის აღდგენაო? — სვამს რიტორიკულ კითხვას პ. უმიკაშვილი. მოსაუბრე ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ პ. უმიკაშვილს ამ აზრის დასადასტურებლად არც ერთი ფაქტი და მაგალითი არ მოაქვს და ამდენად მისი მტკიცებანი უსაფუძვლოაო. სინამდვილეში, განაგრძობს მოსაუბრე, „ივერია“ ჩამორჩება ცხოვრებას, არ იძლევა პასუხს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, არ ცდილობდა გამხდარიყო ცხოვრების სარკე, საზოგადოების გზის მაჩვენებელი, ხშირად უპრინციპობას იჩენდა და სხვა. დასასრულ, ავტორის აზრით, სა-

ზოგადოების ასეთი გულგრილობა „ივერიის“ იუბილისადმი ამით თუ აიხსნებაო. შემდეგ წერილის ავტორი „ივერიის“ ეკლექტური შეხედულებების დასასაბუთებლად აკრიტიკებს ამ გაზეთში ნინია გარეჯელის მიერ გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებშიც ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები ყოფილა განვითარებული. აღსანიშნავია, რომ „კვალის“ ამ წერილს, „ივერიაში“ ნიანია გარეჯელი გამოეხმაურა და კრიტიკა არ მიიღო. თავის მხრივ „კვალმა“ წერილში „ძველი მოწინააღმდეგე“ გააკრიტიკა „ივერიის“ პუბლიცისტი, მას უცოდინრობასა და პრიმიტივიზმში დასდო ბრალი. კერძოდ, იგი დასცინის ნინია გარეჯელს, რომ მან ისტორიული მატერიალიზმი ვერ გაიგო; ასევე დაგმობილია „ივერიის“ არასწორი პოზიცია ინტელიგენციის როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„კვალის“ პოლემიკა სხვა გაზეთებიდან ხელოვნების საკითხებსაც შეეხებოდა. მაგალითად, გაზეთი აკრიტიკებს „ივერიის“ ბათუმელ რეცენზენტს, განკიცხულს ორი თეატრალური რეცენზიის გამოქვეყნების გამო. მხედველობაში გვაქვს „წერილი რედაქციის მიმართ“ („კვალი,“ 1904, №5), რომლის ავტორია ბენია ჩხიკვიშვილი. „კვალი“ მას არაობიექტურობასა და ცალმხრივობაში დებს ბრალს. პირველ რეცენზიაში განკიცხული თურმე უსამართლოდ საყვედურობს ბათუმის საზოგადოებას იმის გამო, თუ რატომ ნაკლებად ესწრებოდა მაყურებელი მესხიშვილის წარმოდგენებს. „კვალი“ მიუთითებს, რომ უბრალო ხალხი, მუშები იმიტომ კი არ ესწრებოდნენ მრავლად სპექტაკლებს, რომ მათ არ იცოდნენ კარგი თეატრალური დასისა და მისი წარმოდგენების მნიშვნელობა და ისინი შეუგნებელნი და უვიცები არიან, არამედ ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათთვის ბილეთების ფასი ძვირი და ხელმიუწვდომელი იყო. აი, ამაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება რეცენზენტსო. განკიცხულის მეორე რეცენზიაც ასევე არასწორად მიაჩნია „კვალს.“ იგი ეხებოდა ბათუმის სცენისმოყვარეთა ჯგუფის საქმიანობას და მის მიერ დადგმული სპექტაკლები შეფასებულია ცალმხრივად. მაგალითად, უსამართლოდ განკიცხულად მიაჩნია წარმოდგენა „პარიზის ღარიბ-ლატაკნი.“ დასასრულ „კვალი“ აღნიშნავს, რომ ბათუმის სცენისმოყვარეთა ჯგუფის მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერია, მართავს იაფფასიან წარ-

მოდგენებს, ახალგაზრდები ენერგიულად შრომობენ და მათი განქიქება მიულებელიაო.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც „ბიბლიოგრაფიის" რუბრიკით გამოქვეყნებულ მასალებში გვხვდება ცნობები პრესის ახალი ორგანოების გამოსვლასთან დაკავშირებით, მაგალითად, გაზეთის 1901 წლის №3-ში გარჩეულია ყოველთვიურ ჟურნალ „მოგზაურის" პირველი ნომერი. რედაქცია მიესალმა „ახალი ძმის" გამოჩენას და დადებით შეფასებას აძლევს მასში მოთავსებულ წერილებს. იძლევა მხოლოდ მცირეოდენ შენიშვნებს. „კვალის" ყურადღება „მოგზაურისადმი" გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომდევნო წლებში იგი მესამედასელთა ხელში გადავიდა. ამ აქციამდე კი ჟურნალის სერიოზულ კრიტიკასაც არ ერიდებოდა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. საერთოდ, „კვალი" ოპერატიულად ეხმაურებოდა ცალკეული ჟურნალების „მოამბის," „ჯეჯილის," „მწყემსის" და სხვათა გამოსვლებს, სათანადოდ აანალიზებდა მათ და ხშირ შემთხვევაში კრიტიკულადაც აფასებდა მათ საქმიანობას.

პრესის მიმოხილვისათვის „კვალს" სპეციალური რუბრიკა „ჟურნალ-გაზეთებიდან" ჰქონდა შემოღებული. ისინი უმთავრესად კრიტიკული ხასიათისაა და ძირითადად მიმართულია გაზეთების „ივერიისა" და „ცნობის ფურცელის" წინააღმდეგ. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია და ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითის მოყვანით. ერთ-ერთი მათგანი („კვალი," 1901, №1) ეკამათება „ცნობის ფურცელში" სათაურით „პრესა" გამოქვეყნებული წერილის ავტორს, რომელიც „კვალის" აზრით, დაუმსახურებლად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აკრიტიკებს ნ. ჟორდანიას აზრებს. შემდეგ ნომერში („კვალი,"1901, №4) „კვალი" ისევ ამ გაზეთს ესხმის თავს, რომელიც ყოვლად გაუმართლებლად სდებდა ბრალს მესამედასელთა ორგანოს ჭორიკნობასა და ინტრიგანობაში. ამავე წერილში მითითებულია ის წინააღმდეგობანი, რაც ხშირად იყო „ცნობის ფურცელის" პუბლიკაციებში.

„კვალმა" 1901 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა საყურადღებო წერილი „სახალხო საქმეების გამო," რომელშიც მითითებული იყო, რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილი საყოველთაო-სახალხო საქმეს აგდებულად უყურებს, თუმცა კი პრეტენზიას აცხადებს სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვის თაობაზე. ამ პუბლიკაციას „ცნობის ფურცლის“ გაღიზიანება გამოუწვევია. საპასუხო წერილში („ცნობის ფურცელი,“ 1901 წლის 6 მარტის ნომერი) დასმულია კითხვა: რატომ უნდა ჩამოერთვას ინტელიგენციას ხალხის სწავლა-განათლების და სხვა საქმეებში მონაწილეობის უფლებაო. ამაზე „კვალი“ (1901, №11) პასუხობს, რომ ჩვენ წერილში მხოლოდ ინტელიგენციის ზოგიერთი უქნარა წარმომადგენლებს ვგულისხმობდით და თუ მიგაჩნიათ, რომ ყველა ინტელიგენტი ასე შეუფერებლად იქცევა, მაშინ ცხადია, მათ მონაწილეობა არ უნდა მიიღონ ამ საქმეებში. გაზეთის დასკვნით, „ცნობის ფურცელს“ დღემდე ვერ წარმოუდგენია, რომ თვითონ ხალხსაც არა მარტო შეუძლია მართოს ისეთი წვრილმანი საქმეები, როგორიცაა „სახალხო სახლი,“ სამკითხველოები და სხვა, არამედ მთელი სახელმწიფოც კი, როგორც ეს ევროპაშიაო. „კვალის“ ამავე ნომერში „ცნობის ფურცლის“ კიდევ ერთი პუბლიკაციაა გაკრიტიკებული. კერძოდ, საუბარია კ. მაყაშვილის გალექსილ ფელეტონზე „ნუგეში მტირალს,“ რომელშიც სასაცილოდ ყოფილა აგდებული ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და უბრალო ხალხი:

„გადაილეს მარქსის ბოდვა ნოტებზე,
აილეს თარია... იწყეს გალობა!
მათ მოუცეს მალე მაღალი ბანი
და შეუერთდნენ ანგელოზთ ჰიმნებს
სოციალ-დემოკრატების ხმანი“

„კვალის“ აზრით, ასეთი უმსგავსო პასკვილი ყოვლად დაუშვებელია. იგი ეხამსობაა. ასევე „კვალი“ თავს ესხმის პლებსის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს „მასლაათის“ სახელწოდებით („კვალი,“ 1902, №34). მასში ეს ავტორი დაუსაბუთებლად ბრალს სდებდა „კვალს“ აგრარული საკითხების უგულებელყოფაში. „კვალის“ აზრით, ეს სწორი არ არის, რადგანაც პირიქით, გაზეთი სოფლის მეურნეობის პრობლემებით ყოველთვის იყო დაინტერესებული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავადაზნაურობას მხარს არ უჭერდაო. ამით ყოფილა გაგულისებული პლებსი, რომელიც პატრიოტის ტონით აცხადებს: „უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ თავად-აზნაურობას მამული შერჩეს, თორემ თუ მამული გამოეცლება და ცარიელზე დაჯდება, მაშინ სამეურნეო რეფორმა რაღას უშველისო“. ამის თაობაზე „კვალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირონიულად შენიშნავს, რომ „ივერიისათვის" გლეხური მეურნეობა არ არსებობს და მისი ბედიც სრულიად არ აწუხებსო, რომ მისი საზრუნავი მხოლოდ პრივილეგიური წოდების ინტერესებია.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ „კვალის" ურთიერთობა სხვა ჟურნალ-გაზეთებთან მშვიდობისმოყვარე ელემენტებსაც შეიცავს. სახელდობრ, რუბრიკით „ჟურნალ-გაზეთებიდან" („კვალი," 1903, №2) მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქცია 1 იანვრის ნომერში მიესალმა „კვალს" მისი შექმნის 10 წლისთავის გამო, სათანადოდ აფასებს მის ღვაწლს ქართულ ჟურნალისტიკაში, რომ „კვალმა" თავისი საქმიანობის საგნად გაიხადა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა და სხვა. ამავე დროს, „ცნობის ფურცელი" სამართლიანად სდებს ბრალს გაზეთს ეროვნული საკითხის უგულებელყოფაში. ამის თაობაზე „კვალის" ავტორი შენიშნავს, რომ ეროვნული ცხოვრება განუყრელია ერის უმრავლესობის ცხოვრებისაგან, და რომ ხალხის მატერიალური და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ამავე დროს მისი ეროვნების დაცვა და განმტკიცება არისო. ცხადია, რომ ეს არგუმენტები მთლიანად დამაჯერებელი არ არის. ავტორი წერილს შემრიგებლურად ამთავრებს: „ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ რედაქციას ამ გულწრფელი მოლოცვისათვის, ჩვენ გვწამდა და გვწამს, რარიგ უთანხმოება და დავაც იყოს ჩვენს შორის, ამან ვერ უნდა შეგვიშალოს ხელი ერთიმანეთის პატივისცემა გვქონდეს და მოღვაწეობა ღირსებისამებრ დავაფასოთ".

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო შეტყობინება, რომელშიც საქართველოში ჟურნალისტთა პირველი საზოგადოების შექმნას შეეხება. ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში იმდენად მომრავლდა პრესის ორგანოები და შესაბამისად გაიზარდა არა მარტო მათი რაოდენობა და მათი ხვედრითი წონა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ჟურნალისტთა პროფესიონალიზმიც, რომ დღის წესრიგში დადგა ასეთი საზოგადოების შექმნა. კერძოდ, რუბრიკით „სხვადასხვა" (1901, №28) დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელიც იუწყება, რომ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა წესდების პროექტი „ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საურთიერთო საზოგადოებისა კავკასიაში". იგი გასაცნობად და შენიშვნის გასაკეთებლად გაეგზავ-

ნათ რედაქციებსა და სტამბის მუშაკებს, რის შედეგადაც უნდა ჩატარებულიყო საერთო კრება, სადაც საბოლოოდ დაამტკიცებდნენ ამ წესდებას. მის მიხედვით, საზოგადოების წევრები იქნებიან მწერლები, ლიტერატორები, ჟურნალისტები, ასოთამწყობები, მეტრანპაჟენი და საერთოდ სტამბაში მომუშავენი. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ „კვალი“ წერილში „ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოება“ („კვალი,“ 1901, №52) გვაცნობებს, რომ ასეთი კრება მართლაც ჩატარებულა. კრებაზე წესდების 22 მუხლი გაურჩევიათ და თითქმის ყველა უცვლელად მიუღიათ. მაგრამ თურმე, სამწუხაროდ, მის მუშაობაში მხოლოდ რედაქციის წარმომადგენლებს მიუღიათ მონაწილეობა, ხოლო სტამბის მუშაკები კი არ დასწრებიან. რედაქცია შენიშნავს, რომ ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდესო.

ასეთია დაახლოებით საკითხების ის წრე, რომელსაც ქართული პრესის საქმიანობასთან დაკავშირებით განიხილავს „კვალი“ და, როგორც დაინახეთ, სწორ მსჯელობასთან ერთად არცთუ ისე იშვიათად მცდარ დებულებებს გვთავაზობს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили

336, 2002

ლია ქათამაძე

იოსებ გრიშაშვილის პოლემიკური წერილები სონეტის გარშემო

იოსებ გრიშაშვილის მწერლური პოზიცია და პიროვნული ურთიერთობები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებულ პოლემიკურ წერილებშიც აისახა. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ერთი შენიშვნა თუ უწყინარი მითითებაც კი საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს მწვავე დებატების დასაწყებად. ყველა პოლემიკას თავისი იმპულსი გააჩნია, შემდეგ კი ეს პროცესი ინერციით მიდის, სანამ კამათი როგორც საზოგადოების, ასევე მოპაექრეთათვის მნიშვნელობას არ დაკარგავს. დავის დროს მიყენებული ჭრილობები ორივე მხარეს დიდხანს აწუხებს და როცა კი შესაძლებლობა მიეცემათ, მოწინააღმდეგის გაკილვის შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ. მაშინაც კი, როცა პოლემიკა საქმიან ტონში წარმართულა და საკითხის რკვევას თითქმის არ გასცილებია, დავის სუბიექტური შედეგები მოპაექრეთა პირად ურთიერთობებში აუცილებლად ასახულა.

პირველივე დაპირისპირებამ, რომელიც გრიშაშვილსა და რობაქიძე-ცისფერყანწელთა შორის წარმოიშვა, არა მხოლოდ ცალკეული პოლემიკური წერილების, არამედ მთელი შემდგომი პუბლიცისტური ნაწერების ხასიათი განსაზღვრა. იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც მეტ-ნაკლებად ამ ლიტერატურულ მიმართულებასთან რაიმე სიახლოვეს ამჟღავნებდნენ, ი. გრიშაშვილი მუდმივ პოლემიკურ შემართებასა და ბრძოლის წყურვილს იჩენდა. დაპირისპირება გრიშაშვილისა და მის თანამოაზრეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდხანს გაჰყვა. პაექრობამ კი მდიდარი მასალა დაგვიტოვა. პოლემიკური შინაარსის ცალკეულ

წერილებთან ერთად შესაძლებელია მთელი წყების გამოყოფა, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეებმა ერთ თემას უძღვნეს. ისტორიამ შემოგვინახა ი. გრიშაშვილისა და გრ. რობაქიძის პოლემიკური წერილების ციკლი სონეტისა და „სალომეას“ თარგმანის გარშემო[1], ი. გრიშაშვილის კამათი ი. მჭედლიშვილთან რითმების პლაგიატთან დაკავშირებით.

სერიოზული დებატები ი. გრიშაშვილსა და გრ. რობაქიძეს შორის პირველად 1918 წელს დაიწყო სონეტთან დაკავშირებით. თავისთავად ამ სერიოზულ და რთულ საკითხზე დისკუსიაში არაბუნებრივი არაფერი უნდა ყოფილიყო. სონეტი ძირითადი ვერსიფიკაციული პარამეტრებით სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ავტორთან საკმაოდ განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ სონეტი მყარი სალექსო ფორმაა და მისი სტროფიკა, რითმა, საზომი წინასწარ განსაზღვრულია, მაინც, როგორც უცხოური მყარი სალექსო ფორმის დამკვიდრებას ახასიათებს ყოველი კონკრეტული ერის მწერლობაში, მოცემული ენის პროსოდიისა და ლექსთწყობის ტრადიციული კანონების გათვალისწინებით, კანონიზებული ფორმების გვერდით არაკანონიკური ფორმებიც იკვლევენ გზას. (თ. ბარბაქაძე)[2]. ასე რომ, მე-20 საუკუნის საქართველოში სონეტის სწორი ფორმების შესახებ დავა არაჩვეულებრივს არაფერს შეიცავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მწვავე კამათი იმ ფაზაში შევიდა, სადაც ჭეშმარიტების ძიებამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. მოწინააღმდეგის აზრების გაბათილებასა და საკუთარის გამართლება-დასაბუთებას საშინელი ცილისწამებები და შეურაცხმყოფელი გამოხტომები მოჰყვა. როგორც ცნობილია, ი. გრიშაშვილმა „საიათნოვაში,“ მისი თქმით, „გამოიკვლია სონეტების ისტორია“. ეს ისტორია მან გრ. რობაქიძესთან პაექრობის პლანში ააგო და იმის დამტკიცებას შეეცადა,

---

[1] პარალელურად გრ. რობაქიძეს ი. გრიშაშვილის თანამოაზრენიც ეკამათებოდნენ. ამის მაგალითია ს. ფაშალიშვილის პოლემიკა რობაქიძესთან, სადაც ის აშკარა მხარდაჭერას უცხადებს მის მეგობარს. თავის მხრივ, „ცისფერყანწელებიც“ არ აკლებდნენ მწვავე პუბლიკაციებს და ყოველივე ეს ორი, განსხვავებულ პოზიციაზე მდგარი, ჯგუფის პრინციპულ დაპირისპირებად იქცა.

[2] თამარ ბარბაქაძე, სონეტი ქართულ მწერლობაში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., გვ. 3-4, 1998.

რომ ქართულ სინამდვილეში სონეტი გრ. რობაქიძემ და „ცისფერყანწელებმა“ კი არ შემოიტანეს, როგორც რობაქიძე ამტკიცებდა, არამედ მანამდეც არსებობდა. ამ თვალსაზრისით მან გრ. რობაქიძის წინამორბედად კოტე მაყაშვილი და მელიტონ გობეჩია მიიჩნია. პირველმა ჯერ კიდევ 1909 წელს გამოაქვეყნა სონეტები „ჩანგში,“ ხოლო მეორემ – 1910 წელს „სახალხო გაზეთში“ (1910, №1, 2). ეს აზრი „საიათნოვას“ ავტორმა საკმაოდ უხეში ფორმით გამოთქვა: „ცხადია ამ კუდბაწარა „სონეტების ისტორიიდანაც“ რამდენად არასასურველი უნდა ყოფილიყო, „ყანწელების“ ტოლუმბაშ რობაქიძის პეიტრობა: „საქართველოში პირველად ჩვენ შემოვიტანეთ სონეტებიო,“[1] ბოლო ფრაზა. რა თქმა უნდა, გრ. რობაქიძემ არ შეარჩინა ი. გრიშაშვილს, ამ საკითხზე მსჯელობა მკრეხელობად ჩაუთვალა უცოდინარობის გამო და დაუნდობელი დარტყმები მიაყენა თავისი დროის პოპულარულ პოეტს.

ი. გრიშაშვილი პოლემიკას თავდაცვით იწყებს. თავდაპირველად მოწინააღმდეგის მხილებათა გაბათილებას ცდილობს და შემდეგ გადადის შეტევაზე. საკამათო თემად ი. გრიშაშვილი კვლავ რობაქიძისეულ სიტყვებს ირჩევს: საქართველოში პირველად ჩვენ შემოვიტანეთ სონეტებიო. რობაქიძემ ახსნა, თუ რას გულისხმობდა ამ განცხადებაში და კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა: „მოდერნისტებამდე დაწერილი სონეტები არც გარე, არც შინა მხარით სონეტებს არ წარმოადგენენო“. კამათის პირველ საფეხურზე ი. გრიშაშვილი სწორედ ამ თეზისის მცდარობის დასაბუთებას და მის უკუგდებას შეეცადა. რობაქიძის ახალი არგუმენტაციის გაბათილებით ის საყრდენს აცლის მის მსჯელობას. გრ. რობაქიძის განცხადებით, სონეტი მხოლოდ სალექსო ფორმა როდი იყო, მას ლექსის შინაგანი ხმოვანება, შინაარსობრივი ქლერადობა გარეგნულ მოთხოვნებთან უნდა ჰქონოდა შერწყმული. ყოველივე ეს სონეტს იშვიათ სიმბოლურ დატვირთვას სძენდა. თავისთავად, სონეტის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება ურთულესი პრობლემაა. გრ. რობაქიძის განცხადება სწორიც იყო, რადგან კანონიკური სონეტები, როგორც გარეგნული, ასევე შინაარსობრივი მაჩვენებლებით, საქართველოში მართლაც „ცისფერყანწელებმა“ შექმნეს. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მათი

[1] ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, 1963, თბ., გვ. 97

ყველა სონეტი უპასუხებდა ამ რთული სალექსო ფორმის მოთხოვნებს. „ცისფერყანწელები“ არასწორიდან სწორ და შეგნებულად, სიმბოლურად შეცვლილ, არაკანონიკურ ფორმებამდე თანდათანობით ამაღლდნენ. სონეტის სახესხვაობებს განსაკუთრებული მხატვრულ-აზრობრივი დატვირთვა მიანიჭეს „ცისფერყანწელებმა“. მათ სონეტი, ერთდროულად, აღიქვეს როგორც რენესანსული იდეალის განმასახიერებელი „აპოლონური“ ფორმა (კანონიკური სონეტი) და, ამავე დროს, სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი „დიონისური“ საწყისის გამომხატველი ლექსი (არაკანონიკური სონეტი)“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვეთანხმებით გრ. რობაქიძის აზრს სონეტის შინაგანი მხარის შესახებ, ისიც აღსანიშნავია, რომ კამათში ი. გრიშაშვილმა ეს თეზისი საკმაოდ ეფექტურად გაუბათილა. რობაქიძისეული არგუმენტი ისეთ გაცვეთილ ჭეშმარიტებად წარმოაჩინა, რაზედაც კამათი არც არავის უნდა მოსვლოდა თავში. სინამდვილეში სონეტის „შინა მხარეში“ გრ. რობაქიძე უფრო ღრმა აზრს დებდა, ი. გრიშაშვილმა ამის პრეტენზია იმდენად გაუმარტივა, რომ მისი შეხედულება ნაკლები ბუნდოვანების გამო უფრო დამაჯერებლად გამოჩნდა. „სონეტს გარდა გარე მხარისა, შინა მხარეც ეჭირვებაო!“

აფსუს მსჯელობავ!

რასაკვირველია, „შინა მხარე“ ყოველ ლექსს ეჭირვება. სთქვა რაღა... ჩემს „საიათნოვაში“ ვამბობ: ადამიანის ყოველ გრძნობას შესაფერი ფორმა სჭირია, პოეტმა თავისი სულიერი მდგომარეობა ყოველთვის უნდა შეუსაბამოს ლექსის ტექნიკას“.[2]

ი. გრიშაშვილის წერილის ზემოქმედების ძალას გრ. რობაქიძისეული არაეთიკური წესებით კამათის მხილება წარმოადგენს. მართლაც, ძალიან შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა გრიშაშვილის „გაუნათლებლობაზე“ ასე მწარე მითითება: „ჩემთვის ყოველთვის ნათელი იყო, რომ გრიშაშვილმა არც ისტორია იცის სონეტისა და არც სონეტის ფორმა ემარჯვება პოეტური თქმისათვის... სონეტის ფორმის შესახებ მთელი გამოკვლევები არსებობს, და თუ უკანასკნელნი გრიშაშვილისთვის რაიმე მიზეზის გამო მი-

---

[1] თ. ბარბაქაძე, სონეტი ქართულ მწერლობაში, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12

2 ი. გრიშაშვილი, რობაქიძისათვის, გაზ. „სახალხო საქმე“, №379, 1918

უწვდომელია, ენციკლოპედიური ლექსიკონის მეშვეობით მაინც შეუძლია გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ ის ანბანური დებულება, რომ ძველად კლასიკური სონეტის რვა სტრიქონი იყო გარითმული ორფა რითმით და არა ოთხით, როგორც ეს ჩვენს მთხრობელს ჰგონია".[1]

ეს შეურაცხყოფა ი. გრიშაშვილმა არათუ მიჩქმალა, არამედ მისი არაეთიკურობა ხაზგასმით გამოამჟღავნა და მოწინააღმდეგის სარკაზმი მასვე დაუბრუნა. „ვინ არ იცის, რომ მე-გრიშაშვილი ერთი „უდიპლომო ბიჭი ვარ და ჩემი კისრის აფსკა ფილოსოფიურ ქობინებით არ არის ნაცემ-ნაგვემი... მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს მე (მხოლოდ და მარტო ქართულ მწერლობაზე აღზრდილ მოშაირეს) არ შემეძლოს ევროპულად განსწავლული რობაქიძე ტყუილში დავიჭირო".[2] გრიშაშვილის უცოდინარობაზე და გაუნათლებლობაზე მინიშნებას შეიცავდა გრ. რობაქიძის ცინიზმით აღსავსე რჩევა, რომ საკითხში ელემენტარულად გასარკვევად პოეტს ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის მაინც მიემართა. უფრო ღრმა ცოდნას მისგან თითქოს არც მოელოდნენ და არც სთხოვდნენ და რადგან „გაბედა" და იმ საკითხებს შეეხო, რაც მისი მსჯელობის საგანი არ უნდა ყოფილიყო, კეთილი ენება და უზოგადესი, ზედაპირული ცოდნა მაინც მიეღო ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. ისევ შეურაცხმყოფელი ტონი და კვლავ გრიშაშვილის მზადყოფნა საპასუხო გესლიან დარტყმაზე.

„რობაქიძეს აგრეთვე ერთი ცუდი ჩვეულება სჭირს," – წერს ი. გრიშაშვილი, – „როცა კაცი ყალთაბანდობას შეატყობს, იმის მაგივრად, რომ საბუთები წარუდგინოს და თავი იმართლოს, თავის ზერექვერე „პასუხებს" ასე დაათავებს ხოლმე: „ენციკლოპედიური ლექსიკონი წაიკითხოსო!" უბედურება სწორედ ის არის, ბატონო რობაქიძევ, რომ თქვენ და თქვენისთანები „ენციკლოპედიური ლექსიკონის" საშუალებით სწერთ ლექსებს, რომელთაც არც სული აქვთ და არც გული".[3] კლასიკური განათლების არქონას გრიშაშვილი, ბუნებრივია, ძალიან განიცდიდა. კამათში კი ამ, მისთვის მტკივნეულ, მაგრამ გაცნობიერებულ რეალობას

1 გრ. რობაქიძე, პასუხად გრიშაშვილს, გაზ. „საქართველო", №211, 1918
2 ი. გრიშაშვილი, რობაქიძისათვის, გაზ. „სახალხო საქმე", №379, 1918
3 იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებითი ნიჭიერება, თვითნაბადი პოეტური ხედვა და ალღო დაუპირისპირა. პოეტური ნაწარმოების „კეთება“ სიმბოლისტებს სრულებით არ მიაჩნდათ სამარცხვინოდ. მათ დეკლარაციულ წერილებში და თეორიული ხასიათის მსჯელობებში ლექსის შექმნის ასეთი მანერა უფრო დახვეწილ, რაფინირებულ პოეტურ აქტად იყო გამოცხადებული, რაც სწორედაც, რომ აღმატებულად მიაჩნდათ ბუნებრივ შემოქმედებით პროცესზე. ეს აზრი ი. გრიშაშვილმა გამოუქვეყნებელ წერილში – „ლიტერატურული ცვედანი“ – გამოხატა: „პ. იაშვილმა ერთხელ მითხრა: „ჩვენ ყანწელებს რითმები გვაქვს ჩამოწერილი და ყველა ნამდვილი პოეტი ასე სჩადის! არ ვიცი, რომელი ნამდვილი პოეტი ჩამოსწერს ხოლმე რითმებს და ამ მეტიჩარა ხალხისა და თუ მათ გვირგვინი დაიხურონ, მე მიწყალობებენ ერთ შტოს მაინც“.[1] „ცისფერყანწელთა“ მიერ რითმების თვითმიზნურ ძიებაში ი. გრიშაშვილმა პოეტური წარმოსახვის სიღარიბე დაინახა და რადგან ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის რითმა თვალსაჩინო ღირსებას წარმოადგენდა, კამათი რითმათა ორიგინალობის სიბრტყეზე გადაიტანა. ამით სცადა მან საკუთარი პოეტური წარმოსახვის „ცისფერყანწელთა“ ნაწვალებ, ხელოვნურ შემოქმედებით პროცესზე აღმატების მტკიცება.

კამათის მანერა, რომელსაც მოწინააღმდეგენი ირჩევენ, შეიძლება „რაინდული“ წესების დაცვით წარიმართოს, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია პრინციპი: თუ ომია, ომი იყოს (a` la guerre, comme a`la guerre). აზრთა ჭიდილში თუ ერთ-ერთმა მოპაექრემ შეურაცხმყოფელი სტილი აირჩია, შესაძლებელია ისარგებლოს კიდეც მოწინააღმდეგის „რაინდობით“ და დაუშვებელი ხერხებით დაჩაგროს „კეთილსინდისიერი მოკამათე. სწორედ ამის გათვალისწინებით მიუთითებს ს. პოვარნინი, რომ მსგავს შემთხვევებში მომაკვდინებელი, მახვილი ენამოსწრებულობა ნებადართულია. თუმცა წესიერების ზღვარი აქაც არსებობს. „За этой чертой начинаются уже „хамские“ приемы спора“[2].

---

[1] ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ცვედანი, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, AI-110

[2] Поварнин С., Искусство спора, Петроград, стр. 49, 1923

ი. გრიშაშვილისა და გრ. რობაქიძის პოლემიკა ბევრ შემთხვევაში გადიოდა ამ საბედისწერო ზღვარზე. მოწინააღმდეგეები ხელიდან შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ ერთმანეთი მწარედ არ დაეგესლათ. ი. გრიშაშვილმა გრ. რობაქიძის საკმაოდ უტაქტო შენიშვნას მხოლოდ კრიტიკა როდი დაახვედრა. რობაქიძის მიერ გახსნილ დამამცირებელ ცეცხლს მან საკმაოდ მწარე ირონიით უპასუხა. შესამჩნევი ძალა იქონია გრიშაშვილის მახვილმა ფრაზამ: „ანდა იქნება რობაქიძეს ჰგონია, რომ რადგან მე იმასავით თავიდან ფეხებამდე მთლად ნათარგმნი არა ვარ რუსულიდან ქართულად – არ ვიცოდე თუ რას ნიშნავს „სონეტი," „ტრიოლეტი," „რონდო" და სხვა ევროპული ლექსთწყობის სახელები."[1] ი. გრიშაშვილი გრ. რობაქიძეს ყოველთვის „არაქართულობას" სწამებდა, ყოველთვის ეჭვი შეჰქონდა მის ეროვნულობაში და ამის შესახებ სხვადასხვა დროს მიუთითებდა კიდეც[2] აქ კი ეს ეფექტურ ფრაზაში ჩამოსხმული ბრალდება მეტსაც გულისხმობს. საკმაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ქართველმა მოდერნისტებმა სიმბოლიზმი რუსული თარგმანებით და რუსეთიდან შეიმეცნეს. მათი ლიტერატურული სნობიზმი არაიშვიათად სწორედ ამ ენის, „პარიზელ ლოთებთან" დამაკავშირებელი ხიდის, ფლობა-ცოდნაზედაც დაიყვანებოდა. ეს ტენდენცია ქართულ ელიტარულ წრეებს მე-19 საუკუნიდან გადმოჰყვა. ასე რომ, გრიშაშვილის მინიშნება უფრო სერიოზული ბრალდების შემცველიც იყო. დასამალი არ არის, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი ყოველთვის უცხოურის, არაქართულის უპირატესობას აღიარებდა. ეს არაჯანსაღი დამოკიდებულება ეროვნულის მიმართ ამხილა გრიშაშვილმა, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისის გაფეტიშებული ევროპულობისა და რუსულობის სენი შეამჩნია. უცხოურისადმი მონური ქედმოხრა, ზოგ შემთხვევაში შენიღბულად, ბევრჯერ კი აშკარად იჩენდა თავს ქართველი მოდერნისტების შეხედულებებსა და განცხადებებში.

სონეტის, როგორც სალექსო ფორმის, შესწავლამ ი. გრიშაშვილს საშუალება მისცა ოპონენტის მსჯელობაში წინააღმდეგობრიობა დაენახა. პოლემისტმა ამ შემთხვევაში გრ. რობაქიძის

---

[1] ი. გრიშაშვილი, რობაქიძისათვის, გაზ. „სახალხო საქმე". №379, 1918

[2] ის. ი. გრიშაშვილის ,ამათი რობაქიძესთან, „სალომეას" თარგმანის გამო

მიერ სონეტისადმი წაყენებული ერთი მოთხოვნა გაიხადა სამიზნედ. ლებატებში გამოიკვეთა, რომ ეს აუცილებელი მოთხოვნა გრ. რობაქიძემ ცალკეულ ავტორთა მიმართ წაყენებულ ბრალდებად აქცია და რადგან სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობისას გამოელინდა მოკამათეთა პოზიციებისა და მათი პოლემიკური ხერხების სიძლიერე-სისუსტე, მართებულად მიგვაჩნია მისი ცალკე თემად გამოყოფა. გრ. რობაქიძემ აბაშელის სონეტების უსწორობის მტკიცებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარღვევად სიტყვების გამეორება მიიჩნია, რაც სონეტის კანონების მიხედვით დაუშვებლად ითვლება. „ამ ლექსის „სონეტობას," – წერდა გრ. რობაქიძე, – „არღვევს ის, რომ მეოთხე სტრიქონი პირველი ოთხიანის განმეორებულია მეორე ტერცეტის მესამე სტრიქონში, განმეორებულია აგრეთვე სიტყვები „ცეცხლი" სამჯერ, „გრძნობა" ორჯერ, „სული" ორჯერ და სხვები-სონეტებში სიტყვის ასეთი განმეორება მართებული არ არის"[1]

გრიშაშვილმა კამათი მოწინააღმდეგის თეზისის გაბათილების გზით არ წარმართა. ამ შენიშვნის სისწორემ მას სხვა გზა უკარნახა: წინააღმდეგობრიობა დაენახა რობაქიძის თეორიულ მოსაზრებებსა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის. ის, რაც შეუწყნარებელ შეცდომად იყო გამოცხადებული ს. აბაშელის სონეტებში, ბუნებრივია რობაქიძესთან აღარ უნდა აღმოჩენილიყო. გრიშაშვილმა კი არ დაიზარა და სწორედ ეს დააფიქსირა – შეუსაბამობა თეორიასა და პრაქტიკას შორის. თავისთავად ი. გრიშაშვილი ამ მოთხოვნას – სიტყვის განმეორების აკრძალვას – მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და მომაკვდინებელ ცოდვად არ მიიჩნევდა, მაგრამ გრ. რობაქიძის არათანმიმდევრულობაში მხილებისათვის საკმაოდ ეფექტურ იარაღად გამოიყენა. იმის აღიარებით, რომ თავად არ დაგიდევთ ამ გამეორებებისაგან თავისშეკავებას, ი. გრიშაშვილი წინასწარ განაიარაღებს მოწინააღმდეგეს, რომ მის სონეტებში თუ მსგავსი მაგალითები დაიძებნება, ეს შეიძლება მისი პოზიციით აიხსნას და არა უცოდინარობით. მაგრამ კაცისათვის, რომელიც მელექსეს მხოლოდ ამის გამო ესხმის თავს, ალბათ პრინციპული მნიშვნელობა უნდა გააჩნდეს იმას, რომ თავად მაინც იყოს დაზღვეული

[1] გრ. რობაქიძე, სონეტი საქართველოში, გაზ. „საქართველო", №214, 1918

მსგავსი დარღვევებისგან. სწორედ ამ გზას მიმართა ი. გრიშაშვილმა და გრ. რობაქიძის სონეტებში იწყო სიტყვათა გამეორებების ძიება და „ცისფერყანწელთა“ მაგალითებითაც უხვად გაამდიდრა ბრალდება: „მე მომყავს რობაქიძის სონეტი (იხ. „ახალი ჩანგი“ გვ. 216) და დავძებ: იქ „გიშერი“ ორჯელ არის ნახმარი, „თვალები“ ორჯელ, „სილამაზე“ ორჯელ, „ლალი“ ორჯელ და სხვა. არამც თუ სიტყვები, თვით ფრაზებიც ორჯელ აქვს ნახმარი!...

ეს ლექსი პირდაპირ შეიძლება კლასიკურ ნიმუშად ჩაითვალოს. თუ როგორ არ უნდა დაიწეროს სონეტი, იმ კანონის მიხედვით. რომლითაც ბატონი რობაქიძე ხელმძღვანელობს აბაშელის სონეტის გარჩევის დროს.

შეიძლება ბატონმა რობაქიძემ სთქვას, ასეთი ჩემი სონეტი „ჩანგში“ დაიბეჭდა, მე კი „ყანწებში“ დაბეჭდილ სონეტზე ვლაპარაკობო — მაშინ ვთხოვ კრიტიკოს რობაქიძეს, გადაშალოს „ყანწების“ მეორე ნომერი და მოისმინოს პოეტი რობაქიძის ეს ლოცვის სონეტი...

ეხლა კი თვით ავტორისთვის მიმინდვია: დე მან ჩამოსთვალოს. რამდენჯერ აქვს ნახმარი „სევდა,“ „ფიქრი,“ „ტევრი,“ „დამწვარი.“ და სხვა. როგორც ყოველთვის, არც ამ შემთხვევაშია რობაქიძე მარტო ეს „მომაკვდინებელი ცოდვა“ ყველა მის ამყოლ-დამყოლს ემართება. მაგალითად: იაშვილის ერთ სონეტში, რომელსაც ვალ. გაფრინდაშვილს უძღვნის — „მზე“ ორჯერ არის განმეორებული, „ხმა“ ორჯელ, „ოცნება“ სამჯერ და სხვა. თვით გაფრინდაშვილის ერთ ცნობილ სონეტში კი: „თითები“ ორჯერ არის ნახმარი, ხოლო „ეხილები“ კი სამჯერ.

მე აქ აღარ მომყავს გ. ტაბიძის და ტ. ტაბიძის სონეტები, ვინაიდან როგორც რობაქიძე ამბობს: მათ თურმე თვითონვე აუღია ხელი თავიანთი ლექსების სონეტობაზე“.[1]

კამათის ხელოვნებაში აზრის, ან უფრო ზუსტად აზრის ჭეშმარიტების, გამო დავას აცალკევებენ მტკიცების გამო დავისგან. ხშირად კამათის საგანი არა რომელიმე აზრის გაბათილებასა თუ გამართლებაშია, არამედ იმის ჩვენებაში, რომ მოწინააღმდეგემ ვერ დაამტკიცა. აზრის ჭეშმარიტებისა თუ მცდარობის გამო კამათს შემდეგ დასკვნამდე შეუძლია მიგვიყვანოს: ეს აზრი ჭეშმა-

[1] ი. გრიშაშვილი. სონეტი საქართველოში, გაზ. „სახალხო საქმე,“ №385, 1918

რიტია ან ეს აზრი მცდარია. აზრის მტკიცების გამო წარმატებული კამათის შედეგად ვიღებთ დასკვნას: ეს აზრი არის ან არ არის გამართლებული ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ. არასწორი მტკიცება მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ადამიანმა ვერ შეძლო თეზისის გამართლება, ხოლო თეზისის ჭეშმარიტებას ან მცდარობას საერთოდ არ ეხება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. გრიშაშვილმა რობაქიძის თეზისს როლი შეუტია, იმის მტკიცებას არ მოჰყვა, რომ სიტყვათა გამეორება სონეტში დასაშვებია. კამათის მსვლელობისას გრიშაშვილი ამ მოთხოვნას ემორჩილება, რადგან მშვენივრად უწყის, რომ მყარ სალექსო ფორმას მკაცრი კანონები გააჩნია. მან ოპონენტის მტკიცება ამოიღო მიზანში და აქ აღმოაჩინა კიდეც შეუსაბამობა სიტყვასა და საქმეს შორის. მხილებას დასკვნა მოსდევს, რომელშიც საბოლოოდ არის აკუმულირებული მისი მსჯელობის სიმყარე: „შეიძლება სიტყვების გამეორება არც ისეთი საყათერაკო იყოს სონეტისთვის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სონეტის ამ კანონს, რომ „სიტყვების განმეორება სონეტისათვის შეუწყნარებელია," მაშინ ხომ არც თვითონ უნდა დაერღვია ეს კანონი, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს... ეს მაგონებს საწყალ მოლა ნასრედინას, რომელიც თავისავე ხელით ხერხავდა იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ იჯდა თოჯინასავით"[1]

ი. გრიშაშვილის ამ შეტევას გრ. რობაქიძემ უპასუხა და მისი არგუმენტების გაბათილებას შეეცადა. საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით. რობაქიძემ სიტყვათა გამეორების დაუშვებლობის მოთხოვნაში კორექტივები შეიტანა და ახსნა იმაზე ააგო, რომ მისი აზრი არასწორად იქნა ინტერპრეტირებული. წერილში, სადაც აბაშელის სონეტზე მსჯელობდა, თურმე მან შენიშნა: „სონეტში სიტყვის ასეთი გამეორება მართებული არ არის, მაშასადამე სხვანაირი გამეორება შესაძლო ყოფილაო".[2] აქვე აღნიშნა, რომ თუ გამეორება რიტმის მძიმედ გაშლას ემსახურება, დასაშვებია. „საქართველოში მოდერნისტებამდე სონეტად მიჩნეულ ლექსებში სიტყვის გამეორებას უთავბოლოდ ჰქონდა ადგილი, და რასაკვირველია სონეტში სიტყვის ასეთი განმეორება მართებული

[1] ი. გრიშაშვილი; სონეტი საქართველოში, გაზ. „სახალხო საქმე", №385, 1918
[2] გრ. რობაქიძე, სონეტის გარშემო, გაზ. „საქართველო" №221, 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის".[1] რა თქმა უნდა, ვერ შევეღავებით გრ. რობაქიძეს მოთხოვნებში, რომელსაც ის ქართულ ლექსს ზოგადად უყენებდა, ვერც მის ორიგინალურ თეორიას უარვყოფთ რიტმიული ქართულის – ქართული სიტყვის რიტმიულად გაშლის აუცილებლობის – შესახებ. ეს გრ. რობაქიძის ესთეტიკურ-პოეტური კრედოდან და სიტყვის ფლობის გემოვნებიდან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს, მოკამათეთაგან რომელმა მხარემ უფრო თანმიმდევრულად დაიცვა თავისი პოზიცია და მიაღწია მკითხველზე ზემოქმედების ეფექტს. სწორედ ამ ნიშნით მივიჩნევთ ი. გრიშაშვილის მსჯელობას უფრო დამაჯერებლად და სარწმუნოდ, როდესაც სონეტის მკაცრი კანონებიდან გამომდინარე, ის მოწინააღმდეგეს ამ კანონის უგულებელყოფას სწამებს იმათ ლექსებში, ვინც გრ. რობაქიძემ სამაგალითოდ მოიყვანა. მართლაც, რომელ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომლის გაცნობას ასე დაჟინებით სთხოვენ „უდიპლომო" პოეტს რობაქიძე და მისი მომხრენი, დასაშვებად არის გამოცხადებული სიტყვის გამეორება სონეტში რაღაც რიტმული მოსაზრებით?. ბუნებრივია, ი. გრიშაშვილმა თავისი პოზიციის სიძლიერე აშკარად იგრძნო და მოპაექრეს ამ საკითხში ბოლომდე ჩაეძია. პოლემიკური ზემოქმედების მახვილ იარაღად უკვე სწორედ ეს „ავადსახსენებელი" ენციკლოპედიური ლექსიკონი გამოიყენა. წყაროს მითითებით კი საკუთარ მსჯელობას მეტი დამაჯერებლობა შესძინა. ი. გრიშაშვილს მთელი კამათის მანძილზე საკუთარ სონეტებში სიტყვათა გამეორების უარყოფა, ან პირიქით, წესის დაცვის თვალსაზრისით მათი სანიმუშოდ გამოცხადება არსად უცდია. მან მხოლოდ გრ. რობაქიძის მსჯელობის არათანმიმდევრულობისა და წინააღმდეგობრიობის ჩვენება დაისახა მიზნად. ამიტომაც მოიყვანა ამონაწერი ლექსიკონიდან, სადაც არავითარი მითითება ცალკეულ შემთხვევებში სიტყვათა გამეორების დაშვებაზე არ არის: „Воспрещено повторять слово уже употребленное в стихотворении".[2]

ამრიგად, კამათის ლოგიკური აკებულებით გრიშაშვილი – პოლემისტი ამ რაუნდში უფრო მყარად გამოიყურება. ი. გრიშაშვილმა კამათი ფაქტებით გააგრძელა, ოპონენტს არაერთი მა-

[1] გრ. რობაქიძე, სონეტის გარშემო, გაზ. „საქართველო" №221, 1918

[2] ი. გრიშაშვილი, სონეტის გარშემო, გაზ. „სახალხო საქმე", №391, 1918

გალითი მოყვანილია მისივე და „ცისფერყანწელთა“ სონეტებიდან, სადაც სიტყვის გამეორება უხვად მოიძებნება. გრ. რობაქიძემ ეს ფაქტები არაფრად ჩაუთვალა და იმ ლექსებზე მიუთითა, სადაც არც მას, არც პაოლო იაშვილს ან ელენე დარიანს ეს დარღვევა არა აქვთ. რობაქიძის მსჯელობა აქ ისევ მოიკოჭლებს, რადგან წესი, კანონი იმით არის მყარი, რომ საყოველთაოა. არ შეიძლება ერთ ლექსში ემორჩილებოდე კანონს, მეორეში – არა და მაინც ამ კანონის აუცილებლობას ქადაგებდე, მით უმეტეს, სხვას უკიჟინო, რატომ არ იცავო. ალბათ საკმარისი იქნებოდა, გრიშაშვილს აქვე დაესვა წერტილი, მაგრამ მან მოწინააღმდეგის სრული განიარაღება მოინდომა. გრიშაშვილმა კვლავ ფაქტებს, კერძოდ კი სწორედ რობაქიძის მიერ სანიმუშოდ მოყვანილ ლექსებს მიმართია, სადაც თითქოს სიტყვის განმეორება, ოპონენტის თქმით, არ შეინიშნებოდა. „საგულისხმოა მხოლოდ ერთი რამ,“ – წერდა გრიშაშვილი, – „როცა რობაქიძე ამბობს: „იაშვილის სამ სონეტში სიტყვის განმეორება არ არისო!“ ეჭვი მებადება, წაუკითხავს ხსენებული „სამი სონეტი“ თუ როგორც სხვა ყველაფერი, ესეც „ბოლომდე გაუთავებელი“ დარჩა?

მაშ, მოდი, მკითხველო, –და მასში ნუ ჩავაგდებთ რობაქიძეს და მივმართოთ დარიანის და იაშვილის სონეტებსაც...[1] ეხლა მსურს მკითხველმა დასდოს მსჯავრი: რა არის ეს: ჭირვეულობა, უმეცრება თუ მეტიჩრობა? ნუთუ ყველა მოპირდაპირეს ასე ექცევა ბატონი რობაქიძე? ნუთუ ეს არის მართალი სიტყვით მართილის თქმა? სად ჰქონდა დალოცვილს ან ლოგიკა, ან დაკვირვება, როცა ამბობდა: გრიშაშვილმა იაშვილის სონეტებს რად არ მიმართია, საცა სიტყვის გამეორებას ადგილი არა აქვსო?...

ხომ დაინახეთ, რომ „მივმართე“ ბატონო რობაქიძევ? ეხლა რა გიყოთ?“...[2]

ბოლო ფრაზა უკვე დასკვნისა და კვალიფიკაციის ტოლფასია. ამ რიტორიკული შეკითხვების კასკადით პოლემისტმა აშკარად მიაღწია ზემოქმედების ეფექტს, საკმაოდ სარწმუნოდ ამხილა მო-

---

[1] ელენე დარიანის „ფერად სონეტებში“ მეორდება სიტყვები (თვალს. კოცნას), პ. იაშვილის „სამ სონეტშიც“ უხვადაა ასეთი გამეორებები (მაისი, სისხლი, თეთრი) ის. მოყვანილი ფრაგმენტი გრიშაშვილის წერილიდან.

[2] ი. გრიშაშვილი, სონეტის გარშემო, გაზ. „სახალხო საქმე“ №391, 1918

წინააღმდეგე და კამათის ამ პუნქტში საკუთარ პოზიციას იშვიათი დამაჯერებლობა შესძინა.

ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი დაგვრჩეს, რომ ი. გრიშაშვილი შეგნებულად მიმართავს სოფიზმს. კამათის გადატანა მოწინააღმდეგის სიტყვასა და საქმეს შორის წინააღმდეგობაზე სოფიზმად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხილება თეზისის მცდარობის მტკიცებად არის გამოცხადებული. თეზისის მცდარობას მხოლოდ მისი მოხსნა და ანტითეზისის დასაბუთება ამტკიცებს. მოწინააღმდეგის საბუთებში წინააღმდეგობრიობის ჩვენება, თუმცა მას კამათში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ხშირად აუცილებელიც არის, არ უნდა იქცეს თეზისის მცდარობის ხელაღებით მტკიცებად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფიზმთან გვექნება საქმე. მაგრამ ი. გრიშაშვილი არც ერთხელ არ ცდილა რობაქიძის მხილებით მისი თეზისის მოხსნას. კამათი იმდენად პიროვნულ ხასიათს ატარებდა, რომ გრიშაშვილი მისი მსჯელობის გაცამტვერებას უფრო მიელტვოდა, ვიდრე სონეტის კანონების შესახებ დავას, თუმცა ორივე მხარე იმის ილუზიას ქმნიდა, თითქოს ლექსთწყობის საკითხებით იყვნენ მოცული. ასე რომ, ი. გრიშაშვილის გადახვევები აზრის გამო კამათიდან მტკიცების გამო კამათში არ უნდა განვიხილოთ შეგნებულ სოფიზმებად ან უნებლიე შეცდომებად, რადგან მსგავს შემთხვევაში არსად არის დასკვნის სახით მოხსნილი მოპაექრის ძირითადი თეზისი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ი. გრიშაშვილი მშვენივრად ახერხებს ოპონენტის სოფიზმებისა და უხეში ინსინუაციების მხილებას. გრიშაშვილი სავსებით სამართლიანად მიუთითებს რობაქიძეს, რომ სონეტზე საუბარი არ უნდა გასცდეს ძირითად თემას და შეურაცხყოფის მიყენების მიზნით იმის განცხადება, გრიშაშვილმა აღიარა, „ბარაშკა“ მისი რომ არ ყოფილაო, საქმესთან კავშირში არ არის და სრულებით ვერ ამტკიცებს მისი ავტორის სიმცდარეს ძირითად საკითხებში. „და რომ საგანი როგორმე მიაფუჩეჩოს –საკითხს უფრო აბუნდოვანებს, საბუთებს გვერდს უვლის და სრულიად უმიზეზოდ ჩემს „ბარაშკას“ ეხება."[1] ეს პირდაპირი და სამართლიანი მხილებაა სოფიზმში, რომ არაფერი

---

[1] ი. გრიშაშვილი, სონეტის გარშემო, გაზ. „სახალხო საქმე", №391, 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვათ ამკარა ინსინუაციაზე –„გრიშაშვილის პოეტურობა ჩემთვის საინტერესო არ არისო“. თუმცა ამ მინიშნებას უკვე თავად გრიშაშვილის მხრიდან მოსდევს საპასუხო ინსინუაცია: –„არა მართლა? როდის აქეთ? ქუთაისის საღამოს შემდეგ ხომ არა?“

ი. გრიშაშვილი ერთგან მოწინააღმდეგეს, რომელმაც საშინლად გამოლანძღა, კამათის კანონების დაცვას სთხოვს. „არ ვიცი კი, ღმერთმანი, როგორ დავიწყო ეს წერილი: როგორის ასოებით მოვხაზო იგი, რომელი სალებავით დავბეჭდო, რომ რობაქიძისათვის სავალდებულო გავხადო: პირდაპირ მიპასუხოს ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე და არა იმაზე, რაც სრულიად სხვა საკითხს შეადგენს“.[1] როგორც ვხედავთ, ი. გრიშაშვილს მეთოდოლოგიურად სწორად აქვს გააზრებული კამათის წარმოების ძირითადი მოთხოვნები.

როგორც ჩანს, ი. გრიშაშვილმა იგრძნო, რომ გრ. რობაქიძემ და „ცისფერყანწელებმა“ სონეტის მისაკუთრება, მათი პოეზიის ენაზე ასამეტყველებელ სალექსო ფორმად გამოცხადება დაისახეს მიზნად. თითქოს უგულებელყოფილი აღმოჩნდა მანამდე არსებული, თარგმნილი თუ ორიგინალური, სონეტები. სწორი სონეტების პირველ შემომტანებად მოდერნისტები გამოცხადდნენ და ამით სონეტების წერის პრიორიტეტიც მათ დარჩათ. გრ. რობაქიძემ სონეტის მიხზველთ მხოლოდ გარეგნული ვერსიფიკაციული კანონების დაცვა კი არ მოსთხოვა, არამედ მის შინაგან რიტმსა და ხმოვანებას დამორჩილებული სიმბოლისტური გააზრება.

„ცისფერყანწელებმა“ შესძლეს, სონეტის ფორმა მიესადაგებინათ „ახალი პოეზიის“ შინაარსისათვის,“ – წერს თამარ ბარბაქაძე.[2] ჩვენ კი ვიტყოდით, რომ გრ. რობაქიძის თაოსნობით „ცისფერყანწელები“ სონეტის მხოლოდ ამ პოეზიის საკუთრებად ქცევასაც შეეცადნენ. სონეტის თეორეტიკოსობა საქართველოში გრ. რობაქიძემ ითავა და როგორც იმ პერიოდის პოპულარულმა მწერალმა და მოაზროვნემ, ქართული ლექსის რეფორმატორმა, მიზანს მიაღწია. მან არა მხოლოდ სონეტის კლასიკური მოთხოვნები დააკანონა, არამედ სიმბოლისტურ კრედოს მისადაგებული ახალი მეტრი –ბესიკური თოთხმეტმარცვლედი (5 4 5).

---

[1] ი. გრიშაშვილი, სონეტი საქართველოში, გაზ. „სახალხო საქმე“, №385, 1918

[2] თ. ბარბაქაძე, სონეტი ქართულ მწერლობაში, ავტორეფერატი, თბ., გვ. 27, 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გრ. რობაქიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ახალგაზრდა შემოქმედთა შორის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი თეორიული შეხედულებები იმ დროს გზისმკვლევ როლს ასრულებდნენ... თეორიული ბაზის მომზადება ახალი ხელოვნებისათვის იმ დროს სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო, რადგან შემოქმედებითი ძალებიდან მხოლოდ ერთეულები იყვნენ გარკვეულნი მიზნებსა და პრინციპებში. ლიტერატურული მასა ინსტინქტით მოქმედებდა, ხშირად ქვეცნობიერად იქმნებოდა ნაწარმოებები, რომლებსაც ახალი ხელოვნების მარკა ჰქონდათ დაკრული. გაუცნობიერებელი გზით კი სალექსო რეფორმა ვერ გატარდებოდა. გრ. რობაქიძემ დიდი როლი შეასრულა რეფორმის თეორიული პრინციპების შემუშავებაში, მის დანერგვასა და დამკვიდრებაში.[1] გრ. რობაქიძემ ქართველ პოეტებს სონეტის განსაკუთრებულობა უკარნახა და შესაბამისად „ცისფერყანწელებმა" სონეტი უკვე სიმბოლოს ნიღაბს გაუტოლეს. ამით კი საბოლოოდ დაისაკუთრეს ეს სალექსო ფორმა. ასე იყო 10-იან წლებში, ამის საშიშროება იგრძნო ი. გრიშაშვილმა და ამიტომაც აღუდგა წინ სონეტის მითვისების საფრთხეს. ი. გრიშაშვილი ბევრს ედავა გრ. რობაქიძეს და რადგან პოლემიკის საგანი ლექსთწყობას შეეხებოდა, მოპაექრეები სწორედ სპეციფიკური ვერსიფიკაციული საკითხების გარშემო ტრიალებდნენ. ი. გრიშაშვილი იძულებული გახდა, რომ სადავოდ წმინდა თეორიული ხასიათის თემები აერჩია, ამ სფეროში კი გრ. რობაქიძე აღიარებულ მეტრად ითვლებოდა. ბევრ საკითხში ი. გრიშაშვილმა ვერ შეძლო საკუთარი მოსაზრების დაცვა. მოწინააღმდეგემ ეფექტურად მოახერხა მისი შენიშვნის მხილება სონეტში ოთხმაგი რითმის კანონიკურობის შესახებ. თითქოს ი. გრიშაშვილმა ფაქტებიც მოიხმო სამტკიცებლად – ჰაინეს ვეინბერგისეული თარგმანი და ცნობილი სიმბოლისტების სონეტები – მაგრამ გრ. რობაქიძემ ადვილად გაუბათილა არგუმენტები, სარკასტულად ამხილა უცოდინარობაში და მოზეიმე ტონით განაცხადა: „მას მოჰყავს ჰაინეს სონეტი რუსულად ნათარგმნი, სადაც პირველი რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმითაა გარითმული, და სიხარულით ფეხზე ვერ

[1] აკაკი ხინთიბიძე. გალაკტიონი და ცისფერყანწელები, მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გელანის" გამომცემლობა. თბ., გვ. 113-114, 1992

დგას. მაგრამ ვეკითხები გრიშაშვილს: ორიგინალში ასეა აწყობილი სონეტი როგორც თარგმანში? შეადარა თუ არა ერთი მეორეს ორიგინალი და თარგმანი და თუ შეადარა, დაინახავდა მართლაც ის, რომ ჰაინეს სონეტი გრიშაშვილისებურად ასხმული სონეტია?! სანამ ამ კითხვას არ მიუგებს, მანამდე გრიშაშვილის მტკიცება ლიტერატურის ელემენტარულ ფუძეს იქნება მოკლებული და ქვევით: იგი იხსენებს ბოდლერს, ვერლენს, როლლინას და სხვებს. (-ვაი საფრანგეთის პოეტნო!) და დასძენს: ესენიც სწერდნენ ოთხი სახის რითმით ასხმულ სონეტის პირველ რვა სტრიქონსო. ამის შესახებ აი რა უნდა გაიგოს გრიშაშვილმა: ა) რუსულად ნათარგმნ სონეტებში მრავალჯერ არ არის დაცული დედანის სონეტის ასხმულობა... ბ) მართალია ზოგი ფრანგი პოეტი და ზოგი კიდევ სხვებიც თოთხმეტ სტრიქონიან ლექსს ისე ასხამენ, რომ პირველი რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით არის გამართული. მაგრამ ისინი ასეთ ლექსს უცხო ქვეყნებში ან სულ არ არქმევდნენ სონეტის სახელს, ან თუ დაარქმევენ, მხოლოდ „თავისუფალ სონეტს“ უძახიან. (და არა ნამდვილს, კლასიკურს“)[1] ამ თემას, ოთხმაგი რითმით სონეტის გამართვას, გრიშაშვილი უკვე აღარ შეხებია, რადგან საკუთარი პოზიციის სისუსტე იგრძნო და კამათი თეზისის თუ მოწინააღმდეგის მტკიცების გარშემო აღარ გააგრძელა.

რაც შეეხება თოთხმეტმარცვლიანი მეტრის შემოღებას და მის აუცილებელ მოთხოვნად ქცევას, აქ ი. გრიშაშვილს, როგორც პოლემისტს, უკან აღარ დაუხევია. გრ. რობაქიძის კატეგორიულობა, საბუთების არქონის გამო, სუბიექტურ ახირებად მიიჩნია. თოთხმეტმარცვლიანი საზომის დამკვიდრებაში სიმბოლისტებმა 14-ის მისტიკურ მნიშვნელობასაც მიაქციეს ყურადღება. უმთავრესი მიზეზი კი ლექსის რიტმულობაშია საძიებელი. რუსული სონეტის ცნობილი მკვლევარი ლ. გროსმანი მიუთითებდა, რომ „სიმბოლისტების დროს აღმოჩენილ იქნა განსაკუთრებული სონეტის რიტმი, აღრე ცნობილი მხოლოდ დელვიგისა და პუშკინისათვის; მოქნილი, წყნარი, მშვიდი და ზეიმურობის შემცველი, ამავე დროს“.[2] როგორც „ცისფერყანწელები მიიჩნევენდნენ, ამგვარ

---

[1] გრ. რობაქიძე, სონეტის გარშემო გაზ. „საქართველო“, №221, 1918

[2] Гроссман Л., Поэтика русского сонета, в кн: Борьба за стиль, М., стр. 128, 1927

„ნელსა“ და „მძიმე“ მტკიცე რიტმს ქმნიდა სონეტში 14 მარცვლიანი (5 4 5) საზომი“[1]

„ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ მოგვიანებით უარყოფითად შეაფასა „ცისფერყანწელთა“ დაჟინებული მოთხოვნა სონეტში 14 მარცვლიანი საზომის დამკვიდრებისა: „სიმბოლისტებმა წინ წამოსწიეს 14 და 10 მარცვლიანი ლექსები. განსაკუთრებით პირველი გახშირდა .. შეიქმნა ერთგვარი სტანდარტი და მტკიცება იმისა, რომ თითქოს სონეტის ფორმას მარტო თოთხმეტმარცვლიანი ლექსი შეეფერება.“[2]

კ. მაყაშვილის სონეტზე მსჯელობის დროს გრ. რობაქიძემ აზრი გამოთქვა, რომ „ათმარცვლიანი მეტრით ქართული სონეტი ვერ იჭედება“. შემდეგ კი უფრო გარკვევით გამოკვეთა თავისი პოზიცია: „მე მისთვის ვაძლევ თოთხმეტ მარცვლოვანი მეტრით ნამართულ სონეტს უპირატესობას, რომ იგი იძლევა ქართულში ნელსა და მძიმე რიტმს, რაც ასე ახასიათებს სონეტს (მას უნდა ჰქონდეს ლითონის სიმძიმე) თორემ გრიშაშვილის მიერ აგებული რვა მარცვლოვანი „სონეტი“ რა „სონეტია“?! ... განა ასეთი რიტმით გამოცხადდება სადმე ჭეშმარიტი სიუჟეტი?! სად არის აქ მტკიცე ჭედი, ან ნელი სიმძიმე რიტმისა?! აქ მხოლოდ ცინდრიკია“.[3] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიშაშვილის მხრიდან კამათის დაწყების საფუძველი რობაქიძე-ცისფერყანწელთა მიერ სონეტის მისაკუთრების მცდელობა და მათ წინამორბედთა სონეტების (მათ შორის გრიშაშვილისაც) არასწორობის საკმაოდ დამამცირებელი მტკიცება იყო. ამას რობაქიძის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც ნათელყოფს. გრიშაშვილისათვის ლექსთმცოდნეობითი საკითხების რკვევა თვითმიზანს არ წარმოადგენდა, სონეტის თეორეტიკოსობის პრეტენზია მას არ ჰქონია. „საიათნოვაში“ გრიშაშვილს შეგნებულად მოაქვს სონეტების ისტორია, რადგან აქ უკვე შენიღბულად ეკამათება გრ. რობაქიძეს, რომელსაც ერთ-ერთ ლექციაზე გამოუთქვამს პრეტენზია მოდერნისტების მიერ სწორი სონეტების საქართველოში შემოტანის შესახებ. კამათის დასაწყისიდანვე გრიშაშვილი ამ განცხადების უსაფუძვლო-

---

[1] თ. ბარნაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29

[2] იქვე, გვ. 28

[3] გრ. რობაქიძე, სონეტის გარშემო, გაზ. „საქართველო“, №221, 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მხილებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, პიროვნულად გალიზიანებული გრიშაშვილი რობაქიძის მტკიცებებს უტევს.

ცნობილია, რომ მტკიცების დროს დაშვებული შეცდომები თეზისში, დასაბუთებაში, ან თეზისსა და დასაბუთებას შორის კავშირშია საძიებელი. გრიშაშვილმა სწორედ დასაბუთებაში მიაგნო შეცდომას, თოთხმეტმარცვლიანი მეტრით სონეტის გამართვის აუცილებლობაზე მსჯელობის ნაცვლად მოწინააღმდეგის დასაბუთებას მიმართა. დასაბუთებაში შეცდომად ითვლება როგორც მცდარი დასაბუთება, როცა ვინმე აშკარად მცდარ აზრს ეყრდნობა, ასევე თავისუფალი დასაბუთება, როცა ის თავად მოითხოვს დასაბუთებას. კამათის ამ ეტაპზე რობაქიძე თავისუფალი დასაბუთების პრინციპით მოქმედებს. ამ ფლანგზე შეტევით გრიშაშვილი-პოლემისტი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება მკითხველზე ზემოქმედების მოხდენის თვალსაზრისით. „ჯერ ერთი,“ – წერს გრიშაშვილი, – „ვინ დააკანონა, რომ „ათმარცვლიანი მეტრით ქართული სონეტი ვერ იჭედება“! რობაქიძე ამ თავის შეჭედილ ხატის ამბავს არ ასაბუთებს! თავის პირად შეხედულებას საზოგადო ხასიათს აძლევს, რაც ჯერ კიდევ არავისგან თქმულა და გაგონილა“[1]. ი. გრიშაშვილი ამით შემოიფარგლა და ანტითეზისი არცკი წამოუყენებია. უთანხმოების პუნქტი, რომელიც, როგორც წესი, საფუძვლად ედება ანტითეზისს, მხოლოდ მოწინააღმდეგის თეზისის კრიტიკის გარეშე მიუღებლობაში თუა საძიებელი. შესაბამისად, რადგან მას ანტითეზისი, თეორიულად გაფორმებული და საკუთარი მტკიცებით დასაბუთებული, არ გააჩნდა, ი. გრიშაშვილმა თოთხმეტმარცვლოვან მეტრზე კამათი ამ ეტაპზე დაასრულა – მოკამათე დაუსაბუთებელ მსჯელობაში ამხილა. მტკიცების გამო კამათში ანტითეზისი უმეტეს შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს, ამის გამო არც გამოყოფენ და არც ითვალისწინებენ ხოლმე. ამრიგად, ვერ ვიტყვით, თითქოს ი. გრიშაშვილმა საბოლოოდ უკუაგდო რობაქიძის თოთხმეტმარცვლიანი საზომის აუცილებლობა, რადგან თეზისის უკუსაგდებად ყოველთვის საჭიროა მისი მცდარობის სპეციალური მტკიცება. გრიშაშვილს კი ასეთი რამ არ წარმოუდგენია. მან მხოლოდ იმ პუნქტებს მიმართა, სადაც ოპონენტის მსჯელობა მოიკოჭლებოდა

[1] ი. გრიშაშვილი, სონეტი საქართველოში, გაზ. „სახალხო საქმე“, № 385, 1918

და მისი პრეტენზიებისა თუ ბრალდებების მოხსნა დაისახა მიზნად. სონეტის თეორიული კვლევა მის ინტერესებში არ შედიოდა და რადგან კამათის ამოცანა განსაზღვრავს კიდეც მის მსვლელობასა და შედეგებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე ი. გრიშაშვილმა დასახული ამოცანა შეასრულა, მეტის პრეტენზია მას არც ჰქონია. თუ ლექსის თეორეტიკოსობა მას არ შეეძლო, მისი თქმით, მოწინააღმდეგის „ყურებით დაჭერა“ კი ხელეწიფებოდა და ამას მიაღწია კიდეც.

დებატების დროს ი. გრიშაშვილმა მკითხველის დასარწმუნებლად არაერთ პოლემიკურ ხერხს მიმართა. კამათის დროს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა გააჩნია მსჯელობას, ჭეშმარიტების მტკიცებას, პოზიციის სისწორეს, რაც უმეტეს შემთხვევაში წარმატების საწინდარია. მაგრამ ჭეშმარიტებას ფორმა გააჩნია და ფორმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ჭეშმარიტების მიღების ხარისხს. კამათის მანერა, ბუნებრივია, ადამიანის ინტელექტუალური და კულტურული დონით განისაზღვრება. კამათის ემოციური ფონი მოწინააღმდეგეთა ხერხებში მათი ენობრივი არსენალიდან არა მეცნიერული, არა პროფესიული ან ოფიციალური, არამედ „პირადი ენის“ შეჭრას იწვევს. გრიშაშვილმა გრ. რობაქიძის „მედიდურ ენას“ საკუთარი მანერა დაუპირისპირა, რაც მისთვის ბუნებრივი იყო და სადაც მის სიტყვას ზემოქმედების ძალა გააჩნდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ი. გრიშაშვილი არაიშვიათად, თუ უმეტესწილად არა, ფაქტებით უტევს მოწინააღმდეგეს. ფაქტების მოხმობისას ის ციტატებს მოიშველიებს. სწორედ მათი ემოციური გახმოვანებისათვის და მკითხველის მისთვის სასურველი მიმართულებით წასამართად გრიშაშვილი ციტატაში რეპლიკების ჩართვას მიმართავს. „ნიშანდობლივია ციტატის კომენტირება ჩართული რეპლიკით. რეპლიკას დიდ ამოცანას ვერ დავაკისრებთ, დებულებები უფრო სერიოზული გზით უნდა მოიხსნას... რაც შეეხება ციტირებაში ჩართულ რეპლიკას, მას პოლემისტი ძირითადად ტონის გამძაფრების ფუნქციას ანიჭებს.“[1] აი, გრიშაშვილის რეპლიკებიც, რომლებიც რობაქიძის სიტყვების ციტირებისას მო-

---

[1] ნ. გაბიძე, პოლემიკური ოსტატობა, წიგნში: ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა, თბ., გვ. 191, 1988

ჰყავს:„ აფსუს მსჯელობავ!,“ „სთქვა რაღა,“ „დაშხოშ ბიჭო,“ „რა კარგია და!“ როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი ზუსტად შეესაბამება გრიშაშვილის ემოციურ ენას, ქალაქურ-ყარაჩოხულ ტონს. შესაძლოა მათ სამეცნიერო მსჯელობის შესაფერისი სოლიდურობა ან მისი მოწინააღმდეგის ენამწარეობისათვის დამახასიათებელი რაფინირებულობა აკლია,[1] შესაძლოა მსჯელობის აკადემიზმის პოზიციებიდან პრიმიტიულად ჩაითვალოს და ღიმილსაც იწვევდეს, მაგრამ ისიც უდავოა, ი. გრიშაშვილი ხალასია ამ შეძახილებში, არც პოზიორობს და არც სხვისი ენობრივი ნილბის მორგებას ცდილობს. თავისი უბრალოებით ეს რეპლიკები უფრო მეტ სიმპათიას იწვევს, ვიდრე მისი ერთ-ერთი ოპონენტის დაუნდობელი, სარკაზმითა და ცინიზმით გამორჩეული რეპლიკა, რომ გრიშაშვილისგან ფრანგი პოეტების ხსენება შეუწყნარებელი ფამილიარობაა, რისი უფლებაც მას არ უნდა გააჩნდეს.[2]

ი. გრიშაშვილის მსჯელობა უხვადაა შეზავებული ქალაქურ ყარაჩოხული ტონალობის ანდაზებით თუ გამოთქმებით. მათ ყოველთვის შესაფერისი ადგილი უკავიათ წერილის არქიტექტონიკაში. ანდაზას გრიშაშვილის პოლემიკურ წერილებში უმეტესწილად დასკვნის ფუნქცია აკისრია. ლოგიკურად გასრულებული მსჯელობის ეფექტური ბოლო შტრიხი მთლიანად კრავს სათქმელს და მხატვრული სიტყვის ძალით ზემოქმედებას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

გრიშიშვილის პირველ წერილში რობაქიძისადმი, სადაც პოლემისტმა მოწინააღმდეგესთან კამათი პუნქტობრივად, ლოგიკურ და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გაასრულა, ბოლო აკორდი ირონიულ-მორალიზატორული გამონათქვამებით დაავგვირგვინა: „ნათქვამია: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო“! რადგან გაპბედეთ და ბანაობა დაიწყეთ, უნდა „თრთო-

---

[1] იხ. გრ. რობაქიძის რეპლიკა „იგი იხსენებს ბოდლერს, ვერლენს, როლლინას და სხვებს (**– ვაი საფრანგეთის პოეტნო!**) ან კიდევ: „ამის შემდეგ გამოვა გრიშაშვილი და დაიწყებს ქირვეულობას: ძველად კი (**ჰო, ეს კი!**) სონეტის პირველი ნახევრის რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით იყო ახსნილიო?!! გაზ. „საქართველო“, №221, 1918

[2] იხ. ტიციან ტაბიძე, ბიბლიოგრაფია, გრიშაშვილის „საიათნოვა“, გაზ. „საქართველო“, №235, 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევასაც" გაუძლოთ".[1] ამ „ბანაობაში" გრიშაშვილი სონეტზე მსჯელობას არ გულისხმობს, მას აქცენტი გრ. რობაქიძის არაკორექტულ შენიშვნებსა და შეურაცხმყოფელ გამოწვევებზე აქვს გაკეთებული". „ბატონო რობაქიძევ, როდესაც „პასუხებს სწერთ ხოლმე (თუმცა ჩემს შენიშვნებში აბა რა იყო საპასუხო) უნდა საბუთებს უფრო მიაქციოთ ყურადღება ვინემ სხვის პირადობაზე გადასვლას და საკუთარი პირადობის განდიდებას".[2] როგორც წერილიდანაც ჩანს, ამ სიტყვების ლოგიკური გაგრძელებისა და დასასრულის როლს სწორედ ზემოთ ხსენებული გამონათქვამი ასრულებს ი. გრიშაშვილი მზადაა გამოწვევა მიიღოს და ბოლომდე ჩაჰყვეს მოწინააღმდეგეს.

არანაკლებ დამარწმუნებლად და საინტერესოდ აქვს ჩართული მსჯელობაში გრიშაშვილ-პოლემისტს სპარსული ანდაზა: „ვინც უზალითუნს მიწუნებს, იმან აბაზიანი მაინც უნდა მაჩვენოსო." აქ ეს მხატვრული ჩანართი არა დასკვნის, არამედ თეზისის როლში გამოდის, რასაც დამამტკიცებელი ფაქტები მოსდევს იმის საჩვენებლად, რომ თუ ს. აბაშელს სიტყვის განმეორებების გამო სონეტის კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ, მაშინ თვითონ მაინც უნდა აღმოჩნდნენ დაზღვეულნი ამ უკანონობისაგან. ანდაზა მშვენივრად გადმოსცემს პოლემისტის სავსებით ლოგიკურ მოთხოვნას, მსჯელობით ნაწილს კვლავ მხატვრული ხერხი ენაცვლება და სათქმელი საბოლოოდ შეკრულია. „ეს მაგონებს საწყალ მოლა ნასრედინას, რომელიც თავისივე ხელით ხერხავდა იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ იჯდა თოჯინასავით".[3]

კამათის თანდათანობით გამწვავებამ და პიროვნულ დაპირისპირებაში გადასვლამ ი. გრიშაშვილის წერილების არქიტექტონიკაზედაც იქონია ზეგავლენა. პირველი წერილი – „რობაქიძისათვის" ისეთი სიმძაფრით არ გამოირჩევა, შესაბამისად, პოლემისტი მხოლოდ უთანხმოების პუნქტებს „უტრიალებს" და პოლემიკური გამოხმაურებით კმაყოფილდება. მეორეში – „სონეტი საქართველოში" – ი. გრიშაშვილი ყველა საკითხის ამომწურავად გაშლას ცდილობს და ოპონენტის მცდარობას საკუთარი კომენ-

---

[1] ი. გრიშაშვილი, რობაქიძისათვის, გაზ. „სახალხო საქმე", №379, 1918

[2] იქვე

[3] ი. გრიშაშვილი, სონეტი საქართველოში, გაზ. სახალხი საქმე" №385, 1918

ტარებით ავსებს. მასში მეტია მეცნიერული აზარტი, პოლემისტი ძირითადად მსჯელობით არის გატაცებული. მესამე წერილში – „სონეტის გარშემო“ – ემოციური ფონი აშკარად სჭარბობს საქმიან მსჯელობას, გაღიზიანება კულმინაციას აღწევს, წერილი აგებულებითაც რთულია, ავტორი მას ღერძული სიმეტრიის პრინციპით აშენებს. შესავალი და დასკვნითი ნაწილები ვარსკვლავებით არის გამოყოფილი. ძირითად ნაწილში კვლავ მსჯელობითი ფორმით განიხილავს საკვანძო საკითხებს, ხოლო შესავალ და დასკვნით ნაწილებში სარკასტულად ტკბება გრ. რობაქიძის განქიქებით. „უდიპლომო“ გრიშაშვილი აღარ ზოგავს განათლებულ მოწინააღმდეგეს: „ნამდვილად კი მე ველაპარაკები იმ რობაქიძეს, რომელიც ოდესღაც „დიპლომით დატვირთული“ დიდი ზარზეიმით ჩამობრძანდა საქართველოში და თავისი „ცნობილი ლექტორობით“ ყურები გამოუჭედა ყველას... როცა ყველგან „ლილა გაუხუნდა,“ პოეტობაც დაიწყო, ალბათ იმ იმედით, რომ „საფილოსოფოსო დიპლომი“ თუ გაუადვილებდა პარნასისაკენ გზას.[1] ეს „დიპლომი“ ყველგან ოპონენტის დასამცირებლად გამოიყენა: „არავითარ სახელს არ მოგცემთ, არც ლექსების წერას აგიკრძალავთ, არც „დიპლომში“ შეგეცილებით, მხოლოდ თუ მაგ სახეს ოდნავ სიწითლეს მოვგვრი, მე ამითაც კი ვიქნები კმაყოფილი.

მაგრამ! აქლემი და გალია?
რობაქიძე და სირცხვილი?“[2]

ასევე ემოციურად ამთავრებს ი. გრიშაშვილი წერილის დასკვნით ნაწილს. არც ერთი განზოგადება, არც მსჯელობის დამაგვირგვინებელი საქმიანი შეჯამება. ი. გრიშაშვილი სონეტის მკვლევარიდან კვლავ ხარფუხელ ჩხუბისთავ „ბიჭად“ იქცევა და მოწინააღმდეგეს თავის ენაზე უთვლის სათქმელს:

„აკი უთხარ: ნუ შესვალ, ნუ ებანები-მეთქი!
რა უნდა ნეტა? ჯიბრი?
ბამუსკა! თუ ჯიბრია ჯიბრი იყოს!

ჯიბრს კი კეღელი სჭირია, რომელსაც „კეთილშობილურად უნდა მიატეხოს თავი!“.[3]

---

[1] ი. გრიშაშვილი, სონეტის გარშემო, გაზ. სახალხო საქმე“ №391, 1918
[2] იქვე
[3] იქვე

პოლემიკურ ნაწარმოებებზე მსჯელობას გასრულებულად ვერ ჩავთვლით, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხებით მათ სათაურებს. არაიშვიათია პოლემიკური წერილების ბანალური დასათაურება, რომელიც თითქოს ჟანრობრივი სტანდარტით არის ჩამოსხმული. ამგვარ სათაურებში მხოლოდ წერილის ადრესატზე ან საკამათო თემაზეა მინიშნება. ოსტატურად შერჩეულ სათაურში კი გონებამახვილურად არის აკუმულირებული მთელი პოლემიკის ან კონკრეტული წერილის არსი. „სათაურები ხელს უწყობენ პოლემიკური სულისკვეთების წარმოქმნას, ლაიტმოტივის მკითხველთან მიტანას".[1]

ამ თვალსაზრისით, სონეტის გამო კამათი განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს. მოწინააღმდეგეთა სათაურები ერთმანეთის ტყუპისცალებივით ჰგავს. პირველ წერილში გრიშაშვილს ადრესატის გვარი გამოაქვს სათაურში, მეორესა და მესამეში – საკამათო საკითხი. სულ სხვაგვარია გრიშაშვილის ერთი გამოუქვეყნებელი წერილის სათაური, რომელიც შესაძლოა სწორედ ამ ნიშნით აღმოჩნდა პრესის ფურცლებს მიღმა. „ლიტერატურული ცეცლანი" – ასე დაუნდობლად დაასათაურა ი. გრიშაშვილმა გრ. რობაქიძის მისამართით სონეტის გარშემო დაწერილი კიდევ ერთი წერილი. სათაურმა გვიჩვენა გაღიზიანების პიკი, პიროვნულ მტრობა-სიძულვილში გადასული პაექრობის სიმწვავე და ამ სიტყვების ავტორის არაეთიკური, ყოვლად დაუშვებელი ენამწარობა.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნულმა კამათმა სრულად წარმოაჩინა ი. გრიშაშვილის პოზიცია, მსჯელობისა და პაექრობის მანერა – ზოგჯერ თანმიმდევრული, არგუმენტირებული, ზოგჯერ საფუძვლიანობას მოკლებული და მხოლოდ პირადული შინაარსის შემცველი.

---

[1] ნ. ტაბიძე, პოლემიკური ოსტატობა, წიგნში: „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა", თბ., გვ. 197, 1988

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили

336, 2002

ნათია ჯიქია

პაოლო იაშვილის პუბლიცისტური ოსტატობა (არგუმენტაცია და მისი ფორმები)

პაოლო იაშვილის წერილები ხასიათდება პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების სიუხვით. ავტორი იმარჯვებს რიტორიკულ შეკითხვას, ქვეტექსტს, გამონაგონს, სიმბოლურ ხატს, მხატვრულ დეტალს და ა.შ. ფაქტის დასასაბუთებლად პუბლიცისტი იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის: ლოგიკურ მსჯელობას, დოკუმენტს, სტატისტიკურ მონაცემს, ავტორიტეტულ გამონათქვამს...

ავტორის სუბიექტური განცდა, როგორც არგუმენტაციის ერთ-ერთი მეთოდი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს პუბლიცისტის წერილებში. იგი დამაჯერებლობის, დამარწმუნებლობის მომენტს აძლიერებს. მაგალითად, წერილში „ლადო მესხიშვილი“ პაოლო საუბრობს ადრესატზე და იგონებს სიყრმის წლებს, როდესაც იგი გასტროლებზე ქუთაისში ჩამოსულ მსახიობებს აღფრთოვანებული ადევნებდა თვალყურს. საინტერესოა ადრესატის ფარული პორტრეტი, დახატული პოეტის ადრეულ ასაკში: „ლადო მესხიშვილთან შეხვედრა ყოველთვის სიხარულს იწვევდა. ეს სიხარული მე მახსოვს ბავშვობიდან, როდესაც სრულებით შეუგნებლად ვიყავი აღტაცებული ქუთაისის თეატრში მესხიშვილის „ჰამლეტით“ და „კაი გრაკხით“. მეხსიერებიდან არ ამოიშლება 1905 წელი ქუთაისში „ქან და მაღლენაში“[1]. მსგავსი ავტორისეული განცდები, ემოციები გათვალსაჩინოებულია სტატიებში „სევდა სილამაზისა,“ „სოლოგუბის საღამოზე,“ „დარიის ეკლესია“. ის ემსახურება ერთ პუბლიცისტურ მიზანს – დასაბუთებას. წერილში „სევდა სილამაზისა“ მოცეკვავე ქალის ცოცხალი და ეფექტური პორტრეტია მოცემული. „რამდენს ატოკებია გული, როცა უხილავს დუნკანის

თითქმის შიშველი ტანის აუწერელი რხევა, ფეხშიშველი და თმაგაშლილი, თითქოს ზღვის ქაფიდან სხეულგამოკვეთილი... სხვადასხვა ჰანგებით მკვნესარე, ჰქმნიდა პოეზიას ცეკვისას. იგი თავისი სხეულით სახავდა სონეტებს ბეთჰოვენისას, შოპენის ენაზეს მელოდიებს, სიტიყეს ვაგნერის მუსიკისას. სილამაზე მისი დროებით მაინც ყოველ გარყვნილ სულს, ყოველ დაცემულ ადამიანს განწმენდდა"[2].

ადვილი შესაძლებელია, ევროპაში მოგზაურობისას პოეტს შესაძლებლობა ჰქონდა საკუთარი თვალით ენახა ეს ცნობილი ბალერინა თავის ამპლუაში, მაგრამ თუკი ზემოთ მოყვანილი პორტრეტი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ ბარაქალა პაოლო იაშვილს, რომელმაც პუბლიცისტურ ტექსტში ასოციაციური ხედვა ასეთი ცხოველმყოფელობით შემოგვთავაზა.

პაოლო ახერხებს სუბიექტური განცდის გამოსახვას როგორც ერცელი კონტექსტით, ისე დეტალების მეშვეობით. წერილში „სოლოგუბის საღამოზე და სოლოგუბთან" დასწრების ეფექტი მიღწეულია სხვადასხვა ხერხით. მწერალი გვაწვდის ლექციის სტენოგრაფიულ ვარიანტს, აფიქსირებს აუდიტორიის ემოციებს და ა. შ. „თუ თქვენ იმის ლექსში ეძებდით არაჩვეულებრივ ადამიანავტორს, სოლოგუბი თქვენ გულს დაგწყვეტდათ, თითქოს ის, რასაც იგი ესტრადიდან გვიკითხავდა, მისთვის უკვე მოსაწყენი იყო, მშრალად გაზეპირებული". მწერალი ცდილობს წერილის სხვა ნაწილშიც იყოს სუბიექტური: „მხატვრულ შემოქმედებაშიც მიჩვეული სხვადასხვაობას, აზრთა წინააღმდეგობას და გამოურკვევლობას, სოლოგუბმა თავის ლექციაშიც იგივე გამოსახა... ადვილი გასაგები იყო ნაწყვეტები ლექციისა, მაგრამ ძნელი იყო საერთო სინთეზის გაკეთება"[3]. აქ ავტორის ნეგატიური შთაბეჭდილების კონკრეტიზაციაა. სუბიექტურ განცდასთან ერთად არგუმენტირების საფუძველია შედარება, რომელიც ბუნებრივ კონტექსტში აქვს მოყვანილი ავტორს. თუმცა ამ შინაარსობრივი ელემენტით იგი მარტოოდენ უარყოფით ემოციებს როდი აფიქსირებს. წერილში „ნიკო ფიროსმანაშვილი" პაოლო ამბობს: „საუკეთესო ადგილი მთელს წიგნში არის 129 გვერდზე მოთავსებული Nature morte"[4]. იქნებ მავანი და მავანი შეგვედავოს, რომ ეს მაგალითი არ გამოდგება სუბიექტური განცდის საილუსტრაციოდ, რადგან იგი ავტორისეულ მოსაზრებას უფრო უახლოვდება. საერთოდ, ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნების ნიმუში უნდა იგრძნო, ვიდრე მას შეაფასებდე და ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ის ადგილი რეცენზიაში, სადაც კრიტიკულ პათოსთან ერთად დადებითი კუთხეა მიგნებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორი მაღალი გემოვნების ლიტერატორია და პროფესიონალი მხატვრის იმიჯით სარგებლობს.

სუბიექტური განცდა წერილის სხვა ადგილასაც მჟღავნდება. მაგალითად, „როგორც მახსოვს, სურათი ზდანევიჩების კოლექციაში უნდა იყოს და გასაკვირია, რად იყო საჭირო მათი შუაში გაჭრა, გაცალკევება?“[5] ძალზედ ორიგინალურია ფიროსმანის დახასიათებისთვის მოყვანილი შედარების ხერხი. იგი აგრეთვე შესანიშნავი ფორმაა აღრესატის ხელოვნების შეფასებისთვის. „ეს არ მოეთხოვება ფიროსმანს, რომელიც ხატავს უბრალოდ, ძალდაუტანებლად, ისე, როგორც ჩვენ ვსუნთქავთ, ან დავდივართ, ან რაიმე ბიოლოგიურ მოთხოვნილებას ვაკმაყოფილებთ“[6].

არგუმენტაციის ფორმებიდან გასათვალისწინებელია სტატისტიკა. ამ მხრივ პაოლო იაშვილის წერილები შედარებით მწირია. თუმც არსებობს გამონაკლისი „წყალწაღებული ჭიათურის“ სახით. წერილი ეკონომიკურ თემაზეა შექმნილი, მასში ძლიერი სტიქიის შედეგები ციფრობრივ მონაცემებში მჟღავნდება: „მარტო ერთ ფირმას მოსტაცა სტიქიამ 4500000 ფუთი. სულ წაღებულია – 17 000 000 ფუთი გაწმენდილი ქვა და პროქსიტი... „ჩემო“ იძულებული ხდება მოახდინოს 400 კაცის ლიკვიდაცია სამსახურიდან, მარტო ამისათვის 16 მილიარდი არის საჭირო“[7]. აქ მოყვანილი ციფრები ძალზე შთამბეჭდავია. ავტორი დაწვრილებით შეისწავლის სიტუაციას და დეტალურად გვაწვდის ფაქტობრივ მასალას. ეს არის არგუმენტაციის ის ფორმა, რომელიც დოკუმენტურ წყაროსთან უშუალო ურთიერთობისას ყალიბდება.

პაოლო იაშვილის წერილებიდან ზოგიერთი ძალზე დოკუმენტურია. მათში მოცემულია მშრალი ინფორმაცია ყოველგვარი ლოგიკური განსჯის, კომენტარისა თუ ლირიკული ჩანართის გარეშე. კერძოდ, ისინი არ შეიცავენ პუბლიცისტური ტექსტის ერთ ან რამდენიმე შინაარსობრივ ელემენტს. ამ სტილის წერილებს განეკუთვნება ხელნაწერი „ქუთაისის პარტიული კრება“[8], რომელშიც აღწერილია ნაციონალისტურ-დემოკრატიული პარტიის პრეზენტაცია ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის სააქტო დარბაზში. წერილში დაფიქსირებულია კრების დღის წესრიგი, დამს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეთა და ჰომხსენებელთა ვინაობა, პრეზიდიუმის წარმომადგენლობის კურსი და მიმართულება. ეს ნაწარმოები, თავის მხრივ, არის შესანიშნავი მასალა, პირველწყარო პუბლიცისტური ნაწარმოების შესაქმნელად.

ინფორმაციული თვალსაზრისით მდიდარია წერილი „ლადო მესხიშვილის ძეგლი“[9], რომელშიც საუბარია ძეგლის ასაგებად შექმნილი საგანგებო კომისიის სრულ შემადგენლობაზე, სახელდახელოდ მოწყობილი კონცერტის რეპერტუარსა და მის პერიპეტიებზე.

დოკუმენტური ფაქტი, როგორც არგუმენტაციის საფუძველი, გვხვდება იდენტურ თემაზე დაწერილ წერილში „ლადო მესხიშვილი“: „სამშაბათს, 30 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში იგი მართავს ლადო მესხიშვილის მოგონების საღამოს, სრული შემოსავალი ამ საღამოდან გადაიდება ძეგლის აშენებისთვის“[10]. ამ დოკუმენტურ ფაქტში მითითებულია საღამოს ჩატარების თარიღი, ადგილი და ბოლოს ხაზგასმულია საღამოს უმთავრესი იდეა და დანიშნულება.

დოკუმენტური მხარე წერილისა, „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი“ საყურადღებოა არა მხოლოდ ადრესატის ავტორიტეტულობის გამო, არამედ იმითაც, რომ პაოლო, როგორც პოეტთან დაახლოებული პირი, ამ მოვლენის პირველწყაროა. ცნობილია, რომ კონსტანტინე ბალმონტი სწორედ პაოლო იაშვილის ინიციატივით ჩამოვიდა ჩვენს სამშობლოში. „თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს. აქ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას „ოკიანეთის“ – პოლინეზიაში მოგზაურობის დროს შეგროვილ შთაბეჭდილებებს გაუზიარებს მსმენელებს. თბილისით იგი დაამთავრებს თავის ლექციების ტურნეს რუსეთის დიდ ქალაქებში“[11].

არგუმენტაცია, როგორც ერთ-ერთი შინაარსობრივი ელემენტი თავისი გამოსახვის ფორმებითა და მეთოდებით ხშირად გვხვდება პუბლიკაციებში. მაგალითად, ლოგიკური მსჯელობა უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის წერილში მოყვანილ მასალას. ლოგიკური მსჯელობით იხსნება შესავალი წერილისა „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი,“ რომელიც ფარული ქვეტექსტით ხასიათდება. „არ არის ერი, რომელიც როგორც მთლიანი არსება, დაინტერესებული არ იყოს ჩვენი ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედ-იღბლით. არ არის არამც თუ ერი, საზოგადოების ნაწილიც, რომელშიაც საქართველო თავის მრავალ საჭირბოროტო თავგადასავლით არ იწვევდეს მხურვალე თანაგრძნობას"[12]. მეგობრობის თემაზე დაწერილ ამ პუბლიკაციაში წინა პლანზეა წამოწეული ერის სახე, მისი კავშირი სხვა ხალხებთან.

ლოგიკურია ავტორი წერილში „თარგმნილი ლიტერატურა". იგი ცდილობს დაასაბუთოს მთარგმნელობითი საკითხის აქტუალობა და პრობლემურობა ქართული კულტურისათვის. ეს წერილი კატეგორიული ტონით, კრიტიკული პათოსით არის სავსე და, ცხადია, მასში ლოგიკურობის მომენტი უნდა დომინირებდეს. მაგალითად, „წარსული საუკუნე, რომელიც ბევრისთვის აღორძინების ხანად ითვლება ჩვენი მწერლობისა, ცოდვილია ეთნოგრაფიულ საზღვრებში ჩაკეტვით და ევროპული კულტურის ჩამორჩენით. მან ვერ დაუახლოვა საქართველო მოწინავე კულტურას და ატმოსფერულადაც ვერ იგრძნო ის სიდიადე, რომელმაც უკვდავ შთაგონებით აავსო ევროპის ქვეყნები"[13]. ლოგიკურად მსჯელობს პაოლო წერილში „ლადო მესხიშვილის ძეგლი". აქვე შედარების ხერხითაც სარგებლობს: „მართლაც, ალარაფისთვის არ არის საჭირო ისე ძეგლი, როგორც არტისტისთვის: პოეტისაგან რჩება ლექსები, მხატვრებიდან — სურათები, კომპოზიტორებიდან — მუსიკალური ნაწარმოებები. მხოლოდ არტისტს სიკვდილთან ერთად მიაქვს თავისი ხსოვნა."

„არგუმენტის ჟურნალისტურ ტექსტში გამოყენების ერთ-ერთ ფორმად შედარების ხერხი გვევლინება. ამათგან, შესადარებელ კომპონენტთაგან ერთი უფრო ნაცნობი, მეორე კი ისაა, რისი ახსნის, გაგებისთვის დაგვჭირდა შედარებაც და მისი მოშველიებით გამოკვეთილი არგუმენტი"[14].

„ნიკო ფიროსმანიშვილში" გამოყენებულია ირონიული შედარება, „მის საქიშპოდ ვერ გამოდგება ქართველიშვილის „ვეფხისტყაოსანი" და მით უმეტეს გედევანიშვილის „ილია ჭავჭავაძე," რომელიც უგემურობის შედევრია. ამ წიგნებს მიტომ ვახსენებ, რომ მათ ჰქონდათ საგამომცემლო პრეტენზიები"[15].

პაოლო იაშვილი წერილში „იაკობ ნიკოლაძე" ხაზს უსვამს იაკობ ნიკოლაძის ნოვატორულ მიმართულებას, ცდილობს იპოვოს ყველაზე ზუსტი და მისადაგებული შედარება. იგი ერთ პოლუსზე აყენებს ორ ხელოვანს — ზაქარია ფალიაშვილსა და იაკობ

ნიკოლაძეს: „უსათუოდ ოპერის ისტორია იწყება „აბესალომ და ეთერით,“ ისე როგორც ძეგლი ილია ჭავჭავაძესთვის არის პირველი მაგალითი ქართული შემოქმედების“[16]. ამ შედარებაში აღრესატი ეროვნულ ფონზე მოჩანს, ხოლო ფინალურ ნაწილში ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით იზრდება არგუმენტაციის იმ ფორმის საშუალებით, რომელსაც შედარების ხერხი ეწოდება: „ქართული ქანდაკების ისტორიაში მის სახელს მოიგონებენ ისე, როგორც თანამედროვე კულტურა იგონებს გუტენბერგს, სტამბის გამომგონებელს“[17].

ქართულ მთარგმნელებს პაოლო იაშვილი ევროპელ კლასიკოსებს მოაგონებს: ბოდლერს, სტეფან ცვაიგს, ებრაელ მწერლებს ბერლინში, „რომელთაც ათასობით უთარგმნიათ წიგნები ძველ ებრაულ ენაზე 2 წლის განმავლობაში“. ციტატაში მომარჯვებული სტატისტიკა მიმართულია არგუმენტაციისათვის. ამასთანავე, შედარების ეს ხერხი ორიგინალურად ერწყმის წერილის კომპოზიციას.

პაოლო იაშვილის წერილები შეიცავს პუბლიცისტური ტექსტისათვის დამახასიათებელ სხვა კომპონენტებს, მათგან თითოეული საინტერესოა გამოსახვის ფორმებითა და მეთოდებით, ისევე როგორც არგუმენტაციის ზემოთ განხილული სახეობები.

ლიტერატურა

1. „ლადო მესხიშვილი," გაზ. რუბიკონი, 1923, № 16
2. „სევდა სილამაზისა", გაზ. კოლხიდა, 1913, № 36
3. „სოლოგუბის საღამოზე და სოლოგუბთან, გაზ. კოლხიდა, 1913, № 30
4. „ნიკო ფიროსმანაშვილი", ჟურ. ქართული მწერლობა, 1926, I
5. იხ. იქვე
6. იხ. იქვე
7. „წყალწაღებული ჭიათურა," გაზ. ბახტრიონი, 1924, № 21
8. „ქუთაისის პარტიული კრება" – გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, პაოლო იაშვილის ხელნაწერი ფონდი, 26740/-4
9. „ლადო მესხიშვილის ძეგლი," გაზ. ბახტრიონი, 1922, № 8
10. „ლადო მესხიშვილი," გაზ. რუბიკონი, 1923, № 3
11. „ვეფხისტყაოსანი" და კონსტანტინე ბალმონტი," გაზ. თემი, 1914, № 169
12. იხ. იქვე
13. „თარგმნილი ლიტერატურა," გაზ. რუბიკონი, 1923, № 3
14. დ. ტყებუჩავა, „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები," თსუ გამომცემლობა, 1997, თბ., გვ. 36
15. იხ. იქვე
16. „იაკობ ნიკოლაძე," გაზ. ბახტრიონი, 1922, № 22
17. იხ. იქვე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

თამარ ხორბალაძე

გრიგოლ ვეშაპელი და საქართველოს ორიენტაციის საკითხი (გაზეთ «კლდის» მიხედვით)

პრესა ყველგან, ისე როგორც საქართველოში, ყოველთვის იყო და არის თანამედროვეობის სარკე. მართალია, ზოგჯერ ეს სარკე რეალობას თავისებური ინტერპრეტაციით აირეკლავს, როგორც გასართობ ატრაქციონში – სიცილის ოთახში, მაგრამ საბოლოოდ პრესა მაინც უდიდეს როლს ასრულებს მართალი ისტორიის შექმნაში. ამა თუ იმ პუბლიცისტთა ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევენ იმჟამინდელ მოვლენებზე, შეხედულებებზე, ღირებულებებზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დამოუკიდებლობის დროინდელი ანუ 1918-21 წლების გამოცემები, როცა ფაქტობრივად მოხსნილი და გაუქმებული სახელისუფლებო-იმპერიული შეზღუდვების შემდეგ, ქართველ პუბლიცისტებს თავისუფალი (ამ სიტყვის იმჟამინდელი გაგებით, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება დღევანდელისაგან) ჟურნალისტიკის საფუძვლის შექმნა უხდებოდათ.

პუბლიცისტი, რომლის ნააზრევის შთამომავალთა სამსჯავროზე გამოტანა დღეს გვაქვს განზრახული, სამოღვაწეო ასპარეზზე სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე გამოვიდა.

გრიგოლ ვეშაპელის სახელსა და გვარს ქართული ისტორიის მოყვარულნი თუ მკვლევარები ბოლო პერიოდამდე ხშირად ნამდვილად ვერ შეხვდებოდნენ. მასზე მცირედი მინიშნება გვხვდება სერგო ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“: „1917 წლის 12 მაისს საზოგადოება „ქართული თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელ კრებას ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერების და საზოგადოებათა 28 წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ შორის იყო: ივანე ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, გ. ვეშაპიძე.“[1]

ამ მოღვაწის სახელი 1918-20 წლების საქართველოს პარლამენტის ანგარიშებშიაც ფიქსირდება, თუმცა საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულში მისთვის მხოლოდ ერთი წინადადება გაუმეტებიათ, თან არცთუ ბოლომდე სარწმუნო: „და ბოლოს, გრიგოლ ვეშაპელი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა კონტრრევოლუციურ ემიგრაციასთან, სიცოცხლეს გამოასალმეს.“[2]

ეს ინფორმაცია ეყრდნობა 1926 წელს, გრიგოლ ვეშაპელის გარდაცვალების შემდეგ პარიზში მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთის „ახალი საქართველო“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ვერსიას.

მეორე, ანუ „კონტრრევოლუციური ემიგრაციის“ ვერსია, კერძოდ. გრიგოლ ვეშაპელის თანამებრძოლი 1918-21 წლებში რევაზ გაბაშვილი გვამცნობს, რომ ვეშაპელმა თავი მოიკლა. ამ ვერსიის უტყუარობაზე საუბარიც ძნელია, რადგან ემიგრაციაში წასვლის შემდეგ რევაზ გაბაშვილისა და გრიგოლ ვეშაპელის პოზიციები ერთმანეთს რადიკალურად დაშორდა. არა მხოლოდ დაშორდა, დაუპირისპირდა კიდეც. 1940-იან წლებში დაწერილ მოგონებებში რევაზ გაბაშვილი გრიგოლ ვეშაპელის მოღვაწეობას, უფრო ზუსტად მის პიროვნებას, მეტად უარყოფითად ხატავს.

საერთოდ, გრიგოლ ვეშაპელის პიროვნებისადმი მეცნიერული მიდგომა არ შეიძლება ცალსახა იყოს. იგი თავად გახლავთ საკმაოდ წინააღმდეგობრივი პერსონა, რომლის მსოფლმხედველობამ წლებთან ერთად გარკვეული რეფორმირება განიცადა, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ მომხდარა ძირითადი ხაზის ცვლილებებისა და უარყოფის ხარჯზე.

ის, რომ ვეშაპელისთვის, როგორც მოაზროვნისთვის, ამოსავალი წერტილი ქართველების ინტერესების დაცვა გახლდათ, ჩანს მის პუბლიცისტიკაში. განსაკუთრებით კი ისეთი თემის წამო-

[1] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 193, 1985

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 209, 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევისა და გამუქებისას, როგორიც არის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ორიენტაციის საკითხი.

აქვე უნდა აღინიშნოს – საქართველოს ორიენტაციის საკითხი მუდმივი სიდიდე არ გახლდათ და იგი გარკვეულ ტრანსფორმირებას მსოფლიო მოვლენეთა ცვალებადობის კვალდაკვალ განიცდიდა.

ამიტომ საგარეო პოლიტიკურ მრწამსზე საუბარი წარმოუდგენელია მსოფლიო ვითარების გაცნობის გარეშე, მით უფრო, რომ თითოეულ მნიშვნელოვან საერთაშორისო ძვრას მყისვე მოჰყვებოდა ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის – გრიგოლ ვეშაპელის შეხედულებათა ხელახალი გადასინჯვა. ასე თანდათან ხდებოდა მისი მობრუნება ერთი ძალიდან მეორესაკენ. ეს სახეცვლილებანი ყველაზე კარგად აისახა გაზეთ „კლდის“ ფურცლებზე, რომელიც 1918 წლიდან 1920 წლის ჩათვლით გამოდიოდა. ამ პერიოდის მანძილზე მსოფლიოშიც ძალზე ბევრი ცვლილება მოხდა.

როგორ რეაგირებდა გრიგოლ ვეშაპელი ამა თუ იმ მოვლენაზე? რამდენად სწრაფად აღიქვამდა ფაქტებს და რა დასკვნები გამოჰქონდა მათგან? ამის გარკვევას გაზეთ „კლდეში“ გამოქვეყნებული სტატიების მოშველიებით შევეცდებით.

მაშ ასე, 1918 წლის მარტში გერმანიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და პარიზისკენ წაიწიეს. გერმანია ამ დროისთვის მსოფლიოს თავის წესებს კარნახობდა.

26 მაისის გადაწყვეტილებით საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაუპირისპირა თურქეთს და ჩვენ ტერიტორიაზე ივნისის დასაწყისში გერმანიის ჯარები შემოვიდნენ. ქვეყანამ აშკარად მიიღო პროგერმანისტული ორიენტაცია, მიუხედავად მთავრობის არაერთგზის გაცხადებული ნეიტრალობის სურვილისა.

მალე „ანტანტის“ ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. 8 აგვისტოს მათ გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი. ამ დღის შესახებ გერმანიის გენერალური შტაბის ფაქტიური ხელმძღვანელი, გენერალი ლიუდენდორფი წერდა, რომ ეს იყო „მსოფლიო ომის ისტორიაში ყველაზე შავი დღე გერმანიის არმიისათვის.“[1]

მიუხედავად ამისა, 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი პუნქტებით გერმანელებმა მოიპო-

---

[1] „ახალი ისტორია“ გვ. 303, 1971-1918, 1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პირობა!

ალბათ, ამ უკანასკნელი ფაქტითაა განპირობებული ის ოპტიმიზმი, რასაც გრიგოლ ვეშაპელი გერმანიასთან მიმართებაში აფიქსირებს, ამბობს რა, რომ მას ძალუძს მსოფლიოსთვის საკუთარი პირობების წაყენება. სწორედ ამ რწმენით აღჭურვილი აცხადებს იგი, რომ „მთელ დედამიწაზე დღეს ორი ძალა იბრძვის: გერმანია და რუსეთი."[1] აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს რეალურმა პოლიტიკურმა კურსმა ჩვენ უკვე დაგვაკავშირა გერმანიასთან, რომელმაც საქართველო დაიცვა როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის თავდასხმის საშიშროებისაგან. საქართველოს ასეთი უსაფრთხოების გარანტიას ვეშაპელი გერმანიის კეთილდღეობაში ხედავს და თვლის, რომ მას მარცხი არ ელის, რადგან: „საარაკო სამხედრო ორგანიზაცია და საარაკო მამულიშვილობა გერმანიის ყველა კლასთა და წოდებათა შეუძლებლად ჰხდის გერმანიისთვის ბრესტის სირცხვილს. ამერიკის სამხედრო ინიციატივა ევროპაში წინდაწინვე განსაზღვრულია გერმანიის შიშით... მოსალოდნელია საკომპრომისო ზავი... ლენინის მსოფლიო იმედების გამართლება არც გერმანიას უნდა და არც ინგლისს. და ინდოეთის აჯანყება კი ინგლისისთვის უფრო მეტად საშიშია, ვიდრე ბულგარეთის სლავიანოფილური პარტიების ღალატი გერმანიისა".[2] ამ მოსაზრებებზე აშენებს ვეშაპელი „გერმანულ ორიენტაციას" და შეურიგებელია ყველასადმი, ვინც კი ინგლისისადმი სიმპათიითაა განწყობილი. ეს ან ინფორმაციის სიმცირის შედეგი უნდა იყოს, ან შეგნებული თავის მოტყუება. ჩვენ ვგონებთ, რომ საქმე უფრო პირველ ვარიანტთან გვაქვს.

საინტერესოა გაზეთ „კლდეშივე" დაფიქსირებული მოსაზრება საქართველოს შესაძლო ნეიტრალიტეტის შესახებ. 1918 წელს ვეშაპელი წერს: „საქართველოს ნეიტრალიტეტი ზღაპარია. ნეიტრალი ამ ომში არც ღმერთია. ის იმის მომხრეა, ვისაც მეტი ჯარი ჰყავს"[3] – ვერაფერს იტყვი, რკინისებური ლოგიკაა. გრიგოლ ვეშაპელს ამ ლოგიკისთვის არც არასოდეს უღალატია.

---

[1] გაზ. „კლდე", № 4, 1918

[2] იქვე

[3] გაზ. „კლდე", № 4, 1918

მსოფლიოში მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა. 13 ოქტომბერს თვით გაზეთ „კლდის“ ფურცლებზე ამოიკითხავდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ინგლის-საფრანგეთი მიემხრო ამერიკის პასუხს და აცხადებს, რომ ცალკე პასუხს გერმანია ვერ მიიღებს, სანამ არ გაირკვევა მისი შეხედულება ვილსონის პირობებზეო“.[1] გრიგოლ ვეშაპელმა გერმანიისათვის ძალზედ წამგებიანი ზავის წაყენება უპასუხოდ ვერ დატოვა და ახლა უკვე ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებად გერმანია ანუ „მილიტარისტული მონარქია“ და ამერიკა, ანუ „კომერსანტული რესპუბლიკა“ წარმოგვიდგინა. გერმანიის გეგმა ზავის ჩამოგდებისა მას სრულიად ბუნებრივად ეჩვენება, ვინაიდან, „თუ ერთი მოპირდაპირე მეორეს ვერ სპობს, ორივენი იმაზე უნდა მორიგდნენ, რომ დამარცხებული მოკავშირეების მიწა-წყალი გაიყონ.“[2]

ამერიკის რესპუბლიკისეული ზავის გეგმა კი გრიგოლ ვეშაპელისთვის არარეალურია, ვინაიდან „თუ ისტორიას დავუჯერებთ, ჯერ ისეთი დრო კაცობრიობას არ უნახავს, რომ ერები ომით არ სწყვეტდნენ სადაო საქმეს და რომ გამრავლებული, გამდიდრებული, ნასწავლი ერი თავის ჭკუამოკლე და ხელმოკლე მეზობელს არ სჯაბნიდეს.“[3]

ამრიგად, გრიგოლ ვეშაპელი პოლიტიკურ საკითხთა ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების მომხრეა. მისთვის დიპლომატია მეორადია, დამარცხებულთა ხვედრია. (საინტერესო მოსაზრებაა, მით უმეტეს – დღევანდელ ვითარებაში). თავიდანვე ასე განწყობილი პუბლიცისტი ასკვნის, რომ „ვილსონის საზავო პირობები ორჭოფია და ერთი მსაჯული სადაო კითხვებისა ალბათ თვით ავტორი იქნება – ამერიკის ჯარი.“[4]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წერილის გვერდზევე გერმანიის ჯარების უკანდახევის ცნობებია მოწოდებული, გრიგოლ ვეშაპელს მაინც მიაჩნია, რომ გერმანიას ჯერ კიდევ გააჩნია ძალები თავდაცვისათვის და ამიტომ მას „არ შეუძლია გაჰყვეს ასეთი ზავის გზას: გერმანია თუ რამეს დაცლის, დაცლის

---

[1] გაზ. „კლდე“, №5, 1918
[2] იქვე
[3] იქვე
[4] იქვე

მხოლოდ საფრანგეთის და ბელგიას, რომ საფრანგეთის ომის მიწყ-ვი მოუსპოს. სამაგიეროდ გერმანია არ დაცლის ყოფილ რუსეთის ტერიტორიას, არ დატოვებს გზას აღმოსავლეთში და ინგლისთან ბრძოლის ცენტრს აზიაში გადმოიტანს."[1] აღნიშნულ წერილში წინასთან შედარებით გარკვეული პროგრესი იგრძნობა – პუბლიცისტმა ომის ზავით დამთავრების შესაძლებლობა დაუშვა. მაგრამ რეალობის გრძნობა კვლავ ღალატობს ავტორს. იგი სასურველს შესაძლებლად ასაღებს. საერთოდ კი, ომის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მტრად ვეშაპელს „მუჟიკი ლენინი" და მის უკან მდგომი უკიდურესი მემარცხენეები მიაჩნია. თუმცა თვლის, რომ „გერმანული სისხლი, გერმანული ჭკუა და გერმანული ორგანიზაცია,"[2] ძალიან მაგარია იმისთვის, რომ იქ „ლენინის ამბები" განვითარდეს. „მეტი დავიდარაბა სინდიკატების სამშობლოში, საფრანგეთში არის მოსალოდნელი,"[3] აცხადებს იგი. ამერიკას კი მეზობელი ყვითელი რასით აშინებს.

3 ნოემბერს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო.

ამ დღეს გრიგოლ ვეშაპელი გაზეთ „კლდის" ფურცლებზე „ერთა ლიგის" შესახებ მსჯელობს. ამჯერად მისი მოსაზრებანი საკმაოდ ახლოა რაციონალურ და ლოგიკურ მსჯელობასთან. თან საკმაოდ საგულისხმოც გახლავთ, ამიტომ მათზე შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ:

გრიგოლ ვეშაპელს უტოპიად მიაჩნია „ერთა ლიგის" იდეა. მაგრამ ვიდრე ამას განაცხადებდა, ჯერ მისი წინამორბედის – „მცირე ლიგის" დებულებებს აცნობს მკითხველს. ამ დებულებებში ნაგულისხმევია საერთაშორისო ტრიბუნალის მოქმედება, ღამნაშავე სახელმწიფოთა მიმართ ერთობლივი ღონისძიებების გატარება და ა.შ.

ავტორი სვამს კითხვას: „როგორ უნდა მოსპოს „ხალხთა ლიგამ" მილიტარიზმი, ომიანობა მომავალში?"[4] და თავადვე ცდილობს წარმოგვიდგინოს ერთ-ერთი გზა – სახელმწიფოთა სრული დემილიტარიზაცია, ანუ ყველა ქვეყნის მიერ ჯარისა და ფლოტის

---

[1] გაზ. „კლდე", №5, 1918
[2] იქვე
[3] იქვე
[4] იქვე

დამლა. ავტორმა მშვენივრად იცის, რომ ასეთი ვარიანტი „ერთა ლიგის“ პროექტში საერთოდ არ არის მოხსენიებული და არც შეიძლება იყოს, რადგან ეს აშკარა უტოპიაა, თუმცა ამ ხერხს დამაჯერებლობის ეფექტის მისაღწევად ხმარობს და საკუთარ ვერსიას თავადვე დაუნდობლად ანადგურებს. აქვე გვარწმუნებს, რომ ომის მოთავე სახელმწიფო, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეძლებდა სამოქალაქო მრეწველობის სამხედროდ გადაკეთებას. ასეთი რადიკალური პოზიციის შემდეგ, როცა პუბლიცისტს საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირება, ფაქტობრივად, თვითმიზნად აქვს გადაქცეული, ძნელია ობიექტურ მიდგომაზე საუბარი. თუმცა საკმაოდ რეალისტურ მარცვლებს ვეშაპელის მსჯელობაშიც მოიძიებთ.

„ვთქვათ, საერთაშორისო ტრიბუნალი აიძულებს ურჩ სახელმწიფოებს, რომ ომი არ დაიწყოს! – მერმე ამ დადგენილებას ვინ შეასრულებს?“[1] ავტორი ამ წერილში საუბრობს იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი კანონის შესასრულებლად პოლიციაა საჭირო. მაშასადამე, უნდა შეიქმნას საერთაშორისო პოლიცია. მისი შემადგენლობა კი ძალზედ მრავალრიცხოვანი უნდა იყოს, ვინაიდან სახელმწიფოთა „მორჯულებას“ პატარა ძალა ნამდვილად არ ეყოფა. და თუნდაც ჰყავდეთ საერთაშორისო კორპუსებიც და ესკადრებიც, მასში ხომ სხვადასხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებმა უნდა იმსახურონ, თუ ერთა ლიგის წესდებიდან ამოვალთ. და აქ კვლავ სვამს ვეშაპელი კითხვას: „მერე რა გამოვა? თუ ახლა ვინმე ომობს, იმიტომ, რომ მის სამშობლოს მტერი ებრძვის და როგორ გგონიათ, რომელი მთავრობა იქნება, ან ხალხი, რომ უცხო სახელმწიფოთა შორის დავიდარაბის მოსასპობად და მათ გასაბედნიერებლად თავს შეაკლავს?“[2] დღევანდელი გადასახედიდან ვეშაპელის ეს მოსაზრება გულუბრყვილოდაც მოსჩანს და ამავე დროს – რეალისტურადაც. საქმე ის არის, რომ დღევანდელი მშვიდობისმყოფელები არავეშაპელისეული მოტივებით აგზავნიან საკუთარ ჯარებს უცხო მიწაზე, მაგალითად იუგოსლავიაში, მათი მოტივები აბსოლუტურად გასაგებია. გასაგებია ისიც, რომ, ვეშაპელის თქმისა არ იყოს, უცხო სახელმწიფოები

[1] გაზ. „კლდე“, № 5, 1918

[2] იქვე

უცხო ქვეყნების ბედნიერებაზე ნამდვილად არ ზრუნავენ. მათი საზრუნავი დღეს საერთო – მსოფლიო წესრიგის დამყარება.

საუკუნის გარიჟრაჟისდროინდელი გადასახედიდან ამის პროგნოზირება საკმაოდ ძნელი გახლდათ. სამაგიეროდ ის პროგნოზი, რაც გრიგოლ ვეშაპელმა გააკეთა ერთა ლიგასთან მიმართებაში, სულ მალევე – 1921 წელს ახდა, როცა მსოფლიო საზოგადოება რუსული ხიშტის პირისპირ აღმოჩენილ და განსაცდელში ჩავარდნილ საქართველოს ვერაფრით თუ არაფრით დაეხმარა.

ნაციონალისტი მოაზროვნის დასკვნა ასეთია: „სანამ ქვეყანაზე ზოგი ხალხი უფრო ჭკუიანია, უფრო განათლებულია, უფრო შემძლე და თანაც უფრო მრავლდება, მანამ მის მეზობელს ვერავითარი ტრიბუნალი ვერ იხსნის დაპყრობისაგან".[1]

17 ნოემბრისათვის გერმანიის რევოლუციის შესახებ ცნობამ საქართველოშიც ჩამოაღწია და გრიგოლ ვეშაპელმაც კვლავ დააყენა ჩვენი ქვეყნის ორიენტაციის საკითხი.

ახლა ჩვენს წინაშე გულგატეხილი და რეალობის გამცნობიერებელი მოაზროვნე დგას. „საქართველო დღემდის გერმანიის იმპერიის ქვეშ იყო, არა მარტო ჩვენი მთავრობის სიმპატიების გამო, არამედ სამხედრო, სტრატეგიული კანონების ძალით. დღეიდან ჩვენი ქვეყანა ზღვითა და მალე ხმელეთითაც ინგლისამერიკის შეთანხმების, „ანტანტის" ფლოტისა და ჯარის მოქმედების არეში მოხვდება და დღესაც, ისევ ისე სტრატეგიის კანონები სწყვეტს საქართველოს ორიენტაციის საკითხს, ნეიტრალიტეტის ფარლის უკან დამალვა ვერას გასჭრის, სანამ მებრძოლი სახელმწიფოები ისე სწერენ კანონებს, როგორც თვითონ მოუხდებათ, და ამიტომ ჩვენი მთავრობა, გინდ დღევანდელი, გინდ სხვა ხვალინდელი, იძულებული იქნება ავათ თუ კარგად მოურიგდეს ჩვენი ქვეყნის გარშემო გაბატონებულ იმპერიას"[2] აქ ავტორი კვლავ აფიქსირებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსეთის მემოსვლას ყოველივე სჯობია, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციური გერმანია ანარქიის გზას დაადგება და ლენინის მთავრობას დაუკავშირდება, ვეშაპელი თვლის, რომ საქართველოს „დამოუკიდებელი ნაციონალური სიმპათიებიც სხვა სახელმწიფოებრივ ძალების მხარეზე იქნება, თუნდაც ეს ძალები

[1] გაზ. „კლდე" № 8, 1918

[2] გაზ. „კლდე". № 10, 1918

არა მარტო თეთრკანიანი, არამედ ყვითელკანიანი იმპერიიდანაც მოდიოდეს".[1]

ასე თანდათან ავითარებს გრიგოლ ვეშაპელი დებულებას არაპროგერმანისტული ორიენტაციის შესახებ, თუმცა ეს მისთვის ძალზედ მტკივნეული გახლავთ. ამიტომ, როცა გერმანიამ ზავს ხელი მოაწერა და ფრიად არასახარბიელო პირობებს დასთანხმდა, პუბლიცისტმა საზოგადოებას უწინასწარმეტყველა, რომ „დროებითი ზავი და თვით ხანგრძლივი მშვიდობიანობაც – ფარდაჩამოშვებული ანტრაქტია საომარ მოქმედების სამზადისში".[2]

აქვე გრიგოლ ვეშაპელი ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიას სიცრუეს ნათლავს. „გამარჯვებული გერმანია ათავისუფლებდა მცირე ერებს დამარცხებულ ქვეყნებისას, ე.ი. სხვის სახელმწიფოში და დამარცხებული კოალიცია ამასვე ჰპირდებოდა მცირე ერებს არა თავისას, არამედ მოპირდაპირე მხარეში მოქცეულთ,"[3] თუმცა როცა შესაძლებლობა მიეცათ, მათ არაფერი გააკეთესო მცირე ერთა გამოსასარჩებლად. როგორი უნდა იყოს ასეთ ვითარებაში მცირე ერთა პოლიტიკა? ამ კითხვის პასუხი სრულად ხდის ფარდას გრიგოლ ვეშაპელის დამოკიდებულებას მსოფლიო ომისადმი.

„რაც უფრო ხანგრძლივი იქნება ომი დიდ სახელმწიფოთა შორის, მით უფრო უკეთესია მცირეთათვის. ომის დროს დიდი სახელმწიფონი ანგარიშს უწევენ მცირე ძალებსაც და მხოლოდ ამით მოეიგებათ რამე; და თუნდაც არ უწევდნენ ანგარიშს, – ომი რაც უფრო დაასუსტებს დიდებს, მით უფრო წონა ემატება პატარებს"[4]. ამიტომ ავტორს აუცილებლად მიაჩნია გარდამავალი ხანით სარგებლობა და საკუთარი არმიის შექმნა.

ასე რომ, გრიგოლ ვეშაპელი მშვიდობით გვაშინებს. აღნიშნულმა მოსაზრებამ ისტორიაშიც ჰპოვა დადასტურება. როცა მსოფლიო ომში არ არის ჩაბმული და უკვე მოხვედრილი ხარ გარკვეული დიდი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში, შენს დამოუკიდებლობას უკვე ველარაფერი იხსნის. სწორედ ამ აზრს ავითარებს ვეშაპელი, როცა ამბობს – „დღეს თუ საბოლოოდ არა

---

[1] გაზ. „კლდე". № 10. 1918
[2] გაზ. „კლდე". № 12. 1918
[3] იქვე
[4] იქვე

ვართ გასრესილნი, მხოლოდ იმიტომ, რომ არეულია მთელი ქვეყანაც ჩვენს გარშემო."[1]

ამაში მომავალმა მართლაც დაგვარწმუნა.

მანამდე კი პუბლიცისტი თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქვეყანას საკუთარ ძალებზე დაყრდნობის გარეშე არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს. სხვებიც მაშინ გაგიწევენ ანგარიშს, თუ ძალა გაგაჩნია. აქ უკვე ტრაგიკული მომენტი იჩენს თავს ვეშაპელის პუბლიცისტიკაში. იცის რა, რომ საქართველო დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება ძლიერ მომხვდურს, უკვე აღარ აქვს იმედი თუნდაც იმ დიდი იმპერიალისტური ქვეყნებისა, რომელთაც წესით, უნდა დაეცვათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამიტომ ჩნდება გრიგოლ ვეშაპელის მსოფლმხედველობაში ინგლისურ-ფრანგული და შემდგომში იტალიური ორიენტაციის საკითხი. როცა საქართველოს არაფერი გამოსდის საერთაშორისო სარბიელზე, ყოველივეს ქვეყნის სათავეში სოციალისტური მთავრობის არსებობით ხსნის, მთავარ მოწინააღმდეგედ კი „ბოლშევიზმს" აცხადებს. დამნაშავის ძიებას პუბლიცისტი საკუთარ სახლში შეუდგება, თუმცა ეს გამოუვალობის შეგრძნებით უფრო უნდა იყოს გამოწვეული, ვიდრე პრაგმატული აზროვნებით.

1919 წლის მაისში ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი ჯარების საქართველოდან გაყვანის შესახებ. გადაწყდა, რომ მის ადგილს იტალია დაიკავებდა, თუმცა ეს უკვე ვეღარაფერი ნუგეში გახლდათ გრიგოლ ვეშაპელისთვის. ამასთან დაკავშირებით იგი გაზეთ „კლდეში" წერდა: „ბოლოს და ბოლოს, იტალიელთა ჯარიც არა ნაკლებად მორჩილობს ზღვათა ბატონს, ვიდრე შავკანიანი ინდოელები და თუ ინგლისი მართლა სულ გაშორდა კავკასიას, ჩვენ ტერიტორიას, თანახმად ფიზიკის კანონისა, როგორც ცარიელ, უჯარო ქვეყანას, მეზობელი ძალა – დენიკინი დაიკავებს".[2] – ეს სიტყვები 1919 წლის ივნისშია დაწერილი.

დენიკინისა რა მოგახსენოთ და ბოლშევიზმის გამარჯვებამ რუსეთში, მართლაც, ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პატარა ქვეყანა. 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელი ჯარი აზერბაიჯანში შევიდა. ეს უკვე ყველასათვის აშკარას ხდიდა უდიდეს

---

[1] გაზ. „კლდე", № 12, 1918
[2] გაზ. „კლდე", № 54, 1919

საფრთხეს — რუსეთის შესაძლო ინტერვენციას საქართველოში. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საფრთხეს „საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება“ დაუპირისპირა, რომელსაც იმთავითვე უარყოფითი შეფასება მისცა გრიგოლ ვეშაპელმა: „საქართველოს ნაციონალური ინტერესი ასეთი ზავით ვერ დაკმაყოფილდება.

ნაციონალისტები კი ვალდებულნი არიან დარაჯად იდგნენ, რათა მენშევიკური ზავით მოახლოებულმა რუსეთის პროტექტორატმა კიდევ ერთხელ არ შთანთქას საქართველო“.[1]

აკი „შთანთქა“ კიდეც — თუმცა ცოტა მოგვიანებით, სულ რაღაც 9 თვის შემდგომ. თუმცა გაზეთ „კლდის“ ბოლო ნომერი 1920 წლის 13 სექტემბრითაა დათარიღებული და შემდგომმა მოვლენებმა, ისევე როგორც მათზე ვეშაპელისეულმა გამოხმაურებებმა, აქ ასახვა ველარ ჰპოვა.

---

[1] გაზ. „კლდე“ № 23. 1920

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
336, 2002

ნანა ტალახაძე

ივანე გვარამაძის პუბლიცისტიკა (გაზეთ «დროების» მიხედვით»)

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მესხეთში მოღვაწეობდა მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი შემოქმედი მღვდელი ივანე გვარამაძე, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის „ვინმე მესხის“ ფსევდონიმითაა ცნობილი.

ივანე გვარამაძე იყო უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, ისტორიისა და ლიტერატურის სერიოზული მკვლევარი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი, პოეტი, პედაგოგი და შესანიშნავი პუბლიცისტი.

როგორც გ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ივ. გვარამაძე უმეტესად სხვადასხვა მოკლე წერილებს წერდა, რაც უფრო გამოსადეგი იყო იმ დროის ახლად გამოჩენილ მკითხველთათვის და ქართულ ენაზედ ახლად დაარსებულ გაზეთისათვის“.[1]

სამწუხაროდ, დღემდე სრულიად შეუსწავლელია „ვინმე მესხის“ მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც გაბნეულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებზე („დროება,“ „კვალი,“ „ივერია,“ „აკაკის კრებული,“ „მწყემსი,“ „მოგზაური“ და სხვა).

ყველაზე აქტიურად ივ. გვარამაძე თანამშრომლობდა „დროებაში,“ რომლის კორესპონდენტად ითვლებოდა სამცხე-ჯავახეთში. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი კორესპონდენციები. ინფორმაციული შენიშვნები, პოლემიკური სტატიები, სამოგზაურო ნარკვევები, ასევე ლექსები და ისტორიული ნარკვევები.

ივ. გვარამაძე მესხეთის მკვიდრი იყო და, ბუნებრივია. მისი პუბლიცისტური ნააზრევი სწორედ ამ მხარის იმ მტკივნეულ და

[1] ზ. ჭიჭინაძე, სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი, გვ. 68. 1905

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს წარმოაჩენდა, რომლებიც აღელვებდა არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ იმ დროის ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს.

უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სამხრეთ საქართველოში დარღვეული ქართული ეროვნული იდეოლოგიის ხელახლა ჩამოყალიბების საკითხი.

თურქეთის ორასწლიანი ბატონობის შემდეგ სამშობლოს მოწყვეტილი გამაჰმადიანებული „სამესხეთი" დედასაქართველოს შემოუერთდა და ამ ფაქტს ერთ-ერთი პირველი ივანე გვარამაძე გამოეხმაურა „ახალციხური ფელეტონით." იგი აანალიზებს ბერლინის ხელშეკრულების შედეგებს და სიხარულთან ერთად გულისტკივილით აღნიშნავს, რომ, მართალია, ისტორიული სამართლიანობა აღდგა და ქართული მიწა-წყალი დაგვიბრუნდა, მაგრამ ამას მაჰმადიან ქართველთა „გაუცხოება" და მათი მასობრივი გადასახლება მოჰყვა ოსმალეთის ვილაიეთებში. ეს კი დამღუპველია როგორც მათთვის. ისე ჩვენი ქვეყნისთვისაც. პუბლიცისტი რიტორიკული ხერხებით ცდილობს დაარწმუნოს სხვა რჯულის თანამოძმეები, რომ მათი ერთადერთი სამშობლო საქართველოა, ახსენებს მათი გადასახლების ისტორიას, ბედკრულ და უსიხარულო ყოფას ოსმალოთა ხელში და კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოუდგენს მომავალს.

„ჩვენო ერთ-ხორცნო და ერთ-სისხლნო ტკბილნო მამანო, დედანო, ძმანო და დანო! განა არ გეყოთ ამდენი ტანჯვა და შევიწროება, შიმშილ-წყურვილი, სიგლახაკე და სიშიშვლე, რაც დღემდის გამოიარეთ! სად არიან თქვენნი ქვეყნად შვენიერებით განთქმულნი საუკეთესო ქალისშვილები? ლერწამ-ტანის მსხვეპული შავ-თვალ-წარბნი ვაჟკაცნი? ვის ასიამოვნებენ და ატკბობენ წუთის ნუგეშითა?... განა კონსტანტინეპოლის სახელმწიფო ჰარმებში, ასიის ჩინებულს ქალაქების დიდ-კაცთა ოჯახებში, ეგვიპტეს, თუნუზს და მისთანა მივარდნილს ადგილებში? მე თვითონ მინახავს მრავალნი და ბევრი ცხარე ცრემლიც მდენია თვალთაგან. ამისთანაა წარსული და მომავალი. კარგად იფიქრეთ, ისეთ საქმეს ნუ იზამთ, რომ ბოლოს ინანოთ!"[1]

[1] გაზ. „დროება", №203, 1878

ივ. გვარამაძე ფრთხილი, მოზომილი სიტყვით ცდილობს აუხსნას ქართველ მაჰმადიანებს, რომ მათი „სარწმუნოების თავისუფლებას არავინ შეზღუდავს,“ ეროვნება და სარწმუნოება სხვადასხვა ცნებებია; როგორც ქრისტიანი ქართველები, ისინიც გვარტომით ჭეშმარიტი ქართველები არიან და სწორედ მათი ერთობა და თანაცხოვრებაა უკეთესი მომავლის საწინდარი. მოძღვარ ივანე გვარამაძის „მრევლი“ არ არის მხოლოდ „სამესხეთის“ ქართველობა, იგი მთელი ქვეყნის ქართველობაა და სწორედ მას მოუწოდებს დაირაზმოს ეროვნული იდეის გარშემო. პუბლიცისტი ლოზუნგების სიმრავლესაც არ ერიდება და მაღალფარდოვანი, ხატოვანი ენით ცდილობს სასურველი ეფექტის მიღწევას.

„თქვენ და ისინი ვის გაუყვია? ერთის დედ-მამის ნაშობნი ღვიძლი ძმანი ხართ, ერთ სისხლ-ხორცის, ერთ სულ-გულის და ენა-ზნეობისანი. მაშ, გარდაეხვიეთ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის მონატრებულ-მოსურვებული ძმანი, ამოუკოცნეთ პირი და თვალები, შეიტკბენით გულითა, შეერთდით სულითა და ეგრეთ ძმურის დაუშორებელი სიყვარულით ხელის-ხელის მიცემით, ერთად ამოისუნთქეთ-ჩაისუნთქეთ, ერთად ფეხი გარდადგით და ერთად იმოქმედეთ, რაც თქვენის ძვირფასი სამშობლოს მამულის აღმშენებელია, რაც თქვენი მტერ-მოყვარის შემკავებელია. დაამშვენეთ ედემის სამოთხედ უკეთესი ბუნებით შემკული, მდიდარი ქვეყანა!“[1]

შეუძლებელია არ ამოიცნო ამ სტრიქონებში ილია ჭავჭავაძისეული პუბლიცისტიკის იდეური კონტექსტები და მისი გამოხატვის შთამბეჭდავი და ექსპრესიული შტრიხები.

„ვინმე მესხი“ მარტო მხოლოდ მოწოდებებით როდი კმაყოფილდება, იგი დაწვრილებით იკვლევს მაჰმადიან ქართველთა თურქეთში ლტოლვის მიზეზებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათ ზნესა და ხასიათზე მაჰმადიანურ სარწმუნოებას უარყოფითი გავლენა მოუხდენია. ისინი „მეტად გულგრილად უყურებენ გლეხობას და მიწის მუშაობას,“ ჰყიდიან ყანა-ჭალებს და ხელს ჰკიდებენ ავკაცობასა და ძარცვა-გლეჯვას“. ეკონომიკური სიდუხჭირე კიდევ უფრო ამძაფრებს უცხოეთში გადასახლების სურვილს. გამკითხავი კი არავინაა. ვისაც ძალაუფლება აქვს და ამ საქმის

[1] გაზ. „დროება“. № 19, 1879

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვარება ევალება, სწორედ ის „ამღვრევს წყალს“ და შეგნებულად ძაბავს სიტუაციას. „არაითუ მათ სატკივარს წამალი არ დაადეს, არამედ მეტად მოაძაგეს და მოაფრთხეს ერთიან დიდ წვრილამდის“[1]. უფრო მეტი დამაჯერებლობა რომ მიანიჭოს სათქმელს, ავტორი უშუალოდ მაჰმადიან მესხებთან გასაუბრებით არკვევს მათი „გაუცხოების“ მიზეზებს: „ჩვენ უფრო მოხელეთ გარყვნილებამ გული გაგვიტეხა. სასულიერო პირთა ჩვენთვის არ მოცემამ და მისთანათა“.[2] მოხდენილი შედარება-შეპირისპირების ფონზე ივ. გვარამაძე იმ მოხელეთა სახეებსაც გვიჩვენებს, რომლებიც ცხვრის ტყავში გახვეულან „არა თავიანთი უწყალო ბუნების გასათბობად, არამედ უგუნური ქართველთა სულ-გულის გასათბობად, რომ ადვილად შეეძლოთ მათი ვნება-დაქცევა“[3] მაჰმადიან ქართველებთან ურთიერთობამ, მათ ცხოვრებაზე დაკვირვებამ დაარწმუნა ივანე გვარამაძე, რომ ტერიტორიების დაბრუნება საკმარისი არ ყოფილა. უმთავრესი – ქართული სულის აღორძინებაა, რაც ურთულესი პრობლემა აღმოჩნდა. თუ თავდაპირველად იგი შეგონებებითა და „მოფერებით“ ცდილობს მაჰმადიან მესხთა გამოფხიზლებას, მოგვიანებით საყვედურებსაც არ იშურებს და სინანულით მიანიშნებს: „თვალი გარეთ უჭირავთ, ისე იქცევიან, თითქოს ამქვეყნისანი არ იყვნენ, თითქოს უცხო მგზავრნი და შორს სადმე წამსვლელნი იყვნენ.“[4] პუბლიცისტს სევდა ეძალება. ვერა და ვერ ხერხდება ორად გახლეჩილი საქართველოს გამთლიანება, „ვინმე მესხის“ ძალისხმევამ მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. „უქმად ჩაიარა ჩვენმა სიტყვით შრომამ,“ – ჩივის მოძღვარი. ამის უმთავრეს მიზეზად იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ „ჩვენს სიტყვა-საუბარს უკან არავითარი კეთილ საიმედო მოქმედება არ მოჰყოლია.“[5] ივ. გვარამაძის აზრით, ჟურნალისტის მოვალეობა მხოლოდ მასალის მიწოდება როდია, სწორედ შედეგი განსაზღვრავს მის ქმედითუნარიანობას და ამ შემთხვევაში იგი თავს „დამარცხებულად“ თვლის ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მტერი კი რუსეთის ხელისუ-

---

[1] გაზ. „დროება“, № 219, 1880

[2] გაზ. „დროება“, № 196 1880

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] გაზ. „დროება“, № 167, 1882

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლების ანტიქართული პოლიტიკაა, რომელიც ისლამის ფარულ პროპაგანდას ეწევა და რელიგიური ფანატიზმით გაბრუებულ მაჰმადიან ქართველებს სამშობლოდან გადახვეწისკენ უბიძგებს. უკეთ რომ დაგვანახოს ამ მდგომარეობის სიმძაფრე, პუბლიცისტი ოსტატურად გვიხატავს არაბი მოლას სახეს, რომელიც მაჰმადიანებს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას უკრძალავს. მშობლიური ენის სიტკბოებას მონატრებული მესხები მოლას სთხოვენ: „შენც რომ ქართულად გვალოცვინო ორჯერ-სამჯერ, ხომ მშვენივრად დავისწავლით," მაგრამ მოლა თვალთმაქცურად პასუხობს, მუჰამედიც არაბი იყო და ასეთ ლოცვას უფრო მადლი აქვსო. ამ ამბის შემსწრე ივანე გვარამაძეს სააშკარაოზე გამოაქვს ისლამის მსახურთა მზაკვრობა და ასე მიმართავს მათ: „გამოდის თქვენი სიტყვიდგან, რომ არაბულის ენის ხმარებით ერს დიდი დამოკიდებულება ექნება თქვენთან და გასაგონი ენის ხმარებით პატივი აგეხდებათ და ამისთვის დატყვევებულ-დაბორკებული გყავსთ საწყალი ჯამაათი."[1]

თურქეთისა და რუსეთის ხმაშეწყობილმა ანტიეროვნულმა ქმედებებმა შედეგი გამოიღო და ქართველი მაჰმადიანების დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. „მიდიან ისევ ოსმალეთში, იმათთან ტყვეობას უფრო სიყვარულით კისრულობენ, ვიდრე ჩვენთან თავისუფლებას," – გულისტკივილით აღნიშნავს ავტორი. თუმცა იმასაც კარგად გრძნობს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ არის, ამიტომ უფრო ღრმად აანალიზებს არსებულ რეალობას, ეძებს გამოსავალს და თითქოს პოულობს კიდეც. ივ. გვარამაძეს ქართული ცნობიერების აღდგენის უმთავრეს ნაბიჯად დედაენის შესწავლა მიაჩნია. იგი ქართველ მაჰმადიანებს მოუწოდებს „გაამრავლეთ ყველგან სასწავლებლები, სწავლა, მეცნიერება თქვენს სამშობლოს ტკბილ ენაზედ. ისე, რომ ყველა კაცს სიადვილით შეეძლოს ქართული წერა-კითხვის ცოდნა. მაგით ბევრ მარცხს, ბევრ ნაკლულებას და ბევრს ზიანს ააცილებთ თქვენს თავსა და თქვენს სამშობლო ქვეყანასა".[2] ამ სტრიქონებშიც საცნაურია ილიასეული სულისკვეთება: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ

---

[1] გაზ. „დროება", № 203, 1880

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 125, 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე...[1] – წერდა ილია „შინაურ მიმოხილვაში“.

ივანე გვარამაძე უფრო შორს მიდის და გულის სიღრმეში ჩამარხული ოცნების განხორციელების იმედიც ესახება. მისი დაკვირვებით, მაჰმადიან მესხებს ჯერ კიდევ შემორჩენიათ მამაპაპური სარწმუნოების ნაპერწკლები. ერთ-ერთ „ახალციხურ ფელეტონში“ ავტორი ყურადღებას მიაქცევს თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მრავლისმეტყველ დეტალს. ბუხმარეთის ეკლესიის აღწერისას იგი მიანიშნებს, რომ დანგრეული ეკლესიის ეზოში, სადაც ორი „ჭრელა ხე“ დგას ათასფერი ჭინჭებით შემკობილი, ხშირად მოდიან ქართველი მაჰმადიანები, „ეკლესიას საკმელს დააკმევენ და ასრე უსრულდებათ ვედრება-სათხოვარი“. ამ ფაქტს მოძღვარი ჩაუფიქრებია: „ეს და ამისთანა ადგილობრივი მცხოვრებთა რწმენა რას მოასწავებს ნეტავი?“ – თავის თავს ეკითხება თითქოს და თვითონვე პასუხობს: „იმას, რომ თუმცა რჯული დაუტევებიათ, გაჭირვებით დაგვშორებიან, ზნე-ცხოვრებით გაგარევებულან, მაგრამ სარწმუნოების ნაპერწკალი ისევ ბჟუტავს ღრმა ნაცარში მიმარხულ-მიფლულ ღველფითგან“[2].

სწორედ ამ ნაპერწკლების იმედით ირჯებოდა ივანე გვარამაძე, რომ შემდეგ დიდი ცეცხლი დანთებულიყო. მართალია, წერა-კითხვის არმცოდნე ქართველებისთვის სრულიად მიუწვდომელი იყო „ვინმე მესხის“ პუბლიცისტური ნააზრევი, მაგრამ იგი წერილობით სიტყვას საჯარო სიტყვასაც, თავის ორატორულ ხელოვნებასაც ახმარდა. დადიოდა სოფელ-სოფელ და თურქული ენის ბრწყინვალე მცოდნეს სრულიად არ უჭირდა მესხ მაჰმადიანებთან საერთოს გამონახვა, რასაც ნაწერებით ვერ აგებინებდა, იმას სიტყვიერად უხსნიდა და ასე წვალებითა და გარჯით ესწრაფოდა ქართული სულის აღორძინებას.

ივანე გვარამაძემ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ერთამორისი ურთიერთობების ასახვას. ყველაზე ვრცლად კი ქართველ-სომეხთა თანაცხოვრების საკითხებს შეეხო. „ვინმე მესხი“ ქართულ მიწაზე სხვა ეროვნებათა დასახლების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ რუსეთის პოლიტიკა ამას ქართველთა წინააღმდეგ იყენე-

---

[2] გაზ. „დროება“. № 209, 1882

ბდა. უცხოტომელთა აღზევების ხარჯზე ქართველთა რაოდენობა მცირდებოდა და მის ეროვნულ „მეობას“ საფრთხეს უქმნიდა.

ქართველ მაჰმადიანთა დიდი ნაწილის გადასახლებამ ოსმალეთში, ხოლო მათ ნასახლარებზე 25 ათასი სომეხი გრეგორიანელის ჩამოსახლებამ სამხრეთ საქართველოში რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობის შეცვლა გამოიწვია. ქრისტიან ქართველთა სიმცირემ იძულებული გახადა ქართველი კათოლიკენი „სომხურ ენაზე მიჰყოლოდნენ წირვა-ლოცას“. ამ ვითარებით სარგებლობდნენ სომეხთა მესიტყვენი და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობა. ივ. გვარამაძესაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა თავისი ქართველობის დასამტკიცებლად და ამ მწარე გამოცდილების გამოც თავდაუზოგავად იბრძოდა ყოველგვარი ანტიქართული გამოვლინების წინააღმდეგ.

პუბლიცისტი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მკაცრად ილაშქრებს ქართული ენისა და გვარ-ტომობის დასაცავად, კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ტიპიკონის დასამკვიდრებლად, საკადრის პასუხს სცემს საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამყალბებლებს და საგანგებოდ მიუთითებს, რომ „კაცი სადაც დაიბადება, გაიზრდება და იცხოვრებს, იმ ქვეყნის მცხოვრებთა ხელთ შემხედვარე არის. სულ პირველად იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროს, იმ ქვეყნის ენა, ჩვეულება, რიგი, კანონი უნდა ისწავლოს“.[1] მაგრამ, მისი დაკვირვებით, „სამესხეთში“ მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია. სომხები „ჩვენზე“ კარგად ცხოვრობენ, ქალაქის საუკეთესო ადგილებიც „მათ“ უკავიათ, მშვენიერი ეზო-კარი, დუქან-ბაზარი და მოკირწყლული ქუჩებიც „სულ მაგათია“. „ვის საკუთრებაზედ ვინა ზიან?“ – რიტორიკულ კითხვას სვამს ავტორი და მათი თავგასულობით აღშფოთებული აცხადებს: „სასომხეთში სომხობა არ გაუვიდათ და აქ სამესხო საქართველოში არა მარტო სომხობას ჩემულობენ, არამედ სხვების დასომხებასაც ცდილობენ“.[2]

მწვავე კრიტიკული პათოსით გამოირჩევა ივ. გვარამაძის პოლემიკური სტატიები გაზეთ „შმაკისა“ და „მელუ პაიასტანის“

---

[1] გაზ. „დროება“, № 239, 1878

[2] გაზ. „დროება“, № 197, 1878

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორების საპასუხოდ. წერილში „შმაკის" მზა პასუხი" ავტორმა საჯაროდ ამხილა სომეხთა შორსგამიზნული გეგმები და ლოგიკური მსჯელობისა და საფუძვლიანი არგუმენტაციის გამოყენებით გააბათილა მოსაზრებები იმის შესახებ, თითქოს ქართველებს სომხებივით მდიდარი ისტორია და ლიტერატურა არა აქვთ. კრიტიკოსი მყარი დასაბუთების მიზნით იშველიებს ევროპელ მეცნიერთა შეხედულებებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ, ფრაგმენტებს ბიბლიიდან, უხვად იყენებს ისტორიულ ექსკურსებს და ექსპრესიული თხრობის ფონზე დამაჯერებლად უმტკიცებს უმეცარ მოწინააღმდეგეებს, რომ „როგორც ძველი თხზულებებით, ისე ახალ ენის დაწინაურებაზედ შეგვიძლია ვთქვა, რომ არც ერთს აღგილს და არც ერთს შემთხვევაში ქვეშ არ დარჩება ჩვენი ქართული ენა სომხურს ენასა"[1], უფრო მეტიც, „მაგიერად წართქმითი სიტკბოთი და ზრდილობიანი განწყობილებით და პოეტურის თხზულებით მუდამ მაღლა მდგარა ქართული ენა სომხურზედ და იდგება კიდეც".[2]

„ვინმე მესხი" ასევე ჩვეული პუბლიცისტური ოსტატობით ეკამათება გაზეთ „მეღუ ჰაიასტანის" რედაქტორს, რომელსაც ეროვნულობის, ტიპიკონისა და სარწმუნოების საკითხები ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია და გაკვირვებულია, თუ რატომ არ ლაპარაკობენ ქართველი კათოლიკენი სომხურ ენაზეო. ივ. გვარამაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სარწმუნოება და ეროვნულობა ორი სხვადასხვა სტატუსია – ქართველი მაჰმადიანი იქნება თუ ქრისტიანი – ორივე ეთნიკურად ქართველია". თავისი არგუმენტების საფუძვლიანობაში დარწმუნებული პუბლიცისტი ირონიული ტონით მიმართავს მოპაექრეებს და ურჩევს „თავიანთი დარიგება მაგრა შეინახონ თავიანთთვის და ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტონ"[3].

ცილისმწამლებლებისა და ყალბისმქმნელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მართალია, ივ. გვარამაძეს მხარში ედგნენ და ზურგს უმაგრებდნენ უცხოეთში მოღვაწე ცნობილი კათოლიკენი და მათ შორის, მისი მოწაფე მიხეილ თამარაშვილი, მაგრამ სამცხე-

---

[1] გაზ. „დროება", № 239, 1880

[2] იქვე.

[3] გაზ. „დროება", № 240, 1880

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავახეთის მხარეში, უშუალოდ ადგილზე, იგი მაინც მარტოდმარტო იყო ათასი ავისმსურველისა და ბოროტგანმზრახველის პირისპირ და „ხმალშემართული“ თავისი პუბლიცისტური თუ პრაქტიკული საქმიანობით თავგამოდებით იცავდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. თან მთელი ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა აცხადებდა: „ჩვენი ტკბილი სამშობლოს დედა-ენის ქართულს ქვეყნის დიდებულ არც ერთ ენაში არ გავსცვლით, როგორც დღემდის, მარად, ეგრეთ დღეის წაღმართ საქართველოს მიწაც ჩვენია, წყალიცა, ენაცა და ხალხოსნობაცა. ჩვენ ჩვენს კარ-მიდამოში და ჩვენს მამულში არავის არ ვაბატონებთ და არცა არა ვაბრძანებინებთ!“[1] — ეს სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა მისამართით იყო თქმული, მათი ეროვნული ღირსებისა და სიამაყის დასაცავად და ასევე იმათთვისაც, ვინც საქართველოს მიწაწყალს შეჰკედლებოდა და ქართველებთან თანაცხოვრება სურდა.

გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, გარდა სამცხე-ჯავახეთისათვის ნიშანდობლივი გლობალური და მასშტაბური პრობლემებისა, ივ. გვარამაძე სისტემატურად აშუქებდა ამ რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულს, ობიექტურად და კრიტიკულად აფასებდა ყველა საჭირბოროტო მოვლენას და არც მანკიერი მხარეების მხილებას ერიდებოდა. „საზოგადო ჭირზე“ წერისას ი. გვარამაძე ილიასეულ პუბლიცისტურ ხერხებს მიმართავდა და „მოყვარეს პირში უძრახეს“ — პრინციპიდან გამომდინარე, თავს უფლებას აძლევდა დაეტუქსა და შეერცხვინა ის უღირსი თანამემამულეები, რომლებიც თავის თვალით ხედავდნენ ქვეყნის „ნაკლებულობას, დაქცევასა და გაოხრებას,“ მაგრამ ისე იქცეოდნენ „თითქოს ამ ქვეყნის შვილები არ იყვნენ“ და ფუქსავატობასა და მცონარობაში ხელიდან ეცლებოდათ მიწა-წყალიც და სარჩო-საბადებელიც. მათი გულგრილობით აღშფოთებულ პუბლიცისტს თითქოს ზომიერების გრძნობა ღალატობს და მკვახედ შესძახებს: „განა არ კმარა ამდენი სიზარმაცე, გამოშტერება და დაუდევრობა? დიდი სირცხვილი თქვენ!“[2]

თავად მღვდელი, კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი, სასულიერო პირების გაკრიტიკებასაც არ ერიდება და მათ პასიურო-

[1] გაზ. „დროება“, № 240, 1880

[2] გაზ. „დროება“, № 146, 1882

ბაში ადანაშაულებს. ერთ-ერთ კორესპონდენციაში გაოცებული ავტორი ირონიულად კითხულობს, ნეტავი გამაგებინა, რას აკეთებენ ქართლისა და კახეთის მონასტრებში მღვდელ-ბერ მონაზვნებით. „შემწყვდეულები ზიან და ტყუილ-უბრალოდ პურს სჭამენ, საზოგადოების ჭირ-ოფლით მოყვანილს ნაცოდვილარს და რა სინდისით იმშვენებენ?[1]“ — აქაც ილიასეული „მოძრაობისა და მოძრაობის“ იმპულსი იგრძნობა. ივ. გვარამაძის აზრით, საჭიროა სასულიერო პირების უფრო აქტიური მოქმედება, ხალხის შემწეობა, სნეულთა დახმარება, სასარგებლო სკოლებისა და სახელოსნოების გახსნა... ერთი სიტყვით, ისეთი სისხლსავსე ცხოვრება, როგორითაც თავად ივანე გვარამაძე ცხოვრობდა.

როგორც ვხედავთ, ივ. გვარამაძის პუბლიცისტიკის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. თუმცა ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილის განხილვით შემოვიფარგლეთ, მაგრამ ამ მასალების ანალიზმაც დაგვარწმუნა, რომ „ვინმე მესხი“ პროფესიონალი ჟურნალისტია და პუბლიცისტური ოსტატობის მდიდარ საშუალებებსაც ფლობს. მას შესანიშნავი ჟურნალისტური ალღო აქვს და შეუძლია მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ ფაქტის ობიექტურად ასახვა და განზოგადება.

მართალია, XIX საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკაში პუბლიცისტიკის ჟანრების სპეციფიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო, მაგრამ თუ შევეცდებით ივ. გვარამაძის პუბლიცისტური მასალების ამა თუ იმ ჟანრობრივ ყალიბში მოქცევას, შეიძლება ითქვას, რომ პუბლიცისტი უპირატესობას კორესპონდენციის ჟანრს ანიჭებს. მისი კორესპონდენციები გაზ. „დროებაში“ იბეჭდება „დროების კორესპონდენციისა“ და „ფელეტონის“ რუბრიკებით. მათში მთავარი ადგილი უკავია ფაქტს ან ფაქტების ჯგუფს, ხოლო პუბლიცისტური ტექსტის დანარჩენი ელემენტები — იდეა, არგუმენტი, მსჯელობა და ა.შ. მის გარშემო ლოკალიზდება. საერთოდ, ივ. გვარამაძე ძირითად სათქმელს პირველივე სტრიქონებიდანვე აკონკრეტებს, მაგრამ ხშირად მის თანმიმდევრულ განვითარებას ვერ ახერხებს და თხრობის რიტმს ბოლომდე ვერ ინარჩუნებს. ამიტომაც იგრძნობა მის კორესპონდენციებში ემოციური მუხტის ნაკლებობა, რასაც მსჯელობის პროცესში ისტო-

[1] გაზ. „დროება“. № 209, 1879

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული ექსკურსების სიმრავლე განაპირობებს. ივ. გვარამაძე, პირველ ყოვლისა, ისტორიკოსია და არცაა გასაკვირი მის პუბლიცისტურ ნაწერებში ისტორიული ამბების სიჭარბეც. მაგრამ ხშირად იგი იმდენად ღრმად იჭრება ისტორიის ლაბირინთებში, რომ პუბლიცისტური თხრობა უკანა პლანზე გადადის. და, პირიქით, მისი „წმინდა" ისტორიული ხასიათის გამოკვლევები პუბლიცისტიკის ელემენტებითაა გაჯერებული და ემოციურად აღიქმება. ივ. გვარამაძეს ხატოვანი თხრობის შესანიშნავი უნარიც აქვს. იგი ადვილად ახერხებს დოკუმენტური და მხატვრული ელემენტების ურთიერთშეხამებას. ეს ყველაზე ნათლად ჩანს სამოგზაურო ნარკვევებში. ამ მხრივ საინტერესოა გაზ. „დროების" №48 ნომერში დაბეჭდილი „მგზავრის ამბავი". მასში გადმოცემულია ავტორის მოგზაურობა მესხეთის სოფლებში და რეპორტაჟული „კადრების" ფონზე მკითხველის თვალწინ იშლება ბუნების ლამაზი პეიზაჟები, ისტორიული ძეგლები, მესხთა ყოფა-ცხოვრების სურათები... თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს, ავტორი სუბიექტური განცდების გაზიარებასაც არ ერიდება და ხანდახან ზედმეტადაც უშინაურდება მკითხველს: „რაღა მოვყოლილვარ ჯღაბნას? ვინ მიიანაგრძნობს ან თუ კიდევაც მყავდეს მოძმე მოყვარენი, რას მომიმატებენ თანამოზიარულობით?" ნარკვევში მგზავრი გლეხებსაც გაესაუბრება ხოლმე და მათგან სასურველ ინფორმაციასაც იღებს. საერთოდ, დიალოგების გამოყენება ავტორისათვის დამახასიათებელია და კუთხური მეტყველების ბუნებრივი ნიუანსებითაა გაჯერებული. განწყობილების გამოსახატავად ჟურნალისტი ხშირად იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, ხატოვან სიტყვაგამოთქმებს, ანდაზებს... ხოლო ანალოგიებისა და პარალელების მონაცვლეობა, ეპითეტებისა და შედარებების სიუხვე სასიამოვნო წასაკითხს ხდის მასალას.

ივ. გვარამაძის პუბლიცისტური წერილების კომპოზიცია განსხვავებულია, იგი უმეტესად ფაქტის აღწერით იწყება, ზოგჯერ ისტორიული ექსკურსით, ხან ბუნების სურათით. მაგალითად, ერთ-ერთი „ახალციხური ფელეტონი" პირველივე სტრიქონებიდანვე ხალისიან განწყობილებას უქმნის მკითხველს: „ეს მესამედ მაძღრისი წვიმა მოვიდა ახალციხეს. ხელახლავ ამწვანდა მშვენიერად მინდორ-ველი, ღელე-ხეივანი, სერ-გორ-ბოსტანი. ბაღჩა, ხეივანები, ტყე ბაღნარით მშვენიერ ვეფხისტყაოსნისავით

მეჭრელდნენ თეთრად, ჩალისფრად, ყვითლად და წითლად! სათი-კენ გაიხედავ, ყოველგან დაგხვდება თვალით აღმტაცი და სულ-გულის ტკბილად გამრთობი სანახაობა"[1]

რაც შეეხება სათაურებს, როგორც ჩანს, ივ. გვარამაძე არ ზრუნავს მათი ორიგინალობისათვის. „ხმა ხიზაბავრიდან," „ახალ-ციხური ფელეტონი," „ახალციხის მაზრაში" და ა.შ. საკმაოდ მშრა-ლი და კონკრეტული სათაურებია, ისინი იმ გარკვეულ გეოგრა-ფიულ არეალზე მიგვანიშნებენ, საიდანაც მოწოდებულია მასალა.

ამგვარად, ივანე გვარამაძე, იგივე „ვინმე მესხი" გაზეთ „დროების" ფურცლებზე თავისი პუბლიცისტური საქმიანობით იღ-ვწოდა „მესხეთის გამოხსნისათვის" და როგორც ილია ჭავ-ჭავაძის პუბლიცისტური სკოლის წარმომადგენელმა, მან „ეროვ-ნული იდეებით აღჭურვილი თანამოძმეებიც შემოიკრიბა გარს და „მესხეთის ხმა" მთელი საქართველოს ხმას შეუკავშირა"[2]

---

[1] გაზ. „დროება", №209, 1879

[2] შ. ლომსაძე, მესხები, გვ. 6, 1996

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

ლაურა კუტუზიძე

ეროვნული და სოციალური საკითხების ასახვის ზოგიერთი ასპექტი XX ს. 10-20-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში

ეროვნული და სოციალური მოძრაობის ურთიერთმიმართების ჩანასახი ქართულ პერიოდიკაში XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება და საუკუნის მიწურულსა და XX ს. დამდეგს უკვე გამოკვეთილ ხასიათს იღებს.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ჩასახვის ხანად არჩილ ჯორჯაძე XIX ს. პირველ ნახევარს მიიჩნევს, შესაბამისად, ეროვნული ცნობიერების გამძაფრებაც ამ პერიოდიდან იღებს სათავეს, თუმცაღა, იგივე ა. ჯორჯაძე თვლის, რომ სამოციანელებმა „...წამოაყენეს მხოლოდ ელემენტები ეროვნულის საკითხისა... აქ ლაპარაკი ერთ პიროვნებაზედ არ არის, ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ ის, რასაც კოლექტიური აზროვნების და თანხმობის ბეჭედი აქვს, და ამ მხრივ რომ შევხედოთ საგანს, ეროვნულ საკითხს ნათელი და გარკვეული სახე თითქოს ეკარგებოდა მის წამოყენების დროიდანვე“.[1]

ნიკო ნიკოლაძეც მამულის სიყვარულისა და მამულის მსახურების საზოგადოებრივი გრძნობის გაძლიერებას XIX ს. 70-იან წლებს უკავშირებს: „ახლანდელი ჩვენი მოძრაობა ამით განირჩევა: იმას სტიქიური ძალა აქვს, ის ერთ კაცს კი არ მოუხდენია, ან საზოგადოებას კი არ გაუზრდია: დრომ მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა“.[2]

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, 1876 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი „ზოგიერთი რამ,“

---

[1] ა. ჯორჯაძე, წერილები, 1989

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1985

ეროვნული

რომელშიც ერის პოლიტიკურ ვინაობაზეა ლაპარაკი და მისი დაკარგვით არის ახსნილი საყოველთაო ეროვნული უბედურება.

„...ის შემკრებლობითი დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად, ძმურად უწევნია"[1].

ქართულ პერიოდიკაში ეროვნული საკითხის პრეისტორიის ძიება და მისი განვითარებისათვის თვალის გადევნება გაცილებით ძნელია, ვიდრე სოციალურისათვის. ერთი მხრივ, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემებიდან მოყოლებული, ყველა პერიოდულ ორგანოს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაში, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ცნება გაცილებით ფართო, მრავლისმომცველ ძალას გულისხმობს, ვიდრე ცალკეული, თუნდაც ილიასნაირი ბუმბერაზი ადამიანების ძალისხმევას.

ქართულ პერიოდიკაში საზოგადოებრივი აზრის გამოკვეთის პროცესში ა. ჯორჯაძე გამოყოფს ხანას, როდესაც „საზოგადოება თანდათან ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას და ჯერ კიდევ „ცისკარში" აშკარად იჩენს სურვილს თვითგამორკვევისა და წინსვლისას." და ხანას, „როდესაც მომწიფებული ახალი საზოგადოებრივი ძალა ფეხზე დგება და „საქართველოს მოამბის," „დროების" და „კრებულის" საშუალებით ნათელი შეაქვს ბნელ ცხოვრებაში და დარაჯად უდგება ცხოვრების განახლებას და ჩვენი ეროვნების აღორძინებას",...

ქართულ პრესაში სოციალური თემის აქცენტირება 70-იან წლებს უკავშირდება. გაზეთ „დროებაში" 1870 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი სიღარიბის მიზეზი," გრ. თარხან-მოურავი შრომისა და კაპიტალის ურთიერთმიმართებას განიხილავს და აქ, ა. ჯორჯაძის აზრით, „უკვე ელემენტებია სოციალიზმისა". „დროება" კომუნის რაობასაც ეხება, მაგრამ დიდ სიმპათიას არ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, 1987

იჩენს სოციალიზმისა და კომუნისადმი და კომუნიზმს „უტოპიურ სწავლათ“ ნათლავს. საერთოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი აშკარად შორდება იმდროინდელი რუსეთის თავის დროზე პროგრესულად მიჩნეული (უფრო სწორად – რადიკალური პრესის) პრინციპებს.

საინტერესოა „დროების“ მცდელობა „არტელების“ დანერგვის საქმისათვის ხელშეწყობისა[1] (სერგეი მესხის წერილები); ბანკებისა და ფინანსური ოპერაციების საკითხი კი მომავალში გაზეთის ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება.

სოციალური თემა მკაფიოდ იკვეთება ჟურნალ „მნათობში“ 1867 წელს ქალთა საკითხისადმი მიძღვნილი წერილების ფონზე (ავტორი ნ. ინაშვილი). „მნათობში“ გამოქვეყნებულ სხვა წერილებსაც გადაჰკრავს აქა-იქ სოციალისტური ელფერი. ანტონ ფურცელაძე ვრცელ წერილში „ჩვენი სალტოლვილო“ მკითხველს სოციალისტური აზროვნების ისტორიას აცნობს და თავის დამოკიდებულებასაც საკმაოდ მკვეთრად აყალიბებს: „დიდი სიფრთხილე გვმართებს ჩვენ რომ არ შევიქმნეთ ბრმა მონა ევროპის ბაძვაში, იქ როგორც ბევრი კარგია, ბევრი ცუდია.“[2] ევროპის სოციალიზმს ჩვენთვის დიდაქტიკური ხასიათი აქვსო – ამბობს ა. ფურცელაძე, – და ყოველივეს უნდა გავეცნოთო, რადგან „ჩვენ სწავლას და ცხოვრებას უნდა საფუძვლიანად შედგომა და საძირკვლიანად შეცვლა, ამისათვის გვმართებს დიდი მხნეობა და სიმარჯვე“[3]. („მნათობი,“ მაისი, 1871წ).

1881 წელს დაარსებულ ჟურნალ „იმედის“ მთავარი თემა კი ხალხი და ხალხოსნობა იყო, ერის მომავალს „იმედის“ ჯგუფი ხალხზე აფუძნებდა. თანდათან „იმედი“ ოპოზიციად იქცა ქართველი ინტელიგენციისათვის და „ივერიის,“ „დროების,“ „შრომის“ წინააღმდეგ გალაშქრებით, ფაქტობრივად, მთელ ძველ თაობას გამოუცხადა ბრძოლა. „იმედის“ ჯგუფსაც ჰქონდა ქართველი ხალხის ინტერესების გამოხატვის მიზანი, მაგრამ ამ გამოხატვის პროცესში აშკარად იკვეთება, რომ განხეთქილებას ძველ თაობასთან კლასობრივი საფუძველი უდევს. მოწადინების მიუხედავად, „იმე-

---

[1] გაზ., „კვალი“, № 5, 1900
[2] ჟურ. „მნათობი“, № 5, 1871
[3] იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი“ ვერ იქცა კლასობრივ ორგანოდ, მაგრამ ეს ფაქტი ჩვენთვის საყურადღებოა, როგორც ქართულ პერიოდიკაში ეროვნული და სოციალური ნაკადის აშკარა დაპირისპირების მაუწყებელი.

ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს ქართული პრესის ისტორიაში ეროვნული და სოციალური საკითხების დაფიქსირების ეს მცირე ექსკურსი, დავასრულებთ ნ. ჟორდანიას წერილების სერიალით „პრესა,“ რომელიც იბეჭდებოდა გაზეთ „კვალის“ 1900 წლის ნომრებში. სანამ XIX საუკუნის ქართულ პრესას მიმოიხილავდეს, ნოე ჟორდანია მკაფიოდ აყალიბებს თავის და, შესაბამისად, „კვალის“ პოზიციასაც:

„... დასამარება ძველის ნიშნავს დაბადებას ახლის, და ეს არა მარტო პრესის, არამედ მისი მკითხველი საზოგადოებისაც. ჩვენმა ხალხმა უნდა წარმოშობოს ახალი მკითხველი, აიღორძინოს ახალი გონებრივი მოთხოვნილება, გაიძლიეროს ახალი მისწრაფება და მით ბოლო მოუღოს ძველ დაობებულ პრესას და მასთან ერთიად მკითხველსაც“[1] ... მის თანამედროვე პრესას ნ. ჟორდანია თვლის „როგორც გონებრივათ, ისე ზნეობრივათ“ გათახსირებულად და ამის საფუძველს იგი „ივერიის“ მოღვაწეობაში ეძიებს და პოულობს.

ამ სულისკვეთებას ავითარებს შემდგომ 10-20-იანი წლების სოციალ-დემოკრატიული პრესა. 1908 წელს გამომავალი მენშევიკური გაზეთი „დასაწყისი“ თავის სარედაქციო სტატიაში ადგილობრივი პრესის დასახასიათებლად ნ. ჟორდანიას ზემოხსენებულ წერილებს იშველიებს: აი რას წერდა „ილიას მიმართულებასთან“ მებრძოლი ნ. ჟორდანია თავის წერილების ბოლოში: „ყველაზე მეტად ამ წერილებში შევეხეთ თ. ი. ჭავჭავაძეს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მეთაური იმ მოძრაობისა, რომელსაც ჩვენ რეაქცია ვუწოდეთ, ის არის და განა შეიძლებოდა მას არ შევხებოდით? ვიმეორებთ, ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას, რამდენადაც ის მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატება და არა მის პიროვნებას. აზრთა სხვადასხვაობა არ ნიშნავს პირად მტრობას და შურისძიებას“[2].

---

[1] გაზ. „კვალი“ № 5, 1900

[2] გაზ. „დასაწყისი“, № 3, 1908

იგივე სოციალ-დემოკრატიული პრესა თავადაც ქადაგებს სამშობლოს სიყვარულს, ოღონდაც, კლასობრიობის პრიზმაში გატარებულს. 1903 წელს, „კვალში," გაზეთის დაარსების ათი წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში „სადღეისო" გაზეთი თავის კრედოს ასე გამოხატავს: „თუ საზოგადოებამ იცის ის, რაც თვითონ არის, შეგნებული აქვს თავისი ნამდვილი სურვილები, მაშინ ის აღარ არის დაბალ არსებათა ბრბო, ის განმსჭვალულია ერთი აზრით, ერთი იდეით, იდეით – ჭეშმარიტით. ის მხოლოდ ეხლა იგნებს თუ რა ძვირფასი განძია სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა, ის ენა და მწერლობა, რომლის საშუალებით მან მოიპოვა ადამიანობა. მის გულში ახლა ღვივის სიყვარული სამშობლოსი...

ჩვენ ასე გვესმის ქვეყნის სამსახური და ამ გზას ვადგივართ. ერის, ხალხის გაცნობიერება, გაადამიანება, **დაბალი საფეხურიდან მაღალზე ამოყვანა** (ხაზი – ნ. ქ.) – აი, ჩვენი მიზანი. აი, რას ვეტრფით ჩვენ"[1].

უაღრესად საინტერესოა იმავე წელს, სამიოდე თვის შემდეგ, „კვალში" ყვირილელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული კ. წერეთელის სტატია „მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური?". აქ უკვე ცნებები – ქვეყნის და ხალხის სამსახური და მამულიშვილობა და ეროვნულობა – მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული: „რასაც ჩვენში მამულიშვილობის სახელი ქვია, არის ნაშთი წარსულის, ცხოვრების განვითარების უარმყოფელი და, მაშასადამე, წინმსვლელობის უარმყოფელი... ახალმა ცხოვრებამ დაბადა ახალი კითხვები. ამნაირათ იშვა *ეროვნობა* (ხაზი– ყვირილელის) ევროპაში „...ეროვნული კითხვის წამომყენებელი, ეროვნული აღორძინების მეთაური და ცხოვრებაში გამტანი ბურჟუაზია იყო... ჩვენი „ნაციონალისტები" გვეუბნებიან, დიახ, ეს აუცილებელია ჩვენთვისაც, თუ ეროვნული სიცოცხლე გვინდაო. ...ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი ისტორიულმა მსვლელობამ სხვა უფრო დაწინაურებული ქვეყნის დიდ გემს მიაბა. ...გლეხების განთავისუფლება ჩვენში უცხო ერის და არა ჩვენი ბურჟუაზიის საქმე იყო"[2].

---

[1] გაზ. „კვალი", № 1, 1903

[2] გაზ. „კვალი", № 15, 1903

საგანგებოდ მოვიყვანეთ ეს ვრცელი ამონაკრები ხსენებული სტატიიდან. ავტორი იმგვარად ავითარებს აზრებს, რასაც ჩვენ ამჟამინდელი გადასახედიდან კომუნისტურ დემაგოგიას ვუწოდებთ. ეროვნულობის ერთადერთ შინაარსად იგი ბურჟუაზიის კლასობრივ მისწრაფებას – ხალხზე გაბატონების სურვილს სახავს, „ამიტომ არის რომ ეს ეროვნება სხვა ეროვნობის დევნაში იხატება, ამიტომ ცდილობენ ჩვენი ბურჟუა-ნაციონალისტები სომხებთან „ეროვნულ საერთო ნიადაგზე“ ბრძოლის გამართვას... ორ ხალხს შორის ეროვნულ შუღლის ჩამოგდებით მათ სურთ ამ ორი ერის მშრომელ ნაწილთა ერთმანეთისგან დაშორება და დასუსტება რომ მით ქართველ ბურჟუაზიას მათგან სისხლის წოვა გაუადვილდეთ“[1]. საბოლოოდ, ავტორი „მამულიშვილობას“ წარსულის გადმონაშთად თვლის, „ეროვნობას“ ახალი ცხოვრების ნაყოფად და ასკვნის:“ ... ერთიც და მეორეც ნამდვილ მამულის, ნამდვილი ერის წინააღმდეგ არის მიმართული“[2].

1905 წლის რევოლუციის შემდგომ საქართველოში ერთბაშად გამრავალრიცხოვნდა ქართული პრესა. თუ 1905 წელს 5 დასახელების ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, 1906 წელს – უკვე 28, 1909 წელს მათმა რიცხვმა 44-საც მიაღწია. ეს მაჩვენებელი ყოველ წელს იცვლებოდა.

რევოლუციამდელ საქართველოში ასზე მეტი მარტო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი გამოდიოდა. სხვათა შორის, სატირულ პრესაშიც კარგად აირეკლა ეროვნული და, განსაკუთრებით კი, სოციალური ბრძოლის პერიპეტიები. ყველაზე ხშირ შემთხვევაში სატირის საგანი ხდება დიდი სოციალური ცვლილებების თანმხლები ისეთი მოვლენები, როგორიცაა მედროვეობა, პარტიებისა და დაჯგუფებების ურთიერთქიშპი, ფსევდოპატრიოტობა და ა.შ.

სანიმუშოდ თუნდაც ერთ მაგალითს მოვიშველიებთ: –„რომელი მიმართულების მომხრე ხარ? – ჩემი რწმენა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ველაპარაკები: ავტონომისტთან – ავტონომისტი ვარ, სოციალ-დემოკრატთან – სოციალ-დემოკრატი,

---

[1] გაზ. „კვალი“, № 15, 1903

[2] იქვე

ფედერალისტთან – ფედერალისტი, მონარქისტთან – მონარქისტი, თუ ანარქისტი შემხვდა, წარმოიდგინეთ – ანარქისტიც".

პირველი მსოფლიო ომის დაძაბულ პერიოდში ქართულ ჟურნალისტიკაში კიდევ უფრო გამძაფრდა სოციალური ტალღა, მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ჟურნალ-გაზეთების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ბოლშევიკური პრესის სახე და ხასიათი დროში არსებითად არ შეცვლილა, მასში ჩვენთვის ახალი არაფერია, გარდა კარგად ნაცნობი კომუნისტური პროპაგანდისა და ამჯერად მასზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. თანაც, სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად მდიდარ მასალას იძლევა სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემები. (თუმცაღა, ბოლშევიკურ ჟურნალისტიკაში იყო ერთი ასეთი გამონაკლისი რევოლუციონერ-მარქსისტის რაჟდენ კალაძის სახით. იგი ერთადერთი იყო, ვინც ქართულ ეროვნულ საკითხს ეხებოდა და ცდილობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის ისტორიაში ადგილის მიჩენას. ეროვნული საკითხი ისეთი სერიოზული რამ იყო, რომ მან მენშევიკების ნაციონალისტებად გარდაქმნაც კი შეძლოო – წერდა ის).

1915 წელს ქუთაისში გამომავალი ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ახალი კვალი" პირველ გვერდზე ხშირად აქვეყნებდა მიმოხილვას „ქართული პრესა," რომელიც გამოხატავდა რედაქციის პოზიციას.

ერთ-ერთი ასეთი მიმოხილვა ეხმაურება გაზეთ „სახალხო ფურცლის" მეთაურ წერილს, რომელშიც „თანამედროვე ომის" მიერ მკვლრეთითი აღდგენილი ეროვნული გაერთიანების შეგნების მოვლა-პატრონობაზეა მსჯელობა. „ახალი კვალის" მიმომხილველი მიუკიბ-მოუკიბავად გამოხატავს თავის აზრს: „ის ეროვნული გაერთიანება, რომელსაც გაზეთი უტყუარ ფაქტად და საერთაშორისო ომის დადებით მხარედ თვლის, ჩვენის აზრით, დღევანდელი მომენტის უბედურებათ უნდა ჩაითვალოს. და აი რისთვის: თუ დღეს მთელი კაცობრიობა ბრძოლის ალშია გახვეული და ირგვლივ დგას მთელი ზღვა ადამიანთა სისხლისა, ამისი საშუალება სხვა და სხვა სახელმწიფოს მმართველ წრეებს სწორეთ ეროვნულმა გაერთიანებამ მისცა... სწორეთ სოციალისტური ინტერნაციონალის დაქსაქსვა და „ეროვნული გაერთიანება" სხვა-

დასხვა სახელმწიფოს ფარგლებში, აი ის, რამაც საზრდო მისცა დღევანდელ საშინელებას[1].

ახალდაარსებული გაზეთი „საქართველოც“ მაშინვე გახდა „ახალი კვალის“ თავდასხმის ობიექტი: „საქართველო“ ვერც ასცდენია ტრადიციულ შეცდომას... გაზეთს სურს ზეკლასიური პოლიტიკა აწარმოვოს... ჩვენ გვგონია რომ ეს ძველებური ხერხია: კლასიურ პოლიტიკას ეროვნულად ასაღებენ, ეროვნულ მანტიაში „ვიწრო ჯგუფობრივ“ ინტერესებისათვის იბრძვიან“[2].

ამგვარად, პერიოდიკის მეშვეობით გამოხატული პოზიცია იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი მთავარი სოციალური ძალისა ასე თუ ისე ნათელია, დავუბრუნდეთ ეროვნულ მიმართულებას, რომელიც XX საუკუნის მიჯნასთან გვყავს მიტოვებული. „კიდევ ეროვნება და ეროვნების შესახებ ლაპარაკი!... წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგნის გარშემო ტრიალებდა ქართველ ინტელიგენციის აზრი... გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში და ისევ აგვეტუზა თვალწინ იგივე საგანი... დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ, „რომანტიულ“ ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო საგანს, რომელიც ჰყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად, მაშინ როდესაც ამ საგანს, ორ პროგრესულ პარტიათა შორის ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით გამსჭვალული მოქმედება“ – ვკითხულობთ გაზეთ „ამირანის“ 1908 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ არჩილ ჯორჯაძის სტატიაში „სამშობლო და მამულიშვილობა“.

კვლავ ეროვნული და სოციალური ძალებისა და ინტერესების დაპირისპირება, ოღონდ ამჯერად ასახული და გაანალიზებული ეროვნული მიმართულების პრესაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ XX საუკუნის 10-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ და წარმმართველ ძალას სოციალისტები ან სოციალისტური მიმართულების პარტიები წარმოადგენენ. ამგვარ ვითარებაში 1912 წელს წმინდა ეროვნული ხასიათის ჟურნალის დაარ-

---

[1] გაზ. „ახალი კვალი“, №4, 1915

[2] გაზ. „ახალი კვალი“, №5, 1915

სება იყო „ყუმბარა გამსკდარი სოციალისტურ ჭაობში,“ როგორც წლების შემდგომ თავად ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი რევაზ გაბაშვილი წერდა. სანამ ამ ჟურნალის მიერ წამოყენებულ ეროვნულ პრობლემებს შევეხებოდეთ, ძალიან მოკლედ განვიხილავთ 1915 წელს „კლდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ რევაზ გაბაშვილის წერილს „ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტობა,“ რომელიც ისეთივე სულისკვეთებისაა, როგორც არჩილ ჯორჯაძის ზემოხსენებული სტატია. ამ წერილის თემა სათაურშივეა გაცხადებული, რ. გაბაშვილი მიმოიხილავს გაზეთ „სახალხო ფურცლისა“ და „ახალი აზრის“ შეხედულებებს ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობაზე და ირკვევს „რა არის მიზეზი ესეთის არევ-დარევისა და სადაა ის **ეროვნული ხაზი** (ხაზი – რ.გ), რომლის შეუმჩნევლობა დღემდის აფერხებდა ჩვენს წინ მსვლელობას და ამწვავებდა პარტიათა ურთიერთობას“[1].

რ. გაბაშვილის მსჯელობაში იკვეთება თავიდათავი ამ მიზეზისა: „საერთაშორისო ასპარეზზედ გამოსული სოციალ-დემოკრატია, უმთავრესად ეკუთვნის ისეთ დიდ ერებს, როგორიც არის გერმანია, რუსეთი და სხვა“. დიდი ერის დემოკრატიულ ნაწილს ჩვეულებრივ დროს თითქმის ეკარგება ეროვნული ალღოც კი, რადგან ეს მხარე მისთვის უზრუნველყოფილია, ხოლო მაშინ, როცა დიდი ერები დიდი სოციალური საკითხებით არიან გართულები, პატარა ერების რაღაც პატარა ტანჯვა-ვაებანი სრულიად იჩრდილება, დიდი ერები ამ მცირე ეროვნულ ხმებს ბოროტებადაც კი ნათლავენ“[2]. მოვლენების ობიექტურ და რეალისტურ გააზრებაზე დაყრდნობილი რ. გაბაშვილი გონივრულად სჭვრეტს მომავალ საფრთხეს: „პატარა ერებმა მეტად სიფრთხილით უნდა ასწონ-დასწონონ თავიანთი ნაბიჯები, რომ აქლემთ ჩხუბის დროს კოზაკებივით არ გაიჭყლიტნენ“[3].

ჩვენც, როგორც ერთი, უნდა გავერთიანდეთ ახალი გასაჭირის დროს, უნდა მივივიწყოთ კლასობრივი, წოდებრივი, პარტიული უთანხმოებანი – ეროვნების იდეის განმტკიცების წინაშე“[4].

---

[1] ჟურნ. „კლდე“, №4, 1912

[2] იქვე

[3] ჟურნ. „კლდე“, №5, 1913

[4] იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წლის დამდეგს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ქუთაისის გუბერნიიდან ვარლამ გელოვანმა, სათათბიროს „მაღალსახელმწიფოებრივი ტრიბუნიდან, პირველად რუსული პარლამენტარიზმის ისტორიაში მოითხოვა საქართველოს ავტონომია“. (საქართველოს ავტონომიის საკითხი 1906 წელს მზადდებოდა ილიას თაოსნობით I სახელმწიფო სათათბიროზე გასატანად). ცნობილი ფაქტია, რომ რუსებს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაასწრეს და განაქიქეს გელოვანიცა და ავტონომიაც. ლევან სანიკიძის წიგნში „მესამე დასის საქართველო“ უმართებულოდაა დამცრობილი ჟურნალ „კლდის“ როლი ავტონომიის საკითხების გაშუქებაში: „საქართველოშიც ამაზე ლაპარაკი იმით გათავლა რომ ჟურნალმა „კლდემ“ ჩხაიძე და ჩხენკელი საქართველოს გულზე ორ გველად წარმოსახა“.

სინამდვილეში ჟურნალმა მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია. 1913 წლის მე-5 ნომერში საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა შეფასებულია როგორც „დიდი ფაქტი, რომელზედაც უნდა ვსწეროთ კიდეც და ვილაპარაკოთ“. ჟურნალის აზრით, „ჩვენმა დეპუტატებმა სათათბირო სიტყვა „საქართველოს ავტონომია“ უნდა გარდაქმნან საპარლამენტო ტერმინად და ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ქართული პოლიტიკური იდეა უზრუნველყოს ამ მხრივ რომ მას ანტისახელმწიფოებრივ იდეად აღარ სთვლიდნენ“[1].

ავტონომიის მოთხოვნა რომ სეპარატიზმად არ მოენათლათ და რეაქციულ ძალებს არ გამოეყენებინათ, ჟურნალი სხვადასხვა მოსაზრებითა და სხვა სახელმწიფოების ანალოგიებით ცდილობს მის გამართლებას. (მაგ. ყურადღებას ამახვილებს ირლანდიელი ხალხის ბრძოლაზე ავტონომიისათვის).

ავტონომიის საკითხზე მსჯელობას „კლდე“ 1914 წელსაც აგრძელებს. საგულისხმოა, რომ მანამდე ჟურნალი იბრძოდა 1912 წელს სახელმწიფო სათათბირო დეპუტატების არჩევნებში ისეთი კანდიდატის გამარჯვებად, რომელიც სათათბიროში „გულწრფელად, გონიერებით, თამამად და გაბედულად“ დაიცავდა საქართველოს ჭეშმარიტ ინტერესებს.

---

[1] ჟურნ. „კლდე“, № 5, 1913

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კლდის“ დიდი დამსახურებაა საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის სასიცოცხლოდ არსებითი საკითხების გამოკვეთა, მათ შორის უმთავრესის – სრული ავტონომიის უპირატესობით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟურნალმა იმდროინდელ ქართულ პრესაში ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ეროვნული პლატფორმა.

სანამ „კლდის“ ამ მცირე მიმოხილვას დავასრულებდეთ, ერთ ამონაწერს მოვიყვანთ 1912 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან „დემაგოგია და ერის ღალატი“. სტატია ეხმაურებოდა სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატ ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე „დასელთა“ ცილისმწამებლურ თავდასხმას. „ეს პარტია იმდენად მოძულეა საქართველოსი, იმდენად უარმყოფელია მისი ინტერესებისა, რომ მართლაც, მისთვის სულ ერთია ვინ იქნება დეპურტატი – ჩვენებური თუ გადამთიელი. ამიტომაც ისინი ჩუმის პირობებით შეეკვრენ სომხის ნაციონალისტს, ქართველი ხალხის დაუძინებელ მტერს ა. ხატისოვს და მისი ამორჩევა უნდათ, თუ კი დაატყვევს, რომ „კარლო“ ჩხეიძე მარცხდება... მზადა ვართ მოწმეებით და საბუთებით დავამტკიცოთ მათი ღალატი ქვეყნისა და დემოკრატიის წინაშე და თან მოვითხოვოთ ქართველმა ხალხმა გალაჭრით მოსთხოვოს სოციალ-დემოკრატიას ამის პასუხი“[1].

ისტორიოგრაფი უშანგი სიდამონიძე კი 1970 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ასე აფასებს სოციალ-დემოკრატებს: „ცნობილია რომ პირველი მსოფლიო ომის წინ ქართველ მენშევიკთა დიდი ნაწილი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა ეროვნული საკითხის მიმართ, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხისადმი, ერის წარსულის აწმყოსა და მომავლისადმი... შემდეგში, როცა საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნული საკითხის ხვედრითი წონა გაიზარდა, ნ. ჟორდანიამ და ქართველ მენშევიკთა დიდმა ნაწილმა პირი იბრუნა და დაიწყო ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ქადაგება“[2].

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის,“ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოამბის, 1919

---

[1] ჟურნ. „კლდე“, № 4, 1912

[2] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, გვ. 30, 1970

წლის მარტის ნომერში ქვეყნდება დამფუძნებელი კრების გახსნის სტენოგრაფიული რეპორტაჟი. უხუცესი სოციალ-დემოკრატის სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვაში ნათქვამია: „მხოლოდ ამ დემოკრატიამ გადაარჩინა ჩვენი პატარა ნავი მწარე ხვედრს დიდი რევოლუციის დიდი გემისა, რომელზედაც მთელი 100 წლის განმავლობაში მიკრული იყო"[1].

დროისმიერი იძულების ძალით 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული იდეის მედროშენი და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველები გახდნენ. თუმცაღა, გარეგნული სახეცვლილების მიუხედავად, მათი სოციალ-დემოკრატიული არსი იგივე დარჩა.

„საქართველოს რესპუბლიკის" იმავე ნომერში გამოქვეყნებულ ნოე ჟორდანიას გამოსვლაში დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ნათლად გამოსჭვივის ისევ სოციალ-დემოკრატიული პოზიცია: „დროშა რევოლუციის და დემოკრატიის გახდა ჩვენი შინაური ერთობის, ჩვენი ნაციონალური სიმტკიცის და გაჭირვებიდან გადარჩენის. აი, ეს დროშა გახდა მთავრობის დროშა. მას ვემსახურებით ჩვენ. ჩვენ არ წამოგვიყენებია არც ერთი ისეთი კანონი თუ განკარგულება, რომელიც მოგვაშორებდა ერის სასიცოცხლო ინტერესებს და მათ მაგიერ შეგვმატებდა უსიცოცხლო და დრომოჭმულ წრეებს". (ამ ბოლო ფორმულირებაში. ალბათ, როგორც ყოველთვის, ისევ ეროვნული ძალები იგულისხმება –ლ. კ).

„საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, სოციალური და ეროვნული დაპირისპირების ამსახველი მასალები თითქმის არ გვხვდება (თუ არ ჩავთვლით პარლამენტის სხდომების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს), არა იმიტომ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ ჩაახშო პარტიათა პოლიტიკური ვნებანი, არამედ იმიტომ, რომ ეს გაზეთი ოფიციოზი იყო და იგი მხოლოდ მმართველი პარტიის – სოციალ-დემოკრატების ინტერესებს გამოხატავდა.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", მარტი, 1919

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. ა. ჯორჯაძე, „წერილები," 1989
2. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1985
3. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, 1987
4. „დროება," № 7, 1870
5. „მნათობი," მაისი, 1867
6. „კვალი, № 5, 1900
7. „კვალი," № 1, № 14, 15, 1903
8. გ. ბაქრაძე, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია," 1947
9. გ. ნიშნიანიძე, სიცილის არქივიდან, 1971
10. „ახალი კვალი," № 4,5, 1915
11. ე. სიდამონიძე, „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია." 1970
12. მ. მონიავა, „XXს. დასაწყისის ქართული პრესის ისტორიიდან", 2001
13. „კლდე," № 4, 1912
14. „კლდე," № 5, 1913
15. „კლდე," № 1, 1915
16. ლ. სანიკიძე, „მესამე დასის საქართველო," 1989
17. „საქართველოს რესპუბლიკა," მარტი, 1919

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
336, 2002

იზოლდა ხაინდრავა-ბენიძე

ზოგი რამ თბილისის უნივერსიტეტის პრესის შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებისთანავე იქცა ქართული ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად, რომელმაც ერის განათლებისა და სულიერი ცხოვრების აღორძინების მისია იკისრა. უნივერსიტეტის ოთხმოცწლიანი ისტორია ამის ბრწყინვალე დადასტურებაა.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორებსა და მესვეურებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ პრესის მნიშვნელობა და მზრუნველობაც არ დაუკლიათ. უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე 1918 წელს შეიქმნა „საგამომცემლო კომისია“ და გადაწყდა უნივერსიტეტის პერიოდული ორგანოს გამოცემის საკითხიც.

ამ გადაწყვეტილებისა და დიდი სურვილის მიუხედავად, მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოშვება კარგა ხანს გაჭიანურდა. იგი მხოლოდ 1927 წელს დაარსდა „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ სახელწოდებით.

მრავალტირაჟიან გაზეთს წინ უძღოდა საწერ მანქანაზე დაბეჭდილი და პრიმიტიულად გაფორმებული კედლის გაზეთი „ქართველი სტუდენტი.“ რომელიც 1920-1922 წლებში გამოდიოდა.

1926 წლის თებერვლიდან გამოსვლას იწყებს გაუმჯობესებული და შედარებით მოწესრიგებული ყოველთვიური კედლის გაზეთი „პროლეტარული სტუდენტობა“.

გაზეთის რედაქტორი იყო აპოლონ ნუცუბიძე, შემდგომში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. „1926 წლის დასაწყისში, იგონებს ბატონი აპოლონი, – უნდა შემედგინა აგრეთვე

სარედაქციო კოლეგია. შევადგინე კიდეც, მაგრამ გაზეთის მუშაობაში უმეტესობა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ეს უთუოდ ჩემი ბრალი იყო, ვერ შევძელი მათ შორის სამუშაოს სწორი განაწილება. უნდა ვაღიარო, რომ პრესაში მუშაობის გამოცდილება მე თვითონ არ მქონდა".

გაზეთი, მართალია, სუსტი იყო, მაგრამ მკითხველები არ აკლდა. მასში თავსდებოდა მასალები სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების შესახებ, კერძოდ, უფასო სადილებით დახმარების, სტიპენდიების, საბინაო და კულტურული მომსახურების, სასწავლო დისციპლინის, აკადემიური მოსწრების და სხვა საკითხებზე.

გაზეთი არ ერიდებოდა ნაკლოვანებების გამოვლენას და მკაცრ კრიტიკას. ერთ-ერთ ნომერში გაკრიტიკებული იყო უნივერსიტეტის პროფკავშირის სტუდენტთა აღმასბიუროს საქმიანობა სადილების „ძმაბიჭურად" განაწილებისა და სტიპენდიების გაცემაში თვალსაჩინო დარღვევების თაობაზე.

სტუდენტობა კმაყოფილებას გამოთქვამდა გაზეთის ობიექტურობისა და პრინციპულობის გამო. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კი რეაგირების გარეშე არ ტოვებდა გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს. ყოველივე ეს ხელს უწყობდა რედაქციის მუშაობას.

ა. ნუცუბიძის თქმით, „მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა, გაზეთის გამოშვების „გრაფიკი ირღვეოდა. მართალია, გაზეთი ფორმატით დიდი არ იყო, მაგრამ მასალებით ვერ ვავსებდით, ვერ შევძელით მის ირგვლივ დაგვერაზმა კორესპონდენტთა ფართო ქსელი".

1926 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილა „პროლეტარული სტუდენტობის" საკითხი და მიიღო დადგენილება გაზეთის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გადაწყდა გაზეთის ლითოგრაფიული წესით გამოშვება, განისაზღვრა ტირაჟი, განახლდა სარედაქციო კოლეგია.

ამგვარად, მომზადდა საფუძველი მრავალტირაჟიანი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის" გამოშვებისათვის. მისი პირველი ნომერი, როგორც აღინიშნა, გამოვიდა 1927 წლის ნოემბერში. გაზეთი, როგორც წესი, გამოდიოდა თვეში ან ორ თვეში ერთხელ. იგი იმთავითვე გახდა უნივერსიტეტის მრავალმხრივი ცხოვრების უტყუარი სარკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის თანამშრომლებმა კარგად გაიცნობიერეს გაზეთის როლი და დანიშნულება სტუდენტთა აღზრდის საქმეში და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მისი სრულყოფისათვის.

„რედაქცია იმედს გამოთქვამს, – ვკითხულობთ „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ პირველ ნომერში, – რომ ეს გაზეთი შესაფერის როლს ითამაშებს უნივერსიტეტის ცხოვრებაში, რომ სურვილები და გეგმები, რაც ამ გაზეთს დასახული აქვს, შესაფერ გამოხმაურებას პოვებს ყველა მათში, ვისაც უნივერსიტეტის წინსვლა და მიღწევები აინტერესებს“.

1928 წლიდან „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ – გახდა თბილისის უნივერსიტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ორკვირეული ორგანო. სტუდენტებთან ერთად მასში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ი. ბერიტაშვილი, შ. ნუცუბიძე, ირ. სურგულაძე, კ. მეძველია, გ. ჯანელიძე, ა. ნუცუბიძე, ტ. რუხაძე და სხვები.

„პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ 1928 წლის 26 თებერვლის ნომერი მთლიანად მიეძღვნა უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავს. იგი საინტერესო სტატიებითა და კარგი გაფორმებით გამოირჩეოდა. ყურადღებას იპყრობდა პროფ. შ. ნუცუბიძის მოწინავე წერილი „უნივერსიტეტის ათი წლის თავზე“. პროფ. ა.შანიძის ვრცელი სტატია „ქართველი სტუდენტი, ქართველი უნივერსიტეტის დაარსებამდე,“ ლითოგრაფიის მუშის გ. კაპანაძის წერილი „სახელმწიფო უნივერსიტეტის ლითოგრაფია“ და სხვა.

საიუბილეო ნომერმა საფუძველი დაუდო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი მასალების გამოქვეყნებას. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ საიუბილეო ნომერი, არამედ საერთოდ უნივერსიტეტის პრესა დედა-ტაძრის ისტორიის უნიკალური წყაროა.

1930 წელს უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის ახალი სახელწოდებით – „უნივერსიტეტის ხმა“. იგი ახლა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სტუდენტთა აღმასრულებელ ბიუროსთან ერთად მთელი კოლექტივის ორკვირეულ ორგანოდ იქცა. გაზეთმა იმავე წელს შეწყვიტა არსებობა უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

1933 წლიდან გაზეთმა განაახლა საქმიანობა „ბოლშევიკური კადრების“ სახელწოდებით. რედაქტორი გახლდათ ს. მინდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთმა იარსება 1939 წლის მაისამდე. 1952 წლამდე, უნივერსიტეტს მრავალტირაჟიანი გაზეთი არ ჰქონია.

1952 წლიდან გამოსვლას იწყებს „ახალგაზრდა სტალინელი“ ტ. კვანჭილაშვილის რედაქტორობით. 1962 წლიდან გაზეთი იწოდება „თბილისის უნივერსიტეტად“.

უნივერსიტეტის სასწავლო აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის თვალსაზრისით გაზეთთან ერთად გარკვეული როლი შეასრულეს ჟურნალებმა.

პირველ რიგში აღსანიშნავია კრებული „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე,“ რომელიც 1919-1930 წლებში გამოდიოდა პროფ. ა. შანიძის და ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით.

1920-1921 წლებში გამოდიოდა „სტუდენტთა ჯგუფის საგამომცემლო კომიტეტის“ ყოველთვიური „სამეცნიერო, სალიტერატურო-საპოლიტიკო“ ჟურნალი „მომავალი“ ა. შილაკაძის რედაქტორობით.

1920 წელს გამოვიდა და 1922 წლის ბოლომდე ფუნქციონირებდა ჟურნალი „ქართველი სტუდენტი“.

1925 წელს დაარსდა და სულ სამი ნომერი გამოვიდა უნივერსიტეტის პროლეტარი სტუდენტების ყოველთვიური ორგანო – ჟურნალი „მარქსიზმის დროშა“.

„რკინიგზის მუშაკელი“ ეწოდებოდა ერთდროულ ჟურნალს, რომელიც 1928 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულმა მუშათა ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზაციამ.

მითითებულ ჟურნალ-გაზეთებზე თვალის გადავლება გვარწმუნებს, რომ უნივერსიტეტში მისი დაარსების პირველი დღეებიდან მოყოლებული სასწავლო-აღმზრდელობითი თუ სამეცნიერო წამოწყებანი, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები სათანადო ასახვას და მხარდაჭერას პოულობდა პრესის ფურცლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

პუბლიკაცია

დალი ჩიკვილაძე

ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

ნიკო ნიკოლაძე არაორდინარული მოვლენაა ქართული სინამდვილისა. მასზე ბევრი დაწერილა, უფრო მეტი დაიწერება შემდგომ, რადგან ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობა მომავლის მკვლევარს ელის. ხვალინდელ სააზროვნო ფენომენად ქცეულ ჩვენი დიდი წინაპრის შეფასებაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს დიდი კონტაქტების მქონე ნიკო ნიკოლაძის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც თითქმის გამოუქვეყნებელია. არადა, პირადი წერილების გამომზეურება და შესწავლა დღეს, ამ აფორიაქებულ სინამდვილეში, ვფიქრობთ, საშურია, ამასთან ღირსების საქმეც გახლავთ. დღეს, გამორჩეულ თვისებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი წინაპრების ის დიდი კულტურა, რასაც პირადი წერილების გაგზავნის ტრადიცია ჰქვია. პირად ბარათებში ხომ უშუალობითაა და შეულამაზებლად სუნთქავს გარდასული დრო, შეჩერებული წამი, კონკრეტული სიტუაცია, გამქრალი ურთიერთობები... ეპისტოლარული მემკვიდრეობა ახალი ენერგიით წარმოაჩენს მოაზროვნის შინაგან „მეს," მისი სულის ფსიქოლოგიურ მოძრაობას, პიროვნულ სიფაქიზეს, იმ უხილავ ხიბლს, რაც პიროვნებას თავის თავში პოტენციურად გააჩნია, მაგრამ სააშკარაოდ გამოტანილი არა აქვს...

მკითხველს ვთავაზობთ ნიკო ნიკოლაძის ორ წერილს, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიწერა, თითქმის საუკუნის უკან, – მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ახალი ეპოქა იწყებოდა და გარდასულის შეფასების აუცილებლობა იდგა.

იონა მეუნარგიასადმი 1903 წლის 8 ნოემბერს ფოთიდან გაგზავნილ წერილში ნიკო ნიკოლაძე წარმოჩინდება, როგორც პი-

რუსეთნელი მსახური მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამომავალი ქართული და რუსული პრესის მუშაკთა ღვაწლისა, რომლებიც მის გვერდით და მასთან ერთად ქართული საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურებოდნენ. ამ ბარათში ნიკო ნიკოლაძე გულდინჯად და უდიდესი პასუხისმგებლობით შთამომავლობის წინაშე საკუთარი სინდისის სასწორზე აწონილი თვალთახედვით მსჯელობს მის უკვე გარდაცვლილ მეგობარ დავით ერისთავზე (1847-1890). „მართლის თქმის“ თანდაყოლილი ნიჭი ნ. ნიკოლაძეს უფლებას არ აძლევს მე-19 საუკ. 70-80-იანი წლების პერიპეტიებზე იმსჯელოს ისე, რომ თავისი სახელი არ დაარქვას... ამიტომ ბევრ რამეზე დადუმებას ამჯობინებს, მეგობარზე წერა „ნაადრევიაო,“ – აცხადებს. ეს ბარათი იმის უტყუარი დასტურია, თუ როგორ შეინახო მეგობრის ხსოვნა ისე, რომ მისი სახელი უმადურობის ჩრჩილმა არ დაღრღნას.

ეს ბარათი საკმაოდ შემცირებული, პირველად 1907 წელს გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ დავით ერისთავის „ნაწერების“ კრებულში, 1954 წელს სოლომონ ცაიშვილმა ეს წინასიტყვაობა შეიტანა იონა მეუნარგიას ნაწერების I ტომში. სრული სახით ნიკო ნიკოლაძის წერილი პირველად ქვეყნდება. იგი ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის იონა მეუნარგიას ფონდში №3985-6.

მეორე წერილი ნიკო ნიკოლაძეს 1917 წლის 15 აპრილს დაუწერია და პეტერბურგიდან ქუთაისს თავისი დისთვის – ეკატერინე ნიკოლაძისთვის გაუგზავნია. ეს წერილი ბევრი რამით არის ყურადსაღები. ჯერ ერთი, ავტორი იმის თვითმხილველია, თუ როგორ „აყირავდა“ ცხოვრება პეტერბურგში თებერვლის რევოლუციის დროს, როგორ დაინგრა ყოველივე პეტრეს ქალაქში ორხელისუფლებიანობის ჟამს, ამასთან, როგორი იყო სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის, ნ. ნიკოლაძის დისწულის – ირაკლი (კაკი) წერეთლის პოზიცია და რენომე იმდროინდელ რუსეთის მთავრობაში. რაც მთავარია, ამ წერილიდან ჩანს, რომ 75 წელს მიღწეული ნიკო ნიკოლაძე მხნე, ენერგიული, მომავლის იმედით აღსავსე, უცხოეთშიც თავის ქვეყანაზე მოფიქრალია, სიახლის საქართველოში გამოყენებაზე მეოცნებეა, წლებს არ შეუცვლია მაძიებელი პრაგმატიკოსის გონება, ევროპის გლობალურ პროცესებში იგი საქართველოს ადგილს ეძებს ყველგან და ყო-

ველითვის (ეს ბარათი ინახება საჯარო ბიბლიოთეკის ნიკო ნიკოლაძის კაბინეტის ფონდებში).

ნიკო ნიკოლაძის ამ წერილებიდან კარგად ჩანს დროსგაწრებული მოაზროვნის საფიქრალი, შემართული და უკომპრომისო მამულიშვილის თვალსაწიერი. ბარათებზე დართული კომენტარები, ვფიქრობთ, დაეხმარება მკითხველს გარდასული დღეების და სიტუაციის გაცოცხლებაში.

იონა მეუნარგიასადმი *ფოთი, 8 ნოემბერი 1903*

მესამე და უმთავრესი მიზეზი შენი თხოვნის აუსრულებლობისა ის არის, რომ ყველას შეუძლია ამ ჟამათ დათიკო ერისთავზე[1] წერა, ჩემს გარდა. მე ჯერ არა მაქვს ეს უფლება, და არც ვიცი, მეღირსება როდესმე, თუ საფლავში ჩამყვება... მიზეზი, დათიკოს თანამშრომლობაზე „ტფილისის მოამბეში"[2] დავწერო ჩემი მოგონება, და აბა, როგორ დაიწერება ჩემგან ამ საგანზე რამე ისე, რომ კოტე ბებუთოვის[3] ან ნიკოლინკა არღუთინსკის[4] სახელი არ დავხატო. განა შეიძლება, ეხლა კოტე ბებუთოვს შეეხო ცალმხრივ, უმისოთ, რომ სრული მისი ხასიათი, მოქმედება და სხვ. და სხვ. არ გამოვსახო. – ათას მაგალითიდამ, რომელიც ასაწერი და გასასხჯელი მაქვს, ერთს მოგიყვან, და შენ

[1] დავით ერისთავი (1847-1890) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პოეტი, მთარგმნელი, დრამატურგი, რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე. „დროების", „ივერიის" აქტიური თანამშრომელი „ტფ. ვესტნიკის" პუბლიცისტი და ლიტერატურულ-პოლიტიკური რედაქტორი 1879 წელს, კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელი კავკასიაში 1878-80 წლებში, გაზ. „გოლოსის" კორესპონდენტი, გაზ. „Кавказ"-ის რედაქტორი 1882-84 წ.წ., როტშილდის ნავთის სარეწის გამგეობის დირექტორი ბათუმში 1886-90 წ.წ.

[2] „ტფილისის მოამბე" („Тиф. Вестник"-ი) 1873-1882 – რუსულ ენაზე თბილისში გამომავალი ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, რომლის რედაქტორი 1873-78 წლებში იყო კ. ბებუთოვი. 1879 წ. გაზეთის ნომინალური რედაქტორია დ. ერისთავი, ფაქტობრივი – პ. იზმაილოვი, 1880 წ. – რედაქტორია გ. ჩიქოვანი. 1881 და 1882 წლებში „ტფილ. მოამბის" თითო ნომერი გამოვიდა გამოცემის უფლების შენარჩუნების მიზნით. 1877 წ. ზაფხულამდე გაზეთის აქტიური თანამშრომელია ნ. ნიკოლაძე, რომლის პუბლიცისტური მოღვაწეობა დემოკრატიულ მიმართულებას აძლევდა გაზეთს.

[3] კონსტანტინე (კოტე) ბებუთოვი – თბილისში რუსულ ენაზე გამომავალ გაზ. „ტიფ. ვესტნიკის" რედაქტორი 1873-78 წლებში.

[4] ნიკოლოზ არღუთინსკი – თბილისელი სომეხი, ქალაქის მმართველობის წევრი.

თვითონ დარწმუნდები, რომ არა თუ ჩემთვის, შენთვისაც იქნება უდროო ან საადრეო იყოს დათიკოს ბიოგრაფიის წერა, განსაკუთრებით, „ტფილისის მოამბეში“ თანამშრომლობის მხრით.

როგორც არა ერთხელ, „Новое обозрение“[1]-ში დავბეჭდე – უპირატესად ბებუთოვის ან სხვა ვინმეს მხრით – 1873-ში ჩვენ პირობა დავდევით ერთად გვეშრომა საერთო კავკასიელი დროშის ქვეშ, და არამც და არამც საერთო უღელი არ გაგვეწია ერთმხრივად, ან ქართველების, ან რუსების, ან სომხების მხრივ. ომი რომ დადგა, 1877, და მის ასაწერათ ყარსისკენ გავემგზავრე, ბებუთოვმა ამ პირობას გადაუხვია, დაიწყო ბეჭდვა უცნაური სტატიისა „Участие армян в завоеваниях русских на Кавказе,“ რომელშიაც თვალთმაქცურად ამტკიცებდნენ, ვითომ სომხების მეოხებით, და მარტო სომხებისა, მომხდარა კავკასიაში ამ მეცხრამეტე და მეთვრამეტე საუკ-ში ყველაფერი, რაც მომხდარა, და თვინიერ მათისა არა რა მომხდარა. ეს სტატია, ბევრათ უფრო შემუშავებული და დაკვარახჭინებული, დაიბეჭდა მერმე, მგონია 1897-ში, ეზოვის[2] სახელით. თავდაპირველათ კი დააწერინეს ის, მგონია, ერიწოვს,[3] гробокапатель-ს. როცა ეს მეტად ოსტატური და სომხებისათვის დიდათ სასარგებლო, ხოლო ჩვენთვის დამმარხველი სტატია წავიკითხე, დათიკოსაც და ბებუთოვსაც მივსწერე ყარსის

[1] „ნოვოე ობოზრენიე“ (1884-1905) – ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც ნაფიცმა ვექილმა ა. ვ. სტეპანოვმა დაარსა, 1887 წ. ივლისამდე რედაქტორობდა. 1887წ. ივლისიდან რედაქტორია მ. ა. უსპენსკი, გამომცემელია ოლღა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი – ნიკოლაძე, წამყვანი თანამშრომლია ნიკო ნიკოლაძე (ფაქტობრივი რედაქტორი გაზეთისა 1891 წლის 1 ივლისამდე). 1891 წლის ივლისიდან „ნოვოე ობოზრენიე“ შეიძინეს თუმანიშვილებმა. გიორგი თუმანიშვილი გახდა გაზეთის რედაქტორი, კონსტანტინე თუმანიშვილი – გამომცემელი. მათი ხელმძღვანელობით გაზეთი გამოდის 1903 წლამდე. 1904-1905 წლებში გაზეთს რედაქტორობდა ნაფიცი ვექილი – მ. კალანტაროვი.

[2] გ. ეზოვი – 1898 წ. სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა გ. ეზოვის წიგნი – „Сношения Петра Великого с армянским народом“, რომელშიც ეზოვის კალმით გაყალბებულია საქართველოს ისტორიული წარსული. პატკანოვთან, ქიშმიშევთან, გოლსტრემთან და ბევრ სხვა ფალსიფიკატორთან ერთად ეზოვი თავს დაესხა საქართველოს თვითმყოფად ისტორიას და ქართველების სახელოვან წარსულს, რათა ცარიზმის შავრაზმული პოლიტიკის გატარებით კავკასიის ერთა შორის გაეჩაღებინა შოვინიზმი და ნაციონალური შუღლი. მე-19 საუკ. ქართველი პრესა თავგამოდებით იბრძოდა მათ წინააღმდეგ. მარტო ილიას „ქვათა ღაღადის“ გამოქვეყნება (1899) იკმარებდა ამ ბრძოლის დასტურად.

[3] ალექსანდრე დავითის ძე ერიწოვი (გარდაიცვალა 1902 წ.) – ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ თანამშრომელი, იბეჭდებოდა აგრეთვე „ტფილისკი ლისტოკსა“ და „გოლოსში“, 1873 წ. დაარსა ჟურნალი „კავკაზსკაია სტარინა“, რომლის რვა ნომერი გამოვიდა. პოლემიკური და ტენდენციური სტატიების გამო ერიწოვს „გრობოკოპატელი“ შეარქვეს.

წინიდამ: ბიჭო, სად ეს სტატია და სად ჩვენი პირობა თქო? ბებუთოვმა მომწერა, რას აყოლიხარ აკაკის[1] და სხვათაო (ქართველებსო), „მართალია, ძალიან სასარგებლო ხარ გაზეთისათვისო, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ გაზეთიც ძალიან სასარგებლოა შენთვისო". ამ სომხურ ქრთამს, რასაკვირველია, მაშინვე ვუპასუხე ოტსტავკის შეტანით. დათიკო... დარჩა გაზეთში. მერე დაფუძნდა "Обзор"[2]-ი რომლის წინააღმდეგ ბებუთოვმა დაამზადა, მოგეხსენება, ის ინტრიგა, ვითომდა ნიკოლაძემ ქართველებს და საზოგადოთ ადგილობრივ ინტერესებს უღალატაო და რუსებს მიჰყიდა თავიო. იმ დროს იყო, რომ ბებუთოვის და არწრუნის[3] თაოსნობით გაიმართა ბრძოლა თითქმის მთელი ქართული ინტელიგენციისა "Обзор"-ის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელშიც ამ ხოროს რეგენტათ ბებუთოვი ბრძანდებოდა, და პირველ სკრიპკათ – სერგეი მესხი[4] „თფილისის მოამბეში" მაშინ თავი შეაფარეს: გ. წერეთელმა,[5] აკ. წერეთელმა (დიდათ შესანიშნავი წერილი მაქვს

---

[1] აკაკი წერეთელი (1840-1915) – დიდი ქართველი პოეტი, „ეგვირგვინო მეფედ" შერაცხული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, პუბლიცისტი, რედაქტორი პირველი ფოლკლორული ჟურნალისა, პირველი იუმორისტული ჟურნალისა, მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ქართული ჟურნალ-გაზეთების აქტიური წევრი, მისი პუბლიცისტიკა გამოირჩევა მებრძოლი იუმორითა და მხატვრული ფერადოვნებით.

[2] გაზ. „ობზორი" (1878-1883) – რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, რომელიც 1878-1883 წლებში გამოდიოდა თბილისში ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით. გაზეთი შეუპოვარი იყო ცენზურასთან ბრძოლაში, რის გამოც ხშირად კრძალავდნენ. გაზეთის რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცარიზმის მკაფიო კრიტიკის გამო ორჯერ მისცეს სამართალში; 1878 წლის 4-5 დეკემბერს და 1879 წ. 22 მაისს (იხ. Первый процесс „Обзора", 1879г). 1879 წლის 3 ივნისიდან 1880 წლის 1 იანვრამდე „ობზორი" არ გამოდიოდა, 1881, 1882 და 1883 წლებში გაზეთის თითო ნომერი დაისტამბა გამოცემის უფლების შენარჩუნების მიზნით, ნ. ნიკოლაძე „ობზორის" პროცესის გამო თბილისიდან გაასახლეს სტავროპოლში (პირველი პროცესი ნ. ნიკოლაძემ მოიგო). „ობზორი" პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი იყო, რომელშიც თანამშრომლობდნენ მოწინავე ქართველი და რუსი მოაზროვნენი.

[3] გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი (1845-1892) – სომეხი პუბლიცისტი, ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი 1872-92 წლებში.

[4] სერგეი სიმონის ძე მესხი (1845-1883) – დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პროფესიონალი ჟურნალისტი, მებრძოლი პუბლიცისტი, გაზეთ „დროების" რედაქტორი 1869-1883 წლებში.

[5] გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი (1842-1900) – ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა თვალსაჩინო წარმომადგენელი „დროების" პირველი რედაქტორი 1866-1869 წლებში, „სასოფლო გაზეთის" რედაქტორი 1869-73 წლებში, ჟურნალ „კრებულის" პუბლიცისტი და ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთების „ტფილისკი ვესტნიკისა" და „გოლოსის" პუბლიცისტი, ჟურნალ „კვალის" დამაარსებელი და ფაქტობრივი რედაქტორი 1893-1900 წლებში.

მისი, 1876 წლის, რომელშიაც მაბრალებდა, სომხებს რათ ამაგრებთ, „თფ. მოამბეში" რათ მუშაობთ. ამავე „თფილ. მოამბის" თანამშრომელი კი გახლდა, როცა მე მივატოვე ეს გაზეთი), იაკ. გოგებაშვილმა,[1] გ. თუმანოვმა[2] (მაშინ ქართულად პატრიოტობდა) და სხვ. და სხვ. თითქმის ყველა ქართველებმა, ვისაც კი კალმის ხელში დაჭერა შეეძლო. ამ დროს დათიკოც, რასაკვირველია, ამ ხოროში მღეროდა, როცა "Обзор"-ი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამ აღტაცებით მიიღო, დავით ერისთავმა საზოგადოებაში გაავრცელა სიმბორსკის[3] ლექსის პაროდია ჩემ წინააღმდეგ:

„ В чару похвал столичной прессы
Боюсь родные интересы забросить скоро на чердак".

იმ ბრძოლის აწერა საჭირო როდია. რასაკვირველია, დათიკო ერისთავი ბევრათ უფრო გამჭრიახე და ჭკუიანი იყო, ვინემ დანარჩენი წევრები ბებუთოვისაგან გადურაკებული ხორისი. როცა "Обзор"-მა „თფ. მოამბის" ნამდვილი მიმართულება და მიზანი გამოაქვეყნა, დათიკომ დიდის პატიოსნებით აღშფოთებული წერილი მისწერა ამ გაზეთის რედაქციას, თქვენთან დარჩენა და ერთად შრომა არ შემიძლიაო, და მართლაც სამუდამოთ მოშორდა მის წრეს, თუმც მისთვის ეს ბევრად უფრო ძნელი იყო, ვინემ დანარჩენ ჩვენი ვითომ მწერლებისათვის, რადგანაც სომხობასთან მას ნათესავებრივი კავშირი და მატერიალური დამოკიდებულება ჰქონდა მრავალ მხროვანი. – ეს ერთი ნიმუში გვიჩვენებს, რომ დრო არაა, ჯერ ამ საგანზე რამე დავწერო: ნამეტანათ რთული, ნამეტანათ მდუღარე და ცეცხლამპრიალე-

---

[1] იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840-1912) – დიდი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საბავშვო მწერალი, „დედა ენის" შემდგენელი.

[2] გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი (1854-1920) – პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში („დროება", „ივერია", „ობზორი", „ვესტნიკ ევროპი", „გოლოსი", „მოლვა", „პორიადოკ", „რუსსკაია მისლი"), იყო ქართული თეატრის აღდგენის ინიციატორთაგანი, ქართული დრამატული საზოგადოების პირველი რეჟისორი, საქართველოში ეროვნის შემოღების აქტიური დამცველი. 1891 წლის ივლისიდან თავის ძმებთან – ვასილ და კონსტანტინე თუმანიშვილებიდან ერთად, ხელმძღვანელობდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს".

[3] ვ. სიმბორსკი (1849-1881) – პოეტი, გაზეთ „ნოვოე ვრემიას" კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წლებში, გაზეთ „ობზორის" თანამშრომელი 1878-81 წლებში.

ბელი რამე გამოვა ჩემი ნაწერი იმ დროინდელ მოქმედ-პირებზე, საქმეებზე, დამოკიდებულებაზე და სხვ. და სხვ. ყველაზე უფრო გულსაკლავი ის იქნება ამ ძველი ცოდვების ხსენებაში, რომ ერთობ და ნამეტნათ ცუდ „სინათლეში,“ ცუდ ფერათ გამოიხატება ჩვენი „მოწინავე“ ქართველობა იმ დროისა: ძუძუმწოვარ ბალღებათ გამოველენ და არ მინდა, რომ ჩემ მხატვრობას ეს შედეგი ჰქონდეს. ან რა წახდება, ვითომ, რომ სულ დავივიწყოთ ეს უხეირო ხანა ჩვენი უმეცრობისა? მე შენ გეტყვი, ვითომ ძველი შეცთომის გახსენება ან ახსნა სამერმისოთ ჭკუას გვასწავლიდეს ან შეცდომას აგვაცდენდეს! Держи карман!

სჯობია, უმნიშვნელო რამეებზე დასწერო დაითიკოს ბიოგრაფია, გაიხსენო „დროებაში“[1] 1871 დაბეჭდილი მისი მშვენიერი პაროდია: „ახ, ვალებო, ვალებო, პრიკაზისა ვალებო,“ მისი პაროდიები „Тиф. Вестник-ში“ დიმიტრი ყიფიანის[2] არჩევის დროს (1875) ნაპოლეონ ამატუნის[3] წინაალმდეგ:

На поле он выходит брани
И iepemiady он поет!

(დიმიტრი ყიფიანის მეტოქეს ღენერალ არწრუნის რომელსაც ნაპოლეონი აქებდა, იერემია ერქვა) და სხვ.

---

1 გაზ. „დროება“ (1866-1885) – პირველი ევროპული ტიპის ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებისა, რომელიც ჯერ კვირაში ერთხელ (1866-1874), შემდეგ კვირაში სამჯერ (1875-1876), 1877 წლის 1 აგვისტოდან ყოველდღიურად გამოდიოდა. მას რედაქტორობდნენ გ. წერეთელი (1866-69წ. 10 აპრილი), ს. მესხი (IV 1869-X1873), კ. ლორთქიფანიძე (X 1873- X 1874), ს. მესხი (X 1874-1879), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880), ს. მესხი (1881-83წ IV), ივ. მაჩაბელი (IV 1883-85).

2 დიმიტრი ყიფიანი (1814-1887) – გამოჩენილი ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი, დიდი პატრიოტი, მწერალი, მთარგმნელი და პედაგოგი, ქართული და რუსული პრესის თანამშრომელი. 1886 წელს, როდესაც ეგზარხოსმა პაველმა დასწყევლა ის ერი, ვინც ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი აღზარდა, დიმიტრი ყიფიანმა მკაცრად გაილაშქრა ეგზარხოსის წინააღმდეგ, რის გამოც იგი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მოსყიდულმა პირებმა მოკლეს 1887 წ. 24 ოქტომბერს. დიმიტრი ყიფიანი ჩამოასვენეს საქართველოში და მთაწმინდაზე დაკრძალეს. დაკრძალვის პროცესია გადაიქცა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დიდ მანიფესტაციად. აკაკიმ „განთიადი“ დიმ. ყიფიანს მიუძღვნა.

3 ნაპოლეონ ამატუნი – თბილისში საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე და ქალაქის საბჭოს თავი, ვექილი.

შენგან დაწერილს ბიოგრაფიას გინდ воспоминание-ბს, ნება აქვთ შეუხებლათ დასტოვონ გინდ უმთავრესი მხარეები დათიკო ერისთავის მოქმედებისა. მე კი არ მომეტევება დათიკოზე რამე დავწერო, და ოპოჩინინი[1] ან ბებუთოვი, ან გიორგი ჩიქვანი, ან გ. თუმანოვი ღირსეულათ არ მოვიხსენიო. და ეს – ერთობ შორს გვეიტაცებს. მადლობა ღმერთს, დაცხრა ცოტათი საზოგადოებაში მწვავე შეტაკება, გამოწვეული ვანო მაჩაბლის[2] თავხედობით, ქართველებს და სომხებს შუა. ჩვენ რა ძალა და უფლება გვაქვს, ვისმეს შევეტაკოთ ან ვებრძოლეთ, როცა ამ ბალღურ და ძუძუმწოვარ მდგომარეობიდან ვერ გამოვსულვართ აქამდი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს იმ ჩინებული და საცოდავი დათიკო ერისთავის ბიოგრაფიის წერაში, მაგრამ იმედი მაქვს დამეთანხმები, რომ თუმც დიდი სიმპატია მქონდა და შემინახავს მისთვის, ნება არა მაქვს მის ხსოვნას ალა-ალათ შევეხო და საბუთიანათ, საფუძვლიანათ, სინდისიერათ არ გამოვსახო მთელი ის წრე, რომელშიაც ის მოქმედებდა „თფილ. მოამბეში“ თანამშრომლობის დროს. ეს დასურათება კი, როგორც ხედავ, ერთობ მწვავე იქნება.

დავრჩები შენი ერთგული
ნ. ნიკოლაძე

P.S. აი, კიდევ ერთი ნიმუში: როცა დათიკო ერისთავს „Кавказ“[3]-ის ვადა გაუღიოდა, მე იმას მოვსწერე, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მაგ გაზეთს ხელახლავ მოგცემენ, ნება

---

1 ა. ოპოჩინინი (1853-1907) – ჟურნალისტი, პოეტი, მხასიობი, თანამშრომლობდა „კავკაზში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „ფალანგაში“, „ნოვოე ობოზრენიესა“ და „გოლოსში“ ფსევდონიმით „Это не я.“

2 ივანე მაჩაბელი (1854-1898) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 1883-85 წლებში რედაქტორობდა „დროებას.“ ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შექსპირის უბადლო მთარგმნელი.

3 გაზ. „კავკაზი“ (1846-1918) – თბილისში გამომავალი რუსული გაზეთი, დაარსდა ვორონცოვის დროს როგორც კერძო კვირეული გამოცემა, შემდეგ გაზეთი ოფიციოზში გასდა. 1882-1884 წლებში „კავკაზს“ რედაქტორობდა დავით ერისთავი.

მომჟეცი დათიკო გურამოვის[1] სახელზე ავალებინო მეთქი, ეხლა ისეთი განწყობილება აქვთ ჩემ მეგობრებს დონდუკოვ-კორსაკოვიან,[2] მისი ძმის, გზათა ინჟინრის საშუალებით, რომ შეიძლება ეს საქმე მოვახერხებინო მეთქი. რასაკვირველია, შენს წინაამდეგ მეტოქეთ არასოდეს არ გამოვალთქო. თუ გინდა კიდეც დაგეხმარები მეთქი, და სხვ. უნდა ჰქონდეს ეს ჩემი წერილი მის ქვრივს, პარიჟიდამ არის დაწერილი 1884-ში. პასუხათ დათიკომ მომწერა (წერილი მაქვს შენახული), რას ამბობ, ნამდვილათ ვიცი „Кавказ"-ი მე დამრჩებაო, რას ამბობო, ვინ წამართმევსო, რა დახმარება მინდაო და სხვ. და სხვ. სამი თვის მერე „კავკაზი" ტუბენკოვს[3] მიართვეს და დათიკო ერისთავი დარჩა რიყეზე. მეტად გული გაუტეხა ამ წართმევამ დათიკოს, დიდხანს გლოვდა „კავკაზის" რედაქტორობას, და მგონია, სიკვდილამდინაც ამ წართმევის შხამი მიჰყვა.

15 აპრილი 1917

საყვ. დაო კატო![4] გუშინ მივიღე შენი წერილი 6 აპრილიდამ. ჩვენ აქ ყველანი კარგად ვართ. კაკი[5] ვნახე: მშვენიერათ არის, განმრთელათ. მაგრამ ძლიერ სჭირია აქ თავის პარტიას, და მიტომ არ უშვებენ აქედამ. თვითონ კი ამბობს დავიღალე, დასვენება მჭირია. თორემ დავიქანცებიო, მაგრამ მაინც ეხვეწებიან კიდევ

---

[1] დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი (1857-1926) – ქართველი რეალისტი მხატვარი. ნ. ნიკოლაძის ცოლისძმა, რომლის გარეგნობის მიხედვით უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების პირველ ჩანახატებს ქმნიდა პეტერბურგში.

[2] ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვი (1820-1893) – გენერალი, 1882-1890 წლებში კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებელი. კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, რეაქციულ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი.

[3] მ. ტუბენკოვი – გაზ. „კავკაზის" რედაქტორი 1885-90 წლებსა და 1899 წელს.

[4] ეკატერინე ნიკოლაძე – ნიკო ნიკოლაძის უფროსი და, რომელმაც შვეიცარიაში მიიღო განათლება და ქუთაისში ქალთა კერძო პანსიონი გახსნა.

[5] ირაკლი (კაკი) წერეთელი (1881-1959) – პოეტი, დრამატურგი, პოლემისტი, „კვირილელის" ფსევდონიმით თანამშრომლობდა მამამისის, გიორგი წერეთლის მიერ დაარსებულ „კვალში" (1903-1904). მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას ჩაება პოლიტიკაში და სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკების) ლიდერი გახდა. იყო რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი. შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, გარდაიცვალა ემიგრაციაში ნიუ-იორკში.

ერთი-ორი დღე დარჩით. ჩემის აზრით, ასე კიდეც სჯობია მისთვის და ყველასთვის: აქ დიდათ სასარგებლოა მისი ყოფნა და მოქმედება, მანდ კი მას შეტაკება მოუხდება ბევრ თავის „აფხანაკებთან“... რასაც შენ მკითხავ ჩემს თაობაზე, მე მშვიდობით დავბრუნდი სტოკჰოლმიდამ, გზაში არა მიჭირდა რა, რადგანაც იქითაც და აქეთაც რკინიგზით ვიარე (ზღვა აქ ჯერ კიდევ გაყინულია). იქ ბევრი რამ ვისწავლე და დავათვალიერე, და ძლიერ კმაყოფილი ვარ მოგზაურობით. ბევრ ქალაქებში ვიყავ და ბევრი წყალვარდნილები დავათვალიერე, ელექტრონათ ნაქცევი. რასაც მწერ ჩემს საქმეზე, გაიგებდი, რომ ამინისტია გამოიცა სრული, რომელიც ჩემს საქმესაც სპობს. მისი გადათვალიერებას და ხელახლავ გარჩევას სულ უკანასკნელი 4-5000 მანეთი დასჭირდება. სად ვიშოვნო ეხლა ეს ფული? ძლივს მოვახერხე კუდიმერისთვის დამეწერინებია თხოვნა რომ გაავრცელონ ჩემზე ის ამინისტია. თხოვნა კანონით უნდა გაიგზავნოს სუდში, ტფილისს, და კიდეც გავაგზავნეთ, იქ კი ადამიანი არა მყავს, რომ საქმეს ეპატრონოს და დააჩქაროს: ადვოკატს ფული უნდა და უიმისოთ არავინ ირჯება. მე კიდეც მეშინია საქმის გაღვიძება და მინდა ჩემი თავი ყველას დავავიწყო ამ დროს, თორემ ეხლა ძალა ჩემი მტრების ხელშია: არც სოციალ-დემოკრატები, არც სომხები მე არ დამზოგავენ. მტერს კარგათ ვახსოვარ, მეგობრებმა კი დამივიწყეს, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე. ის ხმა, რომელიც შენ არ ვიცი ვის კორესპონდენციაში ამოგიკითხავს, ვითომ მე უარი მეთქვას ჩემს პენსიაზე, ამის ცხადი ნიშანია, თორემ გიჟი ხომ არა ვარ ამისთანა ხეპრობა მექნა, უკანასკნელ ლუკმაპურზე ხელი ამეღო? ალბათ ვიღაცას განუზრახავს წამართვან ეს პენსია, და რასაკვირველია, მტერი იმუშავებს ამ მიმართულებით, და მოყვარე თვითონ მე დამაბრალებს თავის გაჩუმებას და უმოძრაობას, თავს იმით გაიმართლებს: ნიკოს ბრალიაო, თვითონ უარი სთქვა, ხელი აიღოო, და სხვ. ეს ძველი ამბავია, არ ახალი! იმ გაზეთში, რომელშიც დღეს ვმუშაობ და რომელმაც სტოკჰოლმს გამაგზავნა, ჩემს იქ ყოფნის დროს არეულობა მომხდარა. ამფიტეატროვი[1] განაძევეს, დავრჩები იქ, თუ არა, და

---

[1] ამფიტეატროვი – პეტერბურგში გამომავალ გაზეთ „რუსსკაია სტარინას“ რედაქტორი.

გაზეთი გაძლებს, თუ არა, ღმერთმა იცის. კიდეც რომ გაძლოს და დაერჩე, – ვინ იცის, რამდენს ხანს მექნება კიდევ ძალ-ღონე იმ მძიმე შრომისთვის, რომლითაც თავს ვირჩენ აქ? ვერ წარმოიდგენ, რა ღირს აქ ჩვენი ცხოვრება. ორ უბრალო ოთახში ვაძლევთ 250 მანეთს, უბრალო, უხორცო სადილებში – 120 მანეთს, საუზმე, ჩაი, შაქარი, პური – ცალკე, ამავე მაშტაბით. ღმერთს ვეფიცები, კალმის საყიდი ფული გვიჭირს ხშირათ, სულ მცირე იზვოზჩიკი ღირს ეხლა 2-3 მანეთი და რედაქციაში ხშირათ მიბარებენ, ფეხით წასვლა, რადგანაც ამ ფულის მიცემა არ შემიძლია, და ტრამვაიები სალდათებით გატენილია, ქვეითი სიარულით საშინლათ მღალავს. პენსიას ვინახავდი ბანკების ვალებისათვის, თუ მართილა წამართივეს, აიდა ჯიხაიშიც! მაგრამ, რადა ბევრი შევიწუხო...

(წერილი დაუსრულებელია)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

წიგნების მიმოხილვა. ბიბლიოგრაფია

მარიამ გერსამია

ინგლისური ლიტერატურა

საუკუნის ბოლოს ჟურნალისტიკათმცოდნეობაში ახლებურმა ხედვამ ფასეულობათა გადასინჯვა გამოიწვია. უახლესმა ტექნოლოგიამ გააფართოვა ჩვენი პროფესიის საზღვრები. თეორეტიკოსებმა კი დაადასტურეს რადიკალური ცვლილებები, რომლებიც შეეხო მასმედიას. აქამდე, ნათარგმნი ლიტერატურის უქონლობა აფერხებდა მრავალმხრივ გავცნობოდით მსოფლიოში არსებულ სურათს. დღეს ნათლად ჩანს, რომ უცხოელი ჟურნალისტები მუშაობის ახალ ხერხებს და მეთოდებს ფლობენ. ამასთან დამკვიდრდა ტრადიცია, რომ პუბლიცისტებმა თავიანთი პირადი გამოცდილება, მუშაობის ინდივიდუალური ხერხები ერთმანეთს გაუზიარონ. ყველაფერი ეს აისახა ბევრ მეცნიერულ ნაშრომში, რომლებიც ვფიქრობთ, ქართველ ჟურნალისტებს დააინტერესებს. რა თქმა უნდა, ბოლო ათწლეულში შეერთებულ შტატებში გამოსული წიგნების მიმოხილვა ერთ წერილში ვერ მოთავსდება. გაგაცნობთ რამდენიმეს:

„ინტერვიუები, რომლებიც ამართლებს“
1992 წ. ბელმონტი, კალიფორნია

„რა ხერხებს მივმართოთ, რომ ინტერვიუმ საზოგადოების ყურადღება მიიპყროს?“ ამაზე საუბრობენ გამოცდილი პროფესიონალები სახელმძღვანელოში „ინტერვიუები, რომლებიც ამართლებს“.

წიგნის ავტორია საკრამენტოს, კალიფორნიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი შირლი ბიაჯი. მან მრავალი ათასი მილი იმოგზაურა. ესაუბრა ექსპერტებს, შეკრიბა ახალი მასალა, დაახასიათა ის გზები და მეთოდები, რომლებიც ჟურნალისტურ შორსმჭვრეტელობასთან ერთად აპირობებენ ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიუების წარმატებას. იგი გვესაუბრება პუბლიცისტურ-ჟანრობრივ საიდუმლოებებზე: როგორ მივაკვლიოთ საუკეთესო საინფორმაციო წყაროებს, როგორ ვაწარმოოთ ჩანაწერები და მოვიპოვოთ პასუხები უინიციატივო რესპოდენტისაგან. ავტორი მსჯელობს ეთიკის საკითხებზე, პირდაპირ და ირიბ ციტირებაზე, მასალათა ტიპებისადმი მიდგომის თავისებურებებზე და სხვ. მასთან ერთად საკუთარ შეხედულებებს გვაცნობენ რედაქტორები და რეპორტიორები *„ნიუ-იორკ თაიმსიდან,“ „ჩიკაგო ტრიბუნიდან,“ „ლოს ანჯელეს ტაიმსიდან,“ „ეი-ბი-სი ნიუსიდან,“ „უოლ სთრით ჯორნალიდან“*...

ჯონ მარტინი, ჯოელ ბრინკლი, ლინდა გომესი და სხვები გვასწავლიან ჟურნალისტიკურ გამოძიებას, ინტერვიუს გამოყენებას სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში. დასკვნა ასეთია: „ინტერვიუირება ხელოვნებაა, რომელიც თქვენს ცოდნას, გამოცდილებას გააღრმავებს და დააზუსტებს“.

„საუბრები ჟურნალისტიკაზე,“
1994 წ. ნიუ-იორკი

წიგნში 12 ჟურნალისტი და რედაქტორი საუბრობს. ისინი იელის უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულნი არიან. მათ აერთიანებს უილიამ ზინსერის კლასი. ეს უკანასკნელი წლების მანძილზე ასწავლიდა პუბლიცისტიკას. მისი შეგირდები სულ მალე გადაიქცნენ ისეთი ცნობილი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებად და რეპორტიორებად, როგორიცაა: *„ნიუ იორკ თაიმსი,“ „ნიუ იორკ დეილი ნიუსი,“ „ნიუ იორკი,“ „ატლანტიკი,“ „ნიუსვიკი,“ „როლინგ სთოუნი,“ „დისქავერი,“ „ლაიფი,“ „ვოგი,“ „ვერმონთ მეგზინი“ და სხვ.* თავად ზინსერი ასე იწყებს: „ეს წიგნი გარდაქმნის მცდელობაა... იგი ადამიანის ხმებითაა სავსე...“

1992 წლიდან ზინსერი *ნიუ სქულში* ასწავლის. სწორედ აქ მოიწვია მან თავისი 11 ნასტუდენტარი, რომლებმაც წაიკითხეს სპეციალური კურსი: სტატიის სპეციფიკა, პერსონალური მიმოხილვა, ჟურნალების გამოცემა, მეცნიერების და ტექნიკის ამბები, პოლიტიკურ და საზოგადო მოვლენათა რეპორტირება, ადგილობრივი და რეგიონალური ჟურნალისტიკა და სხვ.

ჯენიფერ ალეინი, როჯერ კონი, მარკ სინგერი და სხვები გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, ყურადღებას ამახვილებენ ცალკეულ შეცდომებზეც კი, რაც მთავარია, წინ არის წამოწეული მათი მუშაობის სტილი, ინდივიდუალური მანერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჯენიფერ ალეინისადმი მიცემულმა ზინსერის მორიგმა რჩევამ: „რედაქტორები მოდიან და მიდიან, მაგრამ მწერლები მუდამ საკუთარ თავთან რჩებიან. თუ მწერალი ხარ, დაიმახსოვრე, რომ შენი ხანგრძლივი პატიოსნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე რედაქტორის მოკლევადიანი მოთხოვნილება. ღიღხანს იფიქრე და სცადე არ დაკარგო მოქმედების თავისუფლება“.

„ახალი ამბების სიახლენი.“
1995 წ. ნიუ-იორკი

„საუკეთესო სახელმძღვანელო დამწყები ჟურნალისტისათვის, რომელიც ოდესმე წამიკითხავს“. ასე განსაზღვრა დევიდ ჰემბერსტემმა სარეცენზიო კრებულის ღირსება, რომლის ავტორები არიან ჯონ ჩენსლორი და ვოლტერ რ. მერსი. პირველმა 40 წელზე მეტი გაატარა *„ენ-ბი-სი ნიუსთან,“* ხოლო შემდეგ მასმედიის სპეციალურ პროექტებზე მუშაობდა. მეორე იყო რეპორტიორი, „ვაშინგტონ ბიუროს“ უფროსი, აღმასრულებელი რედაქტორი, *„ასოშიეითიდ პრესის“* ვიცე პრეზიდენტი. 1977 წელს პულიტცერის პრემია დაიმსახურა.

წიგნის ავტორები გვამცნობენ იმ სიახლეებს, რომლებიც ჩვენს პროფესიაში მოხდა ბოლო ათწლეულში. ისინი განიხილავენ შემდეგ საკითხებს: ლიდები, ლიდის შემდეგ, ინფორმაციის წყაროები. ანალიზი, ქვეტექსტი და სხვ. ავტორები გამოკვეთენ ჟურნალისტიკის იმ პრინციპებსაც, რომლებიც უცვლელი დარჩა. ამასთან, გვასწავლიან რეპორტაჟზე მუშაობას, მასალის ჩაწერის და იმპროვიზაციის ხერხებს. მერსი და ჩენსლორი გულახდილად საუბრობენ თავიანთი მუშაობის ორგანიზაციასა და შინაგან დისციპლინაზე; გამოთქვამენ იმედს, რომ მათი გამოცდილება გარკვეულად მიეხმარება პროფესიონალების აღზრდა-დახვეწას. წიგნში ბევრი საგულისხმო დებულებაა. თუნდაც, „ვაშინგტონ ჯორნალიზმ რევიუს“ მიმოხილვასთან დაკავშირებული მახვილგონივრული მოსაზრება: „ჯონ ჩენსლორი და ვოლტერ მერსი ისევე კარგად წერენ ჟურნალისტიკაზე, როგორც მუშაობენ ამ სფეროში. მხოლოდ მათი რჩევა, რომ ზედსართავი სახელების გამოყენებასთან სიფრთხილე გვმართებს, ხელს მიშლის ჩემს შეფასებებს დავამატო ბევრი სხვა: კარგად მომზადებული, გულახდილი, საჭირო, დროული, შემეცნებითი... იგი უნდა წაიკითხოს ყველამ, ვინც მუშაობს ან სურს იმუშაოს ჟურნალისტად“.

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили
336, 2002

დალი ოსეფაშვილი

გერმანული ლიტერატურა

უკანასკნელ ათწლეულში გერმანულ ენაზე ჟურნალისტიკათმცოდნეობის არაერთი ნაშრომი გამოიცა. გთავაზობთ რამდენიმე წიგნის მიმოხილვას. ძირითადად, ეს გახლავთ პრაქტიკული სახელმძღვანელოები. ამ წიგნებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ის თავები, რომლებიც ჟანრებს შეეხება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ „ჟანრის“ შესატყვისად გერმანულენოვან ლიტერატურაში ძირითადად გამოიყენება „ჟურნალისტური გამომსახველობითი ფორმები“ („Journalistische Darstellungsformen,“ მხოლოდ ერთ ავტორთან შევხვდით ცნებას – „ჟურნალისტური ტექსტის ჟანრები“ – ეკარტ კლაუს როლოფის ამავე სახელწოდების წიგნში „Journalistische Textgattungen“. მართალია, ამით არსი დიდად არ იცვლება, მაგრამ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება).

მიუნხენის უნივერსიტეტის კომუნიკაციის ინსტიტუტის გამომცემლობა „ოლშლეგერმა“ 1994 წ. დაბეჭდა სახელმძღვანელო **„ჟურნალისტიკის ანბანი“** (გადამუშავებული გამოცემა). ავტორთა კოლექტიური ამ ნაშრომში განხილულია საკითხთა ფართო წრე, რასაც მოწმობს თემათა ჩამონათვალიც. I ნაწილი – „ჟურნალისტის პროფესია“ (მასალების ძიება და ინტერვიუ; ჟურნალისტური გამომსახველობითი ფორმები; ენა და რედაქტირება; გაზეთის გაფორმება; ფოტო; ჟურნალისტური სამუშაოს ორგანიზება; მკითხველი; პრესის სამართალი); II ნაწილი – ყოველდღიური გაზეთების თემები (სამშობლო; კულტურა; განსაკუთრებული მიზნობრივი ჯგუფები; პოლიტიკა; უცხოეთი; პარტიები; პოლიცია და იუსტიცია; სპორტი; გარემოს დაცვა; ჯანმრთელობა; ეკონომიკა).

„ჟურნალისტურ გამომსახველობით ფორმებში“ დამოუკიდებელ თავებად წარმოდგენილია: **ცნობა** (ახალი ამბები die Nach-

ეროვნული ბიბლიოთეკა

chricht); „**Angefietschert**“ (გერმანული ჟურნალისტიკისათვის სპეციფიური, შერეული ფორმა, რომელიც რამდენიმე ჟანრის ელემენტებს აერთიანებს; **„ფიჩე“** („Feature,“ რომელიც ჩვენს პრესაში არ არის დამკვიდრებული. იგი წააგავს რეპორტაჟს, თუმცა, მისგან განსხვავებით, გვთავაზობს თემის აბსტრაქტულ გააზრებასა და აღწერა-დასკვნების მუდმივ მონაცვლეობას. ამავდროულად, წარმოგვიდგენს საარქივო დოკუმენტურ მასალებს. ამდენად, ჩვენი აზრით, ეს ფორმა ნარკვევს უნდა უახლოვდებოდეს); **რეპორტაჟი; პორტრეტი; კომენტარი.** რაც შეეხება **ინტერვიუს,** იგი განხილულია, როგორც უნივერსალური მეთოდი ნებისმიერი ჟურნალისტური მასალის ასაღებად და წიგნის ავტორების სინანულს გამოთქვამენ, რომ „მთელ რიგ გერმანული გაზეთების რედაქციებში დაუფასებელია მისი მნიშვნელობა. იგი ხანდახან თუ გვხვდება გაზეთებში... ეს სამწუხაროა, რადგან მკითხველი უტყუარობას კარგავს“.

ჟურნალისტური მუშაობის ძირითად წესებს გვაცნობს ასევე გერმანულენოვან ჟურნალისტიკაში კარგად ცნობილი სახელმძღვანელო – **„შესავალი პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში. გერმანია-ავსტრია-შვეიცარიაში სწავლების ყველა წესის ზუსტი აღწერით“** (ლისტ ფერლაგი, მიუნხენი 2000წ.). ცნობილი მკვლევარი ვალტერ ფონ ლა როხე, ამუქებს შემდეგ საკითხებს: ჟურნალისტური მოღვაწეობა; საინფორმაციო სააგენტოები და ინფორმაციის სამსახური; პრესა და საზოგადოება; ჟურნალისტური პრაქტიკის სამართლებრივი საკითხები; პუბლიცისტიკის ძირითადი პრინციპები; (პრესის კოდექსი), ჟურნალისტის განათლება (ჟურნალისტიკის სკოლები. პუბლიცისტიკისა და კომუნიკაციის მეცნიერებათა სწავლება და სხვა.). ავტორი „ჟურნალისტურ გამომსახველობით ფორმებს“ ორ მოძრავ ჯგუფად ჰყოფს: ერთი მხრივ – ინფორმაციული, მეორე მხრივ – აზრის გამომხატველი.

ინფორმაციულ გამომსახველობითი ფორმებში დამოუკიდებლად არსებობის უფლებას ანიჭებს ცნობებს (ახალ ამბებს), ხოლო სხვა ყველაფერს უწოდებს გაფართოებულ ინფორმაციულ გამომსახველობითი ფორმებს: მოხსენება (ანგარიში Berichte); რეპორტაჟი; „ფიჩე,“ ინტერვიუ და ანკეტა; კორესპონდენცია და ანალიზური სტატია. „აზრის გამომხატველ ფორმებში“ კი განიხილავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარს, გლოსეს (ირონიული კომენტარი), კრიტიკას და რეცენზიას.

ორ ჯგუფად დაყოფას ვხვდებით ეკარტ კლაუს როლოფის წიგნში „ჟურნალისტური ტექსტის ჟანრები“. ავტორი ინფორმაციულ ჟანრებში იხილავს შემდეგ სახეებს – რეფერატულსა და ინტერპრეტაციულს. რეფერატულს ეკუთვნის: ცნობა, ახალი ამბავი (Nachricht), მოხსენება, ანგარიში (Bericht), დოკუმენტაცია (Dokumentation), „პრესის სარკე“ (Pressespiegel) და ოფიციალური განცხადება (Statement), ხოლო ინტერპრეტაციულს: საჟურნალო სტატია; რეპორტაჟი; ფიჩე: (Feature); პორტრეტი; ინტერვიუ და დისკუსია; რაც შეეხება კომენტირებულ ჟანრებს, მათ მიაკუთვნებს კომენტარს; მოწინავე სტატიას; ირონიულ კომენტარს (Glosse); სვეტს; კრიტიკას (რეცენზიას).

და რობე სვამს კითხვას – საერთოდ, გამართლებულია თუ არა, ინფორმირებისა და ანალიზის მკვეთრი გამიჯვნა? ამის თაობაზე დისკუსია ახლაც მიმდინარეობს. რამდენად შესაძლებელია საერთოდ, ინფორმაციული გამომსახველობითი ფორმების ობიექტურობა? ამ კითხვაზე პასუხს სცემს ახალი ამბების სპეციალურ ქვეთავში „ობიექტურობა“.

არანაკლებ საინტერესოა **„ჟურნალისტის ცნობარი“** (ჰამბურგი 1998 წ.), რომლის ავტორებია ჰამბურგის ჟურნალისტური სკოლის ხელმძღვანელი ვოლფ შნაიდერი და პეტერ ჯოზეფ რაუე.

რატომ სჭირდება საზოგადოებას საუკეთესო ჟურნალისტიკა? როგორ პუბლიცისტებს არ უნდა ვენდოთ? როგორ მოიპოვებენ ინფორმაციებს? როგორ აწვდიან მათ მკითხველებსა თუ მსმენელებს? რა სირთულეებს უკავშირდება ინფორმირება? როგორ განისაზღვრება ახალი ამბები და როგორ იწერება ისინი? (ინტერვიუ; ანალიზი-სინთეზი- უკანა ფონი; გასართობი ინფორმაციები; რედაქტირება). ჟურნალისტური ეთიკა და პრესის სამართალი: გაზეთის მომავალი; ახალი I გვერდი, მულტიმედიის საუკუნე – აი ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც პასუხებსაც ვხვდებით ამ ცნობარში.

წიგნს ერთვის განმარტებაც, რომელიც გვაწვდის ცნობას გერმანიის საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების, ჟურნალისტური სკოლებისა და უმაღლესი ჟურნალისტური განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ. დასასრულ, ავტორები გვაწვდიან „ჟურნალისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონს“.

დღეს, ინფორმაციის გლობალიზაციის პირობებში, როცა თანამედროვე მასმედია წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე, ფრიად აქტუალურია წიგნი **„ინტერნეტი ჟურნალისტებისათვის“** (ფრანკფურტი – ნიუ-იორკი, 1998). მისი ავტორია ქრისტიან დიტფურტი. იგი განკუთვნილია მათთვისაც, ვისაც საერთოდ არა აქვს კომპიუტერი და მათთვისაც ვინც, ჩართულია ინტერნეტში.

წიგნი განმარტავს, როგორ იყენებენ საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას. იგი უჩვენებს დამწყებებსა და არა მხოლოდ მათ, როგორ შეიძლება ინფორმაციის ნაკადით ქსელიდან ქსელში სარგებლობა; ამა თუ იმ თემისათვის სრული წყაროებისა და ექსპერტების მოძიება; აცნობს მკითხველს ძიებისათვის საჭირო ხერხებსა და მეთოდებს...

წიგნს ერთვის ლექსიკონი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სპეციალურ ტერმინთა განმარტებებს გვთავაზობს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
336, 2002

ივანე მჭედლიშვილი

პროფესორი ევგენი პროხოროვი კვლავ მეცნიერულ ფორმაშია

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორი ევგენი პროხოროვი სახელგანთქმულია როგორც თეორეტიკოსი-ჟურნალისტი. ადრე მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლებოდა 1969 წელს გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო „ჟურნალისტიკის შესავალი". ამ წიგნს იყენებდნენ ყოფილი იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები. აღნიშნული ნაშრომი მრავალი ღირსებით გამოირჩეოდა, მაგრამ მაშინდელი სავალდებულო მეთოდოლოგია ზღუდავდა ავტორს ობიექტურ მოსაზრებათა წარმოჩინებაში.

მეცნიერმა საფუძვლიანად, ახალი ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად გადაამუშავა თავისი წიგნი. გაათავისუფლა იგი ე. წ. „სავალდებულო (ძირითადი) ლიტერატურიდან" მოხმობილი ციტატებისაგან. გაამდიდრა თავისი ახალი მოსაზრებებითა და დებულებებით და მკითხველმა მიიღო მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, ხარისხობრივად ახალი, კომპეტენტური და პრესტიჟული დამხმარე სახელმძღვანელო, როგორც მას თვითონ უწოდებს. გადამუშავების შემდეგ იგი თანამედროვეობის წიგნად გადაიქცა და მას შეიძლება თამამად ეწოდოს მეცნიერულად გაფართოებული სახელმძღვანელო. წიგნი გამოსცა „რიპხოლდინგის" ფირმამ მოსკოვში 1998 წელს.

შესავალ ნაწილში მეცნიერი ასაბუთებს წიგნის გადამუშავების მიზეზებსა და აუცილებლობას; აღნიშნავს, რომ დრომ მოითხოვა ჟურნალისტიკის ფუნქციებისა და ჟურნალისტური სწავლებისადმი ახლებურად მიდგომა. ავტორის მართებული განსაზღვრით, ჟურნალისტური განათლების საუნივერსიტეტო სის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემა დისციპლინათა სამი ციკლისაგან შედგება. მათგან ერთ-ერთია ჟურნალისტური დისციპლინების დაუფლება; საერთო ზოგადი ცივილიზებული პროცესების შესაბამისად იცვლება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციონირების როლი და ხასიათი როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

კურსის რადიკალური გარდაქმნის ერთ მიზეზად ავტორი ასახელებს მონოიდეოლოგიური სისტემიდან პლურალური აზროვნებისაკენ გადასვლას... ავტორი ავითარებს იმ აზრს, რომ დრო ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ჟურნალისტებს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პროფესიული გამოცდილების სფეროში და პროფესიული დეონტოლოგიური მომზადების მხრივაც (საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება).

დამხმარე სახელმძღვანელოს კომპოზიცია თითოეული ნაწილის იოლად აღქმის შესაძლებლობას იძლევა. წიგნი შედგება ათი თავისაგან. თავები დაყოფილია პარაგრაფებად: პირველ და მეორე თავში სამ-სამი პარაგრაფია, მესამე და მეოთხე თავში – ხუთ-ხუთი, მეხუთეში – სამი, მეექვსე და მეშვიდე თავებში – ოთხ-ოთხი, მერვეში – სამი, მეცხრეში – ოთხი და მეათეში – ექვსი.

თავები შემდეგნაირადაა განლაგებული: I. კურსის საგანი, სტრუქტურა და ამოცანები, II. ჟურნალისტიკა როგორც მასობრივი ინფორმაციული მოღვაწეობის სფერო, III. ჟურნალისტიკის ფუნქციები, IV. ჟურნალისტიკა როგორც სოციალური ინსტიტუტი, V. ბეჭდითი სიტყვის თავისუფლება ჟურნალისტურ მოღვაწეობაში, VI. ჟურნალისტის სოციალური პოზიცია, VII. ჟურნალისტიკა როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემა, VIII. ჟურნალისტიკა როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის დარგი, IX. ჟურნალისტიკის ნამდვილობა და ეფექტიანობა, X. ჟურნალისტი როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სუბიექტი.

ერთი შეხედვით, გადმოცემის ავტორისეული სტილი, რთულად აგებული წინადადებები ზოგჯერ აზრს თითქოს ძნელად გასაგებს ხდის, მაგრამ თითოეული დებულების მართებულება, ობიექტურობა, უნარიანად შერჩეული ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ცნებები საშუალებას იძლევიან, ზუსტად აღვიქვათ ტექსტის ნებისმიერი ნაწილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის კითხვისას უპირველესად შეიგრძნობა, რომ მეცნიერული დებულებები და თეორიული არგუმენტები „გათავისუფლდნენ“ შებოჭილობისაგან და ფართო გასაქანი მიეცა ობიექტურ მეცნიერულ აზროვნებას, რაც ავტორის პირად ღირსებასაც წარმოაჩენს.

მეცნიერული მსჯელობებისა და დებულებების განვითარებისას ნიშანდობლივია სიზუსტე, სიმკვეთრე, თვალსაჩინოება, საფუძვლიანობა. კვლევა-ძიების სიღრმისეულობა და ჟურნალისტურ კატეგორიებში ჩაწვდომის მეცნიერული ალღო.

ჟურნალისტური შემოქმედებითი პროცესის ნაწილების გადმოცემისას ნაშრომში გამოვლენილია კვლევითი სიახლენი, თავშეკავებულობა და ფართოცნებიანობა, აგრეთვე პასუხისმგებლობა ინდივიდუალური მოსაზრებების კომპეტენტურობაში.

ნაშრომი გამდიდრებულია ავტორისეული ორიგინალობით შედგენილი სქემებით (გვ. 10, 16, 44, 72, 77, 146, 154,, 161, 169, 233, 244, 272).

ე. პროხოროვის ნაშრომი სამაგიდო წიგნია ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ასპირანტებისათვის, აგრეთვე პრაქტიკოსი ჟურნალისტებისათვის.

მოკლე რეცენზიაში ძნელია წარმოჩენა ყველა იმ ღირსებისა, რაც თითოეული თავისა თუ პარაგრაფის წაკითხვისას იგრძნობა. ამიტომ ზოგადად უნდა ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა ფასდაუდებელია. ამის გაცხადების საშუალებას იძლევა ავტორის მეცნიერული არგუმენტების დამაჯერებლობა, სრულყოფა, დასრულებულობა, მსჯელობათა სიღრმისეულობა, სტრუქტურულობა და კონსტრუქციულობა.

წიგნის მთელი შინაარსის გაცნობის შემდეგ მკითხველი ალბათ ასეთ დასკვნას გააკეთებს: წავიკითხე, გავიგე, შევისწავლე, გავამდიდრე ცოდნა ჟურნალისტიკის კანონზომიერებათა ახლებურად შეცნობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროფესორი შოთა გაგოშიძე 5

სტატიები

გივი კაპანაძე – ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა 8
მარიამ თავამაიშვილი – ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი 28
დიანა ტყებუჩავა – პუბლიცისტური შემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები 38
ნოდარ ტაბიძე – პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები 51
ირინა ბიჭიკაშვილი – ცოტაოდენი რამ რეკლამაზე 64
მაია ნადარეიშვილი – სათაურის სამი სახე თანამედროვე ამერიკულ პრესაში 73
დალი ოსეფაშვილი – ინტერვიუს ტრანსფორმაცია (თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით) 90
ჰაკა დარსაველიძე – პრესის თავისუფლების ეკონომიკური ასპექტები (აშშ-ს და რუსეთის პრესის მაგალითზე) 103
ივანე მჭედლიშვილი – გაზეთის რეჟისურის შესავალი 117
შოთა გაგოშიძე – ჟურნალისტიკის საკითხები გაზეთ „კვალში" 121
ლია ქათამაძე – იოსებ გრიშაშვილის პოლემიკური წერილები სონეტის გარშემო 138
ნათია ჯიქია – პაოლო იაშვილის პუბლიცისტური ოსტატობა (არგუმენტაცია და მისი ფორმები) 161
თამარ ხორბალაძე – გრიგოლ ვეშაპელი და საქართველოს ორიენტაციის საკითხი (გაზეთ „კლდის" მიხედვით) 168
ნანა ტალახაძე – ივანე გვარამაძის პუბლიცისტიკა (გაზეთ „დროების" მიხედვით) 179
ლაურა კუტუბიძე – ეროვნული და სოციალური საკითხების ასახვის ზოგიერთი ასპექტი XX ს-ის 10-20-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში 191
იზოლდა ხაინდრავა-ბუნიძე– ზოგი რამ თბილისის უნივერსიტეტის პრესის შესახებ 204

პუბლიკაცია

დალი ჩიკვილაძე – ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან 208

წიგნების მიმოხილვა. ბიბლიოგრაფია

მარიამ გერსამია – ინგლისური ლიტერატურა 219
დალი ოსეფაშვილი – გერმანული ლიტერატურა 222
ივანე მჭედლიშვილი – პროფესორი ევგენი პროხოროვი კვლავ მეცნიერულ ფორმაშია 226

СОДЕРЖАНИЕ

Профессор Шота Гагошидзе 5

СТАТЬИ

Гиви Капанадзе – Профессиональная этика журналиста 8
Мариам Таваманшвили _ Некоторые вопросы развития грузинской журналистики 28
Диана Ткебучава – Психологические аспекты журналистского творчества 38
Нодар Табидзе – Названия периодических изданий 51
Ирина Бичикашвили – Кое-что о рекламе 64
Майя Надарейшвили – Три вида заголовок в современной прессе 73
Дали Осепашвили – Трансформация интервью 90
Мака Дарсавелидзе – Экономические аспекты свободы прессы 103
Иване Мчедлишвили – Вступление к газетной режиссуре 117
Шота Гагошидзе – Вопросы журналистики в газете «Квали» 121
Лия Катамадзе – Полемические письма Иосифа Гришашвили вокруг сонета 138
Натия Джикия – Публицистическое мастерство Паоло Яшвили 161
Тамара Хорбаладзе – Григол Вешапели и вопрос ориентации Грузии 168
Нана Талахадзе _ Публицистика Ивана Гварамадзе 179
Лаура Кутубидзе – Некоторые аспекты отображения национальных и социальных вопросов в грузинской периодике 10-20-х годов XX века 191
Изольда Хаиндрава – Бенидзе – Кое-что о прессе Тбилисского университета 204

ПУБЛИКАЦИЯ

Дали Чиквиладзе – Из эпистолярного наследия Нико Николадзе 208

ОБЗОРЫ КНИГ, БИБЛИОГРАФИЯ

Мариам Герсамия – Английская литература 219
Дали Осепашвили – Немецкая литература 222
Иване Мчедлишвили – Профессор Евгений Прохоров вновь в научной форме 226

CONTENTS

Shota Gagoshidze 5

ARTICLES

Givi Kapanadze – Professional aesthetics of journalism 8
Mariam Tavamaishvili – Some issues of Georgian journalism Development 28
Diana Tkebuchava – Psychological aspects of publicistical works 38
Nodar Tabidze – Titles of periodical issues 51
Ira Bichikashvili – Something about advertisement 64
Maia Nadareishvili – Three types of American headline 73
Dali Osepashvili – Transformation of interview 90
Maka Darsavelidze – Economical aspects of the freedom of press 103
Ivane Mchedlishvili – Introduction of newspaper techvical shaping 117
Shota Gagoshidze – Journalistical issues in the Kvali newspaper 121
Lia Katamadze – Polemical materials about sonnets by Ioseb Grishashvili 138
Natia Jikia – Publicistical skills of Paolo Iashvili 161
Tamar Khorbaladze. Grigol Veshapeli and the issue of Georgian's orientation Publicistical 168
Nana Talakhadze Pablicistical of Ivane Gvaramadze 179
Laura Kutubidze – National and social issues in Georgian press of 10's and 20's of 20th century 191
Isolda Khaindrava-Beridze – Little about Tbilisi State University press 204

Dali Chikviladze 208

BIBLIOGRAPHY

Mariam Gersamia – English literature 219
Dali Osepashvili – German litartature 222
Ivane Mchedlishvili – About prof. Evgeni Prokhorov's latest scientific achievements 226

გამომცემლობის რედაქტორი მ. გიორგაძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუღალაშვილი
კორექტორი ნ. ჩახაია
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.03.02 საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,76
სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,89
შეკვეთის № 11 ტირაჟი 150
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საპუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური
380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1.

hp123/1

ეროვნული
ბიბლიოთეკა